

# ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკევით

ფასი 1,50 ლარი

13 აპრილი 2007

№8 (34)



როგორ აღმოაჩინეს თითის ანაბეჭდები

რატომ ყიდულობენ წიგნებს

მოლაღატის ფერიცვალება

ქართული ამარკორდი

ჯექსონის ლატარეა

მზის შვილები



**შინაარსი**

<b>ერი და გადინება</b>	<b>2</b>	<b>როსტომ ჩხეიძე მზის შვილები</b>
<b>ნამხვრავი</b>	<b>10</b>	<b>ლიტერატურული ამბავი და კურიოზები</b>
<b>გაღი ნიგონა</b>	<b>11</b>	<b>ნარკიული ლიტერატურა</b>
<b>ქსერას-ინტერვიუ</b>	<b>12</b>	<b>მნარლოვა – ალბათობა და ვერსიები (საუბარი ლაშა იმედაშვილთან)</b>
<b>პროზა</b>	<b>13</b>	<b>მაია დე გრაფი ნადარეიშვილი აუტოდაფე ანუ რწმენის აქტი მზის ქალაქში</b>
<b>პოეზია</b>	<b>20</b>	<b>ვაჟა ხორნაული ყვავილის ზღაპრად გაჩვენა და სხვა ლექსები</b>
<b>პოეტის ერთი ლექსი</b>	<b>23</b>	<b>ელა გოჩიაშვილი უარი ეთქვას!</b>
<b>დაუწინდარი სხვალები</b>	<b>24</b>	<b>ახლაც ვეკითხებით რჩევას</b>
	<b>25</b>	<b>ჯანსუღ ჩარკვიანი მამა „სამოცინაწლებისა“</b>
<b>უსმოთის სსოვრებიდან</b>	<b>26</b>	<b>მიშელ ტურნიე კულტურა და ცივილიზაცია</b>
<b>გაღი კახისა</b>	<b>29</b>	<b>თამაზ ჯოლოგუა სერბი მამსიმოვის მოგონება იასა ფალავანდიშვილზე</b>
<b>ფეტიქივის გავიერ</b>	<b>34</b>	<b>ფრენის გალტონი და თითის ანაბაჟები (XIX საუკუნის სენსაცია)</b>
<b>ღიალოგი</b>	<b>37</b>	<b>ერთი დღე – აღდგომამდე (ნათია ვანაძეს ესაუბრება ზოია ფირზადი)</b>
<b>ესეისტიკა</b>	<b>39</b>	<b>ჟაკლინ სირაძე ინტელექტუალის სოლფეჯიო</b>
<b>ფიქრები</b>	<b>41</b>	<b>ვანო ჩხიკვაძე მცირე პროზა</b>
<b>ახლგაზრდებო, ან კი თქვენ</b>	<b>45</b>	<b>თათია ჯგუშია AMARKORD – ანუ მე მახსენდება</b>
<b>რეპორტაჟი</b>	<b>46</b>	<b>ეკა ბუჯიაშვილი ღროის დინეჯები უღროობის ქვეყანაში</b>
<b>კრიტიკა</b>	<b>50</b>	<b>მურმან ჯგუბურია მიკატიქება „განთიადში“, გნეჯავთ, ქუთაისში</b>
	<b>54</b>	<b>დალილა ბედიანიძე ჯადოსნური სამყარო</b>
<b>პოეზიის გერიღანები</b>	<b>57</b>	<b>ალექსანდრე ჩაკსი ნერილი ერთ გარდაცვლილ მოსუც მგაზათე ქალს</b>
<b>უსმოური ნოველა</b>	<b>59</b>	<b>შირლი ჟექსონი ლატარა</b>
<b>მოზაიკა</b>	<b>63</b>	<b>გარდახდა ამავე სოფელსა</b>

დამფუძნებელი „ილიონი“

მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის №41

რედაქცია – (995 32) 96-20-62  
 რეკლამა – (995 77) 48-12-24  
 გავრცელება – (995 99) 93-18-52  
 ფაქსი: (995 32) 96-20-62  
 E-mail: info@mtserloba.ge



დაბაჟილია საბაზოი „ომეგა თეგი“ PRINTED BY "OMEGA TEGI" PRINT HOUSE  
 სააქოთაქო, თბილისი, საჩაქიშვილის 17 TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET  
 ატელფონი: +995 32 53 03 62 TELEPHONE +995 32 53 03 62

მთავარი რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე

პროზის რედაქტორი – მაკა ჯოხაძე პოეზიის რედაქტორი – გიორგი ლობჯანიძე

კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – თამაზ ნატროშვილი

დიზაინერი – მალხაზ იაშვილი მხატვრული რედაქტორი – კარლო ფაჩულია

კორექტორი – ნინო დეკანოიძე დაკაბადონება – ლევან ჩხეიძე

ოპერატორი – თამარ ჩიხლაძე სარეკლამო მენეჯერი – მაკა ჯაფარიძე

გავრცელების სამსახური – ლევან ბინაძე

გარეკანზე: ვინსენტ ვან გოგი, „წითელი ვენახი“  
 ვახტანგ ჭელიძე

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 27 აპრილს

როსტომ ჩხეიძე

# მზის შვილები

\*

## ლიტერატურული ცდა

**წმინდა ნათელში, ამბობს ჰეგელი,  
წმინდა სინათლის დიად ბადეში  
ისე ცოტაა გასაგებელი,  
როგორც რომ წმინდა სინყვდიადეში.**

გალაკტიონი

## წინათქმის მაგიერ

მზეო, ამოდი, ამოდი!

მეტი ლალადისი რა გინდა.

თითქოს მზის საგალობელიაო.

ან რაღა თითქოს – მზის საგალობელია. ადამიანი და მთელი ქვეყანა ხელაპყრობილი მისჩერება უზენაეს მანათობელს და ისე შესთხოვს ამობრწყინებას, ვითომდა უამისოდ სამუდამოდ გაჩერდებოდეს დრო-ჟამი.

ვედრებას უნდა ამოჰყვეს მზე, მხოლოდ ვედრებას.

ასე სწამთ და ამ რწმენას ნუ მოუშლი.

მითოსური დრო-ჟამი მოითხოვს მზის საგალობელს, მითოსური მზე მოითხოვს ჰიმნს და კიდევ გადმოდგება ქვეყნიერებაზე. ამოდის, მოცურავს ცის კაბადონზე, შემალღდება, დიდ შუადღედ გადაბრდღვიალდება, ჩრდილს დაუკარგავს ყოველ საგანს და... ნელ-ნელა ჩაინვერება. სამყაროს კანონს ვერც ის წაუვა.

დედასთან მიდისო, – ირწმუნებოდნენ შუმერები, და თუ ხელახალ ამობრწყინებას ევედრებოდნენ, მზესთან ერთად დედამისსაც გულისხმობდნენ, მათ ურთიერთთანხმობას – კვლავ შელეოდნენ ერთმანეთს წყვდიადის გასაფანტავად – ერთი დღით, ერთადერთით.

გაქრებოდა პირისაგან მიწისა შუმერთა მოდგმა, მიწას ამოეფარებოდა მათი ღვანლი და საქმენი, მათი მითოსი და ცხოვრების წესი, მიწას ამოეფარებოდა მათი მზეც – შერჩებოდა და შერჩებოდა დედას, გაუტკებოდა იქ ყოფნა და აღარ დაგიდევდა, მისი მგალობელნიც განაგრძობდნენ თუ არა სვლას კაცობრიობის ბრუნვა-ტრიალში. მისი ხსოვნა ამოჩნდებოდა თიხის ფირფიტებზე, საგალობელთა ნამსხვრევებიც თუ მთლიანი ჰიმნებიც, და ის რწმენაც – დედასთან მიდის და ხვალ ისევ ამოგვიბრწყინდება, ოღონდ ვედრება არ უნდა მოვაკლოთო.

მზეო, ამოდი, ამოდი!

მისი მხურვალეობა სწავდა შუმერებს, მაგრამ ეს იყო მათი ბედისწერა, აქ მიჯაჭვოდნენ თავიანთ ხვედრს და მზის საგალობლებითაც მთარვევდნენ დრო-ჟამს. თვითონ გაქრებოდნენ? მათი ცივილიზაცია ხომ მაინც შემორჩებოდა კაცთა მოდგმას და – ისტორია შუმერში ინყვბაო – ამასაც დაიბეჯითებდა შთამომავლობა.

ბოლოსდაბოლოს... რა არის მითოსი?

რატომღაც სიუჟეტი მოგვევლინებოდა მითოსურ თქმულებათა არსის განმსაზღვრელად, ზღაპრებსა თუ ეპიკურ სიმღერებში გადასული მითოსი გახდებოდა ჩვენს წარმოდგენაში პირვანდელი სახე და ყალიბი და აღარ დავეფიქრებოდით, რომ სიუჟეტი მაინც მეორეული მოვლენაა, სიმბოლოებსა თუ მეტაფორებში ჩანუ-რული განცდის გაშლა, თანდათანობით შევსება, სხვადასხვა სიუჟეტთა ერთმანეთში გადასვლა-შერწყმა, სულ სხვა მიმზიდველობით აღვსება... სიუჟეტი იქნებ უფრო მახლობელიც იყოს ჩვენთვის, კაცობრიობის დღევანდელი წარმოდგენებისათვის, და თუნდ შუმერულ იეროგლიფს რომ გავშიფრავთ და ამ უაღრესად დანუ-რულ სიუჟეტურ მარცვალს აღმოვაჩინოთ: მზე დედასთან მიდისო, – ვერაფრისდიდებით ვერ ვიკმაროთ ეს მეტაფორა და მის გაშლა-გაგრძელებას შევეცადოთ მძაფრ სიუჟეტში.

მაგრამ ის ადრეული ადამიანი?

ის, სწორედ ის, ვიდრე სიუჟეტებისაკენ მიიღრიკებოდა მისი ფიქრიც და ხელოვნებაც, ვითომ ასე უკმარად მიიჩნევდა მეტაფორებს?

რა გგონიათ – მითოსს სწორედ იმ უაღრესად დანუ-რულ სიუჟეტურ მარცვლებს არ დაარქმევდა?

მზეო, ამოდი, ამოდი!

ესეც მითოსი.

საგალობელში შეერეოდა ეს მითოსური წარმოდგენა, ვიდრე ეპიკური სიმღერები მისაკუთრებდნენ, და ვიდრე ზღაპრები იგდებდნენ ხელთ იდუმალეზაგაძარცულს, საკრალურობის შარავანდამოხეულს.

ჩვენს ზეპირსიტყვიერებას შემორჩენია მზის მისტერიის ეს უშორესი გაელვება, საგალობლის ნამსხვრევად გამოჰყოლია ხალხის ცნობიერებას და, რაკილა დაშორებია ეს ცნობიერება მითოსს, ეს ნამსხვრევიც სულ მთლად რომ არ გამქრალიყო, სულ სხვა სტრიქონებს გადაეხმოდა, დესაკრალიზებულთ, გამინიერებულთ, და მათთან შერწყმული უკვე აღარც გამოჩნდებოდა ძველთა-ძველი ჰიმნის ფრაგმენტად.

ადამიანი ძალიან გაუშინაურდებოდა მზეს, თხოვნი თ ისევ ექნებოდა მასთან სათხოვარი, მაგრამ ეს უკვე აღარ იქნებოდა უზენაესი მნათობი, ღვთაებასთან შეტოლებული, თორემ ასეთ მიმართვას როგორ შეებდავდა: ნუ ეფარები გორასაო. ეს უკვე დაძრახვაა, ვითომ შეფარული, მაგრამ მაინც საყვედურია, შენით რატომ ვერ მიმხვდარხარ, რომ აუცილებელია შენი ამობრწყინება, გორას როდემდე უნდა ეფარო, როდესაც: სიცივეს კაცი მოუკლავს, სანყალი აგერ გორავსაო.

რა ერთბაშად და მოულოდნელად იცვლება მიმართვის კილო, უზენაესისადმი ვედრება საყვედურად გადასხვაფერდება და, თუ დავეუკირდებით, თვალნათლივ ამოჩნდება ეს სხვაობა სტრიქონთა შორის. პირველი სტრიქონი ცალკე რჩება, ის სამი – ცალკე მიიწევს. მაგრამ ისე შეჩვეულა ყური მათ მოქცევას სტროფის ერთ ყალიბში, ლამის ვეღარც ვამჩნევთ ხმის კილოს დამდაბლებასა და ვედრების დამინებას.

არადა, როგორი დასაკარგია, როგორი შესარეველი სულ სხვა დრო-ჟამის მსოფლგანცდაში ეს:

მზეო, ამოდი, ამოდი!

I  
**მზის მისტერია**

მაღლობზე ქვის სალოცავი აღმართულა.

მცირეაზიულია მისი სტილი, კედლებზე – გრიფონები, გველები, თევზფრინველები, ყმათა და ქალწულთა ორგიული პროცესები გამობატულა.

მოქმედება ძველ კოლხეთში თამაშდება, მაგრამ სალოცავის სტილი სწორედ მცირეაზიული უნდა იყოს.

ეს არ არის შემთხვევითობა ანდა მარტოდენ გარეგნული იერი.

არც მხოლოდ ესთეტიკური განცდა ავტორისა.

ღრმა სიმბოლოა ნაგულისხმევი კოლხეთისა და მცირეაზიის გვერდიგვერდ ხსენებით, ის სიგნალია თვითონ მისთვისვე, ერის ისტორიის უშორეს ფენებში ჩაღწევა რომ შეიძლოს, გუმანმა გაიკვალოს გზა, იმან გაჭრას შემოსაზღვრული სივრცე და ძველ კოლხეთსა და მცირე აზიას შორის მემკვიდრეობითი ხაზი დალანდოს.

არა უცხო სტილის თავსმოხვევად ძველი ქართული გარემოსათვის, არამედ ეროვნული გენეალოგიური შტოს გაგრძელებად.

ცხადია, დრამის პირველი სტრიქონების წაკითხვა ასეთი ვარაუდისაკენ არ გიბიძგებს: გრიგოლ რობაქიძის „ლონდასი“.

მცირეაზიული სტილი გარეგნულ დეკორაციად აღიქმება.

დრამის თავიდან ბოლომდე გადაკითხვაც თითქოს საამისოს ვერაფერს მიგანიშნებს, ქვის სალოცავის გარეგნულ სტილს განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭო.

მაგრამ ეს მაიც ზერელე გაცნობა იქნება.

„თითქოს“-ის მიღმა რალაც მანაც ილანდება.

მხოლოდ მას შემდეგ პოულობ ამ სიგნალს, ამ შიფრს დარწმუნებით, როდესაც გასაღები გივარდება ხელთ, გასაღები – გრიგოლ რობაქიძის მხატვრულსა და ესეისტურ ნაზრევს გულდასმით რომ დაუკვირდები და აღმოაჩენ, რომ ქართული მოდგმის უშორესი ფესვების ძიება ქვაკუთხედია მისი მსოფლმხედველობის, გასიმბოლოებული კარდუს ხატში და გათანგული მწველი, მცხუნვარე მზით.

ეს მზე „ლონდაში“ უნდა გამოჩნდეს პირველად, და იმთავითვე მთელი თავისი ძალმოსილებითა და ბრწყინვალებით.

დიდი გარდატეხის ხანა დამდგარა დრამის მხატვრულ სინამდვილეში.

წარმართობის დასასრულის ჟამია.

რასაკვირველია, არც ამგვარი ეპოქის არჩევაა შემთხვევითი.

ამ რეალობის კარიბჭესთან მომდგარა ქრისტიანული რელიგია, მაგრამ კარიბჭე ჯერ დახშულია მისთვის და მთელი სიმძაფრით ამიტომაც თამაშდება მზის მისტერია.

ფესვები შიშვლდება.

და გაშიშვლებულ ფესვებში მოჩანს მზე – უფრო სახიერად, უფრო შთამბეჭდავად, და უფრო მეტიცაა, ვიდრე კოსმიური მნათობი.

დედასთან დაბრუნებული და წამინამზე მომლოდინე ხელახალი ამობრწყინვისა?

ის კი დედასთან დაბრუნებულა, მაგრამ გრიგოლ რობაქიძეს თავისი მიბრუნება უფრო აღელვებს მზესთან, ქართული მოდგმის მიბრუნება იმისი მცხუნვარე, ვარვარა ნათებისაკენ და მისტერიაც აქედან ამოზრდილა.

ნამდვილი მისტერიაა მზისაო, – ერთბაშად დარევდა ხელს ეს განცდა კოტე მარჯანიშვილს, ვისაც ბევრი ეხილა მზის მისტერიის მკრთალი ანარეკლი, მოჩვენებითი მიახლოებანი სამყაროს მანათობელთან და ყოველთვის გულს რომ აკლდა, ამიტომაც გაიტაცებდა ასე ძალიან „ლონდა“ და თავის აღტაცებას დაბეჭდავდა სიტყვით – ნამდვილი.

მხოლოდ გონებას არ ეშობა მისტერიის ეს ქარგა.

გულისგულში გამოტარებულიყო, გონებასთან ერთად გუმანიც აგრძნობინებდა რალაც ისეთს, რისთვისაც ჯერ იქნებ სახელი ვერც დაერქმია, მაგრამ გრძნობდა გრიგოლ რობაქიძე, მისი სული აქ გადახსნილიყო სამყაროს წინაშე.

იღუმალი გამოცხადება გაუძღვებოდა ფესვებისაკენ და მის გაშიშვლებასაც ურჩევდა.

დანარჩენი მასზე ეკიდა.

ხილვაო, – ასე იმიტომაც მიუწერია ტრაგედიის ბოლოს.

თხზულების თარიღში გაუნივთებია სასწაულებრივი წამი:

„ხილვა: ჰამადანი – ზაფხული, 1917“.

თარიღი კიდევ უფრო ვრცელია და ბარემ ის ნაწილიც გადმოვიტანოთ, მკაფიო მინიშნება იმ პირად ტრაგედიასზე, ქვეყნის ბედისწერასთან რომ გადაუბამს.

გადაუბამს თუ... თვითონვე გადაბმინა ერთმანეთს?

„ყაზახი (აზერბაიჯანი) ივლისის 25-26-27“.

იმხანად სალიტერატურო და სახელოვნო წრეებში ყველასათვის ნათელი გახლდათ, რასაც გულისხმობდა ყაზახისა და ივლისის დღეების საგანგებო აღნიშვნა – პატარა გოგონა დაელუპებოდა გრიგოლ რობაქიძეს. არეული ჟამი აღმა-დაღმა დააქანებდა მთელს ოჯახს და ალკას საბედისწერო წუთები ყაზახში მოეწოდა. ლირიკაში გადაინაცვლებდა მისი სახება – გრიგოლისაც, ცისფერყან-წელებისაც; და კიდევ ამ დრამაში „ლონდა“, რომელშიც გაელვებთაც არსად გაიეღვებს პატარა გოგონა, მთავარი გმირი კი ყმანვილქალია და ის უნდა შეენიროს უფლის ნებას. მაგრამ მის მწარე ხვედრს ამოფარებია ალკას ლანდი, რადგანაც ჰამადანის ხილვა თავისას მოითხოვდა – სიუჟეტური ქარგა იქიდან უნდა ამოხვეულიყო და საკუთარი ტრაგედია ქვეტექსტებში მოქცეულიყო.

ვინც გაიგებდა, გაიგებდა, ვინც არა – ოდნავ პათეტიკურ, აღმტაც თხრობას მიჰყოლოდა.

მზის ნამდვილი მისტერიაო...

ყოველი დრამა, თუნდაც წმინდა ნატურალისტური, თავისთავად მისტერიაა და კონკრეტულის სიმბოლოს გზით სამარადისო საკითხებით ლაპარაკობსო, – ერეკლე ტატიშვილი ამ ზოგადი თეზისის ფონზე დასძენდა: მაგრამ „ლონდა“ მართლა მისტერიაა იმავე მნიშვნელობით, როგორც ეს შეიძლება ითქვას გოეთეს „ფაუსტისა“ და შოუს „კაცისა და ზეკაცის“ შესახებო.

მართლა მისტერიაა, მაგრამ რისი?

– სიცხით გარინდებული ქვეყნიერების.

რიტმი, პლასტიკა და მუსიკა?

– მზის აღმურის.

და ესეისტი პათეტიკასაც გამოურევს: მათი ჰარმონია თვით ყრუთ და ბრმათ მოხიბლავს და სულში უხილავი ტრაგედიით შეიჭრებაო.

ერეკლე ტატიშვილიც თავის მხრივ მზის საგალობელს ქმნის, მისი შთაბეჭდილებანი, კოტე მარჯანიშვილის დადგმით გამოწვეული, ღრმა ექსპრესიულ განცდაში იყრის თავს და საკულტო ჰიმნის თავისებურ ფრაგმენტსაც მოგვაგონებს.

მზის აღმურის რიტმი ესეიშიც გადაინაცვლებს.

ამ გადასახედიდან აძლევს უფლებას უსაყვედუროს გრიგოლ რობაქიძეს, ვინც ახალი გზის გამკვალავად ეგულებს გაუდაბურებულ სინამდვილეში: დიდი ზღაპარი ვინრო ფარგალში მოათავსაო.

რატომ გაიზომოს „ლონდა“ ქართული პიესების მიღწევებით?

„მზის დაბნელება საქართველოში“ მასთან შედარებით ეთნოგრაფიულობის საზღვარს ვერ სცილდება?

არა კმარა მასთან შეჯიბრი და მისი დამარცხება, რაკილა ისეთ სარბიელზე გასულა, თუნდ „ფაუსტი“ ან „კაცი და ზეკაცი“ რომ არიან და დაე მათთან ჭიდილში გამოჩნდეს „ლონდას“ ღირსება-ნაკლოვანებანი. და არც ვინრო ფარგალი დაგვრჩეს მხედველობის მიღმა.

მთავარია, რომ მზადდება ახალი, მარჯანიშვილის თეატრი, რომელიც უნდა გადაიქცეს სულით მაღალი საქართველოს ტრიბუნად და დაეყრდნოს „ლონდას“ რანგისა თუ უკეთეს ქმნილებებს.

გეზი განსაზღვრულია და იმ სულით მაღალი ტრიბუნის მეტაფორაც უკვე შერჩეული:

– ნამდვილი დედა მზის საბატონო.

... მზის ნამდვილი მისტერიაო...

და ასე ახსნიდა კოტე მარჯანიშვილი:

„ლონდა არის ნამდვილი დაბრუნება მზესთან, ყველაფერი მასში არის მზისგან, სიცოცხლე და სიხარული, სიცოცხლე და სიყვადილი“.

ამოსავალი ამ დაკვირვების აღმოჩნდებოდა დრამის ერთი პასაჟი, რომელიც რეჟისორის ესეის ეპიგრაფად ნაემძღვარებოდა:

„სიცოცხლე მზეა მწვავი და თუ სიცოცხლე გინდა, გლოვაც უნდა გიყვარდეს“.

წუთისოფლის ტრაგიზმი ძვეს ამ სტრიქონებში, რომელიც ოთარ მოშაირისა და ქოროს დიალოგში უნდა გაისმას და „ლონდას“ იდეური მრწამსის ქვაკუთხედაც იქცეს და გრიგოლ რობაქიძის მსოფლხედვისაც.

ასეთი სიცხე ჯერ არ ყოფილა, – მოთქვამს ქორო და არა და არ მოშინდება მისი მოვლვარება:

– ასეთს აღმურს არავინ მოსწრებია.

– ინვის იდაყვის ქვეყანა.

– ხვატის სისხლიანი თალხი გადაებურა ატეხილ მხარეს.

– მიწის მკერდები ფართოდ გაღარულან.

– საშონი მიწისა იხეთქებიან თხრილებად.

თითქოს „გილგამეშინის“ წითელი ხარი გამოჩენილიყოს, რომლის ნატერფალზეც ყველაფერი ნაცარტუტად იქცევა. ეს ავბედითი დღე დასდგომია ძველ კოლხეთსაც – მდინარენი თანდათან კლებულობენ, წისკვილები გაჩერებულან და არა იფქვის რა, წყაროები ყოველდღე შრებიან, აღარ აციმციმებენ ცინცხალ თვალებს, წყურვილით იხო-

ცება ყოველი სულდგმული, სიპთა სისველე უცნაურად წყდება, ბუზები გახელებულან და მწარედ იკბინებიან, ხარებს მოდებულან ანივლებული კრაზანები და კუდამოძუებულთ მიარბენინებენ, სისხლმორეული კამეჩები გაბრაზებით ბულრაობენ, ბორიაცი მტვრის ღრუბლებად იბურთება, გახელებულ ცხენთა ჯოგები ხრამში ცვივიან...

და გრძელდება ასე, რათა ქოროს გზებამ არამარტო წარმოგისახოს მიწის ავარვარებული სხეულის სურათები, არამედ ხელშესახებად განგაცდევინოს მხურვალეებაში ჩაძირული ქვეყნის ხვედრი და ამ ყოფისაგან მისი რაც შეიძლება მალე გამოსხნის აუცილებლობა. სასწრაფოდ, თორემ ველარაფერი უშველის და კვალწმინდად შეიძლება გაქრეს ეს მოდგმა.

შესთხოვენ უზენაეს ღვთაებას და შესთხოვენ მზეს („მზეო მზეო ცხოველმყოფელო ძლიერო სისხლიანო მაგარო უცნაურო საშინელო შენელდი დაჰსცხრი და მიეც შევებად სისველე სინედლე მიწას“) და მოელიან ქურუმის გამობრძანებას, ლოცვადგამდგარისა და უფლის სიტყვის მომლოდინის – განსაცდელისაგან თავის დაღწევა რომ უნდა ეუნყოთ, და მთელი გარემო იმ სტილისტიკით წარმოისახება, რომელსაც სოსო სიგუა გერმანულ „თინგ თეატრთან“ ჯერ კიდევ მაშინ დააკავშირებდა, როდესაც გრიგოლ რობაქიძის სახელის წარმოთქმა აკრძალული გახლდათ და მხოლოდ მინიშნებით იხსენიებოდა – ისიც შემთხვევიდან შემთხვევამდე.

ეს „თინგ თეატრი“ მაინც რას ნიშნავდა, რა თავისებურებით შემორჩენოდა თეატრალურ ხელოვნებას?

მიხეილ კვესელავას „ას ერგასის დღე“ გვამცნობდა მის არსებით ნიშნებს და, თუ დაუკვირდებოდი, „ლონდაც“ ამ რკალში მოექცეოდა:

„ამგვარ სპექტაკლებში ინდივიდს ცვლის ტიპი, მარტოხელას – საზოგადოება, პიროვნებას – ხალხი, შინაგანს – რასა, სათნობას – კულტი. ნაჩვენებია ადამიანები, რომელნიც საკუთარ თავს ებრძვიან, გმირები, რომელნიც სძლევენ. ფსიქოლოგიური კონფლიქტის ნაცვლად წარმოდგენილია ბრძოლა, დიალოგის ნაცვლად ქორო, სახლის ნაცვლად – რიტმი, ჰარმონია-დისჰარმონიის ნაცვლად – პოლიფონია“.

თვით თეატრალური სცენა ღია ცის ქვეშ უნდა გამართულიყო – მინდორში, ფერდობებზე, სადაც ყველაფერი წმინდაა: მიწაც და ზეცაც. წმინდაა ხეც, რომლის ფესვებიც უძველეს გერმანიამია გადაგმული. წმინდაა ქვა – რუნებითა და ლურსმული წარწერებით დაფარული. წარმოისახება გერმანული მსხვერპლშენიერვის რიტუალები, ეროვნულ-საკულტო და ჰეროიკული თავგადასავლები.

და კიდევ ერთი აუცილებლობა, ურომლისოდაც ეს ნიშნები დღევანდელი დარჩებოდა ანდა მკრთალი და ვერც შეიკვროდა და ვერც სიცოცხლით ალივებოდა:

სცენა და მაყურებელთა დარბაზი გაერთიანებული უნდა ყოფილიყო, მაყურებელს გარეგან დამკვირვებლად კი არა, იმ რიტუალის, იმ სიუჟეტის უშუალო მონაწილედ უნდა ეგრძნო თავი, ილუზია ხელშესახებად გამოეცადა.

ამიტომაც შეერჩია პარტერისა და იარუსების ფორმად სიმრგვალე, როგორც წარმართული სამსხვერპლო მინდვრები.

ჟანრი აუცილებლად დრამა ან ტრაგედია უნდა ყოფილიყო, ფორმა – გერმანული ბედისწერის მისტიკა.

ასე ქმნიდა გერმანული თეატრი ტრაგიკულ ჰეროიკულ მითოსს, ამოზრდილს ანტიკურ ტრაგედიასა და ცალმხრივად გააზრებულ ნიცშეანურ იდეებზე, ქმნიდა არა მხოლოდ მხატვრული ზემოქმედების მიზნით, არამედ – პოლიტიკური, უფრო მეტად სწორედ პოლიტიკური განზრახვით. სახელმწიფოებრივ შეგნებას უმძაფრებდა გერმანულ მოდგმას, საკუთარი ენერჯის შეგრძნებით ამხნევებდა და ალაგზნებდა. მაგრამ სადღაც უნდა შეჩერებულიყო ალგზნება და, რაც მთავარია, ნიცშეანურ იდეებს ჩამოცილებოდა აშკარა გადასახვადების იერი, ნაცვლად ცალმხრივობის თავისი ჭეშმარიტი სახე დაებრუნებინა და „თინგ თეატრიც“ ამ საყრდენზე მოლონიერებულიყო.

არ შეჩერდებოდა?

პოლიტიკური მიზანი პირნპირად შთანთქავდა მხატვრულ დანიშნულებას?

მაშინ „თინგ თეატრის“ მრწამსიც გამრუდდებოდა – ჰეროიკული სული მიმართულებას შეიცვლიდა და ეროვნული ენერჯიაც აცდებოდა სადინარს.

დამმუხრუჭებელი თუ არ გამოჩნდებოდა, თანდათან მსოფლიო ომის ხანძარსაც გამოიწვევდა.

მთლად „თინგ თეატრსაც“ ნუ გადავებრალვებთ მსოფლიო ომებს, მაგრამ სულს რომ აღანთებდა და მაყურებელს მთელი არსებით იყოლიებდა, ესეც თვალნათლივია, და ეს გარემოება მოხიბლავდათ გრიგოლ რობაქიძესაც და კონსტანტინე გამსახურდიასაც, ერთის „ლონდა“ და მეორის „გარსი მარადი“ ამ სტილისტიკით ისაზრდობდა, ოლონდ ანტიკურ ტრაგედიას არ გაითვალისწინებდა გამსახურდია, მისტერიას საკმარისად მიიჩნევდა და ფაზულას – რისი საუკეთესო ოსტატიც გახლდათ – ამჯერად სავსებით გაერიდებოდა. ამიტომ ვერც სცენისაკენ გაიკვლევდა გზას „გარსი მარადი“ და თუგინდ დადგმულიყო, იმ შთაბეჭდილებას ვერ გამოიწვევდა, რაც გუნებაში ჰქონდა და რისთვისაც „ლონდას“ მიეღწია – ალტაცა მაყურებელი და სულაც სიუჟეტის მდინარეებში ჩაეთრია.

„გერმანულის“ ნაცვლად „ქართული“ ჩანერეთ მიხეილ კვესელავასეულ დახასიათებაში და თითქოს „ლონდას“ აგებულებასა და ზოგად სტილს წარმოგვისახავდნენ; და გრიგოლ რობაქიძესაც, გარდა მხატვრული მიზნისა, პოლიტიკური დანიშნულებაც დაეკისრებინა თავისი დრამისათვის, და პოლიტიკური უფრო – სახელმწიფოებრივი შეგნება გამაფრებოდა ქართულ მოდგმას, საკუთარი

ენერჯის შეგრძნებით გაემხნევებინა და ალგზნო... და შიშიც არ გასჩენოდა, სადღაც თუ არ შეჩერდებოდა მაყურებლის განცდის სიმხურვალე, ვაითუ რა უბედურებას შევეყაროთო. რა ხანძარი, რომელი ხანძარი – ერთი იმდენი, მფარველი აღარ გვედია, სხვისი კალთის გადმოფარებას აღარ დავლოდებოდით და საკუთარი ძალ-ღონით გაგვეკვალა ხელახლა გზა საკაცობრიო ცხოვრებისაკენ, ჩვენით გადაგვეწყვიტა – რა როგორ გვიჯობდა და აღარც სხვათა კუდში ჩანჩალს შევგუებოდით, საბელით თრევას.

ორ ზღვას შუა შემოჭვდვაც ცოტა არ იყოს გვიხუთავდა სივრცესა და სუნთქვას?

ფესვები კვლავ აგვავსებდა მაცოცხლებელი წვენი, მთავარია, არც იქით გადახედვას გავებზრებინეთ და არც იდუმალების წინაშე შევმდგარიყავით შემკრთალნი და ხელეზჩამოყრდნი.

გახსოვთ სად იგრძნო გრიგოლ რობაქიძემ თავისი პოეტური ფესვები?

იმ ირან-მესოპოტამიის მიწაზე და იმ ხილვაში, რომელიც ერთი მხრივ მხატვრულ-იდეურ ფორმულად დაინურებოდა პირველსამყაროს გოლიათი ფიგურების წამომართვითა და კარდუს ხატის შემოჭრით შინაგან მზერასა თუ ესთეტიკურ თვალთახედვაში, მეორე მხრივ კი „ლონდაში“ გადინაცვლებდა... და კიდევ „გველის პერანგში“.

ხილვა, ხელშესახები შეგრძნება იმ მზისა, რასაც პირადად მისი (ირუბაქიძე) და

მისი მოდგმის წინაპრები შეჰყურებდნენ.

ის მზე სამხრეთში დარჩენილიყო. მიწაზე მოსწორებულიყო და გამქრალიყო კვალი ჩვენი მაშინდელი კულტურისა, მაგრამ მზე ინახავდა ამ იდუმალებას, მისი განსაკუთრებული მცხუნვარება ინარჩუნებდა უშორესი ხანის მკრთალ სურათს და ხილვებით მოუვლენდა ადამიანებს.

ვისთვის მცხუნვარება ხილვას ვერაფრისადრძობით ვერ გაუთვივებოდა, ვერაფრის ხსოვნას ვერ აგრძნობინებდა და ვერც ფესვების საჩხრეკად აიყოლიებდა. მხოლოდ საჩრდილობელს დაუწყებდა ძებნას, გულზე წყლის გადავლებით მოითქვამდა სულს.

გრიგოლ რობაქიძე სწორედ ამ აღმურში იპოვნინდა საკუთარ თავს.

ამ მიდამოებში მიხეილ ჯავახიშვილიც გამოჩნდებოდა და იმავე მისიით, რითაც გრიგოლ რობაქიძე – „წითელი ჯვრის“ სამსახური მოატარებდა იმ მიწა-წყალს, სადაც ისიც განჭვრეტდა ქართული მოდგმის პირველსაცხოვ-



მხატვარი ავთანდილ პოპიაშვილი

რის და „ლამბალო და ყაშას“ დასაწყისში არა პათეტიკურად, მაგრამ მინიშნებით კი მიგვანიშნებდა, რომ ამ რეალობას სულ სხვა ძაფებით გადაბმოდა. თითქოს მხოლოდ ისტორიულ ექსკურსს მისდევს – ვერც ურმიის მიდამოებმა შეინარჩუნეს ერთი მარადიული სახელი. ვისის, რამინისა და ზარატუშტრას სამშობლო ათჯერ მაინც იყო მონათლული – მიდია თუ ასურეთი, პართია თუ ადარბადაგანი, აზერბაიჯანი თუ კიდევ რამდენი სახელი ჰქონდა, დღეს უკვე დაკარგული და მივიწყებული.

ის დროც ხომ იყო, როდესაც ურმიის მიდამოებს მიდიელთა განთქმული რაზმები, აშურბანიპალის ლომკაცები, პერსიდელები, პართიელები და გირკანელები თელავდნენ. და აქემენიდების შემოსვლისას მიდიელთა ისარს კვლავ ძველი შემადრწუნებელი სახელი შერჩეოდა, ახვასტას ქუხილი კი კიდით კიდემდე ისმოდა! და მიხეილ ჯავახიშვილისათვის სავსებით ბუნებრივად გამოიყურებოდა, რომ რაც ასურელებმა ვერ დააკლეს არიელთა რაშებსა და მშვილდ-ისარს, პერსიდელებმა და გირკანელებმა ადვილად მიაღწიეს:

„ზარის განათლებამ და ფუფუნების ბანგმა ნებივრობის მეოხებით მოდუნებული მიდია შუაზე გახლიჩა: სამხრეთით ეკბატანა დაარსდა, ხოლო ჩრდილოეთით ანტროპატენა და მისი დედაქალაქი ფრაასპი, ანუ ვერა...“

ეკბატანა ის ჰამადანია, გრიგოლ რობაქიძემ საკუთარი ფესვები და არსება რომ უნდა აღმოაჩინოს, მიხეილ ჯავახიშვილი კი ვითომ სასხვათაშორისოდ ჩაურთავს ფრჩხილებში „ვერა“-ს ხსენებისას მოკრძალებულ ლინგვისტურ წიაღსვლად:

– ნეტა საიდან მოდის ჩვენი უბანი ვერა: მიდიიდან, ესპანეთიდან თუ ვერეს ხევიდან!

წუთისოფლის ტრაგიზმის კიდევ ერთხელ წარმოსაჩენად კი ხანტახტის კლდე უნდა გაიხსენოს, რომელზეც ასიოდე წლის წინათ ჯერ კიდევ იწვოდა მზის მხურვალეობაში შვიდიოდე სიტყვა:

– მე ალექსანდროს... ყოველივე აქაური ემორჩილების ნებასა ჩემსა.

მერე კი ამ წარწერასაც ან ჟამი შეჭამდა ან სპარსელები ჩამოათლიდნენ და სამად სამი ასო თუ გადარჩებოდა, რომელიც იმ კლდის მკერდიდან ისე მოისმოდა, როგორც წყალწაღებულის უიმედო ძახილი:

– ააა... ო-ო-ო-ო-ოს!

ეს მარტო ალექსანდრე მაკედონელის ბედისწერა არა ყოფილა.

ჩვენი ფესვებიც ასევე მოგვეკიდნენ, მითლილ-მოთლილი თუ მიჩეხილ-მოჩეხილი, მოგვცახოდნენ კლდეების თუ მინის მკერდიდან და წყალწაღებულის უიმედო ძახილი იქით ვერ მიდიოდა მათი ვალაღი.

რადაცას ვგრძნობ, არა, ნამდვილად ვგრძნობო, – საკუთარ თავს ელაპარაკებოდა გრიგოლ რობაქიძე გადახრუკულ ტაფობზე და თუ რაიმეს სასოებდა, ისევე მზეს: მსხვერპლს მოითხოვ და მსხვერპლიც მალე იქნება, სულ ცოტა მაცალე, პოეტური ძარღვი ახლა მიპოვნია და ჯერ გავერკვე, რა ძარღვია ამისთანა, რას მავალებს, საით მიმერეკებაო.

ალმურში იპოვნიდა საკუთარ თავსო...

და თითქოს თავისი გვარის ის უშორესი წინაპარიც თვითონვე იყოს, ისეთი გზებით აღუვლენს საგალობელს მზეს.

მაღლიერების ნიშნადაც.

და უპირველესად მაინც ქართული მოდგმის წარსული რომ გაახსენა – თვით უზენაესი მნათობი მოაცილებდა ამ მოდგმას აქეთ, ორ ზღვას შუა შემოსაჭედად, განაპირა პროვინცია ერთადერთ საცხოვრისად რომ გადაექცეოდათ. და ახლა გრიგოლ რობაქიძეს მოევლინებოდა – მე მიგულე მეგზურად, თუკი მართლა შეგწევს ძალა დაკარგულ ისტორიას თვალი გაუსწოროო.

ზემოდანაც გადმოგდგომივარ, შენს თვალშიც მე გამოვიმზირები და თვითონ თვალის მე ვარო.

სხივებს მოჰქონდათ მზის დანაბარები.

ეგ როგორო, – უკვირდა ხვატში ლამის აალებულს, და ირან-მესოპოტამიის ზეგანზე მისი კვალიც აღარ დარჩებოდა, კიდევ დიდხანს რომ გაგრძელებულიყო საკუთარი პოეტური ფესვების ეს შეგრძნება, მაგრამ ხილვა იმის ხილვაა, უეცრად უნდა მოთავდეს, გამოჩნდეს და მაშინვე გაქრეს, ის წამი არ უნდა გამოგეპაროს, თორემ ნურც ხილვას დაემდურები და ნურც მზეს, იღუმალების კარიბჭისათვის ჭუჭრუტანა რომ გამოუხვერეთა თავისი სხივებით და იქით გეპატიჟება.

ჩახედავ?

ვერ ჩახედავ?

ხილვა უკვე გამქრალა და მისი ხელახლა მოვლინების იმედი ნულარ გექნება და, თუმცა ჭუჭრუტანის მიღმიდან ბუნდოვანება უფრო შემოგანყდება, ისეთ სიმხნევებს გრძნობ, რალა ოდისევსი და რალა შენ, და იმის ფიქრი და ოცნებაც შენში გადმოსულა: ოლონდაც ჩემს წინაპართა პირველსაცხოვრისიდან ადენილ კვამლს თვალი მოგვკრა და მერე სიკვდილისაც აღარ მეშინიაო.

ქალდეადან ადენილ კვამლს.

კარდუ უკეთ მოისმისო, – გრიგოლ რობაქიძემ.

უკეთ ჩაესმოდა და... ყოფილიყო მისთვის კარდუ.

ქვის სალოცავი კი შემადლებულზე აღემართა, ქორო შემოეკრიბა მზისადმი ჰიმნის აღსავლენად და მაყურებელსაც იპატიჟებდა – რამ გაყო სცენა და პარტერი, ეს ერთი ჰარმონიული მთლიანობა და ყველა იმ ქოროს ნაწილი ვართ, განუყოფელი და საუფლოვლებიანნი, მსახიობებიც, ავტორიც და თვითეული მაყურებელიცო.

მარტოხელობას საზოგადოება გვერჩივნოს, პიროვნებას ხალხი, შინაგანს რასა და სათნოებას კულტო, – ამ ნაქადაგებს იმეორებდა ქართველი დრამატურგიც, – აქ ყოველივე წმინდაა, მინაც და ზეცაც, და წმინდაა ეს ხეც, რომლის ფესვებიც უძველეს ქართველობაშია განტოტვილიო.

მსხვერპლშენიერვის რიტუალისთვისაც მზად გახლდათ.

ხალხს სჯერა, შეწირული ცხოველის ცხელი სისხლი დააცხრობს მზის საშინელ გაცხარებასო, მაგრამ არა კმარა ცხოველის სისხლი – უკიდურესობას მიწვენილა მზის მრისხანება და რჩეულ მსხვერპლსაც იმიტომ ითხოვს.

კვლავ ვედრებად დამდგარა ხალხი, კვლავ მოელის გადარჩენის სიტყვას, კვლავ საგალობელს აღავლენს და... კიდევ უნდა გამოჩნდეს ქურუმი.

ხალხს შეუძლია ქადაგი გააჩუმოს, თუ მისი სიტყვა არ მოეწონა, მაგრამ ქურუმის სიტყვასა და ნებას ვერ გადაუვა, რადგანაც მისი ბაგით უნდა გაუმხილოს უზენაესმა, თუ რამხელა ცოდვა ჩადენილა და რა ჩამორეცხს.

რა ჩამორევს და:

მსხვერპლი ადამიანის შეწირვით.

ადამიანის შეწირვა გადავარდა, – მხოლოდ ოთარ მო-  
შიაჩე შეებდავს სანინალმდეგო სიტყვას. – ღმერთს არ  
სჭირდება სისხლი ადამიანის.

მაგრამ ქურუმი შეუვალა, რადგანაც მისი გამოცხა-  
დება ღვთის საიდუმლოა და არავის დააგმობინებს. ამი-  
ტომაც მოვალეა ხალხი ზურგი აქციოს მოშაირის პრო-  
ტესტის ხმას და აღიაროს ის რეალობა, რომ: მხოლოდ თა-  
ვის შეწირვით ძალუძს ადამიანს ზიარ იქმნეს უზუნაესის.  
მხოლოდ მსხვერპლის გაღებით შეერთვის იგი სამოსა  
ღვთისასა.

და მთავარმა უნდა დასცეს დასტური ქურუმის სიტყ-  
ვას („ღვთის საიდუმლოს იგი უფრო მიხვდება. ღვთის ნე-  
ბას იგი უფრო გამოიცნობს. ღვთის სიტყვას იგი უფრო  
მიხვდება“) და არჩევანს რომ ელოდებიან, ქურუმმა ნელ-  
ნელა უნდა გაამჟღავნოს მისი ვინაობა: რომ მსხვერპლად  
ქალი დასახელებული, რომ არავინ უწყის მისი წარმოშო-  
ბა, რომ სირენას მოჰგავს, ზღვის მკერდით ცხელ ქვიშაზე  
გადმოსროლილს, რომ ტანი მისი თეთრი ქვის ჭურჭელია,  
თვლები – დიდრონი საფირონი ნათელი, თმები ლალ-  
თა ტევრები, მზის ხაოთი დაფერილი, და ყელსქვევით  
მარცხნივ დიდი ხალი აქვს, და რომ სახელად ჰქვია...

ხალხი ისედაც მიხვედრილა –

ლონდაა არჩეული მსხვერპლი.

სადდასაი, უზუნაესი ღვთაება, მხოლოდ რჩეულებს  
ღებულობს და... აჰა ლონდაც.

ზოგადად ის სიუჟეტი იჩენს თავს, სურამის ციხის ლე-  
გენდად რომ შემორჩენოდა საზოგადოებრივ ცნობიერე-  
ბას და მხატვრულ ქარგამიც მოქცეულიყო – მიმზიდველი  
გადმოცემა ყალბ ბუდეში ჩავარდებოდა და ღრმა სულის-  
კვეთება პროპაგანდისტულ იდეებად დაქუცმაცდებოდა  
და დახურდავებოდა.

დანიელ ჭონქაძის ხელი ცუდად დაედებოდა ლეგენ-  
დას და მოგვიანებით ნიკო ლორთქიფანიძე ამ მიმზიდვე-  
ლი გადმოცემის პირვანდელი ხიზლის აღდგენას რომ შე-  
ეცდებოდა, გრიგოლ რობაქიძეც ამავე მოვლენას ჩაუკ-  
ვირდებოდა, ოლონდ სურამის ციხის ლეგენდაზე დაყ-  
რდნობით არა... იქ მცხუნვარე მზე ვერ გამოჩნდებოდა,  
მზის საგალობელი ვერ აღევლინებოდა, მზის მითოსი თა-  
ვის პირველყოფილებას ვერ განგვაცდევინებდა.

უამისობა კი გრიგოლ რობაქიძეს არაფრისდიდებით  
არა სურდა.

დანიელ ჭონქაძისათვის სურამის ციხის ლეგენდა მარ-  
ჯვე საშუალება გახლდათ ყალბი იდეების საქადაგებლად,  
გარეგნულად მიმზიდველი სიუჟეტი, რაც მკითხველს აი-  
ყოლიებდა და ძალაუნებურად მოეხვეოდა თავს ის მყიფე  
შეხედულებანი, თანდათან მეტად სახიფათო სოციალურ  
მოძრაობას რომ წარმართავდა.

ვინ დააღწევდა თავს იმ გარეგნულ ხიზლს, ვინ მის სა-  
ცეცებში გაეხვეოდა.

ასეა თუ ისე, მსხვერპლშენიერვის მოტივი მეორე რიგის  
მოვლენად წარმოდგება მოთხრობაში. ნამდვილად კი ამ  
მოტივსა თუ თემას 60-იანელები გაიაზრებდნენ თავით  
ბოლომდე და თავისებურ მითოსად აქცევდნენ – აუცილე-  
ბელ ნიშნად თუ იდეურ საყრდენად იმ სახელმწიფოსი,  
რომლის აღდგენაც ასე ეოცნებებოდა ილია ჭავჭავაძესა

და მის თაობას და თავის გამეტებაც არაფრად მიაჩნდათ  
ამ ოცნების ხორცშესასხმელად.

ასეა –

თუმც გარეგნულად „ლონდას“ სიუჟეტური ქარგა და-  
ნიელ ჭონქაძის მოთხრობის სიუჟეტს გამოიხმობს გონე-  
ბაში, სულიერი ნათესაობით უშუალოდ 60-იანელთა მემ-  
კვიდრეა და, მათ იდეურ-მხატვრულ მრწამსს რომ აგრძე-  
ლებს, აღარ მყოფინობს კავკასიური მთლიანობის იდეას  
და უფრო შორეული სივრცისკენაც მიახედებს მკითხველ-  
საც, მაყურებელსაც, ერთსაც და მეორესაც ამ „გარღვე-  
ვის“ თანაზიარად რომ მიიჩნევს.

შორეულობა სივრცისა მოჩვენებითია, დღევანდელი  
გადასახედოდან მოჩანს ის მინა-წყალი უცხო სუთნილე-  
ბად, თორემ ისტორიული ფესვების აღდგენა სულ სხვაგ-  
ვარად მოგვივლენს ყოველივეს.

და თაკარა მზეც უნდა შემობრდელიაღდეს გზის გამ-  
კაფავად.

იქ კი, სცენაზე –

შეუძლებელია, შეუძლებელი, ლონდას ღმერთი არ გა-  
იმეტებდა, – აღშფოთდება თამაზ ბატონიშვილი და არც  
მუქარას მოერიდება: მე მიყვარს ლონდა და მას სიკვდილ-  
საც არ დავანებებ, და მიიღებს ხმლის პასუხს ის, ვინც აქ  
ლონდას სახელი გადმოისროლაო.

ბატონიშვილი უნდა დაუპირისპირდეს არამარტო ქუ-  
რუმს, არამედ – საკუთარ მამასაც, იმ მთავარს, ვინც  
ბრალს დასდებს ვაჟს: ლონდას სიყვარულმა მამული და-  
გავინყაო.

და მოაგონებს მამაშვილობის უზუნაესობას, იმას, რაც  
ცოტა ხანში მძაფრად უნდა წარმოისახოს „გველის პერან-  
გში“, სახელწოდება კი იმ რომანისა და მეტაფორაც  
„ლონდაში“ უკვე გაიღვებებს ქოროს ლალადისისას:

– მზე გველი არის დიდი: წითელი გველი რქანაყარო.

უნდა შეჭკრიბო წითელი გველების პერანგები: უთვალავი  
გველების წითელი პერანგები – და შემოახვიო პერანგები  
გარს სალოცავს. მზე უთუოდ დაცხრება მაშინ.

ეროვნული ფესვების ჩხრეკაც და მზის უჩვეულო აღ-  
მურიც „ლონდადან“ გადავა მის ამ პირველ რომანში და  
უკვე კარდუს სახებადაც გასიმბოლოვდება; ცალკე აკი  
დრამის სიუჟეტადაც გამოიკვეთება, უსათუოდ ამავე ყა-  
იდის დრამის, „თინგ თეატრს“ რომ ენათესავება. იმ ხილ-  
ვას ამოჰყვება ის ყოველივე, და კიდევ სხვანი, რასაც  
გრიგოლ რობაქიძის მარჯვენა გამოჰკვეთდა, სხვანიც –  
იმის მიუხედავად, ხელშესახებად მოჩანდა თუ არა მკით-  
ხველის თვალში იმ უმძაფრესი ხილვისაგან მათი დაბა-  
დება. ზოგისა თუ მოჩანდა, ზოგიც გარეგნულად სრუ-  
ლიად დაცლიებოდა იმ უძველესი ფესვების ძიებას, მაგ-  
რამ მაინც ის მუხტი წარმართავდა, ის იდუმალება ასაზ-  
რდობდა.

ამიტომაც განესაზღვრა ასე სათავენი თავისი შემოქ-  
მედებისა: ირან-მესოპოტამიის მინაზე ვიგრძენი მთელი  
ჩემი არსებით, რომ ჩემი პოეტური ფესვები აქ იყოო.

ცხრამუხამი დიდმა, წითელმა გველმა უნდა გადისრი-  
ალოს და ხალხში ხმები რომ გაისმის: მოჰკალით, მოჰკა-  
ლითო! – შეწირული გააფრთხილებთ, ხელი არ ახლოთ,  
თორემ უბედურება დატრიალდებაო:

– როცა წითელი გველი ცხრამუხის ტოტებში გადაირ-  
ბენს – მაშინ წმინდა ხის ფოთლები იდუმალი შრიალით



ამივლდებიან. რჩეულს შეუძლია იმა შვილში უცხო რამ ამოიციოს.

ვაჟა-ფშაველას „გველის-მჭამელიდან“ შეუგრძენია მისწერი ნიჭის გაჩენის ეს თითქოსდა აუხსნელი სათავე. აუცილებელი არც არის, იგემოს ადამიანმა გველის ხორცი, რათა მისთვისვე უცნაურად მოველინოს წინასწარ-ჭვრეტის უნარი. ეგაა, ხორცის გემება სამუდამოდ შეგძენს ამ ნიჭს, იდუმალი წამისათვის თვალის მიდევნება კი ხილვად გამოგეცხადება.

შეუგრძენია გრიგოლ რობაქიძესაც, საჯარო ლექციებისას აკი „გველის-მჭამელის“ არსს საგულდაგულოდაც უტრიალებდა, თუმც მამინ ერთხელ და სამუდამოდ ამოწურული ეგონა ეს თემა და შებედავს ვერც იფიქრებდა. მის მკრთალ ანარეკლს შემოიტანდა „ლონდას“ ფანტას-მაგორულ წარმოსახვებში და შემდგომაც ყოველთვის ერჩივნა ვაჟას პოემა ექო და ედიდებინა, ამით მოეკლა ამ სიუჟეტისაკენ ფარული სწრაფვის წყურვილი და 1924 წლის ზაფხულში კოტე მარჯანიშვილისათვის ერჩია: ვაჟას სიდიდე მე გადმოვშალე და რა იქნება „გველის-მჭამელი“ რომ გასცენიურდესო.

გასცენიურების ავტორად საკუთარი თავი ესახებოდა და: ვაითუ ვერ მიმიხვდესო, – ამიტომაც შეახსენებდა თავის წვლილს ვაჟას კულტის შექმნაში.

ისედაც სჩვეოდა თავმომწონეობა, თუმც კოტე მარჯანიშვილს უკეთესი შემგრძნობი ამ თემისა არც ეგულეზობდა იმჟამინდელ მწერალთა შორის, ოღონდ გასცენიურება გრიგოლ რობაქიძის მწერლური ხელოვნებისათვის დაკნინებად მოეჩვენებოდა და სულ სხვას შესთავაზებდა:

– ეს არ გამოვა! რა იქნება, შენ თვითონ გაშალო ეს მითური გადმოცემა დრამად, ჰა?!

„ლონდას“ წარმატებას ფრთა შეესხა მისთვის და ახალი დრამა სწორედ მის თავისებურ გაგრძელებად წარმოუდგებოდა, იმავე სტილისტიკის ქმნილებად და გასცენიურებას ვაითუ ისე მარჯვედ ვერ მოხმოდა თავი, როგორც დამოუკიდებელ მხატვრულ ნიმუშს. ვაითუ კი არა, სწორედ ასე იყო მოსალოდნელი. და „ლამარა“ – მიწიდას თავგადასავლის ეს ახლებური გაზრება – ცეცხლში ამოვლებული გულით შეითხზებოდა, როგორც 1924 წლის აგვისტო-სექტემბრის სისხლიანი დღეების თავისებური გამოცხადილი. თუმც უშუალო კვალი არსად მოჩანს ამ ტრაგედიისა პიესის სიუჟეტში, მაგრამ შთაგონება სწორედ მას გაემძაფრებინა და ქვეტექსტებში მკაფიოდ ამოიკითხებოდა იმ ჟამის განწყობილებანი.

მზის მისტერიას გადაებოდა გველის მისტიკური ხატი, გაიშლებოდა „ლონდას“ ის პასაჟი და ახალ ამბავს მოიყოლებდა. ჯერ კი შეწირული აფრთხილებდა ხალხს, რეალურ არსებად არ აღიქვათ მისტიკურ-მითოსური გაელებება და, არამცთუ მოსაკლავად არ დადევნებოდნენ, სიტყვითაც არ შეებლალათ მისი გამოჩენის სასწაული; მთავარი კი ვაჟს შეაგონებდა: მამულის სიყვარული სხვაა კიდევ. მე მამა ვარ შენი, თამაზ, მამაჩემიც მამა იყო, მამამისიც მამა იყო და ასე ზევით და ზევით, შენი შვილიც შვილი იქნება, მისი შვილიც შვილი იქნება და ასე ქვევით და ქვევით, ერთი დიდი ხე დიდტანიანი და მრავალტოტიანიო.

ჯერ მკვიდრად მოჩანდა მათი გვარის წმინდა მუხა, მაგრამ:

– ჩვენ გადავალთ და სხვანი მოვლენ. მაგრამ გადასულნიც და მოსულნიც არიან ერთნი. მამა შვილში არის. შვილი მამას ატყელებს. მამად ვერვინ გახდება ქვევით თუ არ ეშველა უკანასკნელად მამას და მამებს ზევით. მამული ნიაღია შვილის ერთგულების. ეს არის სჯული მიწის. სჯულის გადალახვა დამლუპველია.

მიწის სჯულიც მახსოვს და მამულის სიყვარულიც ვიცო, – უმტიციებს ვაჟი, მაგრამ გულისჭიდილში გახლართულა, რადგანაც ლონდას მსხვერპლშენივას მამული-სათვის არაფრისდიდებით არ მოითმენს.

სხვა რაც გნებავთ, ოღონდ ეს – არა.

არ აღიარებს განგების ნებად ლონდას არჩევას მზის მხურვალეების დამცხრობად და, ქვეყნის ხსნას რომ ეძიებს სულ სხვა გზით, ამ იმედს მოებლაუჭება: მოვიხმობ სწავლულთ უცხო მხრიდან და გავიყვან დიდრონ არხებს წყალთა დენისათვის და გვალვა ველარაფერს დაგვაკლებსო. მეომრების თანადგომაც არ ეეჭვება: მათ მოვუწოდებ და დავანახებ საკვეთად მოსულ მტერს, თუ რას მოენევიან ჩვენზე გამოლაშქრებითო.

ოღონდაც არ იქნეს ლონდა მსხვერპლად შეწირული.

რომ არა დრამის ზოგადი სტილისტიკა და შინაგანი პათოსი, არხის გაყვანა მსხვერპლის სიცოცხლის საფასურად შესაძლოა კომიკურადაც კი გამოჩენილიყო. „ლონდაში“ ჩაყლაპულია ეს ნიუანსი, უნებურად გაეღვებოდა იუმორისტული დეტალი. უნებურად, რადგანაც გრიგოლ რობაქიძისათვის სრულიად უცხოა იუმორი. გაიელებს და ჩაიკარგება. ეს შეურიგებელი ჭიდილი კი თამაზ ბატონიშვილისა მამასთან, ქურუმთან, მზის აღმურისაგან გათანგულ ხალხთან მხოლოდ ლონდას შეუძლია მოაგვაროს, და მოაგვაროს საკუთარი თავის განირვით.

მას ასეთი ბედი სასტიკად და ლამაზად ეჩვენება ერთდროულად.

გული ეკუმშება, რადგანაც ვერ აუხსნია განგების ასეთი განაჩენის აუცილებლობა, ვერ აუხსნია, რატომ უნდა მოაკლდეს ყვავილებსა და სიყვარულს, რატომ უნდა მოაკლდეს მზის თესლთა ხილვას ლონთქოშა ყლორტებში, რატომ ველარ უნდა შეიგრძნოს მიწის ავხორცი ტანის ატეხილი აშავერი, მაგრამ ვერც ის წარმოუდგენია, რომ გადავიდეს ქურუმის სიტყვას.

თამაზ ბატონიშვილის თვალში ლონდას მზადყოფნა სამსხვერპლოდ ღალატის ტოლფასია და საყვედურსაც ამიტომ ჰკადრებს: შენ სავევით არასოდეს ყოფილხარ ჩემი და არც შენი გული ყოფილა ჩემთვის ყოველთვის მთლიანიო.

მაგრამ ქალი მტიციე უარზეა: როცა შენით იყო ის სავე, ქვეყნად არცერთ გულს არ უძგერია მასავითო. მაგრამ ვერც ის დაუფარავს, რომ მისი სიყვარული მანაც სხვაა, მართლაც უცნაური და აცილებული თამაზ ბატონიშვილის ბავშვურ სიყვარულს.

ასე შეხლია ერთმანეთს ამ სიუჟეტურ ქარგაში მამულისა და ქალის სიყვარული, ასე დაგლეჯილა გული და ვნებათაღელვა უკიდურესობას მიწვენილა, მაგრამ ლონდას ურყევმა ნებამ თავისი უნდა გაიტანოს და გლოვა და ქორწილი ერთმანეთს გაუიგივოს – მსხვერპლის გალება ლხინითა და ზემით მოშარავანდდეს და არა ცრემლითა და ვაებით.

გახელებული ვნებანი ამიტომაც ჰპოვებს გაგრძელებას რიტუალურ აქტში, იმ პროცესიაში, რომლის გზასაც ქალ-ვაჟნი ყვავილებითა და ბალახებით მოჰფენენ და ლილესაც მღერიან.

მზისადმი აღვლენილი ვედრება მზის საგალობლით უნდა გაგრძელდეს და დაგვირგვინდეს, სვანური ლილეთი, როგორც შემორჩენილ საგალობელთაგან უძველესით.

რიტუალი ბუნებრივად მიმდინარეობს, ერთსულოვნებას თამაზ ბატონიშვილის მემამოხური განწყობილება არღვევს, მაგრამ ეს გადაწყვეტილებას უკვე ვეღარ შემოატრიალებს – უფსკრულის პირას ნარმდგარა ლონდა, ზვარაკი მზის გულის მოსალობად, ტანსაცმელიც შემოდარცვია, მაგრამ მიუახლოვდება თუ არა მსახური, რათა ხელისკვრით ფრიალოზე გადაჩეხოს, ხელი არ ემორჩილება და მინაზე ვარდება, უახლოვდება მეორე, მაგრამ ისიც მინაზე უნდა დაეცეს.

რა ემართებათ?

სისუსტე და უძლურება სძლევათ?

თუ სილამაზის მორჩილებამ შეუკრათ ხელი?

თამაზ ბატონიშვილი თითქოს ალტაცებულიც უნდა იყოს მსახურთა ამ უცნაური საქციელით, არც ენაღვლებოდეს მათი ხელის დადუნების გამომწვევი მოტივი – მთავარია, რომ ზვარაკი კვლავ ცოცხალი დგას უფსკრულის პირას და სხვაც ვერაფერს უახლოვდება.

ჩაიშალა განგების ნადილი?

მზის მრისხანებასა და მცხუნვარებას ვეღარაფერი დააცხრობს?

თამაზ ბატონიშვილს ხელი არა აქვს რიტუალის ასეთ შემოტრიალებასთან და შეუძლია გულმშვიდად ადევნოს თვალი მოვლენათა მსვლელობას. შენინააღმდეგებით თუ ენინააღმდეგებოდა განგების ნებას, ბოლოს ხომ მაინც დათმო და ლონდაც ყვავილებითა და ბალახებით მოფენილ გზაზე ისე შედგა, დასასრული უფსკრულის ძირას უნდა ეპოვნა.

და, აი, ბატონიშვილი უახლოვდება ქურუმს:

– დიდო მოხუცო, მომეც ნება მე თვითონ შევასრულო ღვთის განაჩენი!

განა რა ჩაუფიქრებია?

მამასაც ისე უცნაურად ემშვიდობება, მთავარი მხოლოდ გამოუცნობ ტკივილს გრძნობს ნაწყვეტ-ნაწყვეტი ფრაზების მოსმენისას: ... არაფერი... სიყვარული... ქორნილი უკანასკნელი...

და მოულოდნელი სცენის შემსწრე ხდება მაყურებელი.

უნდა მოსხლტეს ბატონიშვილი, უფსკრულისაკენ გაექანოს, მოეხვიოს სატრფოს, აკოცოს, ხელში აიყვანოს და... მასთან ერთად შთაენთქას უფსკრულში.

ზღაპარი რომ იყოს ანდა ეპოსი, ცხენზე შემოიგდება რაინდი სატრფოს, გაარღვევდა ხალხს და ვეღარც მდევარი მიწვდებოდა.

მაგრამ დრამაა „ლონდა“, ანტიკური ტრაგედიის განმეორება ახალ დროში და ფინალი მხოლოდ ასეთი შეიძლება იყოს – ორივე დაიღუპოს. ლონდას განირვამ თამაზ ბატონიშვილის მსხვერპლიც მოიყოლოს თან და ამგვარად დასრულდეს მთავრის მემკვიდრის გულისჭიდილი – სიყვარული თუ მამული? პირადი ბედნიერება თუ ქვეყნის ხსნა? ისევ მამულის კეთილდღეობისაკენ უნდა გადასძალოს გულმაც და გონებაამაც, მაგრამ... ლონდას გარეშე

სიცოცხლეც რომ არაფრად უღირს? და ლონდაც როდემდე იდგეს ზვარაკად გამზადებული ფრიალოს თავზე? როდემდე ცვიოდნენ მის გარშემო მსახურები ისე, რომ მიკარებასაც ვერ ბედავდნენ? თუკი გაჩერდება დრო, ერთხელ და სამუდამოდ გაიყინება მისი სრბოლა, თამაზ ბატონიშვილს ეს კი ურჩევნია ყოველივეს, მაგრამ დრო არა ჩერდება და არა; და თუ ეს გაყინული სურათი არ დაიარღვევა, მზე აქაურობას პირწმინდად ამოუგავს.

ამიტომაც:

განგება ერთ მსხვერპლს ითხოვდა?

ორი ზვარაკი მიერთვა.

იქნებ სამიც?

სამიც, რადგან ნუთუ მხოლოდ გულისწასვლას ნიშნავს რემარკა: „მთავარი ჩაიკვება“?

და მასაში ძლიერი გმინვა რომ გადაივლის, მხოლოდ უფსკრულში შთანთქმულთ არ უნდა მიჰყვეს თან ეს მღელვარე ამოძახილი – მესამე მსხვერპლიც უნდა ინვევდეს განცდის ამ ამოფრქვევას.

ხოლო გმინვას გლოვა კი არ დაერთოს, არამედ კვლავ ლილე გაისმას, რიტუალის წესი როგორც მოითხოვს, მზეს შეჰკლადადონ გადარჩენის საგალობლად:

**ისკვამი დიდები ბინგოა შინე და ლილეო.  
დიდები თარგლეა ზერსი და ლილეო.**

ასე იკვრის ერთი რკალი ჰამადანის ხილვისაგან მოგვრილი განცდისა და ფიქრის.

შუამდინარული წარსულის ხსოვნა სვანურ ჰიმნში უნდა შენივთდეს და ხელშესახები საფეხურივით გამოიკვეთოს ეს საგალობელიც და ენაც იმ უძველესსა და ახალ ჟამს შორის. ძველი კოლხეთის მითოსურ ფონსა და გარემოს – სწორედ მითოსურსა და არა ისტორიულ-რეალურს – სვანური ჰიმნის სიტყვები მარჯვედ მისადაგებია და ქვის სალოცავის გამართვა მცირეაზიური სტილით უკვე რაღაცას გაგრძობინებს.

რაღაცას – ღრმასა და კანონზომიერს.

და გაგრძობინებს იმიტომ, რომ პერსონაჟებისაგან აღარც გამოირჩევი – „თინგ თეატრის“ სტილისტიკას მოუქცევინარ თავის ბურანში, მოუხიბლიხარ და აუყოლიე-ბიხარ. და ისედაც, ნაკითხვაც ძალუმად შეგირხევდა გულის სიღრმეში რაღაც სიმს. თუმც გამჭვირვალე მინიშნებამდე და მერე სულაც დაბეჯითებულ რწმენამდე ჯერ ადრეა – ჯერ ის პასაჟი უნდა გაისგრძეგანო, სად და რამ აპოვნინა გრიგოლ რობაქიძეს თავისი პოეტური ფესვები.

და მერე კიდევ –

დროდადრო ჩაკვირვება და ყოველთვის ისეთი ალტაცება ერთი ფრაზით, თითქოს პირველად შეუცვინა მისი იდუმალბაო.

სიცოცხლის ბოლომდე არ გაბეზრდებოდა.

რომელი ფრაზით და...

მოგახსენებთ, ყველაფერს მოგახსენებთ.

ძიების ეს რკალი კი აქ მოვათავოთ, ლონდა და თამაზ ბატონიშვილი ერთად რომ შთანთქმულან უფსკრულში, ქალ-ვაჟნი კი გლოვას როდი მისცემიან, ლილეს მღერიან, საგალობელს მზის, გადარჩენის, მარადიული სიცოცხლის...

**(გაგრძელება შემდეგ ნომერში)**

# ლიტერატურული ამბები და კურიოზები

## ქაბა რეპულარობისა

1992 წლიდან მოყოლებული, როცა მისი პირველი რომანი გამოქვეყნდა, ამელი ნოტომი წელიწადში ერთ რომანს გამოსცემს, თანაც ერთსა და იმავე დროს: აგვისტოს მინურულს.

## დიდგვაროვნების შესახებ

ბერნარ-ფრანსუა ბალსასა და ან-შარლოტ სალამბიეს ვაჟმა გვარი ბალზაკი ძველი არისტოკრატიული ოჯახის ბალზაკ დ'ანტრეგებისაგან ისესხა, ხოლო ნანილაკი „დე“ 1802 წელს დაუმატა.

## სიდუხჭირიდან საბრალონამდე

ვიქტორ ჰიუგოს ისტორიული ფრესკა 1862 წელს გამოცა სახელწოდებით „საბრალონი“, თუმცა ავტორს თავდაპირველად მისთვის „სიდუხჭირენი“ უნდა დაერქმია. ფრანგულ ენაში ეს ორი სიტყვა ერთი ოჯახისაა (Misères, Misérables).

## ვაკო ჰიუგო

ბავშვობიდანვე მეგალომანმა ვიქტორ ჰიუგომ 14 წლის ასაკში განაცხადა: „მე მინდა ვიყო შატობრიანი ან არაფერი“. ეს სახელგანთქმული ფრაზა 1816 წელს მონაფის რვეულშია ჩანერილი.

## იმოგზაურობა აყალიბებს ახალგაზრდას

მწერლურ მონოდებას ჟან-მარი გუსტავ ლე კლეზიომ მაშინ მიაგნო, როცა პირველად იმოგზაურა 1946-47 წლებში. 6 წლის ლე კლეზიო აფრიკას მიემგზავრებოდა.

## საავტორო უფლებები

როდესაც ვილი (ნამდვილი სახელით ანრი-გოტიე ვილარი) „კლოდინის“ სერიის წიგნებს გამოსცემდა, განაცხადა, რომ ხელნაწერი უცნობი ქალბატონისაგან მიიღო. ჭეშმარიტი ავტორი, კოლეტი, მისი მეუღლე გახლდათ.

## საოჯახო ამბები

უელბეკი ფსევდონიმია. ეს არის გვარი მწერლის კომუნისტი ბებისა, რომელსაც 6 წლის მიშელი მიაბარეს გასაზრდელად.

## ხანგრძლივი მოლოდინი

ჩებ მწერალს მილან კუნდერას 20 წლის ლოდინი დასჭირდა, რომ თავისი შედეგრი „ყოფიერების აუტანელი სიმსუბუქე“ საკუთარ სამშობლოში დასტამბული ეხილა. საფრანგეთში ეს რომანი 1984 წელს გამოქვეყნდა.

## მარსელის სამახსოვროდ

ფრანსუაზა კუარეზმა, შემდგომში ფრანსუაზა საგანმა, ფსევდონიმი მარსელ პრუსტის „დაკარგული დროის ძიებაში“-ს პერსონაჟის პრინციესა საგანისაგან ისესხა.

## ექიმი არაგონი?

პოეტი და რომანისტი ლუი არაგონი ალბათ ექიმი გახდებოდა, 1917 წელს, ოცი წლის ასაკში, როცა ვალ დე გრასის სამხედრო ჰოსპიტალში მედიცინას ეუფლებოდა, ანდრე ბრეტონი რომ არ გაეცნო.

## მამის სახელით

„კლოდინზე“ დაწერილი წიგნების სერიით სახელგანთქმული რომანისტი ქალის კოლეტის სრული სახელია სიდონი-გაბრიელ კოლეტი. კოლეტი სახელი კი არ არის, როგორც ზოგჯერ ჰგონიათ, არამედ მწერლის მამის კაპიტან კოლეტის გვარი.

## ბახუსის გურუსში

1873 წლის 10 ივლისს ბრიუსელში ყოფნისას ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფმა პოლ ვერლენმა შელაპარაკების ნიადაგზე რევოლვერის ორი გასროლით დაჭრა არტურ რემბო. ვერლენი დააპატიმრეს და ორი წლით ციხეში გაამწყესეს.

## უარი გონკურს

1951 წელს, როცა თავისი მესამე რომანი „სირტის სანაპირო“ გამოაქვეყნა, ყულიენ გრაკს გონკურის პრემია მიანიჭეს, მაგრამ მწერალმა უარი განაცხადა მის მიღებაზე. ეს იყო პირველი ავტორი, ვინც უარი თქვა პრესტიჟულ პრემიაზე.

## ჩაჭრილი

1859 წელს ემილ ზოლა პარიზის სენ-ლუის ლიცეუმში ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებელ გამოცდაზე ჩაიჭრა და ვერც ერთი წლის შემდეგ ჩააბარა იგივე გამოცდა მარსელში. ზოლას სწავლა აღარც გაუგრძელებია.

საკვალალო ჳინალი

ჟერარ ნერვალი 1855 წლის 26 იანვარს შატლეში, ვი-ეი ლანტერნის ქუჩაზე იპოვეს ჩამომხრჩვალნი. მეგობრე-ბის ვარაუდი მკვლელობის თაობაზე არ დადასტურებუ-ლა. პოეტის თვითმკვლელობა ეჭვს არ იწვევს.

ჟოზს გვინა

35 წლის ლოდინი და მადამ დე შლეზინგერის დაქვრი-ვება გახდა საჭირო, რომ ფლობერს პირველი სასიყვარუ-

ლო ბარათი მიენერა ამ ქალბატონისათვის. მუსიკალური გამოცემლის მეუღლემ მწერალს დიდი ვნება და „გრძნო-ბათა აღზრდის“ პერსონაჟი შთააგონა.

მუსიკა, მანსტრო

სანამ პირველ წიგნს, „სალაღობო ტრფობანს“ დაწერ-და, მილან კუნდერამ კომპოზიტორობაში სცადა ბედი. ამ პროფესიამ პიანისტი მამის ზეგავლენით დააინტერესა.

ფრანგულიდან თარგმნა ნინო ციმაკურიკია

ნერვიული ლიტერატურა

კლასიკური რუსული ლიტერატურის ორი ნანარმოები – ტოლსტოის „ომი და მშვიდობა“ და დოსტოევსკის „და-ნაშაული და სასჯელი“ – იმ წიგნთა სიაში მოხვდა, რო-მელთა ნაკითხვაც ბრიტანელებს ბოლომდე არ ძალუძთ – წერს ბრიტანული პრესა. 10 რომანისაგან შემდგარი სია კომპანია „ტელეტექსტის“ მიერ 4 000 მოზრდილი ბრიტანელის გამოკითხვის შედეგად შეირჩა.

რომანი „ომი და მშვიდობა“ სი-ამი მერვე ადგილზე აღმოჩნდა – კითხვა დაიწყო და მიატოვა გამოკითხულთა 18 %-მა. „დანაშაული და სასჯელი“ ამთავრებს „ბოლომდე ყველაზე ნაკლებად ნა-კითხული წიგნების“ სიას – 15%-მა ვეღარ გაიგო, რითი დასრულდა როდი-ონ რასკოლნიკოვის ამბავი.

სიის სათავეში კი ბრიტანე-ლი ავტორის დი-ბი-სი პიერის რომანია „პატარა ლმერთი ვერ-ნონი“. მწერლისათვის ბუქერის 2003 წლის პრემიის მინიჭების მი-უხედავად, 35 %-მა აღიარა, ეს რო-მანი ვერ დავძლიეთო. პარადოქსია, მაგრამ აღნიშნული რომანი საკმაო ხნის მანძილზე ერთ-ერთ საუკეთესო ბესტსელერად ითვლებოდა – მხოლოდ დიდ ბრიტანეთში 620 000 ცალი გაიყიდა.

მწერლის ლიტერატურული აგენტი კლერ კონვილი, რომლის სიტყვებშიც მოაქვს გაზეთ „თაიმს“, აცხადებს, „მას (პიერს) ეს სულაც არ აღელვებს“-ო.

მეორე ადგილზეა „ჰარი პოტერი და ცეცხლოვანი თა-სი“ – ის ბრიტანელთა 32%-ს მობეზრებია. ჯეიმზ ჯოისის

„ულისე“ მესამე ადგილზეა – მისი კითხვა რესპონდენტთა 28 %-ს მიუტოვებია.

სიაში, სადაც არცერთი მწერალი არ ისურვებდა მოხ-ვედრას, ირიცხება პაოლო კოელიო რომანით „ალქიმკოსი“, და ორი ინდოელი მწერალი – სალმან რუშდი „სატანური ლექსებით“ და არუნდატი როი „წვრილმანთა ლმერთით“.

დოკუმენტურ ნანარმოებთა შორის მკითხველთა წარ-მატება არც ბილ კლინტონისა და დევიდ ბექჰემის ავტო-ბიოგრაფიებს ხვდა წილად – ისინი ვერ დაძლია მკით-ხველთა, შესაბამისად, 30% და 27 %.

„ის, რომ წიგნი კარგად იყიდება, სულაც არ ნიშნავს, თითქოს მართლა კითხულობენ. მე პირადად მგონია, რომ ადამიანები წიგნებს საჩუქრად ყიდულობენ – მაგალითად, ყველა ავტობიოგრაფია, რაც კი სიაშია. ამას მთელი სუ-ლითა და გულით აკეთებენ, შედეგად კი წიგნები თარო-ზე იმტვერება, ეგაა და ეგ.“ – მოჰყავს გა-ზეთ „დეილი ტელეგრაფს“ კომპანია „ტელეტექსტის“ წარმომადგენლის ბენ თისდელის სიტყვები.

მისი თქმით, თუკი „ული-სეს“ გამოჩენას ამ სიაში იწი-ნასწარმეტყველებდა კაცი, ის ფაქტი, რომ ადამიანები ბოლომდე არ კითხულობენ „ჰარი პოტერს“ – უკვე სენსაციია.

წიგნის ბოლომდე ნაუკითხოების მიზე-ზად რესპონდენტები ასახელებდნენ: დალ-ლილობას (48%), კომ-პიუტერულ თამაშობებ-სა (26%) და საინტერე-სო ტელეგადაცემებს (46%).

34% განაცხადა, მეექვსეა ისეთი წიგნი ვიყიდო, რო-მელშიც 350 გვერდზე მეტიაო.

ათიდან ოთხმა განაცხადა, გრძელ-გრძელ წიგნებს ვერ ვკითხულობო. გამოკითხულთა 55%-მა აღიარა, წიგ-ნებს საკითხავად კი არა, ბიბლიოთეკისათვის ვყიდულობ, მეგობრებთან რომ ვიტრაბახოო. ყოველდღიურად გამო-კითხულ ბრიტანელთა მხოლოდ მეოთხედი კითხულობს.





# მწერლობა – ალბათობა და ვერსიები

\*  
საუბარი  
ლასა იმედაშვილთან

– თქვენი ახალი წიგნი „სამი მკვლელობა ძველ თბილისში“ ილბლიანი გამოდგა. მკითხველს ის შეუმჩნეველი არ დარჩენია და რაც მთავარია, ევროპულ ლიტერატურულ პროცესს დაემსგავსა მისი გამომზეურება. ანუ, ამ მოთხრობებს ჯერ კიდევ წიგნად გამოსვლამდე, „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზე გამოქვეყნებისთანავე გამოეხმაურა ლიტერატურული კრიტიკა. წიგნი გამოიცა და, დაერთო ლევან ბრეგაძის წერილი; გამოცემისთანავე გაიმართა მისი წარდგინება და განხილვა...

დამეთანხმებით, ალბათ, კარგი იქნება, თუკი ამგვარი შემთხვევები არ იქნება გამონაკლისი...

– რასაკვირველია, ეს იქნება ძალიან კარგი რამ. მიმაჩნია, რომ ყველაფრის თავიდათავი არის ჩვენი – მწერლების დაქსაქსულობა. ახლა რომელ პროცესზეც ვსაუბრობთ, მისი წარმართვის ფუნქცია უნდა ეტვირთა მწერალთა სახლს, რომელიც ყველასი იქნებოდა, სადაც თავს მოიყრიდა ყველა ლიტერატურული დაჯგუფება, სადაც გაიჩნეოდა ახალი გამოცემების, ყველა წიგნისა თუ ავტორის კარგი და ავი, მოსაწონი და საწუნარი. მე მგონი, მაშინ გაცოცხლდება პროცესი. დავსხდებით, ვიკამათებთ, ბევრი ახალი აზრი დაიბადება, იდეები წამოვა.

მოკლედ, მიზეზი ევროპული ყაიდის ლიტერატურული პროცესის არქონისა დაქსაქსულობაა და სხვა არაფერი. ვისაც არ შეგხვდრივარ, ახალგაზრდასა თუ უკვე გამოცდილ მწერალს, ყველას ეს უნდა – საერთო სურათს, მწერლობის რუკას იცნობდეს.

მწერლობის თავისებურებები, სტილი და თემების სხვადასხვაობა კი კრიტიკოსებმა და ლიტერატორებმა უნდა იკვლიონ.

ერთი წუთით რომ წარმოვიდგინოთ მეოცე საუკუნის სამოციანი წლები კრიტიკოსთა მთელი პლეადის გარეშე, საკმაოდ ფართო მასშტაბისა და ძლიერი მუხტის მატარებელი მწერლობაც არ შედგებოდა. იმიტომ რომ ისინი აკეთებდნენ იმას, რასაც დღეს “პრომოს” ვარქმევთ. დღეს აღარ გვაქვს იმდენი ლიტერატურული ჟურნალი და გაზეთი, აღარ გამოდის, ტელევიზიითაც ნაკლებს საუბრობენ მწერლობასა და ლიტერატურაზე...

ვერ ვიტყვი, რომ დღევანდელი თაობა თვალს არ ადევნებდეს რა იწერება, რა იბეჭდება, მაგრამ მთლიანობის სურათს ვერაფერს დაინახავს, იმიტომ რომ ამას სჭირდება სერიოზული კრიტიკული კვლევა, მთელი პროცესის წარმართვა.

– თქვენ ამბობთ, რომ კრიტიკა იყო წარმომჩენი, გზის გამკვალავი და მწერლობას რეკლამის მაგივრობასაც უწევდა, მაგრამ ხშირად ხომ ეს ნომენკლატურული იყო?

– მიუხედავად ამისა, საერთო სურათი იმ ეპოქის მწერლობისა მაინც გვაქვს. ნომენკლატურის გვერდით ნაიკითხავდით, ვთქვათ, გურამ ასათიანს...

დღევანდელი მემყურეს კი მეეჭვება, თუ კალაპოტში არ ჩადგა ამ მხრივ ყველაფერი, ორმოცდაათი წლის შემდეგ

მოსულმა თაობამ გაარკვიოს, რა ხდებოდა მწერლობაში ჩვენს წლებში.

მწერალი დაწერს და მერე იმ ნაწერს რა სახელს დაარქმევინ, სიმათლე რომ გითხრათ, არც აინტერესებს. ისტორიისთვის და ლიტერატურის ისტორიისთვის კრიტიკოსები და ლიტერატორები უნდა გაისარჯნენ. ეს აუცილებელი საქმეა.



მწყობრად უნდა ჩამოყალიბდეს რა ტენდენციებია მწერლობაში, რა ცვლილებები განიცადა თემებმა, მიმართულებებმა, მხატვრული ენის ტრანსპორმაცია როგორ ხდება, ჟანრობრივად რა ცვლილებებია, სტილი რა თავისებურებებით ხასიათდება და ასე შემდეგ...

– სტილზე მინდა გკითხოთ: რომელი მწერლის ცხოვრებაზეც წერთ, ამავე მწერლის სტილს ირჩევთ თხრობისთვის. მისივე მხატვრული ენის ვარიაციას გვთავაზობთ და ისე გვესაუბრებით. ამგვარი სტილური თავისებურების გამო თქვენს მოთხრობებს ხშირად პოსტმოდერნიზმს აკუთვნებენ. რატომ არჩევთ „კოპირების“ ერთგვარი ფორმა?

– თავიდან ეს მექანიკური პროცესი იყო, თუმცა, რასაკვირველია, ვიცოდი, ეს საინტერესო ვერ გახდებოდა. მივხვდი, რომ მკითხველს მაშინ მიიზიდავდა თხრობის ასეთი სტილი, როცა მას საინტერესო ამბავი დაერთვოდა. მწერლის ხელწერა და მისი ამბავი რომ შეერთდა, უკვე რაღაც გამოვიდა. მართალია, ეს არ არის ორიგინალი, არ არის ამა თუ იმ მწერლის ხელწერა, მაგრამ ამბავთან ერთად უკვე შემიძლია ვთქვა: ხომ შეიძლებოდა ეს ასე ყოფილიყო.

რას დაარქმევინ ამას, პოსტმოდერნიზმს თუ რაღაც სხვას, ეს ჩემთვის სულერთია.

ყოველთვის, იცით, რა მაინტერესებდა? და ყოველთვის ასე ვარ: რაღაც გახმაურებული ისტორიული ამბის გამო ვფიქრობ ხოლმე, ასე რომ არ ყოფილიყო და მომხდარიყო სხვაგვარად, როგორ განვითარდებოდა მოვლენები, რას მივიღებდით? აი, ეს არის საინტერესო! ანდა, ისტორიის თეთრ ლაქებზე დარჩენილი ამბები სხვადასხვა ინტერპრეტაციის როგორ საშუალებას იძლევა?! ილიასა და მაჩაბლის საუბარს ხომ არავინ დასწრებია, არსად ასახულა და თან ორივე დიდი ხნის გარდაცვლილია, ანუ თეორიულად ამ დაპირისპირების რაღაც ვერსია დასაშვებია. ეს ორი პიროვნება ერთმანეთს რომ „დაეჯახა“, რა მოხდა? ძალიან საინტერესოა, არა? ოღონდ ისე უნდა მოყვე, რომ ამათგან არცერთი არ გაილაშქროს და ჩრდილი არ მიადგეს. ორივე ძლიერი ხასიათის ადამიანი იყო... მათ მნიშვნელობაზე რომ აღარაფერი ვთქვათ...

– ახლა ისტორიის რომელი „თეთრი ლაქა“ გიკარგავთ მოხვენებას? ვინ იქნება თქვენი ახალი მოთხრობის მთავარი გმირი?

– 1918 წლის 21 აგვისტოს მოკლეს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ მეორე და მასზე დავწერე. ეს არის ერთი ვერსია იმისა, რატომ მოკლეს, როგორ მოკლეს.

ასეთი თეთრი ლაქები ბევრია – საზოგადოდ საქართველოს ისტორიაშიც და ლიტერატურის ისტორიაშიც. ჯერ ეს დაწყებული ამბავი უნდა დავამთავრო და მერე მოვძებნი რამე საინტერესოს.

ესაუბრა  
თამარ ღონდაკი

დაიბადა თბილისში, დაამთავრა 55-ე სკოლა, შემდეგ თსუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტი საერთაშორისო ჟურნალისტიკის სპეციალობით და იურიდიული ფაკულტეტი სამართალმცოდნეობის სპეციალობით.

2002 წლის 22 თებერვალს დაიცვა საკანდიდარო დისერტაცია. ავტორია ექვსი წიგნის.

2004 წლიდან მუშაობს პროექტების მენეჯერად საინფორმაციო ტექნოლოგიების საკონსულტაციო ფირმაში.

ჰყავს მეუღლე და ვაჟიშვილი.

მაია დე გრაფი ნადარეიშვილი

# აუტოდაფე ანუ რწმენის აქტი მზის ქალაქში

მოჭქონდათ სანთლებზე აშიშხინებული სინმინდე. ო, რა სიამაყით ავსებოდათ პატარა გულები. მათი წითელ-ყვითელი სამოსი იმგვარად ჭყეტელებდა გადახრუკულ ველოზე, რომ კაცს გული აერეოდა. ისე, სად იყო კაცობა, ადამიანობა... სციოდა სულს ამ პაპანაქებაში.

კოცონს უკვე უკეთებდნენ, როცა ბრბო მოედანს მიუახლოვდა. აქ, ამ ულამაზეს ქალაქში, ამ მომხიბლავ ბანოვანთა თვალწინ, კეთილშობილ ბატონთა მოთხოვნით დღეს მოისპობოდა, ცეცხლში დაინაცრებდა ყველა ტკივილის სანყისი, ყველა დავისა და ომის ფარული თუ აშკარა საბაბი. დღეს ნაშუადღევს და არცერთი წამით გვიან! ასეთი გახლდათ წმინდა მამათა შეუვალი გადანყვეტილება.

თავიდან გაუჭირდათ კონსერვატორ წმინდა მამებს, რადგან მიზეზი არ ჩანდა. არ იყო და იმიტომ. თუმცა მსხვერპლი უკვე შეერჩიათ. ეს კანონიკე ბერები ყველანი ერთ დღეს განყდებოდნენ, მაგრამ ხელიდან აღარ გაუშვებდნენ მას.

საბაბი იოლად გამოინახა ავადმყოფური გონების წყალობით – იგი სიკვდილის (ესე იგი ღვთის!) შიშს ამარცხებს, გადამდებია და ყოვლისნამლეკავი ძალით მოქმედებს თუ დროზე არ მოთოკე, მოსპე, გასრისე, ჩანასახშივე გაანადგურე.

წესის დარღვევა რომ არ დაებრალებინა ვინმეს (ნეტა ვის?! ამ უღმერთოთა ღმერთს? თუ იქნებ შთამომავლობათა განაჩენი ადარდებდათ?), სადღესასწაულოდ გამოწყობილმა სამღვდელოებამ და ქალაქის რჩეულმა საზოგადოებამ სასამართლო მოუწყო. რა აღარ ილაპარაკეს, სამყაროს ყველა ცოდეა მას აპკიდეს. გამოდიოდა ყველა, ვისაც ლაპარაკის საღერღელი აშლოდა, მაგრამ აქამდე მსმენელი ვერსად გამოეჭირა. არ იყო რეგლამენტი, არც სინდისი.

ქვრივს სახლი გადასწვოდა. ამ უსამართლოს ბრალიაო, დაასკვნეს.

აზნაური გაკოტრებულიყო სამორინეში. ამას დაუბრმავებინარო, გაამართლეს ის კაცი.

ახალგაზრდა ქალს წყლისთვის მიუცია თავი სასიკვდილოდ. ო, ამ არამზადის გაუბედურებულაო.

ვაჭარს ყაჩაღები თავს დასხმიან უდაბნოში. ნამდვილად ეს იყო მოთავეო, ერთხმად დაუდასტურა ყველამ მომჩივანს.

მთავარსარდალს ომი წაუგია. ესეც მას გადააბრალეს უყოყმანოდ.

სამეფო კარზე გარყვნილებამ თუ დაისადგურა, ამის გამოისობითო, გაკაპასდნენ გაფუმფულებულ კაბებში ჩაკარგული მდებრთა სოპრანოები.

გლეხები აჯანყდნენ, მორჩილებაზე უარი თქვეს. ოჰ, შე ბუნტის წამომწყებო, რისხვით დაიგრგვინა მეფურმა ხავერდმა.

ქვეყანა მალე აღიგვება პირისაგან მინისა, დაიბუბუნეს შავკაპუშონიანმა იეზუიტებმა. ეს კურიალის თაღებმა ექოდ გადასძახეს მათი ნათქვამი ქვაში ჩაკირულ მტვრიან ლანდებს.

აი, დამნაშავეო! – ერთხმად შესძახა გადარეულმა ბრბომ და იგი გარეთ გაიტაცა.

ღვთისა და ხალხის ნება ავასრულოთო, შეთანხმდა მეფე და სამღვდელოება. სიკვდილით დასჯა ეცოტავათ, მაგრამ უფრო მკაცრიც სხვა ვერაფერი მოისაზრეს. დაღლილებიც იყვნენ უკვე. ამიტომ ძველი, ნაცადი განაჩენი გამოიტანეს – დავწვათო.

შუადღე გადასულიყო. ხალხი ღელავდა, რატომ აგვიანებენ, რალას უცდიანო. სეირის ნახვას ეშურებოდნენ ყველანი.

ტაძარში ლოცვა ითხოვა უკანასკნელ სურვილად. გააფრთხილეს, რომც მოინანიო, მაინც ველარ აირიდებ განგების ნებასო. პასუხად გაუღიმა ჯალათებს. სატანა დაგვიცინის მისი სახითო, გული გადაუტრიალდათ ამის მნახველებს. ზოგი კი ისე გაცოფდა, ცოტა განყდა, კინაღამ იქვე ღვთის სახლში არ ჩაქოლა მწვალებელი.

გარეთ რომ გამოვიდა, თავზე ჩამოფარებული გადაიდრო და მზეს მიუშვირა სახე. ღმერთო, რა უცხო სილამაზეაო, ბევრმა გაივლო გულში. თუმცა არავინ შეიმჩნია. ბრბოს არ ძალუძს ერთხელ არჩეულ გზას გადაუხვიოს (კეთილშობილი ოთხფეხი მეგობრისგან შექენილი თვისება, რომელიც მას სიჯიუტეში გაუცვალა უხსოვარ დროში).

ცეცხლი აბრიალდა ქარში. საიდან დაუბერა ნეტავი. წამის წინ ჰაერი არც კი იძროდა, სუნთქვა წირდა.

ბოძვე მიკრული, ხელებაღმართული ალში გახვეულიყო, მაგრამ მაინც არ იწვოდა. თავიდან ვერაფერს შეამჩნია,



მერე და მერე კი ძრწოლა მოედო თავების ზღვას. ქალაქის ფართო მოედანზე ლელვა დაიწყო. მართლმორწმუნეთა დასაშორებლად ცეცხლს შეუკეთეს, ასე უფრო დავაჩქარებთ განაჩენის აღსრულებასო.

ის მზეს თვალეში შესცქეროდა ჯიუტად და ისეთი ქორფა, სურნელოვანი, ზღაპრულად მშვენიერი მოჩანდა, რომ მის ფერხით მოგუგუნე, აყაყანებულ მასაში შიშში შერეულ აღფრთოვანებას ბადებდა იდუმლად.

თუმცა იგი ნამდვილად იწვოდა. ამას ყველა ხედავდა. მართალია, ეს აუტოდაფე არ ჰგავდა არცერთს, რომელიც ენახათ ან რომელზეც სმენოდათ, მაინც ვერ დაეჯერებინათ სასწაულის ხილვის ღირსი რომ გაეხადა უფალს მის მიერ ქმნილი ექსპერიმენტული ერთი მუჭა უგუნურება. ბნელი დრო იდგა მაშინ.

ის კი იწვოდა გამჭვირვალედ, ჰაეროვნად და მზეს უღიმოდა.

სალამოს, კოცონი რომ ჩანაკვერჩხლდა, ისევ ისე ალში გახვეული ლივლივებდა მოედნის თავზე. შაოსანი ბერი მიუახლოვდა, ხელი კრძალვით შეახო. აშკარად ეშინოდა ამ ურწმუნო თომას. მაინც გაბედა. შეეხო და... გაქრა მწვალელების სუბსტანცია. მტერი დავამარცხეთო, ხრიალით შესძახა ათროლებულ ბრბოს თამამმა სითავხედემ და უტიფრად მიულოცა გამარჯვება.

ეს იყო უკანასკნელი რწმენის აქტი. თუმცა არა ქალაქ ვალენსიაში და არც 1826 წელს.

იმ დღეს სიყვარულის ცეცხლით ანთებული სიმართლე დანვეს ადამიანებმა. ყველამ არა, მხოლოდ იმ მოედანზე მდგომმა კანონიკე ბერებმა და მათმა თანამოაზრეებმა, მთელ მსოფლიოში რომ გაფანტულიყვნენ და თანაუგრძნობდნენ ამ წმინდათანმინდა მოვალეობის აღსრულებას. მათი გავლენით დახურა 70 გაზეთი ნაპოლეონმა და მხოლოდ ოთხი დატოვა, ისიც მკაცრი ცენზურის მეთვალყურეობის ქვეშ. მათ ყველას სამყაროს ხსნა სურდა (ყოველ შემთხვევაში, ლოზუნგზე ასე ეწერათ).

უგუნურები... შექსპირმა სცადა მათთვის თვალის ახელა:

„ტრფობა რომ ათბობს, იმ წყლით ტრფობას ვერ გავიცვივებ!“

არა... ამაოა უდაბნოში ღლაღლი.

\*\*\*

დოლი ყოველთვის ხიბლავდა. ალბათ იმიტომ, რომ თავის თავს აგონებდა. სულ სადღაც მიერეკებოდა საკუთარ მეს. ადგილზე ვერ ისვენებდა. გამუდმებით ეჩქარებოდა. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, ვაი თუ ვერ მოესწრო რაღაცა. ხშირად დაფიქრებულა, მაინც რა ძალა მაიძულებს, ჩემს ცხოვრებას ულაყივით რომ მივაჭენებ და ვერ ვისვენებო. შინაგანი ხმა გამუდმებით უბზუოდა ყურში და ისიც წერა-სატანილი ირემივით მიქროდა ციცაბო კლდის გასწვრივ...

მეგობარმა ლუდის ბარში შეიპატიჟა. მხოლოდ იმიტომ დათანხმდა, რომ აგვისტოს ხვატს სადმე შეფარებოდა. უბრალო ადამიანურ სურვილს თან ინტერესიც ერთოვოდა.

აქ პირველად იყო. კედლებზე მოციმციმე სუსტი განათება. დაგუბულ ბუბუნად ქცეული ხმა ბარისა. სიგარეტის კვამლისა და ლუდის ქაფის კოქტეილით დაბინდული

ჰაერი. ყველაფრის მიუხედავად, მაინც ის გამჭვირვალე სიმსუბუქე, სტუდენტური ატმოსფერო რომ ქმნის.

ბარმენის ახლოს მოთავსდა. რაღაც შეუკვთა. ისე, სათქმელად. დალევას არ აპირებდა. უბრალოდ, არ სურდა ყურადღების მიქცევა. თანდათან საუბარშიც ჩაერთო. სასიამოვნო წრე შეიკრა.

მეორე დღესაც მივიდა. ისევ არაფერი დაუღევია. ძირითადად, უსმენდა. საუბარში ზრდილობის გამო ერეოდა შიგადაშიგ.

მერე კიდევ რამდენჯერმე ესტუმრა სტუდენტურ ბარს. კარგად შეეწყო იქაურ მუდმივ კლიენტებს („завсегдатай“). თუმცა თავს მაინც უცხოოდ გრძობდა, რადგან ეს არ იყო მისი ადგილი. ამის მიუხედავად, რაღაცნაირი სიჯიუტით მოდიოდა ამ ბარში ყოველთვის, როცა დროს გამოძებნდა. თვითონაც არ იცოდა რა ძალა იზიდავდა აქეთკენ.

\*\*\*

ფორთოხლის წვეს წრუპავდა. მისი თავგადაპარსული მეგობარი ფილოსოფიის რომელიღაც საკითხზე გონება მამახვილობდა. საინფორმაციო გამოშვებასავით მომაბეზრებელიაო, ამოიხრა გულში და მისი სხვა არხზე გადართვა ინატრა. ფორთოხლის წვენს ჩაულრმავდა.

გარინდებიდან გიტარის ხმამ გამოიყვანა. მაშინვე მიხვდა, რომ სხვა ყველაფერი გაუფერულდა მისთვის. ამ დროს სცენისკენ ზურგით იჯდა. ასევე დარჩა სანამ დაკვრა არ შეწყდა. მერე ბარის ვიტრინის მინაში გაიხედა: გიტარიანი ბიჭიც მისგან ზურგმექცევით იჯდა. თითქოს ყველას გამიჯვნოდა. შეუვალ კედლად ქცეულიყო მისი ზურგი.

მუსიკოსს პატარა ბარათი გაუგზავნა. ეს იყო მოკლე სამადლობელი იმისათვის, რომ მისი საყვარელი კომპოზიცია შეასრულა. ამის საპასუხოდ რაიმე განსაკუთრებულს არც ელოდა. უბრალოდ გადანყვიტა, ბიჭი თუ მოიხედავს, გავუღიმებო. გულში ისიც გაივლო, იქნებ კიდევ დაუკრასო. მუსიკოსი არც კი განძრეულა. ასე ურეაქციოდ დარჩა ბოლომდე.

\*\*\*

მომდევნო სალამოს ძალიან ხმაურიანმა კომპანიამ მოიყარა თავი. გოგონა ძველებურად ჩუმიად იჯდა ბარმენის ახლოს მალალ სკამზე და დროდადრო ცალ ფეხს ოდნავ აქანავებდა მუსიკის რიტმს აყოლილი.

როცა ისევ „Back to the machine“ გაისმა, მიხვდა, რომ გუშინდელი გიტარისტი მოსულიყო. თუმცა ამჯერად ყურადღება აღარ მიუქცევია მისთვის. ბარმენისა და მისი კომპანიიდან ერთ-ერთი თავქარიანი ყმანვილის შეჯიბრს ადევნებდა თვალყურს. ისინი ჭიქების პირამიდას აგებდნენ. მერე იგი სასმელით უნდა შეეკვსოთ და მოწინააღმდეგეზე სწრაფად დაეღიათ. თავად კონკურსი გოგონას სულელურად ეჩვენებოდა, მაგრამ ამის ყურება მართლაც სასაცილო იყო. ცალ მკლავზე დაყრდნობილი, დაღლილი ღიმილით შეჰყურებდა დახლოვან ამტყადარ გნიასს და თან ფიქრობდა, ნეტა რატომ ვვლანგავ დროს ასე უაზროდო.

ამ დროს მის გვერდით ვიღაც ჩამოჯდა და სანახევროდ ჩამოეფარა მოსეირიებს. გოგონამ წამით შეხედა. გი-

ტარისტმა სასიამოვნოდ გაუღიმა და ოდნავ თავიც დაუკრა. არც გოგონა ჩამორჩა თავაზიანობაში.

– „ფინქ ფლოიდი“ გიყვართ, არა? – ჰკითხა ბიჭმა.

– დიახ, ძალიან.

– ისინი მეფეები არიან.

ერთმანეთს გაუღიმეს თანამოაზრეობის სიხარულით.

– კურტ კობეინზე რას იტყვით? – გოგონამ გიტარისტის მაისურზე გამოსახული მომღერლის პროფილს მიაპყრო მეტყველი მზერა. თან გაახსენდა, ასეთი პლაკატი თავის ოთახში რომ დაკიდა რამდენიმე წლის წინათ, როცა თვითმკვლელობის ამბავი „ნიუსუიქიდან“ შეიტყო.

ბიჭი მუხლზე მიყუდებულ გიტარას დასწვდა, რამდენჯერმე ჩამოკრა სიმებს გრძელი თითები და ამღერდა. თვალები დახრილი რომ არ ჰქონოდა, დაინახავდა როგორ გაუბრწყინდა სახე გოგონას. სულ ორი სტროფი წაიმღერა. მერე მუზიციერებაზე გადავიდა და მზერა გვერდით მჯდომ ახლადგაცნობილი არსებისკენ გააპარა. ისეთ სერიოზულ მსმენელს გადააწყდა, რომ უხერხულობისგან საკმაოდ ხმა-მაღლა გაეცინა:

– მე სამყარო გავყიდე...

ღიმილი უფრო ღამაზი აქვს, ვიდრე სიცილიო, გაიფიქრა გოგონამ. „ხმა კი მომწესხველი!“

– ვის მიყიდე? :

ბიჭი ისევ ამღერდა. გოგონამ იგრძნო როგორ გადაევიდა თბილ ტალღებად ქცეული მელოდია მის სხეულს. რაღაც უცხო ძალამ დააკავშირა ისინი ასე სრულიად მოულოდნელად. ბიჭის ხმამ მის სულსაც რომ მიაღწია, ორივე მიხვდა ერთ არსებად ქცეულიყვნენ.

– ღმერთო... შენ გესმის ჩემი! – შუა ბგერაზე შეწყვიტა ბიჭმა და სახეგაბადრული შეაჩერდა განაბულ, სმენად-ქცეულ გოგონას.

– კიდევ იმღერე რა, – სთხოვა ჩურჩულით. ბიჭი უფრო მიხვდა, ვიდრე გაიგონა მისი სიტყვები.

ისევ გადაიქცა ბგერების ჩანჩქერი ვნებიან ტალღებად და თბილ სამყაროში გაიტაცა ორივე. ამჯერად ის ზეცისკენ მიმავალ კიბეზე მღეროდა. გოგონა ტკბებოდა მისი საამო, სურნელოვანი ხმით, ბიჭი კი ნეტარებდა იმ სასწაულის შეგრძნებით, თავად რომ მოავლინა ამქვეყნად.

ასე იპოვეს ერთმანეთი უნებურად.

\*\*\*

ორტონს აყ...

ოდესღაც ასეთი ქალაქი არსებობდა, ხე-ტყის გადამამუშავებელი ქალაქი ჰორტონს-ბეი. ელექტროხერხის ხმა ტრანსში აგდებდა მოსახლეობას დილიდან დაღამებამდე. ტბის ზედაპირი მუდამ ლივლივებდა წვრილად დატალღული ჭავლით.

ერთ დღესაც ყველაფერი დასრულდა.

სამყაროსავით მარადიული რომ ეგონათ ქალაქის სუნთქვად ქცეული ზუზუნი, შეწყდა. უკანასკნელად დაიტვირთა სანდალები მორეზით და ტბაში შეცურდა. რატომღაც არავინ ტიროდა. არც ვინმე აპროტესტებდა. დინებას მიჰყვებოდა ყველაფერი, რამაც ქალაქი ქალაქად აქცია, ცხოვრება ცხოვრებად და სიყვარული სიყვარულად...

– ამაღამ მთვარე ამოვა. ასეც მოხდა.

გოგონას თვალწინ მოეთვრო-ლიმონისფერმა დისკომ ფორმა იცვალა და მფრინავი ჰოლანდიელივით, ერთხელ კიდევ დაენახა ჰორტონს-ბეი მთელ კაცობრიობას როგორც უწინ – აქაფებული ტბის ნაპირას ამომართული ქალაქის სახით, რომელიც ხე-ტყის გადამამუშავებელი ქარხნის მილებიდან გამოსათხოვარ ქორალს აგუგუნებდა საკუთარ გასვენებაში. თრთოდა შემოდგომის ცივად მუქი ცა.

ჰემინგუეის მოთხრობათა კრებული იატაკზე ჩამოსრიალდა და დაიხურა. გოგონას ჩაეძინა.

\*\*\*

ბარში სული შეეხუთათ და საღამოს სიგრილეს დახარბდნენ. ქუჩა მშვიდი ჩანდა. სეირნობისას გოგონას საყვარელ ლიტერატურულ სალონს ჩაუარეს. ბიჭს უკვე შეემჩნია, რომ აქ ხშირად მოდიოდა გოგონა და ახლა ისე ბუნებრივად შეუძღვა, თითქოს წინასწარ შეთანხმებულიყვნენ ამაზე. ალბათ, ვერც კი მიხვდა, რომ უსაზღვროდ გაახარა.

გოგონამ იგი მეგობრებს წარუდგინა. სალონის დამფუძნებელსა და მოთავეს კი გადაკვრით აგრძობინა, ბიჭი ძალიან მნიშვნელოვანია ჩემთვისო. მგონი ზედმეტი მოუვიდა, რადგან, როგორც კი განმარტოვდნენ, ბიჭმა სთხოვა, ასე ნულარ მოიქცევი, თვითონ მოვანონებ თავს





შენს მეგობრებსო. გოგონას გული ეტკინა. ეს პირველად მოხდა, თუმცა საბაბი მაინცდამაინც არ ჰქონია. მალევე გადაივინცა, როგორც სჩვეოდა.

\*\*\*

ცხოვრება ჯადოსნური ყვავილია, რომელიც ზედმეტად სწრაფად იზრდება. დრო გარბის და თავპირის-მტვრევით მისდევს კაცობრიობა. იქნებ დაენიოს კიდეც, თუ გაუმართლა.

– ეს ადამიანის ძალებს აღემატება!

– ვიცი. მაგრამ გული მტკიავა, რომ ბედნიერებას ახლა ჩემთვის აღარ სცალია და მე ის ასე უსაშველოდ მენატრება.

– „How dreary to be somebody!“

– წითელ ვარდად მოვკვდებოდი, მასავით არომატული რომ ვიყო.

ღმერთის ყველაზე საოცარი გამოგონებაა წყვილი. ისე, ცალტოტიანი შარვალიც შეიძლება, ანდა სათვალეს-თან ერთად მონოკლიც არსებობს, მაგრამ ცალუღელა ხარს ძალიან უჭირს.

ფასი იმ სიტყვებს აქვთ, ერთმანეთს რომ არასოდეს ვეუბნებით. მხოლოდ ისინია გულწრფელი და მხოლოდ მათში განსხეულდება სიმართლე სრულად.

\*\*\*

გოგონას ერთი თავგადაპარსული მეგობარი ჰყავდა. სწორედ ის, რომელმაც ლუდის ბარში შეიპატიჟა ორი თვის წინათ.

დიდ უცნაურ ვინმედ მიაჩნდა ეს ახალგაზრდა კაცი. მაინც რატომო, ხშირად დაფიქრებულა გოგონა, მაგრამ ზუსტად ამის განსაზღვრა დღემდე ვერ მოეხერხებინა. თუნდაც მისი მეტსახელი ავიღოთ – განწირული... ასე რატომ გეძახიანო, ჰკითხა გოგონამ გაცნობისას. ახსნა-განმარტების მიუხედავად, მაინც ბუნდოვანი წარმოდგენა დარჩა და ჩათვალა, უბრალოდ „მარიაჟობსო“.

ახლა რას ამბობდა ან რაზე წერდა! გოგონა ტვინს სანყლად იჭყლეტდა, რომ მისი ერთი ნაწარმოებიდან ორისამი წინადადება მაინც გაეგო სრულფასოვნად. არა, ის სულაც არ თვლიდა, რომ „განწირული“ უაზრო ტიპი იყო. უბრალოდ, ზედმეტად ართულებდა მარტივ საგნებსა და მოვლენებს. ყველაფერს ფილოსოფიურ ტერმინოლოგიას არგებდა და გრძელ-გრძელ ეპითეტებს იშველიებდა. გოგონა კი პირიქით: მას სწამდა, რომ ყველაფერი გენიალური მარტივია და თავადაც ცდილობდა საკუთარი აზრები მარტივად გადმოეცა.

ყურადღებიანი და სასიამოვნო ადამიანი ბრძანდებოდა. გოგონასთან დამოკიდებულება მზრუნველობით ჰქონდა გაჯერებული. არც თავს აბეზრებდა. პირიქით, ხანდახან საათობით იკარგებოდა სადღაც და ზოგჯერ გოგონა ისე ტოვებდა სალონს, რომ დამშვიდობებასაც ვერ ახერხებდა მასთან.

იყო ერთი რამ, რაც გოგონას დროდადრო ძალიან აღიზიანებდა. თავგადაპარსულს საკუთარი თავი დიდი ვინმე ეგონა. განდიდების მანიით შეპყრობილი, გამუდმებით ცდილობდა ამის დემონსტრირებას. მუდამ გახაზავდა თავის განათლებულობას. გამოხედვა ისეთი ამპარტავნული

ჰქონდა, ბონაპარტესაც კი შეშურდებოდა. გოგონამ გადაწყვიტა, რომ ამის მიღმა რაღაც სისუსტე იმალებოდა. მგონი დაკომპლექსებულიაო, დაასკვნა ბოლოს.

დიდად არ უმტვრევია თავი მისი პიროვნების ამოცნობაზე. ფიქრებით მუდამ გიტარისტის გარშემო ტრიალებდა. სიყვარულს ისე გრძნობდა, როგორც ჰაერს სხეულის გარშემო – რომ არის და, თითქოს, არც არის.

\*\*\*

ბარის ხალხმრავლობა ხელს უშლიდათ. გოგონას ერიდებოდა ამის აღნიშვნა. არ სურდა ბიჭისთვის თავს მოეხვია თავისი განწყობა. ბიჭს კი ეგონა, გოგონა მეგობრებს რომ მოვწყვიტო, ამას უხეშობად ან დიქტატორობის გამოვლენად მიიღებს და არ ვაწყენინო. ერთხელაც გასეირნება შესთავაზა მრავალფეროვნების მომხიზეზებით. თუ მოსწყინდება და ბარი აქ არ არის, სად გაგვექცევო, თავს იმშვიდებდა. გოგონა დიდი ენთუზიაზმით დაეთანხმა. ბარში მართლაც ზედმეტად ბევრი საერთო ნაცნობი ირეოდა...

ისინი დაკარგულ სამოთხეში გადაბარგდნენ. ეს ადგილი ბიჭმა იპოვა ოდესღაც. ძალიან მოსწონდა აქაურობა. ამიტომ გოგონაც აქ მოიყვანა.

– მოგნონს? – ჰკითხა გულისკანკალით. მისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ რაც მას უყვარდა, გოგონასთვისაც ძვირფასი ყოფილიყო. ჰარმონიას თვლიდა იგი სიყვარულად. ერთხელ გოგონას უთხრა, ჩვენ მუსიკა რომ არ გვყვარებოდა, ერთმანეთი არ შეგვიყვარდებოდაო.

– საოცარი ადგილია... – როგორც იქნა უპასუხა აღფრთოვანებულმა გოგონამ. თვალიერებაში პასუხის გაცემა შეაგვიანდა.

– მართლა? – ახლა უკვე ღიმილით და მეტი თვითდაჯერებით ჩაეკითხა.

– გაღმერთებ! – სიხარულით თვალეზაცემებულმა გოგონა მის გულს მიეკრა. ღონიერმა მკლავებმა ფაქიზად ჩაიხუტა. ბიჭმა იგრძნო მისი აფართხალებული გულისცემა და მეტი სინაზე ჩაეღვენთა ხელებში.

– რატომ დაკარგული სამოთხე? ჩვენ ხომ ის ვიპოვეთ.

– დაკარგული იმიტომ, რომ ჩვენს გარდა არავინ იცის სადაა. ეს ჩვენი სამოთხეა და მთელ სამყაროს ვემალებით, ყველასთვის ვიკარგებით აქ. მხოლოდ მე და შენ...

– მე და შენ... – ექოსავით შეაგება ჩურჩული.

გოგონამ მოგვიანებით შეიტყო, რომ ეს ჯგუფის სახელიც იყო. მიხვდა, ბიჭი ერიდებოდა ბევრ ახსნა-განმარტებას, თანდათან სთავაზობდა საკუთარ სამყაროს. გოგონამ ხორციელად იგრძნო, რომ „დიდ სიყვარულზე“ მნიშვნელოვან რაღაცას სთავაზობდნენ. ცოტათი დააფრთხო კიდეც ამან. ოდნავ მოშორებით გადაჩოჩდა. ბიჭმა არ შეიმჩნია, გიტარას დასწვდა და მის მაგივრად ჩაიხუტა. დაბალი ხმით მღეროდა, თუმცა გოგონას თავში უხილავი რეზონატორი მეგაბასებით ამღიდრებდა ნამღერს:

– Nak nak nak on da heaven's door...

გოთური კოშკების პირქუში სიმძლავრე და ქვის ორნამენტთა უკიდევანო ფანტაზიები ისმოდა მის ხმაში. გოგონა მიხვდა, რომ აქ იმაზე ბევრად მეტი იყო, ვიდრე სიტყვათა ლექსიკური მნიშვნელობა.

\*\*\*

გოგონას ჰორტონს-ბეიდან გაქცევა სურდა. სიყვარულის ჩრდილქვეშ იმალეობდა, ანდა ასე ეგონა. იყო რაღაც ამოუცნობი წარსულსა და აწმყოს გასაყარზე. გაუაზრებელი შიშით მირბოდა მის მიერვე შექმნილ ლაბირინთში და მინოტავრისგან თავის დახსნას ამოდ ლამობდა.

დილაობით იმ იმედით იღვიძებდა, რომ ყოველივე მხოლოდ ღამის კომპანი იყო. ცხოვრება კი სულ უფრო ემსგავსებოდა ილუზიას.

მხოლოდ ბიჭი რჩებოდა უცვლელად მოსიყვარულე. ალბათ, ამიტომ შეარქვა „უღიმღამო დღეების ჰეფი-ენდი“. მის გვერდით გოგონა მომავალს ვერ ხედავდა, მაგრამ მუდმივად ბედნიერი რჩებოდა ნებისმიერ სიტუაციაში. ვერ თმობდა ამ შეგრძნებას. თუმცა ბრმასავით ხელისცეცებით სიარული აღარ აკმაყოფილებდა.

\*\*\*

სიყვარული გაადნო უდაბნოს მზემ. წყალივით შეხვრიპა ეჭვებით გაბერილმა მწვანე კაქტუსმა.

\*\*\*

– იცი, შენ ნარკოტიკივით ხარ, – უთხრა ერთხელ ბიჭმა. გოგონა დაიბნა. ნარკოტიკი და მავნე მისთვის სინონიმები იყო. ბიჭი მიხვდა და გაუცინა:

– ძალიან მიგეჩვიე. ყოველ დღე გარკვეული დროით თუ არ „მიგილე“, მერე ყვივდები.

გოგონამ გაულიმა და ბიჭი მიხვდა, პასუხი არ სჭირდებოდა. ეს პატარა, საყვარელი არსება, მკლავებს კისერზე რომ შემოხვევდა და ავგაროზივით დაეკიდებოდა მის ფართო მკერდზე, თავისდაუნებურად მოქმედებდა ბიჭზე. რაღაცის კეთების სურვილს უჩენდა, ახლის. თანდათან გამოჰყავდა იმ უმოქმედობის ატმოსფეროდან, წლების განმავლობაში რომ ისრუტავდა ბიჭის ნებისყოფას და მავნე მწერივით სწოვდა სასიცოცხლო ძალებს. გოგონა სწორედ იმ დაკარგულის აღდგენაში ეხმარებოდა, ენერგიით მუხტავდა. ბიჭი ახლა სავსე იყო იდეებით. რამდენი რამის გაკეთებაზე ოცნებობდა, რამდენ გეგმას აწყობდა!

მხოლოდ ერთი რამ აწუხებდა, რასაც საკუთარ თავსაც უმაღლავდა. როგორც კი მისი გონება ამ აზრს მიუახლოვდებოდა, მაშინვე ფიქრს წყვეტდა. არა, გოგონა მას არ მიატოვებდა. ამდენი ხნის შემდეგ, როცა ბიჭს იგი სიცოცხლეზე მეტად უყვარდა. როცა გრძნობდა, რომ ერთმანეთს უსიტყვოდ უგებდნენ. როცა დღე და ღამ მასზე ზრუნავდა ფიქრში თუ ცხადად; მაგრამ სიმართლის ეშინოდა. არა, გოგონა აღარ წავიდოდა მისგან, არ წაართმევდა თავის მომწიფებულ სიყვარულს.

– შენ ჩემი შ ხარ... ჩემი ნარკოტიკი, – ბიჭმა მძლავრად მოჰხვია ხელები, მთელი ტანით დაფარა. თითქოს, ქვეყანას განუცხადა, ეს ჩემია, მხოლოდ ჩემიო.

გოგონა ვერ მიუხვდა. მას უბრალოდ მოეწონა, რომ ზამთრის ქარიან საღამოს სასიამოვნოდ გაუთბა სული და სხეული. თვალები მილულა და გემივით მოქანავე ბიჭს მიენდო. არ იცოდა, როგორ შიშს გამოხატავდა ბიჭის აღერსიანი სიძლიერე.

„უყვარვარ... მე ხომ ვიცი, როგორ ძლიერადაც... მაგრამ მაინც მეშინია“. ხმამაღლა კი მხოლოდ ეს თქვა:

– Linda in the sky of diamonds... Linda mia...

\*\*\*

ჰორტონს-ბეი გაქრა. სამყარო ძმის ნაჩუქარ სამკაულების ღამაზე ზარდახშას დაემსგავსა კლოდ მონეს ხიდით. სად უნდა ვიყო, მდინარის იქით თუ აქეთ, ხშირად ფიქრობდა ამაზე და ზავმევიით ოცნებობდა ნახატში ჩადრომაზე, რომ ამ ხიდზე გადაერბინა საკუთარი მომავლის დასანახავად.

იმის გაფიქრებაზე, თუ რამდენი გოგონა ინატრებდა მის ადგილზე ყოფნას, სევდიანად ელიმებოდა, რადგან თავად სამინლად მობეზრებოდა გასრულებულ ზღაპარში ცხოვრება. აქ იყო „ლხინი და ფქვილი“, სხვა არაფერი...

სიყვარულისა და ბედნიერების მიჯნაზე იგი მარტომარტო იდგა ბიჭთან ერთად.

\*\*\*

ერთხელ კაფეში ისხდნენ მდინარის პირას. ხიდი არ ჩანდა. ზაფხული იწურებოდა. ისხდნენ და არაფერს ამბობდნენ. კარგს არ მოასწავებდა ასეთი ქცევა. საუბარს ორივე გაუბრუნდა. ერთმანეთს ელოდებოდნენ.

წუხელ გოგონამ ღამე ათია. წერილს სწერდა ბიჭს. ძალზე მნიშვნელოვანი რამის თქმა უნდოდა, მაგრამ ვერ მოეხერხებინა ამის პირისპირ გაკეთება. ახლა იმასაც ვერ ბედავდა, რომ დაწერილი ფურცელი მიეცა.

ბიჭი რაღაცას ხვდებოდა. თუ ვერ ხვდებოდა, გრძნობდა მაინც, მაგრამ ხმას არც ის იღებდა. ბევრი ილაპარაკეს და ბევრიც იკამათეს. უკვე აზრი დაჰკარგვოდა ყველაფერს.

ისხდნენ ჩუმად და ღამაზად სევდიანობდნენ.

\*\*\*

უცბე გოგონა მიხვდა რა აღიზიანებდა ასე ძალიან: ბიჭი დროს ყინავდა თითქოს. ყველაფერს აკონსერვებდა. არავის და არაფერს აკარებდა. გოგონამ უფრო ღამაზად თქვა: „ჰერბარიუმს აკეთებს და მე მისთვის უცხო ყვავილი ვარ, რომელსაც გახმობას და მზრუნველად შენახვას უპირებს“.

Space-dye Vest... პირველივე აკორდებზე გოგონას შეაფრთოლა. მოცარტის ატრიმოსა-ს ვიოლინოებზე სამინელი სიცივე მოდიოდა პიანინოს სპილოსძვლისფერი კლავიშებიდან. ეს ბგერები სიკვდილის სუნთქვაზე უღმობელსა და შეუბრალებელს მოასწავებდნენ. გიტარის სოლო სამუდამოდ რაზავდა კარს სამყაროებს შორის. არ ჩანდა ხსნა. არ იყო საშველი. კოსმოსს მიღმა არსებული ცხოვრება დედამინის რეალობაში იკიდებდა ფეხს. გოგონა უნებურად ატირდა, როგორც ვოლფგანგი დეკემბრის საღამოს.

\*\*\*

ცხოვრება დოღს მარტო იმიტომ არ აგონებდა გოგონას, უღმობლად რომ მიაქროლებდა გამოუცნობისკენ. მისი ილუზორული რომანტიკულობა ცხენების რბოლის

შორეულ ხიბლს წააგავდა. სანამ მხოლოდ ტრიბუნიდან გაჰყურებ, სიგიჟეც შეუძლია ჩაგადენინოს საიდანლაც მოვარდნილ ემოციურობას. მერე თავლის სუნს იყნოსებ და მიუჩვენებ ნესტოებს ისეთი პროტესტით მოუნდებათ ცხრა მთის იქით გაქცევა, რომ ყოველგვარი რომანტიკა ნადგურდება.

გოგონას ჰორტონს-ბეი გაახსენდა. თუმცა არ უნდოდა, ეს ქალაქი ბედისწერად ქცეოდა, ამჯერად თავს ვერ დაიხსნიდა. ისევ გაქცევა, ისევ ყველაფრის თავიდან დაწყება მოუწევდა. არასდროს გასთენებია ასეთი მარტოსული ახალი წელი და სევდიანი შობა.

\*\*\*

რეალობა უხეშია თავისი არსით. თუმცა ოცნებებთან შედარებით, იშვიათად გტკენს გულს.

– მე შენში მიყვარდა ოცნება ჩემი...

ბიჭს არ უპასუხია. ცალი ხელით გიტარის გრიფს ჩასჭიდებოდა, მეორეთი კი უშედეგოდ აწვალებდა სიმებს. მუსიკის დრო წასულიყო.

გოგონას ცოტათი შერცხვა კიდევ ასეთ დროს პერიფრაზით ლაპარაკის წამოწყება. ძალიან კარგად იცოდა, რომ იაფფასიანი იუმორივით გამოუვიდა. გრძობდა, თავს ვერ ისერიოზულებდა. სულერთი გამხდარიყო ყველაფერი. „საშინელებაა, როცა აღარ გიყვარს“. ამ საუბრის უაზრობასაც ხვდებოდა და იმასაც, რომ ერთი სული ჰქონდა სათქმელი მოემთავრებინა. ისევ სადღაც გაქცევაზე ფიქრობდა.

იჯდა და უსულგულო ბოშასავით მარჩიელობდა, კიდევ ეთქვა რამე თუ არა. ახლა ერთს თუ დაინწყებდა, გრძელი, დამლული და უსარგებლო მონოლოგი გამოუვიდოდა.

იმედი ჰქონდა, ბიჭი ადგებოდა და უბრალოდ წავიდოდა.

დუმილი გაინელა.

– ჩვენ, ალბათ, მეგობრობა უკეთ გამოგვივიდოდა... – მაინც არ მოუთმინა გულმა გოგონას და სანამ გაიაზრებდა, უკვე თქვა და ინანა.

– გეყოფა! – მოულოდნელად ბიჭმა მაჯაზე ხელი წააგლო და საკმაოდ მტკივნეულად მოუჭირა. თუმცა მაშინვე შეუშვა და თითებზე იმავე მანერით ჩამოუსრიალა თავისი გრძელი თითები, როგორითაც მანამდე სიმებს ეხებოდა, – არ გინდა...

გოგონამ იგრძნო, არ ეთმობოდა ბიჭს, მაგრამ მაინც გაუშვა ხელი. მძიმედ წამოინია. ლამის ძირს დაანარცხა გიტარა, თუმცა მაშინვე დაიჭირა. დაღლილი და უცნაურად თეთრი ფერი ედო სახეზე. ჯერ მარჯვნივ გადადგა ნაბიჯი. მერე შეჩერდა, მარცხნივ გაინია და გოგონას ზურგიდან შემოუარა. ქუჩაში გავიდა.

გოგონამ ფანჯრიდან გააყოლა თვალი. შეამჩნია, რომ მისი მანქანა გამორჩეულად

თეთრი იყო, ახალგაზრდული და ქათქათა. „იქნებ ცოტაც მომეცადა, დაბადების დღემდე მაინც?“ თავადაც ყოველთვის უკვირდა, რატომ ამოუტივტივებოდა თავში ათასი სულელური დეტალი როცა რაღაც სერიოზული ხდებოდა.

ამასობაში ბიჭმა დაქოქა და სამარშრუტო ტაქსს მოეფარა.

გოგონა მიხვდა როგორ გაუხარდა მისი წასვლა და გული დასწყდა.

\*\*\*

გოგონა შინისკენ მიდიოდა. დაფიქრებულს, საერთოდ დაჰკარგოდა რეალური სამყაროს შეგრძნება. „მე ვტოვებ ყველას და ყველაფერს. მე ვტოვებ ბიჭს...“ ეტყობოდა, სასიამოვნოზე რომ არ ფიქრობდა. იქნებ, ამიტომაც ერიდებოდნენ გამვლელები. დაბალბენვიან პალტოში მექანიკურად იფუთნებოდა. ხელები სანინაალმდეგო სახელოებში შეეყო და ხელოვნური მუფტის იმიტაციით თითებს უკეთ უმაღავდა თებერვლის სუსხს.

ცოტა ხანში შეთბა, სახეც გაუფარდისფრდა. ფიქრი სხვა მხარეს წავიდა. „მგონი ვუყვარვარ. მგონი კი არა, ნამდვილად ასეა“. იმდენჯერ გადაუკრა სიტყვა, თან ისე სათუთად ექცევა, გამოორიცხულია არ უყვარდეს. „რატომ არ მეუბნება პირდაპირ?“ დიდი ხანია ზღაპარში აღარ ყოფილა გოგონა. და აი, ისევ დააბრუნეს იქ, სადაც თავს შინ გრძობს, სადამდეც ფესვები სწვდება. „მეჩვენება, ალბათ. ჩემი სიყვარული, მგონი, საერთოდ შეუძლებელია... რა სულელი ვარ“. თვითონაც არ დაუკონკრეტა საკუთარ თავს, რატომ იყო სულელი: იმ ახალი ბიჭის სიყვარულის დაჯერება რომ სურდა, თუ რომ არ სჯეროდა.

\*\*\*

– ამას ვის ვხედავ!

გოგონამ თავი ასწია. თავგადაპარსული ტიპი ყურებამდე ილრიჭებოდა.

– არ მითხრა, ვინ ხარო. გადავირევი... – ცოტა დაეჭვებულმა კი უთხრა, მაგრამ აშკარად ემჩნეოდა, რომ ამას ისე ამბობდა, თავის დაზღვევის მიზნით. გოგონებს რას გაუგებ.

გვერდი რომ აევლო და წასულიყო, გამოორიცხული სულაც არ იყო. თუმცა ეს მაინც საკუთარი კომპლექსების მიერ ნაკარნახევ, ძალით გაარგუმენტებულ განცხადებად ჩათვალა.

– „განწირული“, შენ?! – გოგონას აშკარად ისე გაუხარდა მისი დანახვა, თითქოს, დაგვიანებით მიიღო საწუკვარი სამობაო საჩუქარი.

– მე... – კიდევ უფრო გაებადრა სახე და გოგონას ხელებს ჩააფრინდა, ენერგიულად ჩამოართვა ფუმფულა ბენვიანი სახელოს შიგნიდან.

სამშაბათს, 17 აპრილს  
ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“  
დარბაზში გაიმართება  
შეხვედრა  
პოეტ  
ვაჟა ხორნაულთან  
დასაწყისი 14 საათზე  
ჩუბინაშვილის №41

## პროზა

– არ მეგონა ოდესმე ისევ თუ შევხვდებოდით. მართალი თუ გინდა, მაგონდებოდი ხოლმე. არც კი ვიცი რასთან დაკავშირებით. აქეთ საიდან?

– ჰო, რა ვიცი. სამსახური გამოვიცვალე.

გოგონას გულში გაელიმა. ეს საერთოდ თუ მუშაობდა სადმე, არც კი მეგონაო.

– კმაყოფილი ხარ?

– კი.

თავისთავად მოხდა ისე, რომ ნელ-ნელა დაიძრნენ ქუჩის იმ მხარისკენ, გოგონა რომ მიდიოდა ორი წუთის წინათ. თანდათან ჩამოასრიალა თავისი ტორივით მოზრდილი ხელი გოგონას მკლავიდან და გვერდით უხმოდ მიჰყვა.

– იცი...

– რატომღაც...

გაეცინათ.

– მაპატიე. რას ამბობდი?

თავგადაპარსულმა „ორბიტი“ ამოაძვრინა ჯიბიდან და ჯენტლმენურად შესთავაზა. მერე თავადაც ამოაცოცა ორი ციცქნა ბალიში, მადიანად გაღეჭა და ისევ გაიცინა.

– არაფერს ისეთს. შენ?

გოგონამ თვალეები ეშმაკურად მოჭუტა და ისე შეხედა, მიახვედრა, რომ უნდა დაესრულებინა რისი თქმაც წამოიწყა.

– იცი, ძალიან მენატრებოდი. შეიძლება არც დამიჯერო. ბოლოს ისე დავშორდით, არც გამოვმშვიდობები-

ვართ ერთმანეთს და მგონი წავეინკლავდით კიდეც, არა?

გოგონას გაელიმა.

– რას იტყვი, ისევ რომ ვიმეგობროთ? რა თქმა უნდა, შენ თუ არაფერი გაქვს საწინააღმდეგო.

– რას ამბობ! სიამოვნებით.

გოგონამ თავისი მომცრო, ხელთათმანშიც რომ პატარა ჩანდა ისეთი, ხელი გაუწოდა. ერთი-ორჯერ ჩამოართვეს, კამერის წინ პოზიორი პოლიტიკოსებივით და მერე არაოფიციალური მანერით გაეცინათ.

– რომ გთხოვო, მაინც არ მეტყვი რის თქმას აპირებდი?

– მეგონა, არასდროს მოინდომებდი ჩემთან ისევ შეხვედრას.

– მაპატიე. ძალიან უხეშად გამომივიდა მაშინ. შენ არც კი იცი ბიჭზე როგორ ვეჭვიანობდი... სხვანაირად არ გამიგო რა. ისეთი ჩახლართული მიზეზი მქონდა, ამის ახსნა გამიჭირდება.

ხილზე გადასულიყვნენ. გოგონას ყოველთვის ძალიან უყვარდა ეს ძველებური შენობა. ბედნიერ ბავშვობას, ახალ წელს და საჩუქრებს აგონებდა. ფორთოხლის სურნელი იგრძნო სუსხიან ჰაერში და გაელიმა.

– უბრალოდ არ მომწონდა, მასთან ასე ხშირად რომ იყავი; მაგრამ მორჩა, აბა რა ჩემი საქმეა.

გოგონას არ უთქვამს, ის და ბიჭი ერთად რომ აღარ იყვნენ.

## პრონიკა

ამას წინათ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა თეიმურაზ ნადარეიშვილის ლიტერატურული საღამო ორიგინალური სახელწოდებით „სულის ფოტოგრაფიები“, რომელზეც ავტორმა საკუთარი ესეისტური ჩანახატები და თარგმანები წაიკითხა.

უნდა აღინიშნოს, რომ ბ-ნი თეიმურაზი პროფესიით ფიზიკოსია (იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღალი ენერჯიების ფიზიკის და ინფორმატიზაციის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელია), მაგრამ უკვე ათი წელია საკმაოდ კარგად იცნობენ ფილოლოგიურ წრეებშიც, რადგანაც ჟურნალ-გაზეთებში („ჩვენი მწერლობა“, „საუნჯე“, „მნათობი“, „არილი“, „ალიტერნატივა“, „ახალი თარგმანები“, „ლიტერატურული საქართველო“, „მწერლის გაზეთი“, „ჯორჯიან-თაიმსი“ „Свободная Грузия“) პერიოდულად იბეჭდება მისი ესეები, მოგონებანი თუ თარგმანები.

საღამოს უძღვებოდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნულ ურთიერთობათა და მთარგმნელობითი კათედრის ასისტენტ-პროფესორი რუსუდან ჭანტურიშვილი. მან საღამოს დასასრულში აღნიშნა, რომ ავტორმა უკვე საკმაოდ მყარად დაიმკვიდრა ფიზიკოს-ლირიკოსის სახელი და გაიხსენა, თუ როგორ გაიცნო იგი უნივერსიტეტში გამართულ ვლადიმერ ვისოცკის ხსოვნისადმი მიძღვნილ საღამოზე, რომელზეც ბ-ნმა თეიმურაზმა ილაპარაკა ცნობილ მომღერალთან პირადი შეხვედრის შესახებ.

საღამოს ძირითადი ნაწილი მიეძღვნა ესეისტურ ჩანახატებს. ბ-მა თეიმურაზმა აღნიშნა, რომ ეს ჩანახატები მისი სულიერი მდგომარეობის ერთგვარი ანარეკლია („სულის ფოტოგრაფიები“) ცხოვრების სხვადასხვა ეტაპებზე და მათში „დატყვევებული“ ავტორის ფიქრები, მიგნებები და დაკვირვებანი. აღსანიშნავია, რომ ეს ჩანახატები ძალზე მრავალფეროვანია თავისი თე-

მატიკით – ბ-ნი თეიმურაზი აზოგადებს საკუთარ ცხოვრებისეულ დაკვირვებებს, ამა თუ იმ მწერლის, პოლიტიკოსის თუ ლიტერატურული ნაწარმოების შესახებ საკუთარ შეფასებას გვთავაზობს, ხშირად კი ავტორის აზრი თავისებური მაქსიმალური სახითაა წარმოდგენილი.


შემდეგ წაიკითხა პუშკინის ლექსების მისეული თარგმანები. დასასრულში მან დარბაზს გაუზიარა მთარგმნელის „შინაგანი სამზარეულო“ ზოგიერთი საიდუმლო. კერძოდ, აღნიშნა, რომ პუშკინის ლექსებს თითქმის ყოველთვის ორჯერ კითხულობს. პირველ რიგში იზიდავს მათი გარეგნული მხარე – რითმულობა, მუსიკალობა, ხოლო მეორე წაკითხვისას „უფრო წინ მიდის“ ანუ ცდილობს ჩანვდეს იქ დამალულ აზრს და თითქმის ყოველთვის ეს მცდელობა წარმატებით მთავრდება – ლექსები ძალზედ ღრმა შინაარსისაა! როგორც ჩანს, ღრმა აზრი „ავტომატურად“ საინტერესო, მიმზიდველ ფორმას იძენს!

ძალზედ საინტერესო იყო ქ-ნ რუსუდანის, როგორც სპეციალისტის, მოსაზრება ამ თარგმანებზე. მან ხაზი გაუსვა, რომ მთარგმნელები უმეტესწილად ირჩევენ პუშკინის ჯერაც უთარგმნელ ლექსებს და ბ-ნი თეიმურაზის დამსახურება სწორედ ისაა, რომ იგი არ შეუშინდა ცნობილი მთარგმნელების ზეგავლენას და პუშკინისეული შედეგების კარგ თარგმანებს გვთავაზობს.

საღამოს დასასრულს ბ-ნი თეიმურაზი მისთვის ყველაზე საყვარელ საკითხს, შექსპირის შემოქმედებას შეეხო. კერძოდ, მან მოკლედ მიმოიხილა „ჰამლეტი“ და შემოგვთავაზა შექსპიროლოგიაში ერთ-ერთი ყველაზე რთული თემის – ჰამლეტის „უშოქმედობის“ პრობლემის საკუთარი ინტერპრეტაცია. ამასთან, აღნიშნა, რომ იგი თარგმნის პიესას და წაიკითხა ცალკეული ადგილები.

ბოლოს კი განაცხადა, რომ აპირებს ერთ წიგნად მოუყაროს თავი საკუთარ ნააზრებს.





ვაჟა ხორნაული

**ყვავილის ზღაპრად გეჩვენა**

სიმაღლეების ტრფიალმა –  
ფიქრმა მოგიგდო ფრთებზედა,  
წაგიღო...  
ჩრდილმა ლამაზმა  
გადაიარა მზეზედა,  
სხვა სასწაული იხილე  
ცისა და მიწის გზებზედა.

ყვავილის ზღაპრად გეჩვენა,  
რაც დაწერილა ღმერთზედა.

**ცისა და მიწის დოზილო**

შენ გაგიმარჯოს, ალაზა,  
გულითა დადაგულითა,  
ტკივილიანი ფიქრებით,  
აუმღვრეველი რჯულითა,  
მავედრებელი ცრემლებით,  
ქვეყნისთვის დამალულითა,  
დაღონებული დაისით,  
უჩრდილო სიყვარულითა,  
ზეცამდე ამალღებულო  
კაი ყმის სიბრალულითა.

დევნილო, განამებულო  
ხმებითა, კრულზე კრულითა,  
გლოცავს და გეალერსება  
ღმერთი სიტყვებით შუმითა,  
ვერა... ვერ წარმოგიდგინე  
სამტროდ შემართულ ცულითა.

მარადიულო ჯავარო,  
მზეო, ჩასულო ლამაზად,  
ცისა და მიწის დობილო,  
შენ გაგიმარჯოს, ალაზა!

\* \* \*

მზემ წვიმა ააშრილა,  
ჟამია ფერთა ღხენისა.

კოშკის დუმელში სითბოა  
დარდისა, ძველზე ძველისა.

ციდან მოისმის წკრიალი  
კლდეზე ასხლეტილ ელვისა.

\* \* \*

როდესაც ქარი ღიღინით  
წაიღებს ბალის ჩრდილებსო,  
ცას ღამე გაალამაზებს  
და ექო ჩაიძინებსო, –  
ხმა უფრო გაუნათდება  
დარდსა და დარდის შვილებსო,  
ვარსკვლავი – ნისლში, ხანჯალი  
ქარქაშში გაიცინებსო...

**საგალოჯელი**

გულის ფიქრო, ფიქრის გულო,  
ლოცვავე, სიზმარშიაც თქმულო,  
სურნელებავ სამოთხისა,  
ჩემთვის ხატო, სხვისთვის კრულო,  
სიმღერების გაზაფხულო,  
მზეო, მზიდან ამოსულო,  
მონატრების მწვანე ველზე  
გავლებულო თეთრო ხნულო.

„იმედო და სიცოცხლეო“,  
რჯულის რჯულო...

გულის ფიქრო, ფიქრის გულო,  
ლოცვავე, სამარეშიც თქმულო.

\* \* \*

მზის მდუმარება და ხმა ფრთებისა,  
ნათება ფერთა დაბადებისას.  
როგორ ხარობენ ამ დროს ყანები.  
დრო სიყვარულის ამალღებისა,  
დრო ღვთაებრივი გამოდარების.

გარდაცვალება იალკიალის,  
თეთრი ჩქერების ტრიალ-ბრკიალი.  
არაქაური გზა და ხიდები.  
გემები, შუქის იალქნიანი,  
ფერისცვალება გალაქტიკების.

\* \* \*

როს ნაკადული გესაუბრება  
და სიახლოვეს ია როს არი,  
საწუთრომ როგორც არ უნდა გტანჯოს  
(ხან გადაგჩეხოს, ხან კიდევ გხანჯლოს), –  
არ აიმღვრევი იაგოსავით...  
და სამოთხისკენ წაგიყვანს გემი  
მზისფერი, ნისლის იალქნოსანი.

\* \* \*

გულის გალობა... ცა და ედემი,  
სითბო სივრცეთა ალავერდების.

გზაზე იები და ხან ეკლები,  
უხმო წკრიალი ანარეკლების.

ნათება ატმის და იასამნის,  
წყარო-მოქნილი კაფიასავით.

რა ექოები... და რა ხედები!  
სითბო სივრცეთა ალავერდების!

**ერთობა**

როგორც ყოველთვის, მოულოდნელად  
იძრა დედამინა

და კედლიდან დაცვივდა ფარდაგები  
ბუნების სითბოსა და  
სურნელს მოკლებული,  
ხელოვნური ფერებით გაჟღენთილი;  
კედლიდან დაცვივდა სურათები  
დახატული და არა შექმნილი,  
ბაზრობაზე იაფად შექმნილი;  
ყანმა და გიტარამ  
ნამით ერთად იფრინეს  
და მერე იატაკზე  
ერთმანეთის გვერდები გაბზარეს.

კედლიდან დაცვივდა ყველაფერი,  
გარდა წინაპრის სურათისა,  
რომელიც სახლთან ერთად ირხეოდა,  
სახლთან ერთად დამშვიდდა  
და კვლავ მშობლიური  
დარდის სიმალღეებს მიაპყრო მზერა.

\* \* \*

წვიმის ხმა და სიჩუმე მოაკლდა  
დღეს გაზაფხულისას...

ღმერთის ხელიდან გამოსული  
შვიდსტრიქონიანი ლექსივით  
ქედების თავზე ანთია ცისარტყელა.

ღრუბლის მოოქროვილ რიკულებს შორის  
გამოჩნდა სინათლის ანგელოზი  
და ბალის ფერადი აივნიდან  
გაცურდნენ მისკენ  
ნისლის დელფინები...

როგორც შობის ღამეს ტაძრის ჩუქურთმები,  
ბრწყინავენ სახეები.  
როგორც შობის ღამეს ზარები,  
ფეთქავენ გულები.

\* \* \*

ლამის მთელი სიცოცხლის მანძილზე  
ისეთი სიყვარულით უკრავდა,  
ისე დიდხანს ჰქონდა გულთან მიტანილი,  
რომ ბოლოს ჩონგურმა  
მისი გულივით დაიწყო ფეთქვა  
და, როგორც მისი სახე,  
ხან ილიმებოდა, ხან იღრუბლებოდა.

\* \* \*

სიცოცხლე – ღამაზად გაღეული,  
როგორც ცელი პირმზითის სათიბებში.

\* \* \*

ქალის გული ოქროს კოშკია,  
აღმასის ღიბოზე ამოზრდილი,  
სანთლის ფურცლებით  
და ცის ნამით აშენებული.

\* \* \*

ბავშვის ტირილში ღმერთის სიცილია,  
დედის სიმღერაში სევდაა ღმერთისა.

\* \* \*

გული – ჭაღარის გარეშე,  
ჭრილობებით მოვარსკვლავებული.

\* \* \*

ბალის სურნელში გავეხვიე –  
თითქოს ღმერთმა ჩამიკრა გულში.

**ტრაგედია განჯაში**

არ გაგიკვირდება, ყაჩაღები  
პოეტს რომ დასდევენ,  
მაგრამ – პირიქით?!  
„მეგონა, ვხედავ სასუფეველს...“

**შედეგრი**

ალარც პირველი სტრიქონი ჩანს  
და ალარც – ბოლო  
ღვთაებრივი დღის ნაპირებივით.

\* \* \*

*ოთარ ჩხეიძეს*

ათასგან გააშენა ვენახი –  
წინაპრის მოსაწონი, ღვთის გამხარებელი  
და გული ვერ იჯერა  
და უფრო მაღლა, სითეთრემუშუმრალ  
მწვერვალთა სიახლოვეს ჩაყარა ვაზი.

\* \* \*

*ანა კალანდაძეს*

ახალი ბალი, წინაპრის წყაროთი.  
მზე, რომელიც დარსა თუ ავდარში  
ერთნაირი მშვენებით ამოდის...

\* \* \*

ვარსკვლავთა მგალობელ სინათლეში  
გული ქედანივით დაფრინავს...  
რა ახლოს ყოფილან, ღმერთო, ვარსკვლავები!

\* \* \*

რატომ ვერ ხედავს ეკლესიასტე  
ზამთრის ცაზე ხმას გაზაფხულისას?  
დიდი სიბრძნე მარტო დიდი დარდი არ არის,  
დიდი სიბრძნის სივრცეებიდან  
დიდი სიხარულიც დანათის ქვეყანას.

\* \* \*

კელაპტრებსა და ვარსკვლავებს შორის  
ფანატიზმის ცივი ღრუბელი...  
თვალეში შიში და არა სიყვარული.

\* \* \*

ბოლო ფოთლები. პირველი ფანტელები.  
შეხვედრა ყველაზე მართალი წმინდანების.

\* \* \*

გარდაცვლილ მშობელთა სურათები,  
როგორც ღმერთის  
ხელისგულის ანაბეჭდები...

\* \* \*

ბედნიერება ყოველი დილის:  
ზეცის განათლება –  
სამყაროს კარის გაღებასავით.

\* \* \*

ზეცას ის უფრო უხარია,  
ზარები როცა დუმან  
და გულების რეკვა მოისმის.

\* \* \*

უბრალოების სხივოსან სამეფოში  
ერთი ნუთით შეუშვი მოდერნიზმი  
(მეტხანს ვინ გააჩერებს?!)  
და რალაც პრანჭია შეგრჩება ხელში.

\* \* \*

კაცნი ნავლენ და ნამოვლენ  
დარდები დარჩებიანო...

\* \* \*

ადამიანი დასალიერზე –  
სხვა სივრცის კარივით.

\* \* \*

„მიყვარხარ“. „მეტი არაფერი?“  
„მეტი რამე არსებობს სამყაროში?!“

\* \* \*

რომელი უფრო ტანჯულია –  
ოტელო თუ ფერმკრთალი ყვავილი,  
ლიანდაგებს შორის ამოსული?

\* \* \*

მაგრამ სულ სხვა საოცრებაა,  
როცა ექოს ნათებას იხილავ.

\* \* \*

ცის სიღრმეში პირველი ვარსკვლავი.  
თეთრ ფურცელზე პირველი სიტყვა...  
ახლა უკვე თავისთავად მომრავლდებიან.

\* \* \*

ვარსკვლავთა მარადიულ ადგილებს  
ხედავდა შუადღის ცაზე...

\* \* \*

ჩვილმა თვალეები გაახილა –  
ახალი ტაძრის კრიალა სარკმლები  
გააღო ზეციერმა...

\* \* \*

პატარა ნაპირები –  
ჰორიზონტის შვილთაშვილები.

### დილა

სახლში შემოვიდნენ  
ცა და დედამინა.  
სტუმარი ღვთისაა.

\* \* \*

სხვადასხვა მხარეს გავიდნენ ნისლიდან  
და მერე მზესთან ერთად გამოჩნდნენ.

\* \* \*

კარი გაიღო. ცა გამოჩნდა.  
დედა შემოვიდა...  
სახლი თითქოს ვარსკვლავთა შორისაა.

### ავტოპორტრეტი

კალამი სანთელივით აიღო  
და, როგორც სამოთხის კარს,  
შეხედა ფურცელს...



ელა გორჩიაშვილი

გალაკტიონ ტაბიძის განცხადება საქართველოს განათლების კომისარს

რადგან ვიმყოფები მეტისმეტად შევიწროებულ მდგომარეობაში უტანთსაცმელობით და უფეხსაცმელობით, უმორჩილესად გთხოვთ, აღძრათ შუამდგომლობა... გამიხსნას კრედიტი... ტანისამოსისა და ფეხსაცმელის მისაღებათ.

ფულს ნაწილ-ნაწილად მიიღებენ თვით ჩემგან... იმედი მაქვს, მხედველობაში მიიღებთ ჩემს მდგომარეობას.

პატივისცემით გალაკტიონ ტაბიძე  
1924 წ. 24 მარტი

განკარგულება: „უარი ეთქვას!“

უარი ეთქვას!

მე ნუ ვყოფილვარ საქართველო, თუ არ დაგღალო, მე ნუ ვყოფილვარ საქართველო, – შურით მლუარი, პალტო კი არა, გიჟის კვართი თუ არ ჩაგაცვა, თუ არ გიშხუვლო მათრახივით: „ეთქვას უარი!“

შენი ვალებით პირთამდე სავსემ, თუ არ ჩაგიდგა ყველა დროში თითო ფაცერი, ჩემგან განირულს, თუ სამშობლოდ არ მოგაჩვენო თოვლი ირიბი და აღმაცერი;

თუ არ გავერთო შენი გაძლებით, თუ არ დაგძახო ბენჯის ხიდზე: პოეტო, ანტრე! მაშინ სამშობლო აღარ ვყოფილვარ, შენ თუ სიკვდილი არ მოგანატრე.

კლაკიორების ბრბოებისგან ტაშის მყიდველთა ფუყე დიდებით ჩამოჟამული, – თუ არ დაყრუვდა შენს წინაშე, თუ არ დაბრმავდა, თუ არ დამუნჯდა, რაა მამული.

უარი ეთქვას გ. ტაბიძეს! როგორც წესია: მოკვდავს – სასახლე, უკვდავს – ბოსელი; აჰა, მამულის შხამიანი ღორღი და ქვიშა, – შენი პური და შესამოსელი.

იარე ახლა ფეხშიშველამ... „გზა არის ცხელი“ ... წითლად გაკვალე მარადისობა... ფეხისგულეებით არა მხოლოდ ცვარი მამულის, მისი ეკლებიც უკეთ იცნობა.

პალტო კი არა, გიჟის კვართი თუ არ ჩაგაცვა, თუ არ გიშხუვლო მათრახივით, – „ეთქვას უარი!“ მე ნუ ვყოფილვარ საქართველო, თუ არ დაგღალო, მე ნუ ვყოფილვარ საქართველო, – შურით მლუარი.

...თუ გაპატია, რომ გიცნო და თვითვე აღმართა დაფნა, საშენოდ შემორკალული, თუ თვითმკვლელებით არ მიგაგდო ღია სარკმელთან, თუ გაპატია, რომ უყვარხარ, – რაა მამული...

# ახლაც ვეკითხებით რჩევას

\*

## ვანტანგ ჭელიძის მონატრება

„რა მოსანყენი იქნებოდა ცხოვრება, რომ გუშინდელი დღის ლამაზი სევდა თან არ ახლდეს. რა ძნელი იქნებოდა სუნთქვა, ჩვენი წინაპრების აჩრდილი რომ არ გვიმსუბუქებდეს. იქნებ გაცნობიერებული არც კი გვექონდეს, რომ ჩვენს სიხარულს, განსაცდელს, ტანჯვას მუდამ მათ ვუზიარებთ, მათ ვეთათბირებით, რჩევას მათ ვკითხავთ“ – ამ სიტყვებს წარუმიძღვარებდა ვანტანგ ჭელიძე ძვირფასი სილუეტების ციკლს და ასე შთამბეჭდავდა განსაზღვრავდა ადამიანის დანიშნულებას.

სწორედ გუშინდელი დღის ლამაზი სევდის შენარჩუნება აღავსებდა და აღავსებს სიცოცხლეს ნამდვილი შინაარსით და ერთ მთლიანობად ჰკრავს წარსულსა, აწმყოსა და მომავალს.

უკვე იცი, ვის გაუზიარო სიხარული თუ მწუხარება.

იცი, ვის მოეთათბირო, რჩევა ვის ჰკითხო.

ვანტანგ ჭელიძეს ამიტომაც ჰყავდა ყველაზე საიმედო მრჩეველნი და მათი თანადგომით ძალამოცემული კიდევ მიჰკვალავდა ახალ გზებს ქართული მწერლობის ევროპეიზაციის მღელვარებით აღსავსე გზაზე: როგორც კულტურტრევერი, რედაქტორი, გამომცემელი, ბელეტრისტი, ესეისტი, მთარგმნელი, და რასაც ხელს მოჰკიდებდა, ყველაფერი სანიშნოში და საუკეთესო გამოსდიოდა.

ქრესტომათიულია მისი დამოკიდებულება საქმესთან – თავგამებულად.

ქრესტომათიულია მისი დამოკიდებულება ახალგაზრდობასთან – უშურველი.

ქრესტომათიულია მისი „ცისკარი“ – როგორი უნდა იყოს ლიტერატურული ჟურნალი.

მისი „ხომლი“ – როგორი უნდა იყოს მთარგმნელობითი ჟურნალი.

მისი „ლიტერატურული საქართველო“ – როგორი უნდა იყოს სამწერლო გაზეთი.

მისი „მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა“, „მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა ბავშვებისათვის“ თუ სამზიოთო წიგნები – როგორი უნდა იყოს გამომცემელი.

და ეს ყოველივე „ქართლის ცხოვრების ქრონიკების“, ლიტერატურულ-ესთეტიკური ძიებების, კლასიკური და თანამედროვე ინგლისური და ამერიკული ბელეტრისტიკისა თუ დრამატურგიის ქართულ ორეულთა შექმნის გვერდით შექსპირისა თუ მილტონის, დეფოსა თუ სკოტის, დიკენსისა თუ გოლზუორთის, ჰემინგუეისა თუ სტაინბეკის, მილერისა თუ უილიამსის, ლონდონისა თუ სელინჯერის...

\*\*\*

ჩარლზ დიკენსის „ინგლისის საყმანვილო ისტორიის“ შექმნის შემდეგ ამ იდეის განმეორება მიგნებად აღარავის ჩაეთვლება.

საამისოდ მხოლოდ ერუდიცია გჭირდება და ამ წიგნის რაობაში გულდასმით გარკვევა.

და კიდევ:

თხრობის ყველაზე ზუსტი მანერის შერჩევა, რათა სიყალბე არსად გაკრთეს.

ის კამერტონი, რომელმაც განსაზღვრა თხრობის სტილისტიკა „ქართლის ცხოვრების ქრონიკებისა“ დიდი ხელეწიებით შეირჩა და სანიმუშოც ამიტომაც – მოკლებული

გარეგნულ პათეტიკასა და ჰიპერბოლიზებას, შინაგანად კი დაძაბული და ექსპრესიული, შესაფერისი ერის დრამატული თავგადასავლის.

ამიტომაც შენდებოდა „ქართლის ცხოვრების ქრონიკების“ მონუმენტური ნაგებობა მკვიდრსა და საიმედო საძირკველზე.

\*\*\*

მან ბევრი რამ განსაზღვრა XX საუკუნის ჩვენს სალიტერატურო ცხოვრებაში და კიდევ დასდო გამორჩეული ღვანდლის მის შემზადებას მსოფლიო სამწერლო პროცესებში ჩასართავად.

ზოგს სანატრელად მიაჩნია ასეთი გარდაცვალება – როცა ადამიანი ღრმა მოხუცობას მიაღწევს და დამშვიდებული მინდის ამქვეყნიდან, იმის შეგნებით, რომ ყველაფრის გაკეთება მოასწრო, რაც კი დასახული ჰქონდა, – ამ სიტყვებსაც რომ ჩაურთავს ერთ ლიტერატურულ პორტრეტში, იქვე დასძენს: არა მგონია პავლე ინგოროყვა დამშვიდებული წასულიყოს ამქვეყნიდან: მას ბევრი დარჩა ჩაფიქრებული – რის მოსწრებასაც ლამობდა, რაც უნდა გაეკეთებინაო.

ეს ფრაზები ხელშესახებად გამოჰკვეთს არამარტო ესეის ადრესატის ხასიათის ერთ-ერთ მთავარ ნიშანს, არამედ ავტორისაც, ვინც ღრმა სიბერეშიც არ დაშოშმინებულა და მონდომებით უჯდა მოგონებათა წიგნს „ჩვენი საუკუნის პარადოქსები“... მაგრამ, სამწუხაროდ, ბავშვობის ხანას ვედარ გამოსცდა და დაუნერელი დარჩა მეოცე საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივი და ლიტერატურული ცხოვრების ვრცელი პანორამა – წარმოსახული ვანტანგ ჭელიძის ანალიტიკური და ირონიული მზერით.

თუმც რაც დაგვიტოვა, მართლაც მონუმენტური ლიტერატურული მემკვიდრეობაა, თავგამებებული გარჯის შესაფერისი.

ადრე თუ გვიან მისი პიროვნებაც და ცხოვრებაც იქცევა თემად ბიოგრაფიული რომანისათვის, ეპოქის დრამატიზმსაც თვალსაჩინოდ რომ აირეკლავს, რაკილა ვანტანგ ჭელიძე ყოველთვის ლიტერატურულ და სახელოვნო მოვლენათა შუაგულში ტრიალებდა.

მითუმეტეს, „ივანე მარაბლის ცხოვრების“ შექმნით იმის ქრესტომათიული ნიმუშიც დაგვიტოვა, როგორი უნდა იყოს ბიოგრაფიული რომანი.

\*\*\*

რეალობა ვანტანგ ჭელიძის ლიტერატურული სკოლის არსებობა.

რეალობა მისი გავლენის გაგრძელება და შენარჩუნება იმ ძალით, შთამომავლობასაც რომ გადანვდება და გადანვდება.

ამ სკოლის მონაფეთაგან დღეს ჯანსუღ ჩარკვიანს ვუთმობთ სიტყვას, ჩვეული უშურველობით რომ წარმოაჩენს ზოგიერთ შტრიხს მისთვის ძვირფასი სილუეტისას – ვისაც ახლაც უზიარებს სიხარულსა თუ წუხილს, ეთათბირება და რჩევასაც ეკითხება ხოლმე.

... და მოჰყვება ჩვენს ყოფას გუშინდელი დღის ლამაზი სევდა.

ჯანსულ ჩარკვიანი

## მამა „სამოციანელებისა“

მწუხარებას გაყოლილი სიხარული უკან აღარ ბრუნდება, დიახ, ყველა იმდროინდელი გაცისკრებული სიხარული „ცისკრისავე“ მწუხარებას გაჰყვა... მე პირადად, მომავალში, როგორც „ცისკრის“ მთავარმა რედაქტორმა, ჩემი „სამოციანელების“ მამის, ვახტანგ ჭელიძის გზა ავირჩიე და ბოლომდე გავყევი კიდევაც. გამიმართლა, თუმცა, იმ დროისათვის ვახტანგ ჭელიძეობა არცთუ ადვილი გახლდათ – უნდა მდგარიყავ უშიშრად, ვითარცა უხორცო, ვითარცა კედელი აღმართული ბოროტების წინააღმდეგ.

დავინყოთ 1956 წლიდან, მე „ცისკრის“ „ლიტმუშაკი“, „კორექტორად“ ვიყავი გაფორმებული... ამ დროს, ჟურნალში, ერთ-ერთ ნერილში „პირისისხლიანი მენშევიკების“ ნაცვლად, „გაიპარა“ – „პირისისხლიანი ბოლშევიკები“. გაუგებარი ვის რა დარჩებოდა და „ცეკაში“ ატყდა ხმაური. ვახტანგ ჭელიძემ შემახსენა, ჯანსულ, კორექტორად შენ ითვლები და ამ შეცდომაზე პასუხი შენ უნდა აგო, აბა, შენ იცი, დადექ უშიშრად და საჭირო შემთხვევაში ბოდიშიც მოიხადე, მოკლეთ შენ იცი და შენმა ბიჭობამო.

მე, ნავედი „ცეკაში“, თან მიხაროდა, რომ რაინდი რედაქტორის წარმომადგენელი ვიყავი. მივედი თუ არა, უგუნებო და შენუხებული კაცის როლი ვითამაშე, იმდენად შენუხებული ვიყავი, რომ დავარწმუნე „ცეკას“ განყოფილების გამგე, რომ ეს ყველაფერი შეცდომა იყო და არა განგებ გაშვებული უბედურება. წამოსვლისას, შევთანხმდით, რომ ამ შეცდომის გამო მომცემდნენ „საყვედურს პირად საქმეში“ შეტანით, ხოლო კიდევ სხვა დროს, ასეთი შეცდომის გამო, მკაცრად ვაგებდი პასუხს.

მიგბრუნდი „ცისკარში“ თუ არა, ვახტანგ ჭელიძე უკვე საქმის კურსში იყო, შემხვდა გახარებული, მერე მითხრა, დღეს, არა და, ზეგ, დავჯდეთ და გამარჯვებისა და გადარჩენის აღვნიშნოთ. მართლაც, „ცისკრის“ რედაქციაშივე აღვნიშნეთ ჩვენი ერთობისა და ჩვენი სიყვარულის დღე, ვისაუბრეთ ხვალინდელ „ცისკარზე“.

მინდა ყველამ იცოდეს, ყველაფერი ბრწყინვალე და ყველა შედეგური იმდროინდელი იბეჭდებოდა ვახტანგ ჭელიძის „ცისკარში“.



გივი ჯოხაძე, ვახტანგ ჭელიძე, ნოდარ დუმბაძე და სარგის ცაიშვილი

მე, ყოველთვის დარწმუნებული ვიყავი და დღესაც ასე მჯერა, – ხმლით საკუთარ სამშობლოს დაიცავ, მაგრამ ხმლით სხვის სამშობლოს ვერ დაიპყრობ. ჰოდა, ვახტანგ ჭელიძე, მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება საკუთარ სამშობლოს იცავდა კალმით, იცავდა გამჭრიახი გონებით და სჯეროდა, რომ სიკეთის მქმნელს, ერთადერთი, უფალი თუ დაუფასებს.

ყველას თავისი სიცოცხლის წიგნი აქვს, ზოგი ეშმაკის დანერილია, ზოგი – უფლისა, ვახტანგ ჭელიძის სიცოცხლის წიგნი უფლის დანერილია.

ხშირად იტყვიან მავანზე, – განზილდაო, კარგად ჩაუკვირდით, ერთხელ განზილდა? ორჯერ განზილდა? და შენ გგონია მესამედ არ განზილდება? და ისიც მინდა გითხრათ, განზილებული ვახტანგ ჭელიძე მე არ მინახავს. ერთ შემთხვევას გავიხსენებ, ეს იყო ორმოცდაათი წლის წინათ, ჩემს

სახლში, ჯაფარიძის ცამეტში სუფრა იყო განყოფილი „ცისკრელებისათვის“, სუფრას ვუსხედით – ვახტანგ ჭელიძე, ნოდარ დუმბაძე, ოთარ ჭილაძე, გივი გეგეჭკორი, ზაურ ბოლქვაძე, ტარიელ ჭანტურია, რეზო ინანიშვილი, მამაჩემი, მე და ჩემი ძმა... მე, ჩვეულებისამებრ დავაძვრე სიგარეტი „კენტი“ და გავაბოლე, მამაჩემი მორიდებით წამოდგა და ჩუმად მანიშნა, მეორე ოთახში გამოდიო, მე გავედი, მაგრამ ვერ მივუხვდი რა უნდოდა. უცებ მითხრა, კაი ბატონო, მე ძალიან გამითამამდი ამ ბოლო დროს, მაგრამ ვინ მოგცა იმის უფლება, რომ „ცისკრის“ ასეთ პიროვნებას ასე გაუთამამდე, ახლავე გადააგდე სიგარეტი და უფროს-უმცროსი იცოდეთ. რა მექნა, გადავაგდე და მივბრუნდი სუფრასთან. შევედი თუ არა, ბატონი ვახტანგი მომიბრუნდა და მითხრა, აი, მე რომ თავის დროზე მამაჩემს დაუფუჯერე, იმიტომაც აღარ ვენევი სიგარეტსო... მე გაცოცხლებული დავრჩი და მიკვირდა, საიდან მიხვდა ბატონი ვახტანგი – რა მითხრა მამაჩემმა მეორე ოთახში, არადა, ყველაფერს წინასწარ გრძნობდა...

მთელი ჩემი, იმდროინდელი შემოქმედებითი ცხოვრებით ვახტანგ ჭელიძის გვერდით ვიდექ. ვახტანგ ჭელიძემ კარგად იცოდა, რომ თანადგომა მონობა არ გახლავთ, თანადგომა – უფლისაა, მონა – ეშმაკისა, არ უყვარდა მონა ვახტანგ ჭელიძეს, ვახტანგ ჭელიძეს უყვარდა თანადგომა.

ისიც მინდა გავიხსენო, ერთ დღეს, სუფრასთან, სადაც ისხდნენ ირაკლი აბაშიძე, გრიგოლ აბაშიძე, ოთარ ჩხეიძე, ბესარიონ ჟღენტი, ნოდარ დუმბაძე და სხვანი, ბატონმა ვახტანგ ჭელიძემ მე და ნოდარ დუმბაძეს გადმოგვილაპარაკა – „ბიჭებო, მინდა, გავახაროთ, გვებრძვიან, ესე იგი, ძლიერები ვართ“ (არ ვიტყვი, ვის გამო გვითხრა), მართლა ძლიერები ვიყავით, სულაც იმიტომ, რომ „ცისკარს“ სათავეში ედგა ვახტანგ ჭელიძე.



დაიბადა პარიზში 1924 წელს. ომამდე ყოველ წელს არდადეგებს გერმანიაში ატარებდა, შემდგომშიაც იქითკენ გაუნია გულმა ფილოსოფიური განათლების გასაღრმავებლად. საფრანგეთში დაბრუნების შემდეგ პარიზში, ხელოვანთა გარემოცვაში, ბოჰემურ ცხოვრებას ეწეოდა. 1964 წელს მისი პირველი რომანი „პარასკევა ანუ წყნარი ოკეანის განსაზღვრენელი“ დაჯილდოვდა ფრანგული აკადემიის რომანის დიდი პრემიით, 1970 წელს კი „თხმელის მეფეს“ ერთხმად მიენიჭა გონკურების პრემია. საკუთარი ფილოსოფიური ნააზრების მკაფიოდ წარმოსაჩენად განზრახ მიმართავს ნაცნობ თემატიკას. ბუნებით მემბოხემ, მიუხედავად პოპულარობისა, არ ინდომა „ოფიციალური“ მწერალი გამხდარიყო – თავისუფლება ირჩია. გათავაზობთ თარგმანს წიგნიდან „იდეათა სარკე“.

## მიშელ ტურნიე კულტურა და ცივილიზაცია

ბავშვი დაბადებისთანავე უამრავი აღქმის ტყვეობაში ექცევა, მერე გარკვეულ ზნე-ჩვეულებებსა და ქცევის ნე-სებს ემორჩილება, რომლებსაც ის ადგილი განსაზღვრავს, სადაც დაიბადა და ის ეპოქა, რომელშიაც ცხოვრება უწევს. ასე სწავლობს ჭამას, თამაშს, მუშაობას და ა.შ. ისე როგორც ამას მშობლიურ, თავდაპირველად ოჯახურ, შემდეგ კი სასკოლო წრეში ასწავლიან. მაგრამ მის ჩამოყალიბებაში ძირითად როლს მაინც ენა ასრულებს. ენა, რომელიც ესმის და სწავლობს, ენა, რომელიც უყალიბებს ლოგიკასა და მგრძობელობას.

ცივილიზაციას იმ ტვირთს უწოდებენ, თაობიდან თაობას რომ გადაეცემა. მაგ. ოკეანისპირა ქვეყნებში წვიმა მატერიალური გამოვლინებაა, და ცივილიზაციაზე არ არის დამოკიდებული. ქოლგის ხმარება ან მისი სიძულვილი კი ცივილიზაციის გამოხატულებაა. ზღვა, მთა, რომელსაც ბავშვი გამუდმებით შეჰყურებს, ცივილიზაციის მოვლენებს არ განეკუთვნება, მაგრამ სოფლის ეკლესია ან დალუპულთა უკვდავსაყოფად აღმართული ძეგლი ცივილიზაციის ელემენტებია. ვერავინ დააღწევს თავს ჩამოყალიბების ამ პროცესს, რომელიც თითოეულ ჩვენგანს აყალიბებს ცივილიზებულ ადამიანად *hic et nunc*.\*

და აი, ბავშვი სკოლაში მიდის და იქ შექმნილმა ცოდნამ შესაძლოა ორი დიამეტრალურად განსხვავებული ფუნქცია შეასრულოს. ამ ცოდნამ შესაძლოა შეუმჩნეველად შეაღწიოს ბავშვის ირგვლივ არსებული ცივილიზაციის ელემენტებში და გაამდიდროს ისინი. მაგ. მოსწავლე ომის ისტორიას სწავლობს, რის შედეგადაც უკეთ ესმის დალუპულთა უკვდავსაყოფად აღმართული ძეგლის დანიშნულება. ანდა რელიგიური სწავლების მეშვეობით უკეთ ამოიცნობს ეკლესიაში თავმოყრილ სიმბოლოებს.

მაგრამ ლიცეუმის გონიერი მოწაფე უკვე აღარ კმაყოფილდება შემოთავაზებული ტრადიციული სასკოლო სახელმძღვანელოებით, რომელიც ცივილიზაციის ცოდნას უღრმავებს. სხვა წიგნებს კითხულობს, სხვა ფილმებს ნახულობს, სხვა სპექტაკლებს ესწრება, თავისზე გაცილებით

განსწავლულ ადამიანებს ხვდება. ასე ეზიარება კულტურას, კულტურას, რომელსაც თავად ირჩევს, იქნება ის მეცნიერული, პოლიტიკური თუ ფილოსოფიური. ამასობაში ყმანვილი შორდება ადრე მიღებულ განათლებას. აკრიტიკებს, ეჭვქვეშ აყენებს, ნაწილობრივ უარყოფს კიდევ მას. ამიერიდან მის ცოდნას, რომელიც ცივილიზაციის ფარგლებს სცდება, იერში მიაქვს ცივილიზაციაზე და მეტ-ნაკლებად ანგრევს კიდევ მას. დალუპულთა უკვდავსაყოფად აღმართული ძეგლი ანტიმილიტარისტული გამოსვლებისაკენ უბიძგებს, ეკლესია ანტიკლერიკალურ განწყობას აღუძრავს.

აი ის პირველი, უმთავრესი გაკვეთილი, რომელსაც კულტურისგან ვიღებთ – სამყარო უკიდევანოა, წარსული უძირო, ათასობით ადამიანს ჩვენგან, ჩვენი მეზობლებისა და თანამოქალაქეებისაგან განსხვავებულად უფიქრია და ფიქრობს. კულტურა უნივერსალურში იჭრება და სკეპტიციზმს ბადებს. კულტურული ადამიანი ცდილობს თავისი აზრები უნივერსალურ განზომილებამდე აიყვანოს, ხოლო საკუთარ ცივილიზაციას კერძო მოვლენად მიიჩნევს. ხვდება, რომ მხოლოდ „ერთი“ ცივილიზაცია კი არ არის და მის მიღმა ბარბაროსობა და ველურობა, არამედ ათასობით ცივილიზაცია, რომელიც პატივისცემას იმსახურებს და ამის აღიარებისთანავე ამხელს კოლონიზატორებსა და მისიონერებს და მათ ეთნოციდში სდებს ბრალს.

მაღე ის ცივილიზებულ ადამიანში შეშფოთებას აღძრავს. პარიზში დაგროვილი ცოდნით თავგამოტენილმა, ტრევიერში დაბრუნებულმა რენანმა შეაძრუნა კეთილი კიურე, რომელმაც ღვთისმოსავი ბავშვობა გაატარებინა. უდავო იყო, დიდ ქალაქს იგი გაერყვნა. პარიზი ხომ ეშმაკის საუფლო იყო.

ცივილიზაციები შესაძლოა დაუპირისპირდეს ერთმანეთს. ქრისტიანული დასავლეთი და მუსლიმანური აღმოსავლეთი შეებრძოლა კიდევ ურთიერთს. მაგრამ ყოველი ცივილიზაციის ნიაღში კულტურული ადამიანი აღიქმება სახიფათო, დამანგრეველ ძალად, რომელიც უნდა მოიშოთოს. 922 წელს ბაღდადში წამებული ჰალაჯი, ისევე როგორც 1600 წელს რომში კოცონზე დამწვარი ჯორდანო ბრუნო, ორივე, ცივილიზაციის მიერ კულტურის მკვლელობის მაგალითს წარმოადგენს.

ციტატა:  
**ბარბაროსი უპირველეს ყოვლისა ის არის, ვისაც სჯერა ბარბაროსობის (კლოდ ლევი-სტროსი).**

### ტალანტი და გენია

ნუ დაგვაგინყდება, რომ ტალანტი თავდაპირველად მნიშვნელოვანი სამონეტო ერთეული იყო. ის ხშირად სახარებისეულ იგაგებშიაც მოიხსენიება. ტალანტი გქონ-

\* აქ და ამჟამად

დეს, ნიშნავს ტალანტებს ფლობდე, ე.ი. მდიდარი იყო, მაგრამ ისმის კითხვა: როგორ სიმდიდრეზეა აქ საუბარი?

ხელოვანი ტალანტით დაჯილდოებული ადამიანი – ხატავს, მუსიკას თხზავს, ლექსებსა და რომანებს წერს. მისი შემოქმედებისათვის დამახასიათებელი სწორედ ის არის, რომ მას აღიარებს საზოგადოება. ტალანტით დაჯილდოებულმა კაცმა იცის, როგორ მოაწონოს თავი. მისი გასამრჯელო წარმატებაა – გულლიად ხედებიან, სახელსა და ფულს არ იშურებენ მისთვის. სწორედ აქ ვლინდება სიტყვა „ტალანტის“ (მონეტა) თავდაპირველი აზრი.

ტალანტის ეს თანმდევი წარმატება სახიფათოცაა. ყოველი ნაწარმოები ასე თუ ისე ღირებული რომ იყოს, შინაგან კანონებს უნდა ემორჩილებოდეს, რომელიც ფორმასა და ტონალობას კარნახობს და წინდანინ არ უნდა ტკებოდეს მომავალი წარმატებით. ხელოვანი, თუ წარმატების მოსაპოვებლად ირჯება და ცდილობს გაამართლოს ის მოლოდინი, რომელიც საზოგადოებაში იგრძნო, წარმატებას მოიპოვებს, მაგრამ მნიშვნელოვანს ვერაფერს შექმნის. სამაგიეროდ კარგად ამოიცნობს და გამოხატავს ხალხის წიაღში მოფარფატე ოცნებებსა და მისწრაფებებს. იმ წელს ყველა მის სიმღერას ილიღინებს, მის რომანს წაიკითხავს, ცოტა ხნის შემდეგ კი დავინწყებას მიეცემა. მწერალი ალბათ ამითაც კმაყოფილი რჩება. მაგრამ წარმატებული ყოველთვის მდარეს როდი ნიშნავს. ზოგი მოქანდაკე ზამთრის ყინულით კვეთს ან პლაჟის ქვიშით ძერწავს. რატომაც არა? ამაში დასაძრახი არაფერია.

ასე რომ, ტალანტით დაჯილდოებული კაცი თავს საფრთხეში იგდებს, როცა ხალხს უსმენს და მისი კარნახით ქმნის. უკეთესის არარსებობის გამო მის მიერ დახატულმა ამ ხალხის სურათმა შესაძლოა დააინტერესოს, შესაძლოა მოხიბლოს კიდევ მომავალი თაობები, როგორც ბერანტეს სიმღერებმა ან ფეიდოს კომედიებმა.

გენიალური ადამიანი კი, პირიქით, არაფრად აგდებს საზოგადოებას. ხშირად დინების სანინაღმდეგო მიმართულებითაც მიცურავს. მის ნაწარმოებებს ჩვეულებრივ ან არ იღებენ, ან თუ იღებენ, მხოლოდ მათი მხატვრული სრულყოფილების და მიმზიდველობის გამო. მომავალი მას ეკუთვნის, თუმც აწმყო უარყოფს და ზოგჯერ ისე ტლანქადაც, რომ ამას მისი სიცოცხლეც ეწირება. უნებლიეთ გახსენდება ვან-გოგი – თავისი დროის მიერ ასე დაუნდობლად განწირული, ჩვენს დროში კი ესოდენ გაიდევალებული.

ვან-გოგი და ტიციაინი. ტიციაინმა, რომელიც იმდენად კარგად შეეწყო იმდროინდელ საზოგადოებას, რომ მასთან დაახლოებას თვით მთავრები, პაპები და იმპერატორებიც ელტვოდნენ, თითქმის ასწლიანი ცხოვრების მანძილზე თანაბრად დიდი რაოდენობის შემოქმედება და ქონება დააგროვა. მიუხედავად ამისა, ზოგი ხელოვნებათმცოდნე მას გენიოსად მაინც არ მიიჩნევს.



მიშელ ტურნიე

გენიაც არის და ტალანტიც. მაგრამ შემოქმედების ამ ორ უმაღლეს დონეს ასევე მოჰყვება სხვა ორი უნარი, რომელიც არანაკლებ როლს ასრულებს. თავდაპირველად ოსტატობა, ანუ ტექნიკა, რომელიც აბუჩად ასაგდები არ არის. ეს ხელოვნების ანბანია, რომელსაც შემოქმედი სახელოსნოში, ოსტატის მეთვალყურეობით ეუფლება.

დაბოლოს კი საკმაოდ უკადრისი უნარი – სიმარჯვე – რომელიც სამივეს მაგიერობის განეევს ცდილობს.

მოხერხებული ადამიანი ზოგჯერ ათასგვარი ხრიკის მეშვეობით ახერხებს უუნარობის, უცოდინარობისა და წარმოსახვის სიმწირის შეცვლასა და დაკარგვას.

გენია

ტალანტი

ოსტატობა

სიმარჯვე

ვალდართ, რომ ადამიანი, ვინც არ უნდა იყოს ის, ამ ოთხი უნარის ნაზავია. ყველაფერს მათი შეფარდება წყვეტს.

ციტატა:

**ტალანტით, რასაც მოისურვებ, იმას გააკეთებ. გენიით კი, რაც შესაძლებელია (ყან-ოგიუსტ ენგრი).**

## პოეზია და პროზა

წარმოვიდგინოთ მომიჯნავე ორი მაღაზია: ერთი – ანტიკვარული ნივთებით, მეორე – რკინა-კავეულებით მოვაჭრის. ამ უკანასკნელს ვიტრინაში შავი ბაკელიტის სახელურებიანი ლაპლაპა ალუმიინის ქვაბები ჩაუმწკრივებია, რამდენადაც არ უნდა იზიდავდეს ისინი თვალს, აშკარაა სამზარეულოს მძიმე პირობებისთვის არის განკუთვნილი – სანმენდი საშუალებების ზენოლას რომ გაუძლოს. მათ მხოლოდ დანიშნულებისამებრ იყენებენ: როგორც კი ძირი უცვდებათ, აგდებენ და ახლით ცვლიან.

ანტიკვარული ნივთებით მოვაჭრესაც ქვაბები გამოუღაგებია. ოლონდ მასიური სპილენძის, რომელთა ზედაპირიც მე-18 საუკუნის ხელოსანს ფაქიზად მოუჭედავს. მათ ვერ მოიხმარ – ცეცხლს ვერ უძლებს, გარეგნულად ქვაბია, ქვაბის ფუნქციას კი ვერ ასრულებს.

სიტყვებსაც ასე მოსდით, იმისდამიხედვით, პროზაულ ტექსტში ვხვდებით თუ პოეტურში.

პროზის არსებობის საფუძველი მის ზემოქმედებით უნარშია. როგორც ჟან-პოლ სარტრი ამბობს: „პროზა თავისი არსით სამომხმარებლო ხასიათისაა. პროზაიკოსს ასე განვსაზღვრავდი – ადამიანი, რომელიც სიტყვებს იყენებს. ბატონ ჟურდენს ფოსტლები რომ დასჭირდა, პროზას მიმართა. ასევე მოიქცა ჰიტლერი, როცა პოლონეთთან ომის გამოცხადება დააპირა. ჩვენ კი დავძენდით, რომ არცერთს

ეჭვი არ შეპარვია თავისი სიტყვების ზემოქმედების უნარში. ბატონმა ჟურდენმა მშვენივრად უწყოდა, რომ ამ სიტყვების წარმოთქმისთანავე ფოსტლებს მიუტანდნენ და ჰიტლერმა ის, რომ მისი დივიზიები უეჭველად შეესოდა პოლონეთს. როგორც კი შედეგი სახეზე იყო, ბრძანებები უქმდებოდა და ძალას კარგავდა. მოკალული ქვაბების მსგავსად პროზას თავადვე უწევს თვითგანადგურება.

პროზის სიტყვებისაგან განსხვავებით პოეზიის სიტყვები მუდამ მარადიულობას ესწრაფვის. მეტრიკა და რითმა მნემოტექნიკურ თვისებებს ავლენს. ლექსის დაწინაშელება ხომ ის არის, რომ ზეპირად ისწავლო და როცა მოისურვებ, მაშინ წაიკითხო.

პოლ ვალერი იხსენებს მხატვარ დეგასს და პოეტ მაღარმეს დიალოგს. „თავში იმდენი აზრი მიტრიალებს, ლექსს დავწერდი“, – უთქვამს ერთხელ დეგასს. მაღარმეს კი მიუგია: „ეჰ, ჩემო კარგო, ლექსი აზრით კი არა, სიტყვებით იწერებაო“. ბატონ ჟურდენსა და ჰიტლერს თავში თავდაპირველად აზრი მოუვიდათ: ერთმა ფოსტლებში ფეხების ჩაცურება ისურვა, მეორემ – პოლონეთის დაპყრობა. შემდეგ კი აზრს სიტყვები მიუსადაგეს.

პოეზიაში კი თავი და თავი სიტყვაა. ლექსი ჟღერადობითა და გარკვეული რითმით გადაჯაჭვული სიტყვებია. აზრებს, რომლებსაც გადმოგვცემს, მეორეხარისხოვანი ფუნქცია აკისრიათ – რამდენადაც შეუძლიათ, იმდენად მისდევენ სიტყვებს. პროზის „გაგება“ მის აზრებში ჩანვდომას ნიშნავს. პოეზიის „გაგება“ კი იმ სულისკვეთების გაზიარებას, რომელსაც ის ასხივებს, პროზისთვის დამახასიათებელი სიტყვად და მკაფიოობა პოეზიაში ადგილს უთმობს ემოციასა და გამომსახველობით სიმძაფრეს. აქედან გამომდინარე, პროზაში ყოველთვის შეიძლება სიტყვების შეცვლა, სახელდობრ ტექსტის სხვა ენაზე თარგმნა, ერთი პირობით, აზრს თუ არ შევცვებით. მაშინ, როცა ლექსი მჭიდროდაა გადაჯაჭვული სიტყვებთან, რომლებიც მას ქმნის და ერთი ენიდან მეორეზე არ გადადის. ლექსი და სხვა ენაზე მისი ე.წ. თარგმანი ერთ თემაზე დაწერილი ორი სხვადასხვა ლექსია.

იგივე აზრს გამოვიტანთ, თუ ფორმისა და შინაარსის კონცეფციებს მოვიშველიებთ. როგორც ცნობილია, პროზაში ფორმა და შინაარსი ადვილად შორდება ერთმანეთს. ერთი და იგივე შინაარსი სხვადასხვაგვარად შეიძლება გადმოვცეთ. პოეზიაში კი შინაარსისა და ფორმის განცალკევება შეუძლებელია, რადგან ფორმა იმავდროულად შინაარსსაც გამოხატავს, შინაარსი კი განსაზღვრულ ფორმასთან არის შერწყმული.

ციტატა:

**განსაცვიფრებელია, რომ ღრმა აზრებს პოეტურ წარმოებებში უფრ ხშირად ვხვდებით, ვიდრე ფილოსოფოსთა თხზულებებში. ამის მიზეზი პოეტების მგზნებარე სტილსა და წარმოსახვის სიმძაფრეში უნდა ვეძიოთ. ჩვენში, ისევე როგორც მინერალურ ქვებში, სიბრძნის მარცვლებია მიმოფანტული, რომლებსაც ფილოსოფოსები, გონების მეშვეობით მოიპოვებენ, პოეტები კი წარმოსახვის მეშვეობით ამოაფრქვევენ და კიდევ უფრო მეტ ელვარებას ჰმატებენ მათ (რენე დეკარტი).**

## ზეპირი და წერიტი მტყველება

ადამიანი, რომელიც წერს, მარტოა, გინდ სასიყვარულო წერილს წერდეს და გინდ სათავგადასავლო რომანს, ასევე მარტოა მისი მკითხველიც. მოსაუბრეს კი აუდიტორია სჭირდება, რადგან სიტყვა, თუ არავის მიმართავს, ბოდავს ჰგავს. ორატორი პოლიტიკოსი აღლევებულ საზოგადოებას ითხოვს, რელიგიური მოქადაგე – არამინიერ მრევლს, მეზღაპრე – ბუხართან შეყუთულ გოგო-ბიჭებს, მლოცველი – უფლის ყოვლისგამგონე და უხილავ ყურს.

სიტყვა მოკლე მანძილის გადალახვისთანავე ქრება, ხოლო დაწერილი სიტყვა დროსა და სივრცეში მოგზაურობს. სიტყვა ცოცხალია, დაწერილი სიტყვა კი მკვდარი. ეს უკანასკნელი ვერაფერს გახდება სიტყვის გარეშე, რომელსაც უკვდავყოფს. ანტიკურ ხანაში მხოლოდ ხმამალა კითხულობდნენ, იმდენად, რომ გაციებულს ხმა თუ წაერთმეოდა, წიგნს ვერ გადაშლიდა. ასევე იყო კითხვის სწავლებისას, პირველი საფეხური ხმამალალი კითხვა იყო, ხოლო მეორე ჩუმი, შინაგანი ანუ გონებით კითხვა.

პირველად იყო სიტყვა, უფალმა სამყაროს შექმნა სიტყვით გვაუნყა. ეს იყო სიტყვა – ღმერთი. წერიტი მეტყველება, რომელიც ათასწლეულების შემდეგ იქმნება, სიტყვიდან მოდის და სიტყვას ითხოვს, რომ არ დაინრიტოს. მთელი ლიტერატურის ისტორია სხვა არა არის რა, თუ არა წერიტი მეტყველების გააუმჯობესებელი უკუსვლა იმ მაცოცხლებელი და მასაზრდოებელი წყაროსკენ, ზეპირმეტყველება რომ ჰქვია. დიდი მწერალი ის არის, ვის ხმასაც შეიცნობ, ვისი ხმაც ჩაგესმის მისი ნებისმიერი წიგნის გადაშლისთანავე, ვინც შეძლო ზეპირი და დაწერილი სიტყვის შედუღება. წერიტი მეტყველებას სიტყვათა მოზღვავებით საფრთხეც კი ემუქრება – მეტისმეტად „ნაწყლიანი“ წყლით დატბორილ გზასავით უვარგისია. აქვე მინდა გავიხსენო ფლობერი. მართალია ის ხმამალა ვაჰკიოდა თავის შავ წაწერებზე, მაგრამ სულაც არ უცდია თავისი წიგნები სიტყვებით მოერწყა, დიდი-დიდი იმ გაუმართავი ადგილების გაშალაშინებაზე თუ ზრუნავდა, რომლებიც სათანადოდ არ უღერდა. ამიტომაცაა, რომ ძნელად თუ იპოვით ისეთ ლიტერატურულ ნაწარმოებს, ფლობერის პროზაზე მეტად რომ შორდებოდეს სიტყვას. ფლობერის ხმა მისი მიმონერიდან უფრო ჩაგვესმის. ამიტომაცაა, რომ ზოგი მათ მწერლის რომანებზე მაღლა აყენებს.

ჩვენამდე მოღწეულ დიდ მოქადაგეთა ტექსტები ერთ მეტად საინტერესო პრობლემას წამოჭრის: თუ რამდენად იყო ეს ტექსტები იმპროვიზებული, როგორც ამას ჭეშმარიტი მჭევრმეტყველება მოითხოვდა და ხომ არ იყო ისინი მოგვიანებით, მეხსიერებით, ასე ვთქვათ, „ცივი გონებით“ აღდგენილი? ეს შეკითხვა განსაკუთრებით ბოსუეს მიმართ დაისმის.

ციტატა:

**ადამიანური სიტყვა შუაგზაშია მოქცეული – ცხოველთა უტყვობასა და ღმერთის დუმილს შორის (ლუი ლაველი).**

**ფრანგულიდან თარგმნა  
სოფიო ბენდიაშვილი**

თამაზ ჯოლოგუა

# სერბი მაქსიმოვის მოგონება იასე ფალავანდიშვილზე

1832 წლის 9 დეკემბერს (ასე, ნაშუადღევს 5 საათი იქნებოდა – სწერდა მოგვიანებით კავკასიის მთავარმართებელი, ბარონი გრიგოლ როზენი, რუსეთის სამხედრო მინისტრს ა. ჩერნიშოვს) კავკასიის კორპუსის შტაბის უფროსის მოვალეობის შემსრულებელთან, გენერალ ვოლხოვსკისთან, გამოცხადდა სამსახურიდან გასული დაბალი ჩინის მოხელე („კოლეგიის რეგისტრატორი“) იასე ფალავანდიშვილი და გენერალს გამოუცხადა – საქართველოდან რუსების განდევნის მიზნით ქართველები ამ დღეებში აჯანყებას აპირებენ და იქვე დასმენის ვრცელი ტექსტიც დაწერა („შესაკრები ადგილი იყო თათრის მოედანი, სადაც უნდა დაეკრა აზიურ მუსიკას და სადაც უნდა ყოფილიყვნენ თავადები: ლუარსაბ ორბელიანი, მარშალი დიმიტრი და მამუკა ორბელიანი, ალექსანდრე ორბელიანი, ასლან ორბელიანი და სხვა ორბელიანები; თავადი ელიზბარ ერისთავი; აქვე უნდა ყოფილიყვნენ, გარდა ადგილებზე დანიშნულისა, ყველა ამ საქმის მონაწილენი. აგრეთვე აქ უნდა შეყრილიყვნენ პოლონელები, თავადაზნაურნიც და დაბალი წოდებისანიც და ისე ემოქმედათ, როგორც თათონ საჭიროდ დაინახავდნენ. აქ აღნიშნულ პირთ ევალებოდათ: 1) შეეკრიბათ ქალაქში ხალხი; 2) ეკლესიებში აეტყუებინათ ხალხის რეკვა; 3) მათვე უნდა გამოეტანათ სიონის ტაძრიდან ღვთისმშობლის ხატი, აგრეთვე, სომხების ფეთხანის ეკლესიიდან ღვთისმშობლისავე ხატი, რომლებიც უნდა ხელში მღვდლებსა და ბერებს სჭეროდათ და ეძახნათ: საქართველოს განთავისუფლებისათვის ჩვენ თავს ვწირავთ“\* – ხელის აუკანკალებლად წერდა საკუთარი ტყავის გადარჩენის სურვილით შეპყრობილი იასე ფალავანდიშვილი).

გენერალმა ვოლხოვსკიმ ეს ამბავი, რასაკვირველია, უმაღლეს მთავარმართებელ როზენს. დაიწყო დაპატიმრებები, შეატყობინეს პეტერბურგს, იმპერატორ ნიკოლოზ I-ის განკარგულებით სასწრაფოდ შეიქმნა სპეციალური საგამომძიებლო კომისია (გზადაგზა კომისიამ შეთქმულების 145 მონაწილე გამოავლინა), ხანგრძლივი გამოძიების შემდეგ შედგა სამხედრო სასამართლო, რომელმაც მუშაობა 1834 წლის თებერვალში დაასრულა და შეთქმულების ყველაზე აქტიური ნაწილი, – მაშინდელი საქართველოს საუკეთესო შვილები, – რუსეთის შორეულ გუბერნიებში მიმოფანტეს. მკვეთრად შეიცვალა საქართველოს ისტორიის მსვლელობა და ამ „ცვლილების“ მთავარი „შემოქმედი“ იასე ფალავანდიშვილი იყო.

იასე ფალავანდიშვილი ცნობილ და გავლენიან ოჯახში დაიბადა.\*\* იგი დედის მხრიდან შვილიშვილი იყო თვალსაჩინო სასულიერო მოღვაწის, მქადაგებლისა და მნიგნობრის, ამბროსი ნეკრესელისა (მიქაძის; 1728-1815; დაკრძალულია სიონის ტაძარში). სასულიერო პირი (დეკანოზი) იყო იასეს მამაც – იოსებ ფალავანდიშვილი (გარდ. 1831; დაკრძალულია სიონის ტაძრის ეზოში. 1795 წელს იოსები თავის სამ ვაჟიშვილთან – მიხეილთან, ნიკოლოზთან და ზებედედთან – ერთად ალა-მაჰმად-ხანის მიერ ნასხმულ ტყვეთა შორის მოხვდა, მაგრამ როგორღაც ტყვეობას თავი დააღწია და მიხეილთან და ნიკოლოზთან ერთად თბილისში დაბრუნდა, ზებედედს კვალი კი გაქრა). იასეს ერთი ძმა – მიხეილი (გარდ. 1821) სასულიერო უწყების თარჯიმნად მსახურობდა და მნიგნობრულ-მთარგმნელობითი ინტერესებიც ჰქონდა. მიხეილის შვილი იყო ზაქარია ფალავანდიშვილი, უალრესად საინტერესო მოღვაწე – ჟურნალისტი, მეცნიერი, ბიბლიოფილი, 1841 წელს მარი ბროსესა და დავით ჩუბინაშვილთან ერთად „გეგზისტყაოსნის“ გამომცემელი (ზაქარია 27 წლისა გარდაიცვალა 1845 წელს, მშობლებთან ერთად ემარხა მთაწმინდის სასაფლაოზე, მაგრამ მთაწმინდაზე მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონის დაარსების შემდეგ მათი საფლავები დაიკარგა). მეორე ძმა იასე ფალავანდიშვილისა – ნიკოლოზი – თანამდებობებითა და გავლენით თავისი დროის ერთი უპირველესი ქართველთაგანი იყო.

იასემ თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი დაამთავრა (ერთ-ერთ საუკეთესო მოსწავლედ ითვლებოდა და 1817 წელს წარჩინებული სწავლისათვის გრიგოლ და ზაქარია ორბელიანებთან ერთად სასწავლებლის დირექციამ დააჯილდოვა კიდევაც). ამის შემდეგ იგი თარჯიმნად მოაწყვეს საქართველოს ეგზარქოსის კანცელარიაში, თუმცა თვითონ სამხედრო სამსახურზე ოცნებობდა და ხან მამასა და ხან ძმას ფულსა და ნებართვას სთხოვდა, რათა რუსეთში წასულიყო სასწავლებლად. ორივესაგან გადაჭრილი უარი რომ მიიღო, იასე ოსმალეთში გაიქცა, ახალციხეში ჩასულს ჯაშუშობა დასწამეს, მაგრამ, მისი ქართველობის გამო, იქ მყოფმა იმერეთის ბატონიშვილმა, ვახტანგმა, გამოიხსნა და ტრაპიზონში წაიყვანა. იქიდან იასემ გზა სტამბოლისაკენ გააგრძელა, იქ 1826 წლის 10 მაისს ჩავიდა, ხოლო 15 მაისს სტამბოლში (ამ საქმესთან დაკავშირებულ საბუთებში კონსტანტინოპოლი წერია) რუსეთის წარმომადგენელს მინჩაკს ეახლა და გამოუცხადა: სანამ ახალციხეში ჩავიდოდი, გზაზე ყაჩაღებმა გამძარცვეს, ყველაფერი წაართვეს, მათ შორის – საბუთებიცო. რუსულად ვიყავი ჩაცმული და ამიტომ ახალციხეში ჯაშუშად ჩამთვალეს, მაგრამ ჩემი ქართველობა ვახტანგ ბატონიშვილმა გაიგო, ფაშა დაარწმუნა – ეს ჯაშუში კი არა, რუსეთის დაუძინებელი მტერიაო. ამით ვახტანგმა

\* ციტატები 1832 წლის შეთქმულების საგამომძიებლო კომისიის მასალებიდან ძირითადად დამოწმებული გვაქვს გ. გოზალიშვილის წიგნიდან: 1832 წლის შეთქმულება, ტ. 1-3, თბ., 1935-1976.

\*\* ცნობები იასე ფალავანდიშვილის ბიოგრაფიიდან ძირითადად აღებული გვაქვს მაქს. ბერძინიშვილის წიგნიდან: მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, II, თბ., 1983, გვ. 185-196.

უეჭველ სიკვდილს გადამარჩინაო. ახლა კი საბუთები უნდა მომცეთ და ოდესაში გამიშვათ, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საიდუმლოება ვიცი და იქ უნდა განვაცხადოო. ოდესაში ჩასულმა იასე ფალავანდიშვილმა დასმენის ქალაღი დაწერა: სამეგრელოს მთავარ [ლევან] დადიანსა და ოსმალეთში გაქცეულ ვახტანგ იმერეთის ბატონიშვილს ერთმანეთში მიწერ-მოწერა აქეთ, რუსების წინააღმდეგ აჯანყებას ამზადებენო და „საბუთად“ დადიანის წერილიც დადო (იასეს სხვის ნაწერთან ზედმიწევნითი კალიგრაფიული მიმსგავსების უნარი ჰქონდა). ამ საქმემ მიაღწია ნიკოლოზ პირველამდე, რომელმაც სასწრაფო გამოძიება დანიშნა. გამოიკვია, რომ დამსმენი ცრუობდა და ეს მას ერთი წლის პატიმრობად დაუჯდა (აქტები, VIII, 638-642).

იასე ფალავანდიშვილმა, – ამ ავანტიურისტული ბუნების, ზნეობისაგან სავსებით თავისუფალმა ადამიანმა, – შეთქმულება რომ გასცა, ეს არ არის გასაკვირი; გასაკვირი ისაა, შეთქმულებმა იგი ისე რატომ დაიხლოვეს, რომ იასე, ფაქტობრივად, „ფარული საზოგადოების“ ერთ-ერთ წარმმართველ ფიგურად იყო ქცეული („შესახედაობა ჰქონდა ძალიან რიგიანი, მაგრამ ტყუილად კი არ არის ნათქვამი, გარეგნობა ატყუებსო. ეს, შესახედავად ასეთი მორიდებული, სათნო ადამიანი, დაუძინებელი მტერი აღმოჩნდა ყოველი წეს-წყობილებისა და, ამასთან, ისეთი სისხლისმსმელი ადამიანი, რომლის მსგავსი ჩემს სიცოცხლეში არავინ არ შემხვედრიაო“ – წერს თავის „მემუარებში“ დიმიტრი ყიფიანი. იასე ფალავანდიშვილი მართლაც „სისხლისმსმელი ადამიანი“ რომ იყო, ამ ფაქტიდანაც ჩანს – იგი შეთქმულთა შეკრებებზე დაბეჯითებით მოითხოვდა: აჯანყების ღამეს ჩემი ძმა უნდა მოკვდეს და ამ საქმეს მე თვითონ ვიკისრებო. არადა, შეთქმულები ნიკოლოზ ფალავანდიშვილს არას ერწოდნენ და გამარჯვების შემდეგ ფინანსთა მინისტრად დანიშნესაც კი უპირებდნენ).

„ფარული საზოგადოებაში“ იასე ფალავანდიშვილის ადგილსა და როლზე შეთქმულების საგამომძიებლო კომისიის მასალებში ურთიერთსაწინააღმდეგო (ზოგჯერ – ურთიერთგამომრიცხავი) ცნობებია დაცული. ნამდვილი ან მეტ-ნაკლებად ზუსტი ვითარების დასადგენად საჭიროა შეთქმულთა ჩვენებების ამ კუთხით სპეციალური შესწავლა და კრიტიკული თვალთ მათი ურთიერთშეჯერება. საინტერესო ისაა, ამ მასალის ზერელე გადაკითხვაც კი ქმნის შთაბეჭდილებას, რომ იასე ფალავანდიშვილი, ვიმეორებთ, „ფარული საზოგადოების“ პრაქტიკული საქმიანობის ერთ-ერთი წარმმართველი იყო (საკამარისია ითქვას, რომ „პირველი ღამის განკარგულება“, რომელშიც აჯანყების პირველი ღამის სამოქმედო გეგმა ჩამოყალიბებული, სხვა შეთქმულთა, – განსაკუთრებით კი ელიზბარ ერისთავის, – ცალკეული მოსაზრებების გათვალისწინებით სწორედ იასეს მიერ არის შედგენილი). წინასწარი დაკვირვებით, ჩვენ არც იმას გამოვრიცხავთ, რომ საკითხის სკრუპულოზური შესწავლა-გამორკვევის შემდეგ შეთქმულების ხელმძღვანელთა აქამდე ცნობილ სამეულს, – ელიზბარ ერისთავს, ალექსანდრე ორბელიანსა და სოლომონ დოდაშვილს, – იასე ფალავანდიშვილიც დაემატოს და, ამგვარად, ეს „სამეული“ „ოთხეულადაც“ კი იქცეს.

რამ აიძულა იასე ფალავანდიშვილი, გამცემის როლი ეკისრა?

თვითონ იასე თავის ჩვენებებში რამდენჯერმე ამბობს – შეთქმულების ყოველი წვრილმანის გაგება მიწოდდა, რათა შემდეგ ეს ყველაფერი ხელისუფლებისათვის შემეტყუობინებინაო (სხვათა შორის, შეთქმულებაში თავის მონაწილეობას ასეთი „არგუმენტი“ კიდევ რამდენიმე შეთქმული ამართლებდა): „სხვა არაფერი განმალავიძებელი მიზეზი არა მქონია რა მთავრობის წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობისათვის იმის მეტი, რომ ყველაფერი დაწვრილებით შემეტყო და მთავრობისათვის მეცნობებინა, რაც კიდევაც შევასრულეო“ – წერს იასე თავის ერთ-ერთ ჩვენებაში. სხვა ჩვენებაში კი იგი ამბობს: „რასაც მე ვლაპარაკობოდნენ, როდესაც წავიდოდნენ, მაშინათვე დავეჯდებოდი რას თვეში და ან რომელს რიცხვში რას მელაპარაკებოდნენ ან ადრე რა ჰქონდათ დაწყობილება, ამას ვინიშნავდი, რომ არ დამავინყდეს და ვაცნობო, ვითარცა ერთგულმა ხელმწიფე იმპერატორის ყმამ“ და ა. შ. ალექსანდრე ორბელიანთან დაპირისპირებისას იასემ მას პირში მიახალა: „მე მთავრობისაგან შემოჩენილი შპიონი ვიყავი თქვენში. რაც თქვენი განზრახვა იყო, უნდა შემეტყო და გამამეცხადებინა. მე თქვენში რასაც ვლაპარაკობდი და ვსაქმობდი, სულ ცბიერება იყო, რომ თქვენი განზრახვა ყველა წვრილათ შემეტყო. მე ვიტყვი და წერილითაც მომიხსენებიაო“. მაგრამ ასეთი და ამის მსგავსი გატრაფარეტული „ვერსიებისა“ არც ალ. ორბელიანს სჯეროდა და, რაც მთავარია – არც საგამომძიებლო კომისიას.

სინამდვილეში იასე ფალავანდიშვილს შეთქმულების გაცემისაკენ სულ სხვა ვითარებამ უბიძგა – შეთქმულთ განზრახული ჰქონდათ, აჯანყება დაემთხვიათ თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის ყრილობისათვის, რომელიც 1832 წლის 20 ნოემბერს უნდა გამართულიყო. ასეთ ყრილობებზე, ჩვეულებრივ, ქართლ-კახეთის რჩეული არისტოკრატია იკრიბებოდა ხოლმე და გუბერნიისა და ცალკეული მაზრების წინამძღოლებს („მარშლებს“) ირჩევდა. არჩევებთან დაკავშირებულ და იმავე საღამოს გამართულ საზეიმო ნადიმზე, ლუარსაბ ორბელიანის სახელში, რუსი და ქართველი სამხედრო თუ სამოქალაქო ხელისუფალნი უნდა მოეწვიათ, ყველანი დაეპატიმრებინათ და სპეციალურ ნიშანზე (შუშხუნების გასროლაზე) აჯანყებაც უნდა დაწყებულიყო. მაგრამ ყრილობა რამდენჯერმე გადაიდო და, შესაბამისად, რამდენჯერმე გადაიდო აჯანყების დღეც, საბოლოო თარიღად კი 20 დეკემბერი დადგინდა. ამასობაში ალექსანდრე ბატონიშვილთან გაგზავნილი შიკრიკი ჩავარდა ბორჩალოში და იქ მაშინვე ხმა გავრცელდა მოსალოდნელი არეულობების შესახებ. ამ ხმამ თბილისში სწრაფად ჩამოაღწია და შეთქმულთა საქმიანობაში დეზორგანიზაცია შეიტანა. იასე ფალავანდიშვილმა გადაწყვიტა, აჯანყების საქმე განწირულიყო და, თავი რომ გადაერჩინა, გამოცხადდა გენერალ ვოლხოვსკისთან, გასცა შეთქმულების ამბავი, დაწერა დასმენის ტექსტი და ა. შ.

შეთქმულების საგამომძიებლო კომისიამ იასე ფალავანდიშვილი, – ე. ერისთავთან, ალ. ორბელიანთან და ს. დოდაშვილთან ერთად, – „დამნაშავეთა“ მეორე კატეგორიაში მოაქცია („ვინც შეთქმულების წამომწყები იყო და სხვებსაც უბიძგებდა შეთქმულებისა და თვით აჯანყებისაკენ“) და საქართველოდან სამუდამოდ გაძევება გადაუწყვიტა (თავიდან უნტერ-ოფიცრის ჩინით ჰელსინგფორ-

სში, – დღევანდელ ჰელსინკში, – განლაგებულ დისციპლინარულ ბატალიონში უნდა ემსახურა). გამცემს მხოლოდ ის „შელავაით“ მისცეს, რომ სამხედრო სასამართლოზე არ გაიყვანეს და უკვე ფიქციად ქცეული თავადური ნოდებაც შეუნარჩუნეს. ოფიციალურ საბუთებში კი იასე ფალავანდიშვილის დასჯა ასეა დასაბუთებული: სინამდვილეში თავის გადარჩენა სურდა, თორემ „ბოროტგანზრახულობის“ გამომჟღავნების გულწრფელი სურვილი რომ ჰქონოდა, ორი წლის წინ გამოამჟღავნებდაო (აქტები, VIII, 407).

ამის შემდეგ იასე ფალავანდიშვილი გაქრა ქართველი საზოგადოების მხედველობის არედან (რაც ცნობები კი ჰქონიათ: გამცემი არხანგელსკში მოკვდაო – გაკვრით ამბობს 1880-იან წლებში დაწერილ „მემუარებში“ დიმიტრი ყიფიანი).

1887 წელს ჟურნალ „რუსსკაია მისლში“ გამოქვეყნდა რუსი მწერლისა და ეთნოგრაფის სერგეი მაქსიმოვის მოგონება „პეჩორის თავადი“ (С. Максимов, Печорский князь, „Русская мысль“, 1887, №12, с. 168-208). მოგონების ავტორი 1856-1857 წლებში, რუსეთის შორეული ჩრდილოეთის ევროპულ ნაწილში მოგზაურობისას, არხანგელსკის გუბერნიაში, პეჩორის მხარეში, სოფელ უსტ-ცილიმაში, შეხვედრია იქ მცხოვრებ იასე ფალავანდიშვილს და მრავლისმანახველ მწერალსა და მოგზაურზე იასეს წარუშლელი შთაბეჭდილება დაუტოვებია. ს. მაქსიმოვის მოგონებაში ჩვენ უკვე ვხედავთ უცნაურად (მეტი რომ არა ვთქვათ!) სახეცვლილ იასე ფალავანდიშვილს: ღვთისმოსავს, პეჩორის ღატაკ მოსახლეობაზე გადაგებულს, კეთილშობილებით, ურყევი ავტორიტეტითა და ყოვლად უმნიკვლო რეპუტაციით მთელს არხანგელსკის გუბერნიაში სახელმოსხვეჭილს, კაცს, რომელსაც პეჩორაში ადამიანის იდეალად აღიარებდნენ და რომლის სიტყვასაც ხმის ამოუღებლად ემორჩილებოდნენ, ამასთანავე – ცოდვამონანიებულსა და სამშობლოს მონატრულს.

ჩვენ ჯერჯერობით არ მოგვეპოვება საკმარისი მასალა საიმისოდ, რომ იასე ფალავანდიშვილის ასეთი მეტამორფოზის ახსნა ვცადოთ.

ორიოდე სიტყვა იასე ფალავანდიშვილის დაბადება-გარდაცვალების თარიღებზე...

საგამომძიებლო კომისიისათვის მიცემულ 1833 წლის 10 თებერვლის ჩვენებაში იასე ფალავანდიშვილი მიუთითებს – 30 წლისა ვარო. ამდენად, იგი 1803 წელს (ერთი წლის სავარაუდო ცდომილებით) ჩანს დაბადებული (იასე ალექსანდრე ჭავჭავაძის ნათლული იყო). რაც შეეხება მისი გარდაცვალების თარიღს, აქ საქმე უფრო რთულადაა.

ს. მაქსიმოვი იასე ფალავანდიშვილს უკანასკნელად 1857 წლის იანვარში (ან თებერვალში) შეხვდა, მოგონება მასზე 1887 წელს გამოაქვეყნა და რამდენიმე წლის შემდეგ ეს მოგონება არხანგელსკის გუბერნიაში თავისი მოგზაურობის ამსახველი ნიგნის – „ერთი წელი ჩრდილოეთში“ – მეოთხე, შევსებულ, გამოცემაში ცალკე თავად შეიტანა (წ. სთკემსრვ, ბრლ ნთ ჭევეპე, ჩიეფჰპირე, ლრარონენრე მზლთნმე, ს., 1890, ყ. 430-449). ამასთანავე, ავტორმა ნიგნს მოკლე წინასიტყვაობაც დაურთო და იქ აღნიშნა: იასე ფალავანდოვზე მოგონება ამ ნიგნის ადრინდელ გამოცემებში [1859, 1864, 1871 წწ.] იმიტომ ვერ მოხვდა, რომ ეს შესანიშნავი ადამიანი მაშინ ჯერ კიდევ ცოცხალი იყო („Печорский князь задержано было личными отношениями к тому замечательному лицу, которое было ещё в живих“).

უნდა ითქვას, რომ ს. მაქსიმოვის ეს არგუმენტი მაინცდამაინც დამაჯერებლად არ გამოიყურება (ავტორი არაფერს ამბობს იმაზე, თუ რატომ უნდა სწყენოდა იასე ფალავანდიშვილს მასზე დაწერილი აპოლოგია), თუმცა, ამჯერად მთავარი ისაა, რომ ამ მონაცემის მიხედვით, 1871 წლისათვის (ანუ ს. მაქსიმოვის ნიგნის ბოლოსწინა გამოცემისათვის) იასე ფალავანდიშვილი ცოცხალი ჩანს (ამ მხრივ, ის გარემოება, რომ მოგონების ავტორი 1857 წლის შემდეგ პეჩორაში არ ყოფილა და იასეს დასაფლავების ადგილს კი მაინც მიუთითებს, ბევრს არაფერს ნიშნავს. ეს ცნობა მას შეეძლო სხვადასხვა წყაროდან მიეღო, თუნდაც იმ პეტერბურგელი „გავლენიანი პირისაგან“, რომელიც 1886 წელს „მნიშვნელოვანი დავალებების შესასრულებლად“ პეჩორაში მიემგზავრებოდა და ს. მაქსიმოვთან პირად საუბარში გულისტკივილით ამბობდა: იასე ფალავანდოვის დახმარებით უკვე ველარ ვისარგებლებო – იხ. ს. მაქსიმოვის მოგონების ტექსტი). დასაინი კია, რომ ს. მაქსიმოვი არაფერს ამბობს იასე ფალავანდიშვილის არც გარდაცვალების თარიღზე და არც – სიკვდილის მიზეზზე. ეს ყველაფერი კი (ისევე როგორც სხვა ცნობები იასეზე) XIX საუკუნის 60-იანი წლების დასასრულისა და 70-იანი წლების არხანგელსკის პრესაშია საძიებელი (ასეთი პოპულარული, საყოველთაო სიყვარულითა და პატივისცემით გარემოსილი ადამიანის გარდაცვალებას არხანგელსკის პრესაში, უნდა ვიფიქროთ, რაიმე ფორმით გამოეხმაურებოდნენ).

რაც შეეხება იასე ფალავანდიშვილზე დაწერილი მოგონების ავტორს, სერგეი ვასილის ძე მაქსიმოვს, იგი 1831 წლის 7 ოქტომბერს დაიბადა რუსეთის მიყრუებულ პროვინციაში – კოსტრომის გუბერნიის კოლოგრივის მაზრა-



იასე ფალავანდიშვილი მხატვარი ი. ტიხონოვი



ში, თვალუწვდომელ ტყეებში ჩაკარგულ და ლატაკებით დასახლებულ დაბა პარფენტიევში, ადგილობრივი ფოსტმისტერის ოჯახში. დედა ორი წლისას გარდაეცვალა და დედინაცვლის ხელში გაიზარდა. მაქსიმოვების ოჯახთან მეგობრობდა ახალგაზრდობის წლებში პუშკინთან და გრიბოედოვთან დაახლოებული, შემდეგ კი ხელისუფლების მიერ შერისხული და კოლოგრივის მახრამში, საკუთარ საგვარეულო მამულში, მუდმივად და გამოუსვლელად მცხოვრები მწერალი-დეკაბრისტი პავლე კატენინი (1792-1853). კატენინის, – მშვენიერი ბალადების ავტორის, – გამახვილებული ინტერესის საგანი იყო უბრალო რუსი ხალხის ყოფა, რუსი გლეხის ფსიქოლოგიისა და ყოფითი თავისებურებების მხატვრული ასახვა. ამიტომაც, სერგეი მაქსიმოვის შემოქმედების მკვლევრები ვარაუდობენ – მომავალი მწერალ-ეთნოგრაფის ინტერესების ჩამოყალიბებაში კატენინთან მის ბავშვობისდროინდელ ურთიერთობასაც უნდა მოეხდინა კეთილისმყოფელი გავლენა.

სერგეი მაქსიმოვმა პირველდანიყებითი განათლება პარფენტიევშივე მიიღო, შემდეგ კოსტრომის გიმნაზია გამორჩეული მოსწავლის სახელით დაამთავრა და 1850 წელს მოსკოვში გაემგზავრა – იქაური უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე სურდა მოწყობა, მაგრამ მისი ეს ცდა წარუმატებელი გამოდგა. 1848 წელს ევროპაში განვითარებული რევოლუციური მოვლენებით დამფრთხალმა რუსეთის საიმპერატორო კარმა მკვეთრად შეამცირა უნივერსიტეტში მისაღები კონტინგენტი, ხოლო ფილოლოგიის ფაკულტეტი, როგორც თავისუფალი აზრის დაუმორჩილებელი და, ამდენად, სახიფათო კერა, საერთოდ დახურა. ასე მოხვდა ფილოლოგიურ განათლებას მოწყობილი პროვინციული ქაბუკი მოსკოვის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე, თუმცა ამას მისთვის ხელი არ შეუშლია, უნივერსიტეტშივე არსებულ ხალხური შემოქმედების შემსწავლელ წრეში გაერთიანებულიყო. ს. მაქსიმოვმა ჯიუტად გაიკვლია გზა მოსკოვის ლიტერატურული პრესის რედაქციებისაკენ და ცნობილ მწერლებსა და ლიტერატორებსაც დაუახლოვდა (ა. ოსტროვსკის, ა. მაიკოვს, ა. პისემსკის...). 1852 წელს მან კიდევ ერთხელ სცადა ბედი – პეტერბურგის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე შესვლა მოინდომა, მაგრამ, ბედის ირონიით, ისევ სამედიცინოზე (ამჯერად, პეტერბურგის სამხედრო-სამედიცინო აკადემიაში) ჩარიცხეს. განზილებულმა სტუდენტმა მალე მიატოვა აკადემია და ამის შემდეგ სწავლის გაგრძელებაზე აღარც უფიქრია.

1854 წელს პეტერბურგის ჟურნალებში ზედიზედ დაიბეჭდა სერგეი მაქსიმოვის ნიჭიერად დანერგილი ნარკვევები, რომლებშიც უბრალო ხალხის ყოველდღიური ყოფა იყო აღწერილი. ლიტერატურულ წრეებში ამ ნარკვევებს ინტერესით კითხულობდნენ. ივანე ტურგენევის შექებით ნახალისებულმა ახალბედა მწერალმა, ტურგენევის რჩევითვე, 1855 წელს მოიარა ვლადიმირის, ნიჟნი-ნოვგოროდისა და ვიატკის გუბერნიები და, იქიდან დაბრუნებულმა, ეთნოგრაფიული ხასიათის შთამბეჭდავი წერილები გამოაქვეყნა. იმავე წელს დიდი მთავრის, კონსტანტინე ნიკოლოზის ძის (ნიკოლოზ I-ის შვილის), ინიციატივითა და მონდომებით რუსეთის განაპირა გუბერნიების ეთნოგრაფიული შესწავლა გადაწყდა, სპეციალური ექსპედიციებიც შეიქმნა და ი. პანაევის რეკომენდაციით სერგეი მაქსი-

მოვს რუსეთის შორეული ჩრდილოეთის ევროპული ნაწილის გამოკვლევა მიანდეს.

1856 წლის თებერვალში ახალგაზრდა მწერალი-მოგზაური მარტოდმარტო დაადგა ჩრდილოეთის გრძელ და ხიფათიან გზას, მოიარა არხანგელსკის გუბერნია, იქ ერთი წელიწადი დაყო და პეტერბურგში დაბრუნებისთანავე შეუდგა მუშაობას ნიგნზე, რომელიც 1859 წელს ორ ტომად გამოსცა სათაურით – „ერთი წელი ჩრდილოეთში“ („Год на Севере“). ნიგნის გამოსვლას როგორც ფართო საზოგადოებრივ, ისე სამეცნიერო და სალიტერატურო წრეებში დიდი რეზონანსი მოჰყვა (აღფრთოვანებული გამოხმაურებები და რეცენზიები, „რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების“ ოქროს მედალი, სახელისუფლებო წრეების საზგამსული მონონება და სხვ.). უკვე აღიარებულმა მწერალმა და ეთნოგრაფმა ამის შემდეგ რუსეთის იმპერიის კიდევ რამდენიმე გუბერნია მოიარა და იქ შეკრებილ მასალებზე დაყრდნობით არა ერთი და ორი თავის დროზე გახმაურებული ნიგნი დაბეჭდა (ს. მაქსიმოვის თხზულებები 1908-1913 წლებში სანქტ-პეტერბურგში 20 ტომად დაიბეჭდა სერით – „მსოფლიო ბიბლიოთეკა. სახელგანთქმული რუსი და უცხოელი მწერლების თხზულებათა კრებულები“. ამავე სერით გამოიცა, სხვათა შორის, პუშკინის, ლერმონტოვის, გოგოლის, დოსტოევსკის, ტოლსტოის, დიკენსის, მოპასანისა და სხვ. ტომეულები; ხოლო მანამდე მწერალ-ეთნოგრაფის გულწრფელი პატივისმცემელი და დამფასებელი მიხეილ სალტიკოვ-შჩედრინი წერდა: „მაქსიმოვის უძვირფასესი ღირსება ისაა, რომ იგი ზედმიწევნით იცნობს ხალხს, მის ყოფას, მატერიალურ თუ სულიერ მდგომარეობასა და მოთხოვნილებებს. ამ მხრივ, მისი ნაწერები, – დალის, მელნიკოვის, იაკუშკინისა და სხვების ნაშრომებთან ერთად, – სამაგიდო წიგნად უნდა იქცეს იმ მკვლევართათვის, რომელთაც ყოველივე რუსულის შესწავლა და გამოკვლევა აქვთ გადაწყვეტილი“).

სერგეი მაქსიმოვის ნაწერებიდან საგანგებო მნიშვნელობას ანიჭებენ ნიგნს – „ციმბირი და კატორღა“ („Сибирь и каторга“). 1860-1861 წლებში მწერალმა იმოგზაურა ციმბირში, მოიარა კატორღის ადგილები, შეხვდა და ესაუბრა კატორღელებს და კონკრეტულ მასალაზე დაყრდნობით წარმოაჩინა რუსული კატორღის, – ამ შემზარავი, ადამიანის უფლებებისა და ღირსების უარყოფელი, მოვლენის, – ისტორიული ფესვები, თანადროული მდგომარეობა და ფსიქოლოგიური ბუნება. ცენზურასთან დაახლოებით ათწლიანი „ომის“ შემდეგ ამ ნიგნის გამოცემა მხოლოდ 1871 წელს მოხერხდა (სამ ტომად). „აუცილებლად უნდა ნაიკითხოთ მაქსიმოვის განთქმული „ციმბირი და კატორღა“. როგორი შემადრწუნებელია ადამიანის ბუნება და საქციელი! პირუტყვიც კი არ იზამს იმას, რასაც ჩვენი ხელისუფლება სჩადისო“ – წერდა ლევ ტოლსტოი და დასძინდა: „ეს ნიგნი საუცხოო სიუჟეტებითაა სავსეო“ (უნდა ითქვას, რომ მაქსიმოვის ნიგნიდან აღებული ერთ-ერთი სიუჟეტი ტოლსტოის გამოყენებული აქვს კიდევაც მოთხრობაში – „რისთვის?“). „ციმბირი და კატორღა“ გამოსვლისთანავე იქცა ნ. ნეკრასოვის, ალ. ოსტროვსკის, მიხ. სალტიკოვ-შჩედრინის არა ერთი და ორი მხატვრული ნაწარმოების შემოქმედებით წყაროდ თუ იმპულსად (ა. სკაბირევსკი მაქსიმოვის ამ ნიგნს რუსული კატორღის „ილიადასა“ და „ოდისეას“ უწოდებდა).

სერგეი მაქსიმოვის სამეცნიერო-შემოქმედებით ცხოვრებაზე (და კერძო ცხოვრებაზეც) ნეგატიური გავლენა იქონია მისმა ფარულმა და შემდეგ გამომჟღავნებულმა კავშირმა „ლონდონელ ემიგრანტებთან“ ა. გერცენთან და ნ. ოგარიოვთან – მწერალმა დაკარგა რუსეთის სახელისუფლებო წრეების კეთილგანწყობა, რაც მისთვის აუცილებელი იყო შორეული და ხანგრძლივი მოგზაურობების ოფიციალური ნებართვისა და მატერიალური უზრუნველყოფისათვის (ს. მაქსიმოვზე ორი წლის განმავლობაში პოლიციის ფარული თვალთვალი იყო დაწესებული). ამ გარემოებამ, ერთი მხრივ, და, ამასთანავე, ოჯახის შენახვის საჭიროებამ, ს. მაქსიმოვი იძულებული გახდა, მისთვის შეუფერებელი, კაბინეტური და რუტინული საქმისათვის მოეუკიდებინა – 1868 წლიდან თითქმის სიცოცხლის ბოლომდე (1898 წლამდე) რედაქტორობდა გაზეთს „სანქტ-პეტერბურგის საქალაქო მმართველობისა და დედაქალაქის პოლიციის უწყებანი“, თუმცა, არც სამეცნიერო-სალიტერატურო მუშაობა შეუწყვეტია (არა ადრინდელი ენერგიულობითა და პროდუქტიულობით, ცხადია).

1900 წელს ანტონ ჩეხოვის წინადადებით რუსული ენისა და ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის სერგეი მაქსიმოვს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო აკადემიკოსის წოდება მიანიჭეს. ცხოვრებისაგან გატეხილი და უკურნებელი ქლევისაგან გატანჯული მწერალი ასეთ გამორჩეულ პატივსა და აღიარებას უხალისოდ და ირონიით შეხვდა („საპატიო აკადემიკოსობის მონიჭება მავალდებულებს, თეთრი ჰალსტუხი გავიკეთო, შავი ფრაკი ჩავიცვა, [დიდ მთავართან] კონსტანტინე კონსტანტინეს ძესთან მიღებაზე გამოვცხადდე, დაავადებული ყელიდან ამოსული ხავილით მას ჩემი თავი წარვუდგინო, მდიდარი მოსკოველი ვაჭარივით ორივე ხელი მუცელთან მივიტყუპო და, წელში მოხრილმა, მდაბლად იქამდე ვუქნო თავი, სანამ თვალეში სისხლი არ ჩამექცევას“ – სწერდა ს. მაქსიმოვი თავის ერთ კოსტრომელ მეგობარს).

სერგეი მაქსიმოვის უკანასკნელი ოცნება იყო თავის მეგობართან, ანტონ ჩეხოვთან, ერთად იალტაში დასახლება, მაგრამ მან ეს ოცნება, – ისევე როგორც მშობლიური პარფენტიევის ნახვის ნატვრა და ამ ნატვრისაგან აღძრული გაუნელებელი სევდა, – საფლავში ჩაიტანა, 1901 წლის 16 ივნისს პეტერბურგში გარდაიცვალა.

სერგეი მაქსიმოვის შემოქმედების მკვლევარები ერთსულოვნად აღნიშნავენ, რომ, გარდა საკუთრივ საისტორიო და ეთნოგრაფიული მნიშვნელობისა, მაქსიმოვის წიგნები რუსული ლიტერატურისათვის იმითაც არის ფასეული, რომ მათში ნიჭიერი ბელეტრისტის ტალანტია აღბეჭდილი; ამასთანავე, საგანგებო ყურადღებას ამახვილებენ ეთნოგრაფ-ბელეტრისტის არაჩვეულებრივად მდიდარ ენაზე („მაქსიმოვის თხზულებებში რუსული ენა მთელი თავისი სიღრმით, ფერადოვნებითა და დიდებულებითაა წარმოჩენილი“, „მაქსიმოვის პროზა ნამდვილი შხამსანინააღმდეგო საშუალებაა ჩვენი ენობრივი უკულტურობის საერთო ფონზე“ – ასეთ ან ამის მსგავს არაერთ შეფასებას ნახავთ ს. მაქსიმოვის შემოქმედებაზე დაწერილ ნაშრომებში).

საბჭოთა პერიოდში სერგეი მაქსიმოვისა და მისი ნაწერებისადმი ინტერესი ჯერ შენედა, შემდეგ – თითქმის გაქრა (საკმარისია ითქვას, რომ იგი შეტანილი არაა 1970-

1978 წლებში გამოცემულ „დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში“), თუმცა 1980-იანი წლებიდან რუსეთის სამეცნიერო-სალიტერატურო წრეებში კვლავ იღვიძებს ინტერესი ამ უსამართლოდ მივიწყებული მწერლისადმი: მოსკოვში გამოცა ს. მაქსიმოვის „რჩეული“ (1981), „რჩეული ნაწარმოებები ორ ტომად“ (1987), დაიბეჭდა მისი ცალკეული თხზულებები, სტატიები და გამოკვლევები მწერლის შემოქმედებაზე და სხვ.

ჩვენი ინტერესის საგანი კი ამჟამად სერგეი მაქსიმოვის მოგონებაა ისევე ფალავანდიშვილზე – ამ ბედკრულ ადამიანზე, რომელიც საკუთარ ცოდვას ქვეყნის დასალიერმო გაჰქცევია და რომელზეც მწერალი დიდი ხნის შემდეგაც ღრმა სიყვარულითა და გულწრფელი პატივისცემით წერს.

მაინც რატომ მიუბრუნდა 1887 წელს ს. მაქსიმოვი 30 წლის წინანდელ ამბავს?

როგორც ეს ზემოთ გვაქვს აღნიშნული, 1890 წელს გამოცემულ წიგნში – „ერთი წელი ჩრდილოეთში“ – ავტორი ამ ფაქტს ასე ხსნის: წინა გამოცემების დროს ეს შესანიშნავი ადამიანი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო; ხოლო მანამდე, – ჟურნალ „რუსსკაია მისლში“ გამოქვეყნებული პირველნაბეჭდის სქოლიოში, – კიდევ უფრო ბუნდოვნად და მიკიბულ-მიკიბულად მიუთითებს: ზოგჯერ ისე მოხდება ხოლმე, რომ მოგზაურობასთან დაკავშირებული ესა თუ ის ეპიზოდი ამა თუ იმ გარემოების გამო ვერ მოხვდება ტექსტში – ან პერიოდული გამოცემის სპეციფიკური პროფილის გამო, ან სხვა რამ მიზეზი გამომჩნდება, ან კიდევ სულაც სჩქარეში თავიდან ამოგივარდება და მერე იძულებული ხდები, დაკლებულ მასალას ისევ მიუბრუნდეთ. ასე მოხდა მაშინაც, როცა ვწერდი წიგნს „ერთი წელი ჩრდილოეთში“. ამ წიგნს დააკლდა მთელი რიგი მონაკვეთებისა მაშინდელი საცენზურო პირობების გამო (მაგალითად, საეკლესიო განხეთქილებასთან – „რასკოლთან“ – დაკავშირებული ამბები), ხოლო რაც შეეხება ისევე ფალავანდოვზე წინამდებარე მოგონებას, ამ შემთხვევაში ხელისშემშლელი გარემოება ჩემი პირადი ურთიერთობა იყო იმ ადამიანთან, ვისაც ეს მოგონება ეძღვნება.

იასეზე მოგონების 1887 წელს გამოქვეყნების ნამდვილი მიზეზი, შესაძლებელია, სულ სხვა რამ ყოფილიყო. კერძოდ:

1886 წელს ჟურნალ „რუსსკაია სტარინაში“ გამოქვეყნდა დიმიტრი ყიფიანის ცნობილი მოგონებების პირველი ნაწილი, სადაც ნათქვამია: 1837 წელს ვოლოგდიდან (სადაც დიმიტრი 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობის გამო იყო გადასახლებული) თბილისში რომ დავბრუნდი, „გუბერნატორად დამხვდა იგივე თქვენი ფალავანდიშვილი, ძმა შემდეგში არხანგელსკში დალუპული დამბეზღებისა 1832 წელს“ (დ. ყიფიანი, მემუარები, თბ., 1990, გვ. 25; დედანში: „Губернатором застал здесь всё того же Палавандова, брата, погибшего впоследствии в Архангельске, доносчика 1832 г. – иб. „Русская старина“, 1886, т. 49, с. 529). „რუსსკაია სტარინა“ იყო უაღრესად პოპულარული გამოცემა და მას მთელს რუსეთში კითხულობდნენ. ამდენად, ისევე ფალავანდიშვილის გამცემლობის ამბავი საქვეყნოდ გამომჟღავნდა. ვფიქრობთ, ს. მაქსიმოვის თავისი მოგონების გამოქვეყნებით სურდა, სირცხვილი ჩამოერეცხა იმ ადამიანის ხსოვნისათვის, ვისი გულწრფელი პატივისმცემელიც იყო.

ამასვე უნდა ადასტურებდეს კიდევ ერთი საყურადღებო გარემოება(ც: ს. მაქსიმოვი „პეწორის თავადში“ საგანგებო ყურადღებას ამახვილებს 1832 წლის შეთქმულებაზე და გადმოსცემს ამ მოვლენის ძირითად (არსებითი მნიშვნელობის!) მომენტებს. საამისოდ მას უსარგებლია „კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტებში“ გამოქვეყნებული მასალით. „აქტების“ ეს თავი (Дело о грузинском заговоре) კი რუსეთის სამხედრო მინისტრისადმი მთავარმართებელ როზენის მიმართული იწყება: 9 დეკემბერს გენერალ ვოლხოვსკისთან საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორის ძმა, იასე ფალავანდიშვილი, გამოცხადდა და საქართველოდან რუსების განდევნის მიზნით შეთქმულების შესახებ დასმენის ქალაქი დაწინაურა („...подал донос о существовании заговора для изгнания русских из Грузии“). შესაბამისად, ს. მაქსიმოვი მაჩინებულად იცოდა შეთქმულების ჩავარდნაში იასე ფალავანდიშვილის საქრახისი (მეტი რომ არა ვთქვათ!) როლი. მიუხედავად ამისა, მწერალს მაინც უღალატა არაერთი რეცენზენტისა თუ მკვლევრის მიერ ნაქებმა ობიექტურობამ (მიუყვრძობებელია, ფაქტებსა და მოვლენებს

ფოტოგრაფიული სიზუსტით აღწერს და, ამდენად, სანდო ავტორიაო და სხვ.) და ისტორიული ფაქტი გააყალბა. ჯერ ერთი, შეთქმულების გაცემა ყრუდ და ბუნდოვნად ალექსანდრე ჭავჭავაძის სახელს დაუკავშირა და, ამას გარდა, თვითონ იასეზეც მიუთითა – იგი შეთქმულებაში „არსებით მონაწილეობას არ იღებდაო“ (მეტი დამაჯერებლობისათვის ავტორს ეს ფრაზა ბრჭყალებში აქვს ჩასმული, თითქოს „აქტებიდან“ იმონებდეს ციტატას. „აქტებში“ კი მკაფიოდ და გარკვევით წერია – ფალავანდოვი შეთქმულებაში არსებითი ხასიათის მონაწილეობას იღებდაო: „...в заговоре принимал он самое живое и деятельное участие“ – VIII, 396).

დასასრულ, ისიც უნდა ითქვას, რომ ს. მაქსიმოვის მოგონება სულ უცნობი აქამდეც არ ყოფილა. სხვადასხვა დროს მას არაერთი ქართველი მკვლევარი შეხებია (მაქს. ბერძინიშვილი, გ. ხაჭაპურიძე, ს. ხუციშვილი და სხვ.), თუმცა – ყოველთვის გაკვირითა და საგანგებო ყურადღების გარეშე. არადა, „პეწორელი თავადი“, ვფიქრობთ, საინტერესო მასალაა ჩვენი ისტორიისათვის და ამიტომაც ვთავაზობთ მას „ჩვენი მწერლობის“ მკითხველს.

დეტაქტივის მაგიერ

ფრენსის გალტონი და თითის ანაბეჭდები



XIX საუკუნის სენსაცია

ახლა უკვე ყველასათვის ცნობილია, რომ თითის ანაბეჭდებით დანაშაულის გახსნა შესაძლებელია. მაგრამ ეს ხომ ყოველთვის ასე არ ყოფილა. XIX საუკუნის მიწურულს გამოძიებელთა განკარგულებაში მხოლოდ სიტყვიერი პორტრეტი, კვალი, ფერფლი და უკეთეს შემთხვევაში დედუქციური მეთოდი იყო. დაქტილოსკოპია პოლიციის სამსახურში 1900 წელს ჩადგა, მას შემდეგ, რაც დამტკიცდა: ადამიანთა თითის ანაბეჭდებით სავსებით ზუსტად შეიძლება პიროვნების ამოცნობა. ამ არაჩვეულებრივი აღმოჩენის ავტორია ინგლისელი მკვლევარი ფრენსის გალტონი.

1888 წლის 6 აგვისტოდან 9 ნოემბრამდე ლონდონში რამდენიმე საშინელი მკვლელობა მოხდა, რამაც ლონდონელებს სიმშვიდე დაუკარგა. უცნობი დამნაშავე უაიტჩეპლის, სპაიტფიდისა და სტეპნის რაიონებში მოქმედებდა, სანადიროდ ღამით გამოდიოდა - ყველა მკვლელობა 23.00-სა და 4.00 საათებს შორის იყო ჩადენილი. ყველა მსხვერპლი მეძავე იყო. სისასტიკის გამო მკვლელს ჯეკ მფატრავი შეარქვეს. დანაშაულთა ჩადენა ისევე მოულოდნელად შეწყდა, როგორც დაინყო, და გაუხსნელიც დარჩა.

აფორიაქდენ არამარტო უბრალო ლონდონელები, სერიოზულად შემფოთდენ სკოტლანდ-იარდშიც - ლონდონის პოლიციის რეზიდენციაშიც, რომელიც მდინარე ტემზაზე განლაგებულ ნანვეტებულ ფრონტონებიან და კუთხეებში ციხის ქონგურებიან შენობებში იყო განთავსებული. ლონდონს სტუმრობისას ადრე აქ შოტლანდიის მეფეები ჩერდებოდნენ. ინგლისური კრიმინალური პოლიციის დასახელება აქედან მოდის - სკოტლანდ-იარდი (შოტლანდიური)

სკოტლანდ-იარდი შეუდგა იმ რეციდივისტთა სიის შედგენას, რომელთაც, მათი აზრით, შეეძლოთ ჩადენიანთა დანაშაული. ექვმიტანილთა გარეგნული აღწერილობა მეტად ზედაპირული იყო. განსაკუთრებული ნიშნები იშვიათად სახელდებოდა და თანაც ასეთი სახისა: „სვირინგი მარცხენა არათითზე“. ადამიანის მოძებნა ამ ნიშნით, შეუძლებელი გახლდათ: იმ დროს ასეთი სვირინგი ძალზე გავრცელებული იყო. სკოტლანდ-იარდის ალბომები 115 ათასამდე ფოტოს ითვლიდა. დამნაშავეთა ზედამხედველობის განყოფილების თანამშრომლები რამდენიმე დღე იქეჭებოდნენ კართოტეკაში, საჭირო ბარათი რომ ეპოვნათ. არც ციხეებში იდენტიფიკაციის საქმე იყო უკეთ. პოლოუის ციხეში 30 თანამშრომელი კვირაში სამჯერ ატარებდა პატიმართა ამოცნობას. ციხეში ერთი მისვლით ისინი საშუალოდ 4 პატიმრის იდენტიფიციკრებას ახდენდნენ. თითო იდენტიფიკაციას 90 საშუალო საათი სჭირდებოდა, თანაც ხშირი იყო შეცდომა. ნამდვილი დამნაშავენი კი გარეთ რჩებოდნენ. ასე ხდებოდა იყო მთელს ევროპაში. ფრანგული პოლიცია გაუხსნელ საქმეთა ტვირთქვეშ იჭყლიტებოდა. ასეთივე დღეში იყვნენ გერმანია და იტალია.

ფრენსის გალტონი 1822 წელს დაიბადა შეძლებულ ოჯახში. შვიდი ბავშვიდან ყველაზე პატარა იყო. მამა, სე-

მუელ გალტონი, წარმატებული ბანკირი, ხოლო დედა, ფრენსია, - ცნობილი მედიკოსის, ფილოსოფოსისა და პოეტის - ერაზმუს დარვინის ქალიშვილი გახლდათ. ბავშვობაში ფრენსის ბევრ დროს ატარებდა მამის ქიმიურ ლაბორატორიაში - იგი ხომ მუდამ ექსპერიმენტებში იყო ჩაბმული, რომლებიც ძალზე წააგავდა ალქიმიურ ცდებს.

მოზარდ ფრენსის ხშირი ურთიერთობა ჰქონდა ცნობილ ნათესავებთან - პაპა ერაზმუსსა და ბიძა რობერტ დარვინებთან. ყმანვილი დარვინის განათლება მათ იდეს თავს. ფრენსის მშობლებს ეჭვიც არ შეპარვიათ, რომ მათი შვილი ცნობილი ექიმი, ოჯახურ ტრადიციათა ღირსეული გამგრძელებელი გახდებოდა. ამიტომაც 1838 წელს, სკოლის დამთავრების შემდეგ ფრენსის ბირმინგემს გაემგზავრა სტაჟირებისათვის მთავარ ჰოსპიტალში, რათა მერე სწავლა განეგრძო. ერთი წლის შემდეგ უკვე სამეფო კოლეჯის სამედიცინო განყოფილებაზე სწავლობდა, 1840 წელს კი კემბრიჯის ტრინიტი-კოლეჯში გადაიყვანეს. აი, აქ კი ფრენსის თანდათან მიხვდა, რომ მედიცინა მისი ცხოვრების საქმე არ იქნებოდა. ის მთელი არსებით მათემატიკაში გადავარდა.

მართალია, თავდაპირველად 18 წლის ყმანვილს ამ მეცნიერებისადმი პანიკური შიში დაეუფლა, რადგანაც თანატოლებთან შედარებით გაცილებით ცუდად იცოდა ეს საგანი. მაგრამ ფრენსისმა, რომელიც უსაზღვროდ თავმოყვარე გახლდათ, 3 წელიწადში ისე გადაუსწრო მათ ამ დისციპლინის ათვისებისას, რომ ბრიტანულმა მათემატიკურმა ჟურნალებმა მისი სტატიების გამოქვეყნება დაიწყეს. შეპყრობილივით მეცადინეობდა, დღე-ღამეში 3-4 საათი ეძინა, საქმიანობის წრეს გამუდმებით აფართოებდა - მათემატიკას დამატება ანთროპოლოგია, ბიოლოგია, ისტორია, რასობრივი გენეტიკა. მამის გარდაცვალების შემდეგ, 1844 წელს, ფრენსის მთლიანად ჩაეფლო მემკვიდრეობითობის, ავადმყოფობისა და გარდაცვალების მიზეზთა საკითხებში, რითაც გამოიგონა არამართო უპოპულარულესი მეცნიერება ევგენიკა, არამედ თვით ტერმინიც. თავის ბიძაშვილთან ჩარლზ დარვინთან ერთად დიდი მონდომებით ეძიებდა უკვდავების მეცნიერულ რეცეპტებს.

მოულოდნელად მისი ინტერესი საზოგადოებრივმა სფერომ მიიპყრო.

რამდენიმე წლის შემდეგ ფრენსის გალტონი საკმაოდ ცნობილი გახდა ევროპაში, როგორც გავლენიანი და რესპექტაბელური საზოგადოებრივი ადვოკატი, რასობრივ უმცირესობათა დამცველი. ავსტრალიაში დიდ პატივს სცემდნენ, რადგან ადგილობრივი მოსახლეობის სამოქალაქო უფლებების დასაცავად გამოდიოდა. გალტონი მგზნებარე ორატორი, დაუოკებელი მოგზაური, მინების, ხალხთა თუ მეცნიერებათა პირველადმომჩენი, პარადოქსების მოყვარული გახლდათ. იგი შეუდგა თავის ბიძაშვილის ლეგენდარული ევოლუციის თეორიის განვრცობას


იმის მტკიცებით, სულაც არ ეწინააღმდეგება სამყაროს ღვთაებრივი წარმოშობის თეორიასო. ასე რომ, მატერიალისტები, გემრიელად რომ იფუნქტდნენ ხელებს და ამბობდნენ, „ღმერთი არ არსებობსო!“, ძლიერ გულდანწყვეტილი დარჩნენ, როცა მოისმინეს ფრენსისის რამდენიმე ვარსკვლავური მოხსენება, სადაც მან დაბეჯითებით დამტკიცა, ჩემი ბიძაშვილის თეორიას თეოსოფიური ფესვები აქვსო. იმისკენ, რასაც ამბობდა თუ აკეთებდა გალტონი, საყოველთაო ყურადღება იყო მიპყრობილი. ფრენსის გალტონი იყო პირველი ადამიანი, ვინც ღმერთის არსებობის სამეცნიერო მტკიცებულებანი შესთავაზა საზოგადოებას. იგი კვარცხლბეკზე ერთნაირად აღამალეს როგორც ეკლესიამ, ისე ბრიტანეთის მეცნიერებმა.

1884 წელს ლონდონის საერთაშორისო გამოფენაზე ცნობისმოყვარე დამთვალეიერებელთათვის საოცრად მიმზიდველი საგნების სიმრავლე შეინიშნებოდა. ერთ-ერთი იყო პავილიონი, რომელშიც, ყოველ მსურველს შეეძლო 3 პენსად საკუთარი ფიზიკური უნარები განესაზღვრა და შეეფასებინა.

შესასვლელში ფულის გადახდის შემდეგ ადამიანი გრძელ შენობაში ხვდებოდა, სადაც კედელთან სხვადასხვა ინსტრუმენტებითა და აპარატებით სავსე მაგიდა იდგა. შემოსულს ახალგაზრდა მამაკაცი ხვდებოდა. ის მომსვლელის სიმაღლეს, წონას, ტორსის სიგრძეს, ფიზიკურ ძალას, რეაქციის სისწრაფეს, ფილტვების მოცულობას, ფერების გარჩევის უნარს, მხედველობასა და სმენას ამოწმებდა. ხანდახან ამ პროცესს წარმოსადეგი, გვარიანად შემოღობული 60 წლამდე ასაკის მამაკაცი ესწრებოდა. ეს გახლდათ ფრენსის გალტონი.

ბიძაშვილის - ჩარლზ დარვინის წიგნმა „სახეობათა წარმოშობა“, რომელშიც დანვრილებითაა განხილული მემკვიდრეობითობის პრობლემები, გალტონს ალუძრა სურვილი ფიზიკურ და გონებრივ შესაძლებლობათა მემკვიდრეობით გადაცემას ჩაკვირებოდა. მეცნიერს ოჯახების სხვადასხვა თაობის სტატისტიკური მონაცემები სჭირდებოდა. წლიდან წლამდე უყრიდა თავს ამ მონაცემებს. უფრო ვრცელი მასალის შესაგროვებლად კი საერთაშორისო გამოფენაზე გასართობი პავილიონი შეიქმნა. მოპოვებული მონაცემები გალტონის არქივში გადადიოდა. მეცნიერი ძალზედ კმაყოფილი იყო კვლევის შედეგებით, და როცა 1885 წელს გამოფენა დაიხურა, ვერ მოისვენა, სანამ ლონდონის საუთ-კენსინგტონის ცნობილ მუზეუმში მუდმივი ლაბორატორია მოაწყო, სადაც შესწავლას აგრძელებდა.

1888 წელს ლონდონური გაზეთები სენსაციურმა სიახლემ მოიცვა. პარიზის პოლიციის იდენტიფიკაციის სამსახურის უფროსად დაინიშნა ალფონს ბერტილიონი, სწორედ ის, სიურტეს სააღრიცხვო განყოფილებაში აღმწერად რომ მსახურობდა. შეუძლებელია! დიახაც! რამდენიმე წელიწადში ბერტილიონმა შეიმუშავა ბარათების რე-



ფრენსის გალტონი

გისტრაციის სისტემა დამნაშავეთა დახასიათებით, რომლის წყალობითაც რამდენიმე წუთში დგინდებოდა, არსებობდა თუ არა კართოტეკაში მონაცემები ადამიანზე, რომლითაც პოლიცია იყო დაინტერესებული. 1883 წლის იანვრის დამდეგს ბერტილიონის კართოტეკა 500-მდე ბარათს ითვლიდა, 1883 წლის იანვრის შუა რიცხვებისათვის – 1000-ს, თებერვლის დასაწყისში კი – 1600-მდე. პარიზის პოლიციის თანამშრომლებმა დაინყეს ბერტილიონის მეთოდის გამოყენება და მას ბერტილიონაჟი შეარქვეს. რეგისტრაციის სისტემა ფუნქციონირებდა. და ბერტილიონაჟიც, მისადმი პოლიციის ხელმძღვანელთა სკეპტიკური დამოკიდებულების მიუხედავად, თანდათან მთელს ევროპაში გავრცელდა. 1887 წლისათვის ბერტილიონის სახელი პოლიციის ყველა განყოფილებაში იცოდნენ.

სამეფო საზოგადოება ბერტილიონის მეთოდი დაინტერესდა. მან მიმართა ფრენსის გალტონს თხოვნით, შეესწავლა ეს საკითხი და მოხსენებით გამოსულიყო სამეფო სამეცნიერო საზოგადოების ერთ-ერთ განთქმულ „პარასკეობაზე“. გალტონმა მიიღო მოწვევა და დაუყოვნებლივ გაემგზავრა პარიზს თვით ბერტილიონისაგან ინფორმაციის მისაღებად. შემდეგ მოხსენებაში აღნიშნა: „პარიზში მოკლევადიანი ვიზიტისას შევხვდი ბატონ ბერტილიონს და გავეცანი მის სისტემას. ვერაფერი შეეძრება იმ გულმოდგინეობას, რომლითაც მისი ასისტენტები ახარისხებენ დამნაშავეთ. მათი ხერხები სწრაფია და ზუსტი. ყველაფერი კარგადაა ორგანიზებული...“ მაგრამ გალტონი ბერტილიონის აღმოჩენის შესახებ შეტყობინებით არ შემოფარგლულა. რადგანაც იდენტიფიკაციის საკითხში მოუწია ჩაღრმავება, გადაწყვიტა, საფუძვლიანადაც გაეაზრებინა. მოხსენებამდე, რომელიც გალტონმა 1888 წლის 25 მაისს წაიკითხა, დრო არ ჰქონდა ახალი იდეის გადასამუშავებლად. მაგრამ გამოსვლისას აღნიშნა, ბერტილიონის სისტემის გარდა არსებობს იდენტიფიკაციის კიდევ ერთი საშუალება – თითის ანაბეჭდების მიხედვით, რასაც ჯერ არავინ აქცევდა ყურადღებას. მოხსენების შემდეგ გალტონი მაშინვე შეუდგა საქმეს. მას აინტერესებდა, თითის ანაბეჭდები მართლა უცვლელია თუ არა ადამიანის მთელი ცხოვრების მანძილზე.

გალტონმა გაიხსენა, რომ ერთ-ერთი მისი მეგობარი, პოლიციელი ჰერშელი უკვე 30 წელი იქნებოდა, რაც სხვადასხვა ადამიანის თითის ანაბეჭდებს აგროვებდა, რაიმე ქვე აზრი კი მის ამ გატაცებას არ ჰქონია. გალტონი ამ კოლექციის შესწავლაში ჩაეფლო და საკუთარის შედგენასაც შეუდგა. ლუპით ხელში საათობით ათვალიერებდა ანაბეჭდებს და დასკვნებს ბლოკნოტში იწერდა. მისი მითითებით თითის ანაბეჭდებს იღებდნენ განურჩევლად ყველასაგან, საუთ-კენსინგტონის მუზეუმის ლაბორატორიის დამთვალეიერებლებისაგანაც კი

მალე გალტონი დარწმუნდა, პაპილარული ხაზები ნახატის 4 ძირითად ტიპს ქმნიან, რომელთაგანაც წარმოიქმნება სხვა დანარჩენი მონახაზები. ძალიან ხშირად ხვდებოდა სამკუთხედები, რომლებსაც პაპილარული ხაზები ქმნიდნენ და ანაბეჭდზე ან მარჯვენა ან მარცხენა მხარეს აღინიშნებოდნენ. სხვა ანაბეჭდებს ორი ან რამდენიმე სამკუთხედი აღინიშნებოდათ. ზოგი საერთოდ სამკუთხედების გარეშე იყო. გალტონის რომელიღაც თანა-

მემამულემ მისი სტატისტიკის მიხედვით გამოითვალა, 10 თითიდან 20 მახასიათებელი პუნქტის ალებისას იდენტური ანაბეჭდი შესაძლოა 4 660 377 საუკუნეში ერთხელ შეგხვდესო.

გალტონის მიერ შემუშავებულმა თითის ანაბეჭდთა დამთხვევის ალბათობის მათემატიკურმა გათვლამ აჩვენა, რომ ერთი ადამიანის თითის ანაბეჭდი შესაძლოა მეორისას დაემთხვეს თანაფარდობით 1:4. თუკი 10 თითის ანაბეჭდს აიღებდა, ვარიანტთა დაუჯერებელი რაოდენობა გამოდიოდა – 1:64 მლრდ. გალტონს მიაჩნდა, რომ დედამიწის მოსახლეობა 16 მლრდ-ს შეადგენდა, ეს კი ნიშნავდა, რომ ორი ადამიანის ანაბეჭდის დამთხვევა შეუძლებელია. მაგრამ ის გამომდინარეობდა იქიდან, რომ უდარებდნენ თითოეულ თითს ცალ-ცალკე. თუკი ყოველი ორი პიროვნების ორ თითს შეადარებდი – 64 მლრდ-ის კვადრატში აყვანა ხდებოდა საჭირო. სამი თითის შემთხვევაში – კუბში. ათივე თითის შედარებისას კი ვარიანტები 6410 მლრდ-ს შეადგენდა. შედეგად გალტონმა შეიმუშავა ურთულესი ფორმულები ანაბეჭდის იდენტიფიკაციისათვის. ითვალისწინებდა უწვრილმანეს დეტალებს – პაპილარული ხაზის დახრის კუთხეს, მისი დამრგვალების კოეფიციენტს, სამკუთხედის ფორმას, რომლებიც ხაზებს ქმნიდნენ. კრიმინალისტიკი ამ ფორმულებით დღესაც სარგებლობენ.

აღმოჩენას ყუმბარასავით გასკდა. 1892 წელს გალტონმა ლონდონში გამოაქვეყნა წიგნი „თითის ანაბეჭდები“, რომელშიც გამოკვლევათა შედეგები ჩამოაყალიბა. ყველა ევროპულმა გაზეთმა მონინავე გვერდზე მისი ფოტო გამოაქვეყნა.

სკოტლანდ-იარდისათვის გალტონის მეთოდი მაშველ რგოლად იქცა. ანაბეჭდთა ფრენსის გალტონის რეგისტრაციის სისტემამ დათვლილ თვეებში გამოიღო შედეგი: ასობით „შემოდებული“ საქმე გაიხსნა.

ეს XIX საუკუნის ნამდვილი სენსაცია იყო. დაქტილოსკოპიამ რამდენიმე წელიწადში დაიპყრო ევროპა, ამერიკა, მოგვიანებით – იაპონია, რუსეთი, აზიის ქვეყნები. 1895 წელს დაქტილოსკოპიით სკოტლანდ-იარდი აღიჭურვა. 1900 წლიდან კი ბრიტანეთში შეწყვიტეს ბერტილიონაჟის გამოყენება და დამნაშავეთა იდენტიფიკაციისათვის მხოლოდ გალტონის დაქტილოსკოპიური მეთოდის გამოყენება დაიწყეს.

XX საუკუნის დამდეგს დაქტილოსკოპიისაგან გადაღლილმა გალტონმა დატოვა კრიმინალისტიკა და ისევ გენეტიკასა და ანთროპოლოგიას დაუბრუნდა.

1909 წელს იგი ტუბერკულოზით დაავადდა. ავადმყოფობის დროს ფრენსის გალტონი უკვდავებასა და გენიალურობის გენის მემკვიდრეობაზე აქვეყნებდა მეტაფიზიკურ ნამუშევრებს. მაგრამ მეცნიერს დრო არ ეყო უკვდავების თეორიის განსახორციელებლად. იგი 1911 წლის 17 იანვარს გარდაიცვალა.

სწორედ იმ დღეებში, როდესაც ლონდონის თავზე სისხლიანი მანიაკის აჩრდილი დაძრწოდა, სერ ფრენსის გალტონი თავის ლაბორატორიაში ათასობით თითის ანაბეჭდს სწავლობდა. ის უდიდესი აღმოჩენის ზღვარზე იდგა, რომლის წყალობითაც მისი სახელი კრიმინალისტიკის ისტორიაში სამუდამოდ დამკვიდრდებოდა.

# ერთი დღე – აღდგომააღღა

\*

**ნათია ვანაქის  
ქსაუზრება  
ზოია ფირზადი**

ზოია ფირზადი თანამედროვე ირანელი მწერალი ქალია. მისი რომანები გამოქვეყნებისთანავე პოპულარული გახდა ირანში. 1996 – 2001 წლებში ამ ავტორის ნოველების სამი კრებული დაიბეჭდა: „ყოველი საღამოს მსგავსად“, „ხურმის მწკლარტე გემო“ და „ერთი დღე დარჩა აღდგომამდე“, რომლებიც შემდეგ ერთ ნიგნში გაერთიანდა სახელწოდებით: „სამი ნიგნი“. 2001 წელს გამოაქვეყნა პირველი რომანი „ნათურებს მე ჩავაქრობ“, ხოლო ორი წლის შემდეგ მეორე რომანი „შევეჩვევით“.

ფირზადის ნაწარმოებებს არაერთი პრიზი აქვს მოპოვებული. ნოველათა კრებულს „ხურმის მწკლარტე გემო“ 1997 წელს სალიტერატურო კონკურსზე პრიზი ერგო.

„ერთი დღე დარჩა აღდგომამდე“ 1999 წელს კონკურსზე „წლის ნიგნი“ დაჯილდოვდა ნამახალისებელი პრემიით.

რომანმა „ნათურებს მე ჩავაქრობ“ 2001 წელს დაიმსახურა „წლის ნიგნის“ პრიზი, რაც უკვე დიდი გამარჯვება იყო მწერლისათვის.

მწერლის გაცნობა მოვახერხეთ თეირანის უნივერსიტეტთან არსებული დეჰხოდას ინსტიტუტის ერთ-ერთი ხელმძღვანელის, ქალბატონ შუქუფე შაჰიდის დახმარებით, რისთვისაც მას დიდ მადლობას ვუხდით. ამ შეხვედრამ, რომელიც მწერლის სახლში შედგა, საკმაოდ საინტერესო და თბილ ვითარებაში ჩაიარა.

ქართველი მკითხველისათვის ალბათ საინტერესო იქნება, თუ ვიტყვით, რომ მწერალს ბევრი რამ სმენია ქართული კულტურის შესახებ და უახლოეს მომავალში სურს კიდევ ამ ქვეყნის მონახულება.

გთავაზობთ საუბარს ქალბატონ ზოია ფირზადთან.

**– ქალბატონო ზოია, თავდაპირველად, თუ შესაძლებელია თქვენი ოჯახის შესახებ გვიამბეთ.**

– დავიბადე ერთ ჩვეულებრივ ოჯახში. თუმცა ჩემი მშობლები არ იყვნენ წარმოშობით ირანელები. დედა სომეხი იყო, მამა კი დედით – რუსი და მამით – ირანელი. ორი წლისა ვიყავი, როცა მშობლები გამორდნენ. მამა

ამის შემდეგ სულ რამდენჯერმე ვნახე. ასე რომ, შეიძლება ითქვას, მამასთან ურთიერთობა არ მქონია. მერე, რასაკვირველია, შევექმენი საკუთარი ოჯახი და ორი ვაჟი შემეძინა, საშა და შერვინი. მოგვიანებით მე და ჩემი მეუღლეც დავშორდით. იგი არაჩვეულებრივი ადამიანია, დღესაც გვაქვს ურთიერთობა, საერთო შვილები გვყავს. უბრალოდ, ქორწინება წლების შემდეგ დამღლევი აღმოჩნდა. ჩემი შვილები ამჟამად კანადაში ცხოვრობენ, იქ იღებენ განათლებას. ზოგჯერ ჩამოდიან ჩემს მოსანახულებლად, ზოგჯერ კი მე ვენვევი ხოლმე.

**– რა პროფესიისა ბრძანდებით და რომელი ენები იცით?**

– უბრალოდ, მწერალი ვარ. სხვა პროფესია არ გამაჩნია. მე მხოლოდ საშუალო სკოლა მაქვს დამთავრებული. ასე რომ, უმაღლესი სასწავლებლის დიპლომი არ გამაჩნია. რაც შეეხება ენებს, აქ ასეთი ვითარებაა: სპარსული და სომხური ჩემთვის მშობლიური ენებია. კარგად ვიცი ინგლისური და ფრანგული, გერმანული კი იმდენად, რომ გაქცეულს მოვაბრუნებ.

**– რა ასაკიდან იგრძენით ლიტერატურული ნიჭი და რომელი იყო თქვენი პირველი ნაწარმოები?**

– შეიძლება ითქვას, მწერლობისაკენ ლტოლვას ბავშვობიდან ვგრძნობდი. საკმაოდ პატარა ვიყავი, როცა სტუმარი ნავიდოდა, მისგან მიღებულ შთაბეჭდილებას ლექსად გამოვთქვამდი. რასაკვირველია, ისე, როგორც ეს პატარა ბავშვს შეუძლია. სკოლაშიც გამოვიჩინე კარგი წერით. რაც შეეხება ჩემს პირველ ნაწარმოებს, ეს ყველაფერი ასე მოხდა: ოცდახუთი წლის წინათ, ერთ საღამოს შინ ვიჯექე და მანიკურს ვიკეთებდი, თან ახლად ნაკითხულ მოთხრობაზე ვფიქრობდი. მერე ვიფიქრე, რომ ასეთი მოთხრობის დაწერა მეც შემეძლო. ბედი ვცაადე და პირველი სამი მოთხრობა ერთ ჩემს უფროს მეგობარს წავაკითხე. მითხრა, რომ ნიჭი მქონდა, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი უნდა მესწავლა და მემუშავა. ის მოთხრობები, „საბედნიეროდ“, არასოდეს გამოქვეყნებულა, მაგრამ მის შემდეგ დაიბადა პირველი ნოველათა კრებული „ყოველი საღამოს მსგავსად“.

**– გიცდიათ თუ არა ბედი პოეზიაში?**

– არასოდეს.

**– როდესაც უკვე გამოაქვეყნებთ ნაწარმოებს, შემდეგ უბრუნდებით თუ არა მას? გაქვთ თუ არა სურვილი, რამე შეასწოროთ, შეცვალოთ?**

– იცით რა? როცა ნაწარმოები გამოქვეყნებულია, მასზე აღარ ვფიქრობ. რამის შეცვლის სურვილიც არ გამაჩნია. თუმცა, როცა ნაწარმოებზე ვმუშაობ, ჩემთვის პრობლემას წარმოადგენს მისი ენობრივი დახვეწა. ვგულისხმობ, რომ სპარსულისთვის დამახასიათებელი სალიტერატურო ფორმები სრულიად გამოუსადეგარია მწერლობაში. ის უკვე აღარ იძლევა უშუალობისა და რეალო-





ბის შეგრძნებას, მაგრამ ნერო მხოლოდ სასაუბრო ენით, ესეც მთლად გამართლებული არ არის. არსებობს გარკვეული გზები იმისათვის, რომ ამ პრობლემას თავი ავარიდოთ. ეს იოლი არაა, მაგრამ მე მწერალი ვარ და ამას ვახერხებ. მაგალითად, ჩემს ბოლო ნაწარმოებზე „შევეჩვევით“ ენობრივი თვალსაზრისით ბევრი ვიმუშავე და მიზანს მივალწიე კიდევ, მაგრამ, კრიტიკოსების დამოკიდებულებიდან გამომდინარე, შემიძლია გითხრა, რომ, სამწუხაროდ, ამას ცოტა თუ მიხვდა.

**– ორი რომანი და სამი ნოველათა კრებული გაქვთ გამოქვეყნებული. შეგიძლიათ თქვენი ქმნილებებიდან რომელიმე განსაკუთრებით გამოყოთ?**

– ცოტა ძნელია ჩემთვის, საკუთარ ნაწარმოებთაგან რომელიმე გამოვყო, რადგან ყოველი მათგანი შრომის ნაყოფია და შეილივით საყვარელი. ერთი რამ არის მხოლოდ, ბოლო ნაწარმოები ყოველთვის გამორჩეულია, მასაც ალბათ მერე მისი მომდევნო შეცვლის.

**– თქვენი ნოველების სტილი ძალიან საინტერესოა. ანუ ის, თუ როგორ გადადიხართ ერთი ნოველიდან მეორეზე. პირველი ნოველის მთავარი გმირები მეორე ნოველაში მეორდებიან, მაგრამ იქ ისინი გაკვრით არიან ნახსენები. უბრალოდ, იგრძნობა, ისინი ერთ ქალაქში ცხოვრობენ და ეს საკმაოდ სასიამოვნო ემოციას იწვევს მკითხველში, თითქოს კარგ ნაცნობს შეხვდი ქუჩაში. კითხვა ისაა, რომ ჩვენთვის საინტერესოა, ეს სხვა მწერლის ნაწარმოებების გავლენაა თუ თქვენი საკუთარი სტილია?**

– არ ვიცი. მე მსგავსი არაფერი მახსოვს. შესაძლოა, ოდესღაც ასეთი გადაბმა დამოუკიდებელი ნოველებისა სადმე შემხვედრია და არ მახსოვს, თუმცა არა მგონია. წერისას შემთხვევით მომივიდა აზრად, რომ ლაქების ამოყვანაში დაოსტატებული ქალი შემდეგ ნოველაშიც გაკვრით მესხენებინა. მერე თვითონაც მომეწონა.

**– თქვენს რომანებსა და ნოველებში მომხდარი ამბები საკუთარი ცხოვრებიდან გაქვთ აღებული?**

– რომანებში მთავარ პერსონაჟებს მამები უყვართ, და მათთან მეგობრული ურთიერთობა აქვთ. მე, როგორც უკვე გითხარით, მამასთან ურთიერთობა თითქმის არ მქონია. ასე რომ, ეს არ შეიძლება ჩემი ცხოვრებიდან იყოს აღებული. შესაძლოა ის ჩანდეს, რომ ქვეცნობიერად ყოველთვის მინდოდა მყოლოდა მამა, რომელიც ჩემი მეგობარიც იქნებოდა. მხოლოდ ეს შეიძლება იყოს ამ დამთხვევის მიზეზი, სხვა მხრივ, ჩემი პერსონაჟებისგან განსხვავებით, მე დედასთან კარგი ურთიერთობა მქონდა.

**– თქვენს ერთ-ერთ ნოველათა კრებულში, რომელიც, შეიძლება ითქვას, რომ მცირე რომანია („ერთი დღე დარჩა აღდგომამდე“), აღწერილია ირანში სომხური დიასპორის ცხოვრება. ნოველაში ერთი ირანელი კაცი, რომელიც ნარკომანია და ცოლსა და პატარა ქალიშვილთან ერთად სომხურ სკოლაში ცხოვრობს და მუშაობს, შემდეგ სიტყვებს ამბობს: „მე ამ ხალხს ვიცნობ. ამ ქვეყნის პურსა ჭამენ და ჩვენი დანახვაც არ უნდათ!“ როგორ ფიქრობთ, ეს მხოლოდ ერთი ნარკომანის სიტყვებია თუ იმავე აზრს შეიძლება საზოგადოების ჯანსაღ ფენებშიც შეხვდეთ?**

– იცით, მე ამ თემას იმიტომ შევეხე, რომ ეს პრობლემა რეალურად არსებობს. დედა სომეხი მყავს და კარგად ვიცი ამ ხალხის ენაც. ვიცი ამ ერების ერთმანეთთან დამოკიდებულებაც. ისინი მეგობრულად ცხოვრობენ, მაგრამ ზოგჯერ არის ასეთი შემთხვევები: თუ სომეხი ცოლად გაჰყვა მუსლიმს, ამ შემთხვევაში ირანელს, იგი ირიყება თავისი ოჯახიდან და ნათესავებიდან. ანუ, სიძე არ მიაჩნიათ თავიანთ საკადრისად, მიუხედავად იმისა, რომ მისი ქვეყნის მოქალაქეები არიან და ირანი მათი სამშობლოა.

**– ნოველათა იმავე კრებულში არის ერთი საინტერესო პერსონაჟი, პატარა გოგონა, სახელად თაჰერე. ამ ბავშვში რელიგიების საინტერესო სინთეზი გვაქვს. იგი ატარებს როგორც ჯვარს, ასევე – მუსლიმთა გულსაკიდს, ალლაჰს.\* თქვენი აზრით, რამდენად შესაძლებელია ეს რეალურ ცხოვრებაში?**

– საერთოდ ბავშვს უფრო იოლად შეუძლია ამ ყველაფრის გადახარშვა, იმიტომ, რომ იგი მარტივად ხედავს ყველაფერს. „რატომაც არა? ჯვარიც და ალლაჰიც, ორივე ლამაზია.“ – ამბობს თაჰერე. ასეც არის. არცერთი რელიგია მკვლელობას, შურსა და სიძულვილს არა ქადაგებს. ყველა რელიგია ამბობს: გიყვარდეთ, პატივი ეცით, აპატიეთ. ასე რომ, თუკი ზოროასტრიზმის ძირითად დებულებას შევასრულებთ, რაც შემდეგში გამოიხატება: „კეთილი აზრი, კეთილი სიტყვა, კეთილი საქმე!“ კარგი მუსლიმებიც ვიქნებით და კარგი ქრისტიანებიც. ერთ დღეს ერთ ნორჩ მხატვართა გამოფენაზე შევიარე. დავათვალიერე და საოცრად მომეწონა. მერე ჩემს მეგობარს ვკითხე, პატარები რომ ასე კარგად ხატავენ, როცა იზრდებიან, რატომ ხდება მათი ნამუშევრები უინტერესო-მეთქი? მიპასუხა, იმიტომ, რომ, მეტისმეტად ბევრ წესსა და კანონს ასწავლიან და ბოლოს დაწესებული ჩარჩოებით ისე იზღუდებიან, რომ ინდივიდუალობადაკარგული, არაბუნებრივი მხატვრები გამოდიანო. ცხოვრებაც ასეა. ჩვენივე დაწესებული წესებით ცხოვრებას ვირთულებთ და პრობლემებს ვძერწავთ რელიგიებისა და სხვადასხვა რაღაცების სახელით.

**– თქვენს რომანში „ნათურებს მე ჩაეაქრობ“ თხრობის სტილი ძალიან უჩვეულოა. ყოველდღიურ, ცხოვრებისეულ ამბებს გვიყვებით და მნიშვნელოვანი არაფერი ხდება. ყველაზე ექსტრემალურ შეგრძნებას კალიების შემოსევის ეპიზოდი იწვევს. ნოველათა კრებული „ყოველი საღამოს მსგავსად“ ასეთივეა. რატომ აიძრით ეს სტილი?**

– ჩემი აზრით, ეს არის ცხოვრება. აუცილებელი არაა, ნაწარმოებში იყოს მკვლელობა, უცნაური შემთხვევები. ისეთი ფაბულა, როგორიც ჩემს რომანში გვხვდება, რეალურია და ხალხიც იღებს. ბევრი მკითხველი მეუბნებოდა, შენი რომანი რომ ნავიკითხეთ, მივხვდით, ეს ყოველდღიური საქმიანობა, რეცხვა, წმენდა, ბავშვის სკოლიდან გამოყვანა და ამისთანები რამდენად მნიშვნელოვანი და რთული საქმე ყოფილაო.

**– რომანში „შევეჩვევით“ მთავარი პერსონაჟის, არზუს, დედის, მაჰმონირის რეაქცია ცოტა უცნაურად**

\* „ალლაჰი“ ანუ ღმერთი. მუსლიმები ატარებენ გულსაკიდს ამ წარწერით, როგორც მაგალითად ქრისტიანები ჯვარს.

ჩანს. არის თუ არა რეალური, რომ ირანელ დედას არ უნდოდეს შვილის გათხოვება და მეგობარი მამაკაცის გაჩენაზე თანახმა იყოს?

– ჩვენს დროში ირანში ხშირია შემთხვევა, როცა დედას შვილის ახალგაზრდობისა შურს. მაჰმონირიც ამ კატეგორიას განეკუთვნება. იგი ძალიან ეგოისტია. მას სიამოვნებს, თუ ახალი მოდის შესაბამისად არზუს მეგობარი მამაკაცის გაჩენის გამო ნაცნობ-მეგობრებში ცოტას „წაიტრიალებს“, მაგრამ მისი გათხოვება არ უნდა. არზუ მაჰმონირის ცხოვრების სპონსორია. ასე რომ, ხელს არ

აძლევს მისი გათხოვება. ამ ტიპის დედები ირანში გვხვდებიან, განსაკუთრებით – მაღალ ფენებში.

რაც შეეხება არზუს შვილს, აიეს, ის უბრალოდ ბავშვია და ეჭვიანობის მომენტი აქვს. ეს გაივლის.

– დაბოლოს, ვინ არის თქვენი საყვარელი ირანელი ბელეტრისტი ან პოეტი?

– არა, ამას ნუ მკითხავთ. თავს შევიკავებ, თუმცა შემძლია უცხოელი მწერლები დაგისახელოთ. მაგალითად, ჯეინ ოსტინი, მეცხრამეტე საუკუნის ინგლისელი მწერალი, ვირჯინია ვულფი და, რა ვიცი, კიდევ მრავალი სხვა.

უაკლინ სირაძე

# ინტელექტუალის სოლფეჯიო

ღვთის საჩუქარი –  
შთაბონების ფარული გზა.  
სიბრძანის სიტყვად

წერა ლოცვის სახესხვაობა.  
ფრანც კაფკა

...

ახლა შევეცდები ვუპასუხო კითხვას:

– რას ნიშნავს, რომ იქ შეჩერება ადამიანს უმაღლესი ძალებისგან აკრძალული ჰქონდა?

შთაგონების ჟამს იბადება თვალი, რომელიც გვახედებს სამყაროში და უსასრულოდ განვრცობილ საგნობრიობას სწორხაზოვნად გადაკვეთს, მაგრამ ამავე დროს ეს თვალია, რომელიც გვაბრძავს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჩვენი სულიერების მდინარე, მზით გასხვიოსნებული გზა მოულოდნელად სიბნელით იფარება.

ერთდროულად ორი რამ ხდება

– მზით გასხვიოსნებული გზის ხილვა.

და

– სიბნელით დაფარვა

როცა შთაგონების იდუმალ გზას გარეგნული თვალით შევყურებთ, პარადოქსს ვიღებთ. მაგრამ სინამდვილეში ეს პარადოქსი საცნობს ხდის ფილოსოფოსსა თუ ხელოვანში აღმართულ ღმრთის ფარდას ადამიანური ცნობიერების ზღვარზე რომ მოგვანიშნებს.

მეისტერ ეკჰარტი ამაზე ასე წერდა:

არ არსებობს სულისათვის უფრო მეტად დაფარული და დაუნახავი რამ, ვიდრე საკუთარი სულია (საკუთარი თავია).

გაგრძელება. იხ. „ჩვენი მწერლობა“ №7

უფრო, რომ დავაკონკრეტოთ ეს სათქმელი, ისევ მეისტერ ეკჰარტი გავიხსენოთ:

ერთი ბრძენი ამბობდა, რომ სულს არ შეუძლია შექმნას ან მიიღოს საკუთარ ხატი, ამიტომაც მას უნარი არ შესწევს შეიცნოს საკუთარი თავი.

როცა ხელოვანი თუ მოაზროვნე, ეს ამ შემთხვევაში განუსხვავებელია, იქ ჩერდება, სადაც არ უნდა შეჩერდეს და ხელოვნური გაჯიუტებით გონების თვალთ აკვირდება შთაგონების გზას. ის ასეთ რამეს დაწერს:

– „შთაგონება არის ჰიპოთეზა, რომელიც ავტორს დამკვირვებლის როლში აყენებს“.

პოლ ვალერის შემოქმედების ერთგვარად აკვიატებული იდეაა, თავისი აზროვნების განვითარების გზას ჩაჰყურებდეს, რასაც ის შთაგონებას დაარქმევს:

– „აზროვნება თითქმის ყოველთვის, როცა ვაზროვნებთ, სხვა არა არის რა, თუ არა ალგ ზნებით წრეში ბორიალი...“.

გასაოცარია და დაუჯერებელიც, რომ ვალერის ტანჯვის დაფარული საგანია სურვილი შთაგონების ფარულ შრეში აზრის მოძრაობას დააკვირდეს და მთელი ძალისხმევა იმას დაახარჯოს, რომ ამ იგავში უწვდომელი პროცესის აღწერა მოახერხოს:

– „აზრს არ შეუძლია თავისი თავის წინასწარ ხილვა, თუმცა მას შეუძლია წინასწარ იხილოს თავისი ზიზგოვანი გზა და თავისი განვითარება. მაგრამ ეს განვითარება თითქმის უკვე აღარ არის ის“.

მე ისევ განვმეორებდი, რომ პოლ ვალერის ძალისხმევა მთლიანად შთაგონების ფარულ შრეში აზრის განვითარების მოძრაობაზე იხარჯება. უფრო მეტიც, მას ცოცხად მიაჩნია ადამიანმა ვერ შესძლოს ცნობიერად გააკონტროლოს შთაგონების ფარული გზა. მოცემული ფრაზა სწორედ ამის დადასტურებაა:

– „აზრს არ შეუძლია თავისი თავის წინასწარ ხილვა“

პოლ ვალერის უნდა წინასწარ იხილოს, „ღია თვალებით“, ადამიანურის „შიშველი შესაძლებლობებით“ ის, რაც მხოლოდ ღვთაებრივი ნებისადმი მიწებების, ანუ მეორე, სულისმიერი მზისგან დაბრძანების შემდგომ არის შესაძლებელი.

როცა ადამიანური თვალი ბრმავდება, რადგან შთაგონებაში შესული ხელოვანი სავესებით განიძარცვება ინდივიდუალური მე-სგან და მხოლოდ ამის შემდგომ ღვთაებ-

რივი სხივის თანმყოფი იგი ჭვრეტს თავის სულიერ, მზით გასხივოსნებულ გზას. მაგრამ ვალერი, თანამედროვეთა მსგავსად გაჯიუტებული ადამიანური „ღია თვალებით“ განაგრძობს ღვთაებრივ საგნებზე ხელოვნურ ფიქრს:

„თუმცა მას შეუძლია წინასწარ იხილოს თავისი ზიგ-ზაგოვანი გზა და თავისი განვითარება. მაგრამ ეს განვითარება თითქმის უკვე აღარ არის ის“.

ცხადია, ზიგზაგოვანი გზა და თავისი განვითარება – მზით გასხივოსნებულ გზის დამახინჯებული ხედვაა.

და ამის შემდგომ აღარ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ვალერი შთაგონებასა და ჰიპოთეზას ერთნაირ სიბრტყეზე დაალაგებს.

\* \* \*

ადამიანი იქ შეჩერდა, რაც უმაღლესი ძალებისგან აკრძალული ჰქონდა, ამის საუკეთესო ნიმუშია პოლ ვალერის შემოქმედება.

მაგრამ თუ გავიხსენებთ ღვთაებრივი ნების მიმყოფლთ, შეიძლება გავიხსენოთ თუ რაოდენ უშფოთველია პასკალი ქმნილებაში ზემთაგონების ფარული გზის, ამ უცნაური მეხსიერების ვერმოხელთების გზას, რომ აკვირდება. თითქოსდა ის უმწეო ბავშვივით ჰყოვნდება და მორჩილად, მხოლოდ და მხოლოდ ფაქტის კონსტანტაციით შემოიფარგლება:

– „როცა ნაწარმოებს დავასრულებთ, მხოლოდ მაშინ ვხვდებით თუ როგორ უნდა დავინყოთ იგი“.

პასკალი „აზრები“

ამით პასკალი კლასიკურ ქმნილებაში ჩასაიდუმლოებულ მეხსიერებაზე მიგვანიშნებთ, რომელიც ახალ აღთქმაში მამის მეხსიერებად, მამის ნებად იწოდება:

– „იესომ უთხრა მას: რა ხანია თქვენთანა ვარ და ვერ მიცნობ ფილიპე? ვინც მე მიხილა, მამა იხილა, როგორღა ამბობ, გვიჩვენე მამაო?“

– „განა არა გნამს, რომ მე მამაში ვარ და მამა ჩემში? სიტყვებს, რომელთაც მეუბნებით, ჩემით არ ვამბობ, ჩემში მყოფი მამა აკეთებს საქმეებს“ (იოანე 9; 10).

მართლმადიდებლური ლოცვის ფუძეც მეხსიერების გაუხსნელობაში მდგომარეობს. ეს ნიშნავს, რომ რწმენა ამ მეხსიერების განუხსნელ მიღებას მოითხოვს:

– იყავნ ნება შენი

იყავნ ნება შენი – დაე, მამის მეხსიერებამ შეკრას ეს სამყარო და მე მას ასეთად ვიღებ, – განუხსნელად და თუ ჩემი ნება იღებს მამის, ღმერთის მეხსიერებას. მე, მისი შვილი, მისივე მეხსიერებით ვცოცხლდები.

მრწამსში როცა ვკითხულობთ:

– შობილი უწინარეს ყოველთა საუკუნეთა

ასე უსასრულოა დაფარულობა ღვთის მეხსიერებისა ან, ეს ასეც ითქმის:

– „აღსდგა მესამე წელსა, მსგავსად წერილისა“

იმ წერილისა, რომლის უადრესი წერილი არსებობს, ამ უკანასკნელის უადრესი და ა.შ. და ა.შ.

ეს მეხსიერება კლასიკაში ქმნილების გამამთლიანებელი იდუმალეობაა, – ის, რაც ხელოვანის ცნობიერებას სცილდება და რაც ზეცნობიერად იწოდება. ეს ის მუსიკაა, რომელსაც პლატონი ყველაზე ღრმა და სრულყოფილ ფილოსოფიას უწოდებდა. მუსიკა – უნივერსალური ენაა, მუსიკა – ენა ღვთისა, სრულიად, რომ ამჟღავნებს თავისში ღვთის მეხსიერების „გაუხსნელად“ მყოფობას.

და როცა მუსიკის მოსმენისას გვახსენდება, ის, რაც არ ვიცით, თითქოსდა სევდის ნაზი ფარდა ცრემლებით იქსოვება და ბუნდოვანი ნისლეულის ეს მჭვირვალეობა გულისმომკვლელი ალტაცებით სადღაც მიგვაქანებს.

შეიძლება ასეთ ვთქვათ:

დანახვის ნიჭის წყალობით თვალი მხედველი „სიბნელით“ იფარება და ეს „სიბნელე“ ფილოსოფიურ სისტემასა და ხელოვნების სამყაროს პარამონიულად შეკრავს, მჭვირვალე სინათლისეულობით, რომ გამოასხივონ ჭეშარიტება.

ჩვენი ზოსტა

ღრმადპატივცემულო რედაქტორნო, ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ (2007 №3) რუბრიკაში „გამოსაზრება“, ბ-ნი საბა სულხანიშვილი („მოსე – ნილოსის ქვეყნის მისტერიებში“) წერს:

„... მხოლოდ ძველი აღქმის მკითხველისათვის პავლე ინგოროყვას ნარკვევის ის პასაჟი (მოსე წინასწარმეტყველის ენაბლუობა - გ.ა.) კალმისებრი ლაფსუსია და სხვა არაფერი, მეხსიერებაზე დაყრდნობა და ამით გამოწვეული შეცდომა“.

არ მესმის „გულდასმით ჩახედვა, ჩაკირკიტება... რამდენიც გინდა ძებნა“, თუ „ბუნდოვან – არამცთუ გამჭვირვალე – მინიშნებასაც ვერ ამოიკითხავ“ გამოსვლათა წიგნში და ბ-ნ პავლე ინგოროყვას ეჭვის ქვეშ დააყენებ – „მეხსიერებამ ყველას შეიძლება უმტყუნოს“-ო.

ბ-ნ საბა სულხანიშვილისათვის მოვიყვან ძველი აღქმის გამოსვლათა წიგნის ერთ მუხლს ორი სხვადასხვა გამოცემის მიხედვით (ხაზგასმა ჩემია – გ.ა.).

„მცხეთური ხელნაწერი“, თბ., „მეცნიერება“, 1981: „ჰრქუა მოსე უფალსა: გევედრები, უფალო, ვერ შემძლებელ ვარ პირ-“

ველ გუშინდლითგან და ძულანდელის დღის წინათგანვე, არცა ვინათგან ინყე სიტყუად მსახურისა შენისა, რამეთუ ჳმანუ-ლილ და ენამძიმე ვარ მე“ (გამ. 4, 10).

ბიბლია, თბ., საქართველოს საპატრიარქო, 1989: „უთხრა მოსემ უფალს: გევედრები უფალო! მჭევრმეტყველი კაცი არ ვყოფილვარ არც გუშინ, არც გუშინწინ და არც მას მერე, რაც ლაპარაკი დამინყე შენს მორჩილს. ბაგემძიმე და ენამძიმე ვარ“ (გამ. 4, 10).

რამდენადაც მესმის - ბ-ნ პავლე ინგოროყვასათვის მეხსიერებას არ უღალატია და მას არავითარი კალმისებრი ლაფსუსი არ მოსვლია, თუმცა საგნებით გასაგებია ბ-ნ პავლე ინგოროყვას ასოციაციებიც, რომლებზედაც მიგვითითებს ბ-ნი საბა სულხანიშვილი..

ღრმა პატივისცემით,

გუჰა აფაძიძე  
სანკტ-პეტერბურგი

P.S. წინასწარმეტყველ მოსეს მეგვიპტელობის დამტკიცებას ცდილობდა ზიგმუნდ ფრეიდიც.

ვანო ჩხიკვაძე

დილის რადიო

# მცირე პროზა

## ცუკამაკო

თანდათან ღრმა შემოდგომისაკენ გადაიხარა ამინდი, ოქროსფერ დღეებს ჭაღარასავით გამოერიათ სახურავზე არაკუნებული პირველი ცივი წვიმები. შიფერის ღარიდან მინამდე ჩამოგრძელდნენ ერთმანეთს დადევნებული წვეთები.

ასეთ ამინდში, შინ ჯდომით გაბეზრებული ბიჭები, სასადილოდ მიუსხდებიან მაგიდას და მალე მეც დავძახებ, აბა, მიინ-მოინით, გზა დამითმეთ, ნახეთ რა მოდის – მეთქი, – ამიშინებულ ტაფას მაგიდის შუაგულში ჩავდგამ, კიდევ უფრო ამალელებელი შორისდებულებით ავხდი თავსახურს, მაგრამ ბიჭები მაინცდამაინც არ იზიარებენ ჩემს აღტაცებას, ამრეზით დახედავენ კერძს და უხალისოდ შესუნთქავენ სურნელოვან, მადისაღმძვრელ ოხშივარს.

არ ვიმჩნევ მათი გულგრილობით გამონევეულ უკმაყოფილებას:

– გთხოვთ ყურადღებას, ბატონებო, დღეს, თქვენ, პირველად, ჩვენი ოჯახის ისტორიაში, იგემებთ იაპონურ ცუკამაკოს.

რაო, ცუკამაკოსო, ცოტათი მოცოცხლდებიან, ხელმეორედ დახედავენ, რეკლამით გამოწვეულ ცდუნებას ვერ უძლებენ, გემოს გაუსინჯავენ და ძლივს გაიმეტებენ, მართლა გემრიელი ყოფილა, ეს შენი ტაკაცუკოვო.

ტაკაცუკო კი არა, ცუკამაკო... კარგია რომ გამახსენეთ, ტაკაცუკოს ხვალ დაგიზადებთ და ნახავთ, ისიც როგორი გემრიელია-მეთქი.

ჩათრევას ჩაყოლას ამჯობინებენ, ულუფას წვალეებით ამთავრებენ და „ვალმოხდილები“, ვიდრე ტახტზე მიგორდებიან, მეუბნებიან, შენ მოიგონებდი, არა გვგონია იაპონელი მშობლები, თავიანთ შვილებს ამ ცუკამაკოთი სტანჯავდნენო.

პირობის თანახმად (პირობა სადილობამდე დავდეთ), ტახტზე, კედლისკენ მივჩოჩდებით, მუთაქებს მიყრდნობილები მოხერხებულად მოვეწყობით და წიგნს ჩანიშნულ გვერდზე გადამიშლიან, კითხვა გააგრძელო.

მეზარება, მაგრამ რა ვქნა, თუ არ წავუკითხე, ხვალ ტაკაცუკოს ბიზნესი ჩამივარდება.

ვკითხულობ, ვკითხულობ და, წვიმის მონოტონური შხაპუნით გაბრუებულები, თანდათან მისთვლემენ – ჯერ პატარა, მერე დიდი (ერთმანეთისაგან რომ გავარჩიოთ, თორემ ესეც პატარაა).

მხრებით ერთმანეთს მიყრდნობილებს ჩამოეძინებათ, შუა გზაში მიატოვებენ ბრემენისაკენ მიმავალ მუსიკოსებს.

ხმას დავუდაბლებ, მერე სულაც გავჩუმდები, რომ არ გავალვიძო, არ გავინძრევი. მე კი არა, წვიმის ხმაურიც თანდათან მინწყდება და სველი, გულაკანკალებული ფოთოლიც უფრო ფრთხილად, უხმაუროდ დაეცემა რაფაზე.

შფოთიანი ღამის შემდეგ, როგორც იქნა, გათენდა. ავდექი თუ არა მაშინვე ფარდა გავწიე და აივანს გავხედე – წუხელის ისეთი გრიგალი იყო, მეგონა აღარ დამხვდებოდა, მოგლეჯდა.

მოპირდაპირე კორპუსის სახურავზე, დაჭორფლილ-დაბზარულ შიფერზე, მტრედები ერთმანეთს ეხუხებოდნენ. მორღვეული საბუხრეები უგემურად ხრჩოლავდნენ, ორი ჩაბნელებული სამერცხლე საძაღლეებს უფრო ჰგვანდნენ და, მეგონა, მალე შიგნიდან ბენვგაცვენილი, აბეზარი ქოფაკები გამოცვივდებოდნენ.

დავიხურე ნაბდის ქუდი, გავედი აივანზე, ხმელი შეშის ნაჭერი წვრილად ჩავანაკუნე, დანარჩენები, შედარებით ნედლები, რამდენსაც მოვერეოდი, მკლავზე ავიკოკოლავე და შემოვიტანე. ზოგი ლუმელქვეშ შევანყვე, ზოგიც ღუმელში, წვნიკებს მსხვილები წამოვანყე ზემოდან, ნაძვის სურნელოვან კვარს ცეცხლი მოვუკიდე და შევუნთე.

რადიოში მსუბუქი მუსიკა შეწყდა, საინფორმაციო გადაცემა დაიწყო. მოჰყვენენ ამ მთისას, იმ ბარისას, ახსენეს ენერგოკრიზისი და ჩვენი ქვეყნის გამჩენი – მეცხრე ბლოკი...

უცებ:

„94 წლის ასაკში გარდაიცვალა „კარლსონისა“ და „პეპის“ ავტორი, შვედი მწერალი ქალი, ასტრიდ ლინდგრენი...“

ერთდროულად შემომხედა ჩემი და ჩემი შვილების ბავშვობამ, მილიონობით ცრემლიანმა სახემ. თითქოს რაღაც დიდი სინათლე მოაკლდა ამქვეყნიურს და შეემატა იმას, რაც წინათგრძნობისა თუ რწმენის კარნახით შეიძლება წარმოვიდგინოთ...

წამოვდექი, ქუდი მოვიხადე.

ვიდექი გარინდული, ჩვენი საერთო „დიდი ბებოს“ ერთ-ერთი ჭირისუფალი, გავყურებდი ქარით აძიგდიგებულ, გადაჩეხილ ანტენებიან სახურავს, გამოლამებულ სამერცხლეებს და სულ ამაოდ ველოდებოდი უცნაურ, სახურავის ბინადარ ბიჭუნას.

თუმცა, ბიჭუნას ახლა აქ რა უნდოდა, ალბათ იმას უდგა თავით, ვინც სააქაო სიცოცხლე მიუსაჯა, თვითონ კი, ცივსა და მოლუშულ იანვარში, განერიდა დედამინას.

## რეკვიამი

დ-ს

ჩემო პატარა მეგობარო – თუმცა პირადად არ გიცნობ, მაინც ჩავთვალთ, რომ დღეიდან მეგობრები ვართ – ჩანანერი (რომელსაც, შეიძლება, მთლად მოხერხებული სათაურიც ვერ მოვარგე), მამაშენის აღსრულებიდან მოყოლებული, დღემდე, აბეზარი ჩიტივით, საფეთქელზე ნისკარტს მიუკაკუნებს, არ მასვენებს.

ახლაც, ნაშუალამევს, მარტის ქარი და ცივი წვიმა რომ ებრძვიან ფანჯრებს, ხელნაკრავივით გამელვიძა. მივუჯექი სანერ მაგიდას, მაგრამ რა უნდა ვთქვა კაცზე, რომლისთვისაც ხეირიანად თვალის არ მომიკრავს (ეკრანს და ჟურნალისტებს არ სწყალობდა), იდგა იე-

რარქიული კიბის ერთ-ერთ უმაღლეს საფეხურზე, ას-  
კეტური ბუნების გამო შორს იყო დიდებით ტკობისა-  
გან და, ყველასათვის მოულოდნელად, იარაღის გასრო-  
ლით, თავად ჩატეხა ეს ბევრისათვის სანუკვარი საფე-  
ხური.

პიროვნული თვისებებიდან გამომდინარე, როგორც  
ამბობენ, საკმაოდ კარგად მართავდა საკუთარ ემოციებს,  
თავისთავი კარგახნის „გამონვეული“ ჰყავდა დულში და,  
ალბათ, მეტნაკლებად წარმოდგენილიც ჰქონდა, რა მას-  
შტაბის ტკივილის ლაქას დატოვებდა განაჩენის სისრუ-  
ლეში მოყვანის შემდეგ.

და, რა თქმა უნდა, იცოდა ისიც, რომ მწუხარების ტკი-  
ვილი თავის ნამდვილი, ჭეშმარიტი სახით მხოლოდ მაშინ  
დაკრისტალდება, როცა ზედაპირზე აღარ იტივტივებს,  
ახლოებლთა სსოვნაში დაფესვიანდება და მთელი სიმ-  
დაფრით მათთვისღა იარსებებს.

მაშ მე რა მინდა? ამ ტკივილის ეპიცენტრი ხომ სულ  
სხვაგან არის და, მე კი იმ მრავალ ვეკუთვნი, ვინც ძლი-  
ერი მსხვერვის ხმამ წამიერად მოახედა, ნაბიჯი შეანელე-  
ბინა?

რა მინდა-მეთქი, განა სხვები ვერ მოგიტათუნებენ  
მხარზე ხელს, მითუმეტეს, რომ ეს ჩანანერი, სულაც არ  
იქნება ტრივიალური თანაგრძნობით გაჟღენთილი, გუ-  
ლის ასაჩუყებლად გამიზნული. ჭრილობის მალამოდ  
ვერ გამოდგება და, იქნებ უფრო სულიც გატკინო, თუ  
გეტყვი, რომ ამ გასროლამ იმედის ყლორტიც ააფეთქა  
– თურმე ყველაფერი არ დაღუპულა, არიან ადამიანები,  
ვისაც არ შეუძლია თანამდებობის, პასუხისმგებლობის  
ტვირთი მსუბუქად, ნაცარქექიას გუდასავით მოიგდოს,  
აფუტოს და ამტვეროს, ვისი ხერხემალიც არ გაიღუნე-  
ბა და, უნარი შესწევს, გამაფრთხილებელი გასროლით  
დაარღვიოს ქვებუდნური მყუდროება, თავისი სისხლი  
დაანონოს ცოდვებით დამძიმებული სასწორის მეორე  
მხარეს.

ეჰ, გესაუბრები, მაგრამ თან ვიცი – ჩემი შუალამის  
ნაბოდვარი დიდი ვერაფერი ნუგემია, ვერ შევლის ბუ-  
დიდან გადმოვარდნილი, დაობლებული ბარტყის უმწე-  
ობას.

საქართველოში ბევრი ისეთი ობოლია, მშობლები რომ  
ჰყავთ და არცა ჰყავთ.

ასეთი ბავშვების მდგომარეობას, ისევ ის უნუგემობა  
სჯობს პატარა, გაცრეცილი ხელებით, ადრეული გაზაფ-  
ხულის ამოფშვნილი იების კონას რომ დებს ღირსეული  
მამის საფლავზე, ვისაც ბრმა ზიგზაგებით არ მოუწევს  
სიარული მშობლის დანატოვარ “ორმოებზე”.

მამის სახელი შვილს მემკვიდრეობაზე არანაკლებად  
სჭირდება, ეს სახელი ხან უკან მიჰყვება, ზურგიდან  
იცავს, იფარავს, ხანაც – წინ მიუძღვის და გზას უნა-  
თებს...

მე არ ვიცნობდი-მეთქი, გითხარი.

თურმე თვითონ მიცნობდა – იმ საბედისწერო დღეს,  
სხვა საბუთებთან ერთად, რამოდენიმე თვის წინ “ჩვენს  
მწერლობაში” დაბეჭდილი ჩემი ლექსიც უნახეს გულის-  
ჯიბეში.

ეს ამბავი ტელევიზიით გავიგე და, გამიჭირდება სიტ-  
ყვებით ავხსნა, ჩემზე როგორ იმოქმედა.

მას შემდეგ ვფიქრობ... ვფიქრობ... ვინ იცის, ლექსი  
რამდენჯერ ჩაიკითხა, ჩააჩერდა, მიიმე ნუთებში რამდენ-  
ჯერ მოჰგვარა შვება... გადაუვადა, ანდა გაუადვილა  
მკაცრი განაჩენის სისრულეში მოყვანა... მინდა მისი თვა-  
ლით შევხედო სტრიქონებს, შევეცადო ამოვიცნო, რად  
დატვირთა იგი ეპიტაფიის სიმძიმით და საიდუმლო მონ-  
მის პასუხისმგებლობით:

„თითებში ჩატყდება ფანქარი,  
ვაი, შენ, უმანკო ტიტინო –  
ამ წვიმით,  
ამ სევდით,  
ამ ქარით  
დავსხდეთ და წარსული ვიტვიროთ“.

ეს ამბავი რომ გახმაურდა, ბევრმა დამირეკა და მით-  
ხრა, პოეტისათვის დიდი ბედნიერება უნდა იყოს, როდე-  
საც...

სად გადის ზღვარი ბედნიერებასა და უბედურებას შო-  
რის – იქნებ ისე უხილავად ენაცვლებიან ერთმანეთს, რომ  
ამ პირობით ხაზს მხოლოდ სიცოცხლის სიმოკლით შეძ-  
რწუნებული ადამიანი ამჩნევს!

რატომ ინება ბედისწერამ ჩვენი გაცნობა... მისი სიკ-  
ვდილის შემდეგ? ჩემს სევდას რატომ ანათებს ამაღლებუ-  
ლი განწყობილება? რატომ გახდა ვილაცის ტრაგიკული  
აღსასრული, ნაღვლიანი აღტაცების, თუ არ ვიცი, რა და-  
ვარქვა – საბაბი?

არის კითხვები, რომლებიც არ საჭიროებენ პასუხის  
გაცემას, და თუ ეს ნამდვილად ასეა, იქნება არც ამ კით-  
ხვების ხმამალა გამაფლავება ღირდეს:

რატომ და იმიტომ!  
მორჩა და გათავდა!

ვატყობ, შორს მივდივარ, ისედაც აბურდულ, თავმო-  
უბმელ სათქმელს ვშორდები – მე ხომ საქართველოში  
ერთ მრავალთაგანს, უდროოდ დაობლებულ ბიჭს ვესაუბ-  
რები, რომლის ლოყაზეც ჯერ კიდევ არ გაცივებულა მამის  
ამბორი, ჯერ კიდევ მძაფრად გრძნობს ერთგული,  
მზრუნველი მუჭის სითბოს, შიგ საიმედოდ რომ შემალავ-  
და ხოლმე პატარა თითებს და ხელჩაკიდებული სკოლაში  
მიჰყვებოდა...

ამ ბიჭს არც ლექსი, არც მომბაზრებელი თანაგრძნო-  
ბა, მშობლის რეგალიებით თავმონონება, არაფერი არ უნ-  
და, ცოცხალი, გაღიმებული მამის გარდა...

მამასაც მეტი არაფერი სურდა, ჩაეხუტებინა, ევლოთ  
ხელჩაკიდებულებს, დიდი პოლიტიკური თუ ზნეობრივი  
რყევებით თავბრუდახვეულ გარემოს გარეშე, მარტივად  
და ადამიანურად ეცხოვრათ, იმ გულუბრყვილო სიკეთით,  
რომლითაც ცხადდება ხოლმე სამყაროსა და ადამიანის  
სიყვარული... მაგრამ ფატალური მოსახვევი? ბედისწერის  
დრამატურგია? უკასაციო განაჩენი?

„ცხოვრება ეს იყო, ეს არის,  
მპარავი, ცბიერი, მგესლავი...“

მრავალწერტილი... მრავალწერტილი, რომელიც მხო-  
ლოდ ლექსის „დინამიკის“ გამაძლიერებელი მეგონა,  
თურმე იმაზე მეტს მალავდა, ვიდრე ვგრძნობდი და ვი-  
ცოდი:

„ცისთვალას სანთლები კვესავენ,  
ხნულში დგას მაისის ნათლია.“

ფერმკრთალო,  
შემკრთალო კესანე,  
შენ მაინც მიგლოვე, მადლია...“

ჩემო პატარა მეგობარო (ვიმეორებ!), მამაშენის ბედისწერაში ჩვენი საერთო ტრაგედია ირეკლება და, იქნებ ეს პატარა, წერილი-რეკვიემი, უფრო მომავალში წასაკითხად არის გამიზნული, იქიდან რომ გამოგახედოს, დაგანახოს, როგორ ძნელად იდგამდა ფეხს შენი ქვეყანა, რამდენი სისხლი, ტკივილისა და ცრემლის დულაბი დასჭირდა მის აშენებას...

არ შევეცდები აგისხნა, ვინ დაკარგე მამის სახით.  
ეს შენზე უკეთესად არავინ იცის!..

ისევ წვიმს. სინათლემოძალეზულ ფანჯრებზე ქარი მიშხვეპავს ჩამოგრძელებულ წვეთებს.

როცა იქნება გადაიდარებს.  
შეშრება წვეთები.

ცრემლებიც.  
მიწყნარდება მეხის გავარდნის ექო...

გავკადნიერდები და კიდევ რამდენიმე სტრიქონს შეგახსენებ ჩემი ბოლო კრებულიდან:

„მოკვდები, ბოლოს მომიღებს,  
ტყვია ან იშემია.

არ მეშინია სიკვდილის,  
სიცოცხლის მეშინია“.

ღმერთსა ვთხოვ, შენს თაობას, უფრო იმედიანი პოეტები ჰყავდეს და ისეთი ქვეყანა გქონდეთ, ფაქიზმა და თავგანწირულმა სულეებმა, სიცოცხლიდან ნებაყოფლობით გაქცევა რომ არ ირჩიონ.

ეს მხოლოდ აქაურს კი არა, იმქვეყნიურ საქართველოსაც სჭირდება.

**სადღებრკელოდან**

... ისტორია, უფრო ხშირად, არ იზიარებს ჩვენს შეხედულებებს გამორჩეულ თანამედროვეთა მიმართ – არის უფრო ლმობიერი ანდა უფრო მკაცრი მათ შეფასებაში.

ჩვენ, რიგით ადამიანებს, ვისთვისაც ისტორია ვედარ მოიცლის, გამჩენმა ერთადერთი შანსი დაგვიტოვა – ვეცადოთ, წასვლამდე, სააქაოს შეუბღალავი სახელი დაუტოვოთ...

მოდით, ამ შანსს ნუ გავუშვებთ ხელიდან, ბატონებო!..

**სადგურიდან სადგურამდე**

ნიგნის პრეზენტაციიდან მოვიდვართ.

რაფოს – შინ, მე ქალაქგარეთ წასასვლელად, ავტოსადგურში მიმეჩქარება.

მეტროს ვაგონის კართან ვდგავართ. შექეიფიანებულნი რაფო ასლოკინებულ პირზე ხელს იფარებს.

– ბოდიში, გადავეჩვიე ნოყიერ საჭმელს... მაინც რამდენი ხორცი იყო! ეს ხიზილალის ბუტერბროდებო, ეს „ასეტრინაო“, ძეხვეულიო, ნამცხვრებო, ნაირნაირი სასმელიო... ბოდიში, რა ჯანდაბა მომდის... ათი წელიწადი

ხეირიანად მუცელს რომ ვერ ამოივსებ, სულ ხარახურა საჭმელზე რომ იქნები, ერთბაშად ამდენი კალორია მეხის დაცემასავით მოქმედებს... არა ვარ კარგი კაცი, ახლა ამას რომ ვკითხულობ, პატივი გვცა, დაგვაპურა, მაგრამ ცნობისმოყვარეობის ჭია მაინც არ მასვენებს – საიდან ასეთი შესაძლებლობა, ამდენს ხომ ვერც მაშინ ვახერხებდით, როცა, ავად თუ კარგად, ჰონორარიც გვქონდა და ხელფასიც...

ახლოს მდგომები რაფოს სულერთია, მოწყენილი სახეებით მისჩერებიან. არ აინტერესებთ, მაგრამ მაინც უსმენენ, ვინ არის ის ბედნიერი, ვის შეუძლია ხიზილალით დაადლოს გაჭირვებული ქვეყნის მშეიერი კალმოსნები.

გვირაბის სიბნელეში ბორბლები ხრჭილით შეცურდენ, მიუხრუჭებმა შეაბორძიკეს ვაგონები და შეჩერდა მატარებელი. ნათურებიც აღარ ბუჭტავენ, შესქელებული სიბნელე აწვება ვაგონის კედლებს. ნაპრალიდან, ხვრელებიდან, როგორც ჩასაფრებული ყაჩაღები, ვირთხები გამოძვრნენ და მატარებელს შემოესივნენ. მესმის, როგორ ღრღნიან, ფქვავენ ბუფერებს, ბორბლებს, ვაგონის თუნუქს, წამახული კბილები აქუცმაცებენ შუშას, ჩარჩოს, სადაცაა შემოჰყოფენ აკანკანებულ დინგებს, შემოაფრქვევენ ჭირისფერ სიმყრალეს და ახლა ადამიანების თქველფას დაიწყებენ... მაღალ ძაბვაზე ჩართული ხერხემალი გამიხურდა, მოლოდინის შიშმა დამწვრის სუნად ააქოთა იქაურობა.

მგზავრები მშვიდად, შეგუებულები ელოდებიან განსაცდელს, ეტყობა, მათ ცხოვრებაში უკვე მოხდა რაღაც ამაზე უფრო აუტანელი. გაუსაძლისთან შეგუებაში დაუბლაგვით პროტესტის გრძნობა, ანდა რა მნიშვნელობა აქვს, ვირთხა შეჭამთ თუ ვირთხის მსგავსი ხელისუფალი.

ვაგონი შეირხა, იმავ წამს იქაურობაც განათდა.

– შენ ახლა აქ არა ხარ! – დანაწებით მიყურებს რაფო, ეტყობა რაღაც მკითხა და არ ვუპასუხე.

გვირაბიდან გავდივართ, მალე სადგურ „ელექტროდეპოში“ შევჩერდით.

ორივეს ერთდროულად გვედიმება, გვახსენდება დაბლა, ხიდექემ სახინკლე რომ იყო და ხშირად ვსტუმრობდით ხოლმე.

ბევრი ხინკლის ტრფიალი იყრიდა თავს, რას არ მოისმენდი:

„ამდენი პილპილი რო მოგიყრიათ, ხო იცით, ნალველი მიჩმახებს“..

„ადექი და შენც გაუჩმახე“.

„მეტი რა გზა მაქვს, ეგრე ვიზამ..“

– ვაგონილა? კათხა ლუღზე, კაცის შეპატიჟების თავიც რომ არ გექნება... რა დღეში ჩაგვყარეს... მამ არ არიან მაგრები, ჰა?

სექცია შეჩერდა, კი არ გავიდენენ, ვაგონმა თითქოს გადააფურთხა მგზავრები.

ადამიანების ბოლმიანმა ნიაღვარმა რაფოც გაისროლა, მაგრამ რაღაც სასწაულით, ფილაქანზე რომ არ დაცემულიყო, თავი მაინც შეიკავა, ქუსლზე ყოჩაღად შემოტრიალდა, ხელი ამინია და მისი მოწყენილი მზერა ჩახურულ კარში მოჰყვა.



ქაშუატი

ჩამოგვეყურებს გუდიაშვილის მარიამი და, ამ მზერაში, ღვთაებრივთან ერთად, არის რაღაც ძალიან მშობლიური, დედობრივი, მისი მსგავსი ქალები ჩვენც გვყავდა, ვის კალთაშიც ვიზრდებოდით, ვისი ალერსი და ყურადღებაც გვფარავდა, გვიცავდა ავი თვალისაგან.

დეკანოზი მრევლს პირჯვარს სახავს. ადამიანები მონინებით თავს ხრიან, მერე მუხლს იყრიან, ზოგი საფენზე, ზოგიც – იატაკის ფილაქანზე. მდუმარენი ისმენენ მოძღვარის სიმღერასავით გაგრძელებულ ლოცვას.

უცებ, ჩემს წინ, მუხლმოყრილთა ფეხსაცმელები მომხვდა თვალში – ქუსლებში მორყეულები, გადაცვეთილები, ამძვრალი საპირეებით, გათხელებული ძირებით.

სხვებსაც დავაკვირდი, მარჯვნივ თუ მარცხნივ – დაახლოებით იქაც იგივე-ფეხსაცმელებზეც ეტყობა, როგორ გაღარიბებულია ჩვენი მრევლი.

ყოველი ფეხის ნაბიჯზე, მათხოვრებისა და სიდუხჭირის შემხედვარეს, თითქოს რაღაც უნდა გამკვირვებოდა: მაინც...

ვჩურჩულებ:

„ნეტა შენს გაძლებას, მარიამ, ამდენი ლატაკისა და უპოვარის მაყურებელს“...

მარიამი იღებს ჩემს თანაგრძნობას. ღვთისმშობლის უპეზე გამოსავარდნად დაკიდულ ცრემლს ხელისგულს ვუშვერ და ველოდები... ველოდები...

გორბალი

იმ ტახტზე ვწევარ, სტუმრად მოსულ, საწყალ დედაჩემს რომ ეძინა ხოლმე.

დილით ადრინად ადგებოდა, ლუმელს აანთებდა, ალაგებულ ტახტის ბოლოსკენ მიწყობილ ლოგინზე აფუებულ ბალიშს ჩამოედებდა, ჩამოიშლიდა ჭალარგარეულ თმას და ხის სავარცხელით ზემოდან ქვემოთ ჩამოჰყვებოდა, ჩამოივარცხნიდა, მერე აიკეცავდა, კეფასთან თმის სარჭებით დაიმაგრებდა. ამ საქმესაც რომ მორჩებოდა, ჩაიდანს ასადულებლად შემოდგამდა, წინაღამით, თავქვეშ ამოდებულ წინდისჩხირებს გამოიღებდა, ქსოვას გააგრძელებდა.

ერთხელაც, გამოვედი, მივესალამე. ის კი, თავისთვის ზის და ელიმება.

რა მოხდა – მეთქი.

ვერ ხვდებიო?

მხრები ავიჩჩე.

აბა, გარეთ გაიხედეო.

გადავწიე თეთრად გაბრწყინებული ფარდა – ისეთი თოვლი მოდის, მსხვილი, ფაფუკი, ლამაზი, წინა სახლი აღარ ჩანს, დიდრონი ფიფქები ჰაერშივე ჰკოცნიან ერთმანეთს.

კიდევ კარგი, მოვიდა, გაიხარებენ ბავშვებიო, ისეთი სახე აქვს, თვითონ არანაკლებ უხარია.

ქსოვაში გართულს, კალთიდან, ძაფის გორგალი გადმოუვარდა, ტახტქვეშ ნაცრისფერი, გალუული თავგვივით გაიბრინა და თვალს მოეფარა.

რაღაც გამახსენდა, ძალიან ძველი, შორეული, ბავშვობის დროინდელი – მაშინაც თოვლი, მაშინაც გაგორე-

ბული ძაფის გორგალი, თეთრი, გახამებული აბაჟურიდან ჩამოღვრილი სინათლე და ამ სინათლის ქვეშ მჯდომი დედაჩემი – ახალგაზრდა, ლამაზი, მკერდზე გადმოგდებული შავი მაჯისსიმსო ნაწნავებით...

გამახსენდა, მაგრამ არაფერი მიტყვამს.

ახლა ვნანობ, რატომ არ მოვაგონე, იქნებ როგორ გახარებოდა.

ამის ნაცვლად, დაჩოქილმა ტახტის ქვეშ შეგორებულ გორგალს დავუწყე ძებნა.

არ გავახსენე-მეთქი, სამომავლოდ გადავდე, შვილებს დედები ხომ უკვდავები ჰგონიათ.

პიპი

მანაბლის ქუჩაზე ვხვდები. მისალმების შემდეგ, ილიაში ამოდებულ, „ლიტერატურულ საქართველოში“ დაბეჭდილ ერთ პოეტზე მეუბნება:

– გაგიგონია, კაცო, ჩემს სიმწრით, სისხლითა და დავით მიგნებულ, მოპოვებულ სტილს, სალექსო ფორმებს, ისე უსინდისოდ წამოავლებს ხელს და მიითვისებს, მადლობასაც არ მეუბნება... ზოგს ქურდობა მარტო სხვის ჯიბეში ხელის ჩაყოფა ჰგონია! – იცინის, მაგრამ თან ეტყობა სწყინს, სწყინს, თუმცა თავისებურად, თავისთვის, განგამს არ ტეხს (ზოგიერთივით), არიქა, გამქურდესო...

თანდაყოლილი კეთილშობილება და მოთმინების უნარი (რომელიც, ალბათ, გამუდმებულმა თავის ტკივილებმაც გამოუმუშავეს), კარნახობს, რომ ის ვილაც შორს ვერ წავა, სხვისი ყალიბით წმინდა ოქროს ვერ გამოადნობს, პატივმოყვარეობით გაფუყულს, დრო ღრუბელივით გამოწურავს და თავის ადგილზე დასვამს.

გარდასული წვიმა

დოლიძის ქუჩის კუთხეში, სადინარიდან გადმოჩქეფილი წვიმა შერბოდა გარღვეულ, სტუდენტურ ფეხსაცმელში.

გოგომ მკითხა, რა გაცინებსო.

ფეხისგულეებზე წვიმა მილიტინებს – მეთქი.

ტუჩაბზეებულმა, დაწინკლულ ცხვირზე, ყოჩივარდების ბლუჯა აიფარა და ასფალტზე ნებიერი, თეთრი თიკანივით გაბაკუნდა.

იქიდან წამოსულმა, ვარაზისხევეზე, პირდაღებულ ი ფეხსაცმელი გავიხადე, ზონრებით გამოვნასკვე, მხარზე გადავიკიდე და სტუდენტულად ნყალს ფეხშიშველი მივტოპავდი...

ახლაც გვაზაფხულია, ისევ ის მხიარული, თბილი, ანგალი წვიმა მოდის, სწორედ მაშინდელი ხალისით, ხმაურითა და ჩხრიალით.

ჩვენ კი...

ჩვენ სახეზე თაბაშირივით შემოგვბზარვია ნაოჭები და ჭვინტაპრეხილი ფეხსაცმელი იცინის... იცინის...

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ტელერადიო ჟურნალისტიკის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი. ლიტერატურული კლუბის – „პასენაქი“ ხელმძღვანელი. უნივერსიტეტის გაზეთის ლიტერატურული რუბრიკის ნამყვანი. 2004-2006 წლებში რამდენიმე ფოტოგამოფენისა და პოეზიის საღამოს ავტორი. გამოქვეყნებული აქვს ლექსები და პუბლიცისტური თხზულებანი („მწერლის გაზეთი“, „ლიტერატურული პალიტრა“, „ლიტერატურული საქართველო“, „ჩვენი მწერლობა“). უყვარს მზე, გადაეჩვია მარცხენა ხელით წერას, არ უყვარს კალენდრები, ეძახიან თუთას და დანარჩენი მკითხველმა იფიქროს.

თათია ჯგუშია

# AMARKORD – ანუ მე მახსენდება

მიახატეთ ფანჯარას მზე, მერე თავისით ამოვა. სენტი-მენტებისგან დაგავეთ ყველა ოთახი, შუბლიდან ნელა გადაინიეთ თმა და ეცადეთ, წარმომიდგინოთ ბრონეულებით ხელში, დაკნენილი ფრჩხილებით, აბურდული თმებით, ძველი პალტოთი და ცოტათი სასაცილო ბათინკებით.

ახლა სინოპტიკოსები მკითხავენებთან დადიან... პროგნოზის მომლოდინენი კი გაცვეთილი ფრაზებით ულოცავენ ერთმანეთს ვანილისსუნთან შობის ღამეს...

კამილა კლოდელი დგას ფანჯარასთან, ხედავს როდენს ხიდთან. შეშდება. გზა ცხოვრების დარჩა ფრჩხილის ქლიბის ტოლა.

ღრიალს კორექტურა გაუკეთეს და ჩურჩულად გადააქციეს. ჩვენ მივყვებოდით ჭიანჭველების მშვიდობიან დემონსტრაციას და, როცა კედლის ყველაზე ტკბილ არშიებს მივადექით, სანთელი ჩაქრა. ალბათ ძაფი ჩაიწვა.

აიღეთ სარკე. პატარა სარკე და შიგ ჩაიხედეთ ისე, რომ სახე ჩანდეს თქვენი და თმა და ჩათვალეთ, რომ თავი დაიმორჩილეთ.

ბავშვობაში მეც ჯეინ ეირივით ძალით შემაჭრეს თმა, თორემ მეყვარებოდა რძე და ფრჩხილებზე ლაქის წასმა.

„მე ვარ კონკია, რომელიც, სამწუხაროდ, არც ფერიას და არც ზღაპრულ პრინცს აღარ ელის“ – თქვა კამილა კლოდელმა.

წინდებში ჩავიტანე სიზმარი და მაინც მიჩანს! სამართებით გადაფხაჭნე ცა: „წვიმს“ – დიდი ასობით ეწერა. მეტისმეტად ბევრს ეწევა ჩემი ბუხარი იანვარში. გააღეთ ცა და შემოუშვით სხვა პლანეტების სუფთა ჰაერი.

შავს შავი უნდა ვუძახოთ.  
თეთრს – თეთრი.  
შავი ზღვა რა ფერია? დიდი ბოდში...

კამილა კლოდელს ახსენდება როზა ბერე და ის, თუ როგორ ზელდა თიხას როდენის სახელოსნოში.

ქურიდან პერანგის სახელოებით გადავდგამ ჩაიდანს, დაღამებისთვის. ნაფტალინისსუნთან ფიქრებით ამევსო ჩემი ყველა გული და რამდენიმე ხელი. წვიმს. გუშინ მთელი

დღე ვხატავდი და ფეხი ვიტკინე. ალბათ ასე სჯობს.

რატომ ჰყავს ყველა რუსულის მასწავლებელს კატა და ბევრი როგორ იწერება? მთვარე ჭაში უფრო დიდია თუ ცაზე?



„დაიმახსოვრე, ჩემო პატარა“, „და ამ დროს გამომეღვიძათი“ დამთავრებული თხზულება ბანალურია! სა-ზიზ-ლა-რი-ა!“ – მეუბნება ბატონი ნოდარ ტაბიძე და იმავედროულად ჩემს ზურგს უკან ქალაღი იჭმუჭნება, მთელი ჩემი ნავაგლახარი.

მზემ აღმოსავლეთი ჩაიხადა. გათენდა. ხან მიხარხარ, ხან –

მეძახილისნიშნები. ჩამოვიღალე შენს მუხლებზე, ჩამომეძინა. ვხსნი და ვკრავ  
თასმებს, გეფერები ასე. ჩემი სომნამბულური გასვლები ასეთია.

ჩემი პალტოს შენი ღილი, გაღვლილი თვალი ცაზე, თუ დაღლილი მზის პროფილი ესკიზებად მიმოვხაზე. შენი კედლის ჩემი თასმა, ძველი დანის ვერცხლის ტარი, ჩემი ბედის შენთან დასმა, თუ გამიღე მუხის კარი. ჩემი ბალის შენი ხილი, ერთი ატმის ორი ლოყა... არ მეტკინა, კარში შენი, შენი ცერა თითი მომყვა. შენი ღამის ჩემი თავსხმა და თუთების განუშება. ჩემი მძივის შენი ასხმა სანამ ფერებს გაუშვებდა. ჩემი პალტოს შენი ღილი; შენი კედის ჩემი თასმა; ჩემი ბალის შენი ხილი; შენი ღამის ჩემი თავსხმა.

კითხვის ნიშანი ჩამოვიკიდოთ მთვარეზე და ვიქანაოთ... უხმო, პასტოზური მოძრაობებით, უყოველგვარო ზეანულობით. მაინც ბანალურია ყველა ვითარება და ჩვენ. ფიდეისტიები ნიცშესა და შოპენჰაუერს კითხულობენ, მე რატომ-ღაც მეცინება. ქუჩაში გაბურძნული და ჩამოძენილი ვითომ როკერები დადიან და ისინი რომ ყველაფერს „ვითომ“ აკეთებენ, მე და თქვენ ეს გადასარევედ ვიცით.

კამილა კლოდელი მიდის კარისკენ. კართან არ არის საკიდი, და რომც იყოს საკიდი, მას არ გააჩნია პალტო. ხიდთან როდენი ეგულეება, ჩქარობს და არც...

წელი წყდებათ წვიმის წვეთებს, წაინია წინ-წინ წვივმა, ნუხს დაწყველილ  
წუთზე წელი, წუის წვიმა.

კამილას ფეხსაცმელებში ჩასდის წვიმა და წყენა. ... ხიდთან როდენი არ მდგარა. ტრივიალურია, არა? უბრალოდ, მოვიდა წვიმა და უბრალოდ, მე მახსენდება.

ეკა ბუჯიაშვილი

როსტომ ჩხეიძე:  
რომაელიც არ აქვით...

# დროის დინამიკაში უდროობის ქვეყანაში

\*

პაატა ჩხეიძის  
ამერიკული შთაბეჭდილება

როცა ამ ქვეყანაზე ლაპარაკობენ, საუბრობენ მის სიდიდეზე, უსაზღვროებაზე, თავისუფლებაზე და კიდევ... აურაცხელი რაოდენობის მანქანებზე, ოკეანისგაღმა სამყარო მსოფლიოსთვის ცალკე მდგომ ფენომენად იქცა... ამჯერად თავისი შთაბეჭდილებები ამერიკის შესახებ ცნობილმა მთარგმნელმა, პროფესორმა პაატა ჩხეიძემ გაგვიზიარა ახრანული „ჩვენი მწერლობის“ სალონში, ოღონდ... ეს არ იყო საუბარი ამ ქვეყნის სიდიდეზე, უსაზღვროებაზე... ან აურაცხელი რაოდენობის მანქანებზე, ბატონმა პაატამ ვაშინგტონის მახლობლად, ერთი წლით ცხოვრების და მუშაობის მანძილზე, ამერიკული სამყაროს სხვა განზომილებები შეისწავლა. შედეგებს მკითხველი თანდათანობით ეცნობა ახრანული „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებიდან, ამჯერად კი...

– დიალოგი აუდიტორიასთან – ასე შეაფასა ბატონმა როსტომ ჩხეიძემ შეხვედრა, რომელმაც ამერიკის მეტად საინტერესო შრეები დაგვანახა.

## ორი მიმართულება ერთი ფენომენისათვის

– ვაშინგტონში ვიმყოფებოდი ცნობილი, ფულბრაიტის პროგრამით, რომელიც ითვალისწინებს მეცნიერთა გაცვლას ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების, თუ ახალი კვლევების მიზნით, – გვიამბობს ბატონი პაატა, – ვმუშაობდი ამერიკის კათოლიკურ უნივერსიტეტში, რომელიც ბევრ სხვადასხვა ინსტიტუტს აერთიანებს. უნივერსიტეტის კორპუსში, უწინარესად, ყურადღებას იპყრობს ტაძარი ღვთისმშობლის უმანკო ჩასახვის სახელობისა, და მალენის ბიბლიოთეკა. შეიძლება ითქვას, სხვა ყველაფერი ამ ორი დომინანტი შენობის გარშემოა განლაგებული. ტაძარს, ერთი შეხედვით, ვერ დააკავშირებთ ევროპულ არქიტექტურასთან, აღმოსავლური ელემენტების გამო, და თუ შეგნით შეხვალთ, აღმოაჩინებთ, რომ ეს უზარმაზარი შიდა სივრცე თითქმის მთელს მსოფლიოს მოიცავს – კათოლიკური ღვთისმსახურების გარდა, იქ არის უამრავი სამლოცველო ქრისტიანული რელიგიის სხვადასხვა მიმართულებისა, კათოლიციზმის წიაღში რომ ერთიანდება.

საერთოდ, ამერიკელები ძალზე თბილი ხალხია... და სტუმართმოყვარეც, ოღონდ თავისუფალი დროის ხარჯზე...

– დიას, ეს მართლაც ასეა... იქ ჩასვლისთანავე დამხვდა მამა ჯორჯ მაკლინის, მდივანი, ჰუ იუპინგი. მამა მაკლინი კათოლიკე ბერია, „ობლივიტი“ ე.წ. შეწირულთა ორდენის წევრი, განათლებით ფილოსოფოსი, ამერიკის კათოლიკური უნივერსიტეტის ემერიტუს პროფესორია, მან დააარსა ცენტრი, რომელშიც იკვლევს ღირებულებებსა და კულტურას მთელს მსოფლიოში. ამ ცენტრში ის მართავს სემინარებს სხვადასხვა ქვეყნიდან მიწვეული სპეციალისტებისათვის. მათ დამაბინავებს, მიმასპინძლებს და ორი კვირის მანძილზე, ვიდრე ბინას მოვუბნედი, ჩემთვის არავის უთქვამს, რომ სადმე უნდა წავსულიყავი, თუმცა, ეს ყველაფერი სულაც არ ევალეობოდათ, რადგან ჩემს ცხოვრებას და მუშაობას აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის სპეციალური პროგრამა აფინანსებდა და საკუთარი თავისთვის თავად უნდა მიმეხედა.

ვმუშაობდი ორ კათედრაზე – ინგლისურის (ანუ, ლიტერატურის) და პოლიტიკის. სხვათა შორის, ბინისათვის საჭირო ავეჯიც მამა მაკლინმა და პოლიტიკის კათედრის გამგემ, სტივენ შნეკმა მომიტანეს.

პირველ რიგში ლიტერატურით დავეინტერესდი. გეგმის მიხედვით უნდა შემესწავლა და მეთარგმნა XX–XXI სს. ესეისტიკა. აქედანვე დავეუკავებოდი ცნობილ მეცნიერს, რუმინული წარმოშობის მართლმადიდებელს, ვერჯილ ნემოიანუსს, ვინც დიდი ხანია კათოლიკურ უნივერსიტეტში მოღვაწეობს. სწორედ მან შემიღო კარი უახლესი ამერიკული ლიტერატურის სამყაროში, რომელსაც ნაკლებად ვიცნობთ. არადა, მშვენიერი ლიტერატურა აქვს. თვითონ ნემოიანუს ფიქრობს, რომ დეკონსტრუქცივიზმის დრო მიდის, ბოლოსდაბოლოს, წარსულს ჩაბარდება და ლიტერატურაც ორი მიმართულებით განვითარდება: ერთი იქნება ისტორია და რელიგია, მეორე – მეცნიერება. ამის დასტურად მითხრა ის, რომ დღესდღეობით, მსოფლიოში ყველაზე პოპულარული გამოცემები სწორედ ისტორიულ-თეოლოგიური ხასიათისაა და მაგალითად მოიყვანა დენ ბრაუნის სკანდალური ფილმი „დავინჩის კოდი“.

პირველი ავტორი, რომელიც ვერჯილ ნემოიანუსმ შემომთავაზა, იყო რასელ კერკი, რომელიც საკმაოდ უცნაურ, საშინელებათა მოთხრობებს წერს და, თუმცა, ამავე დროს ძალზე ცნობილი ესეისტი, ლიტერატორი და პოლიტოლოგი გახლდათ. მის კალამს ეკუთვნის ვრცელი გამოკვლევა „ბერკიდან ელიოტამდე“ (ედმუნდ ბერკი იყო ირლანდიური წარმოშობის დიდი პოლიტიკოსი და მოაზროვნე, ინგლისის პარლამენტის წევრი, ვინც თავისი ნაშრომებით გახდა კონსერვატივიზმის მამამთავარი, თუმცა, ეს სიტყვა მას არასოდეს უხსენებია, ამ ტერმინის ავტორები ფრანგი და გერმანელი მიმდევრები არიან).

საერთოდ, მიმაჩნია, რომ თანამედროვე ამერიკულ ლიტერატურას ჰყავს შესანიშნავი ავტორები, რომლებიც ჩვენთან ცნობილი არ არიან. მაგალითად: ნილ სტივენსონი, ნიკოლსონ ბეიკერი... ისინი ვინრო სამეცნიერო კუთხით მუშაობენ, ასე ვთქვათ, მაღალი ტექნოლოგიების ლიტერატურაში დანერგვას ცდილობენ. თანამედროვე ამერიკულ ლიტერატურას ჰყავს შესანიშნავი მწერალი ქალი მე-

რილინ რობინსონი, რომელიც ცოტას წერს, თუმცა ძალზე კარგად, პულიცერის პრემიის მფლობელია. მისი შემოქმედების მთავარი მიმართულება ადამიანის ზნეობა და რელიგიაა...

მწერალთა კლუბებზეც მინდა გითხრათ ორიოდ სიტყვით:

პატარა ქალაქი ბეთესდა, სადაც მე დავბინავდი, ვაშინგტონის საზღვართან მდებარეობს, დაახლოებით 50 ათასი მცხოვრებით, თავის დროზე პროტესტანტებს დაუარსებიათ. დაბინავებისთანავე პირველი რაც მოვძებნე იყო ბიბლიოთეკა და მწერალთა ცენტრი. თავის დროზე ოთარ ჩხეიძე წერდა: მწერალთა კავშირი უნდა იყოს მწერალთა კლუბი. ის ანგლო-ამერიკანისტია და, ჩანს, კარგად იცოდა, რასაც გულისხმობდა ეს მოდელი. ამ ქალაქში მწერალთა კლუბი დაბინავებულია ერთ პატარა შენობაში, აერთიანებს ახლომახლო მცხოვრებ მწერლებს, რომლებიც იკრიბებიან, მართავენ საღამოებს და ლიტერატურით დაინტერესებულ ახალგაზრდებს მასტერკლასებს უტარებენ. აქვე თავიანთი გამოცემებიც და ერთმანეთს კარგი და საინტერესო ვორქშოპების ჩატარებაში ეჯიბრებიან. ისე, ამგვარ ცენტრებშიც კი შეინიშნება გარკვეული პრაგმატიზმი და ნაკლები ირაციონალიზმი, თუმცა, ისინი ცდილობენ თავიანთი საქმე გააკეთონ და სერიოზული შედეგებიც აქვთ.

**ერთხელ ამერიკულ სკოლაში**

ვაშინგტონში ჩემს ქალიშვილთან ერთად გავემგზავრე. ის იქ „ჰაიგ სქულში“ სწავლობდა.

საერთოდ, ამერიკული საშუალო სკოლა კარგად ორგანიზებული დაწესებულებაა, თანამედროვედ აღჭურვილი კაბინეტებით. სწავლება კონკრეტულია და არა ზოგადი, ჩემს შვილს სასწავლებლის წესდება რომ გააცნეს და ამ პირობებს თითოეულმა მასწავლებელმა თავისი წესები დაუმატა, მიხვდა, რომ საქმე სერიოზულად იყო, თუმცა ეს სიმკაცრე ახლოსაც ვერ მივა იმასთან, რაც ევროპულ საგანმანათლებლო სისტემაშია.

ერთხელ მშობლები დაგვიბარეს სკოლაში. ერთი მოსწავლისათვის ფანქრის სათელი დანა აღმოუჩენიათ და დირექტორი თავს იმართლებდა ჩვენს წინაშე.

- თქვენთან როგორ არის საქმეო? - ჩემი ქალიშვილისთვის რომ უკითხავთ, მას უპასუხია:

- ჩემს კლასელებს, ხანდახან, ცეცხლსასროლი იარაღიც დააქვთო.

**„ჩატახილი ხიდი“ და...  
კორუფცია ამერიკულად**

ამერიკელებისთვის მეტად საინტერესო თემაა ურთიერთობები და დამოკიდებულება ხელისუფლებასა და



პატარა ჩხეიძე

ხალხს შორის. მართალი გითხრათ, ისინი სულაც არ ემადლიერებიან თავიანთ დღევანდელ მთავრობას და საკითხს სვამენ ასე: რატომ თვლის ხელისუფლება თავს არა ხალხის მოსამსახურე, არამედ მის მმართველად?

სტივ შნეკის თქმით, პრობლემა კლასობრივ დამოკიდებულებაშია. ერთ პატარა მაგალითს გეტყვით: ემიგრანტთა ნაწილს, რომლებიც ფიზიკურად მუშაობენ, იქ ლურჯ საყელოიანებს უწოდებენ, ისინი კი, ვინც მოახერხებენ ინტელექტუალურ სფეროში, ან ბიზნესში დაიმკვიდრო ადგილი, თეთრსაყელოიანები არიან.

**გიორგი ლობჯანიძე - ეს უბრალოდ ტერმინია თუ... იცით, დაახლოებით ასეთი რამ შუა საუკუნეების სახალიფოში იყო - ებრაელს ყვითელი სამოსი ეცვა, ქრისტიანს კი - ცისფერი. მას მერე მსგავსი არაფერი მსმენია...**

- არ აიძულებენ, მაგრამ რაღაცნაირად, თავისთავად დამკვიდრდა ასე, როგორც ტერმინი.

საერთოდ ლიბერალიზმი და თანასწორობა კიდევ ერთი უბედურებაა ამერიკისა... ჩემი აზრით. - კლასობრივი განსხვავება როცა სერიოზულიაო, - სტივ შნეკი ამბობს, - როცა კლასებს შორის ჩატეხილი ხილია, მაშინ დანინაურებული კლასი ყოველთვის თვლის, რომ ის არის მმართველი, მბრძანებელი და არა მსახური ხალხისა. აშშ-ში კლასობრივი განსხვავება, მიუხედავად იმისა, რომ კლასები არსებობს, შემცირებულია, ამიტომ ადგილობრივი ხელისუფლება (აქ შნეკი არ გულისხმობს ბუშს - მისადმი სერიოზული უარყოფითი დამოკიდებულებაა), სულაც არ თვლის, რომ მმართველია, ის ფიქრობს, რომ ხალხის სამსახურში უნდა იდგეს ჩვენი ქალაქის მცხოვრებთა პრობლემების მოსაგვარებლადო.

საქართველოში კი... თითქოს კლასები არ არსებობს, ყოველ შემთხვევაში თვალშისაცემი არ არის, თუმცა, ხელისუფლების დამოკიდებულება თავისი მოვალეობების მიმართ ასეთი, რატომღაც, არ არის. ეს სტივ შნეკმაც კარგად იცის და ძალიანაც აკვირვებს.

ვფიქრობ, საინტერესო უნდა იყოს კორუფციის თემაც, ჩვენთან ხომ იმიტომ მოხდა რევოლუცია, რომ კორუმპირებული ქვეყანა ვიყავით, თუმცა, ეს პრობლემა ამერიკაშიც არანაკლებ აქტუალურია. მაგალითად, იყო ასეთი შემთხვევა: სენატის უმრავლესობის ლიდერს, **ბობ დილენის** არჩევნების პერიოდში დიდი თანხების „გარეცხვას“ აბრალებდნენ. საკმაოდ დიდი სკანდალი აგორდა. მას ვერ დაუმტკიცეს ბრალდება, თუმცა, ამ ყველაფრის შემდეგ მან ჩათვალა, რომ უნდა წასულიყო პოლიტიკიდან, უმრავლესობიდანაც გადადგა და სენატსაც თავი დაანება.

საკმაოდ გახმაურებული ფაქტი იყო აშშ-ის ადმინისტრაციის ერთ-ერთი მაღალჩინოსანის, დიკ ჩეინის უახლოესი მეგობრის **სკუტერ ლიბის** საქმე. ეს კაცი დიდ პოლიტიკურ სკანდალში გაეხვია - აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო ორგანიზაციიდან გაჟონა საიდუმლო ინფორ-

მაცია და აღმოჩნდა, რომ ამ საქმეს ხელი შეუწყო სკუტერ ლიბიმი. ამ სკანდალს სასწრაფოდ მოჰყვა ლიბის წასვლა პოლიტიკიდან.

ძალზე ცნობილი იყო ვინმე **ჯეკ აბრამოვის** საქმეც. ეს კაცი იყო ლობისტი, მეტად დაახლოებული მაღალ პოლიტიკურ წრეებთან. მას ბრალი ედებოდა იმაში, რომ მთავრობას დიდი თანხები გამოაყოფინა ამერიკელი ინდიელების რეზერვაციების დასახმარებლად და მერე ეს თანხები არასწორად გახარჯა. ამგვარ სკანდალებთან დაკავშირებით მასსოვს კადრები, როგორ ტიროდა ერთი ხანშიშესული რესპუბლიკელი სენატორი, რომელსაც ორი მილიონის ქრთამად აღება ედებოდა ბრალად.

აბრამოვი ციხეში ჩასვეს, თუმცა ბევრი მაღალჩინოსანი ამ სკანდალის დროს რომ გადარჩა მხოლოდ იმიტომ, რომ აბრამოვმა არ დაასახელა, ეს ცხადი იყო.

### არჩევანი ეს, არაღანი – ის

ამერიკელებს აქვთ საინტერესო იუმორისტული ტელე-შოუ – „კოლბერ-რეპორტი“ ჰქვია. ერთხელ მისმა წამყვანმა საქართველო აჩვენა, სიუჟეტი ასეთი იყო: ერთი ზორბა ჯეელი ყურებით მიათრევს მიკროავტობუსს. თვითონ კოლბერს ცალი ყური აქვს დიდი და იხუმრა: ჩემთვის იყო ეს თემა მეტად საინტერესო, თუმცა, არც ჩვენ დაგვინდო და გააგრძელა: ყველაფერი კარგია, მაგრამ ჯერ ერთი, ცარიელი მიკროავტობუსის თრევა რა საჭიროა?! და თუ მაინც მიათრევ, ყურების ნაცვლად, თავი რომ გაგენძრიათ ქართველებს უკეთესი არ იქნებოდაო?! მინდა დაგარწმუნოთ: ამერიკელები თავის მანკიერ მხარეებს ხომ დასცინიან და არც შენ დაგინდობენ.

რაც შეეხება ამერიკა-საქართველოს ურთიერთობებს...

საერთოდ, კავკასია და საქართველო ამერიკისთვის არის უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული რეგიონი და ეს დამოკიდებულება უახლოეს მომავალში, ალბათ, არ შეიცვლება. უმრავლესობა აშშ-ში თვლის, რომ ჩვენ უნდა მივიღოთ ლიბერალური დემოკრატია, და საამისოდ მათ ჰყავთ სანდო კაცი; ვინც იცის, რომ ბუში არ არის ჭკვიანი, შორსმჭვრეტელი მმართველი და დამლუპველ პოლიტიკას ატარებს, მათთვის კუროიზია ის, რომ საქართველოში არსებობს ბუშის ქუჩა.

რაც შეეხება პრორუსული ორიენტაციის გავლენებს კავკასიაში. ამერიკელები თვლიან, რომ თუ ექნებათ ცენტრალური კორიდორი აზიისაკენ, ირანის გვერდის ავლით (აქ უნინარესად იგულისხმება ბათუმისა და ფოთის პორტები და აეროდრომი), მათთვის სრულიად საკმარისი იქნება და ეკონომიკური ბერკეტების რუსეთისათვის გადაცემის საკითხზე სულაც არ იღელვებენ.

**მანანა გაბაშვილი: – გამოდის, რომ ამერიკა და რუსეთი საქართველოში გავლენის სფეროებს იყოფენ.**

– ასე გამოდის... რაც შეეხება „ნატოში“ ჩვენი ქვეყნის განწევრიანების საკითხს, ჩემი იქ ყოფნისას ამერიკაში ჩამოვიდნენ საქართველოს საგარეო საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების ხელმძღვანელები. მათ კარნეგის ცენტრში ჰქონდათ შეხვედრა ჟურნალისტებთან და როცა

იქ ჰკითხეს: რითი უნდა დაარწმუნოთ მსოფლიო, რომ „ნატოში“ ხართ საჭირონი, ხომ არ სჯობდა ჯერ თქვენი ეკონომიკისათვის მიგეხებათო, ვერაფერი უპასუხეს. ამ კითხვაზე პასუხისათვის მოუმზადებლები აღმოჩნდნენ.

### პლატონი ამტკიცებს, არისტოტელე ანანილას, და რას ირჩევს ამერიკა

ჩემი პროგრამა, მართალია, კვლევასა და თარგმნას მოიცავდა, მაგრამ იქ რამდენიმე ლექციაც ნავიკითხე. ერთი თვითმმართველობის საკითხებს შეეხებოდა (მე ხომ ადრე ქ. გორის მერი ვიყავი) და როცა ადგილობრივ ხელისუფლებაზე და დეცენტრალიზაციაზე ვსაუბრობდი და ვამბობდი, რომ ხელისუფლებამ გარკვეული უფლებები უნდა გადასცეს ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს, მითხრეს: ძალიან ბევრი მოგიწოდებია, ახლა პირიქით ხდება, გლობალიზაციის ეპოქაა, ყველაფერი ცენტრალიზაციისაკენ მიდის და არ დაუჯერო იმ ამერიკელებს, ვინც საპირისპიროს ამტკიცებსო...

მეორე ლექცია ქართულ-ამერიკულ თემასა და დემოკრატიას ეხებოდა.

თავის დროზე, ბატონ **გია ნოდის** ამ უნივერსიტეტში ნაუკითხავს მოხსენება (გამოქვეყნებულიც არის მამა მაკლინის მიერ) თემაზე, თუ რამდენად შეიძლება ერთმანეთს მოერგოს ნაციონალიზმი და დემოკრატია. ბატონი გია ამტკიცებს, რომ ეს შესაძლებელია. ჩემი აზრი სანინალმდეგაა, რადგან ვფიქრობ, რომ დემოკრატია სულაც არ არის პოზიტიური სიტყვა და თუკი პლატონსა და არისტოტელეს დავეკითხებით, პასუხად მივიღებთ, რომ დემოკრატია ერთ-ერთი ყველაზე ცუდი ფორმაც კი არის სახელმწიფო მმართველობისა. სამაგიეროდ ბატონი გიასთვის აპრიორი ფაქტი ყოფილა ის, რომ დემოკრატია კარგია, ლიბერალური დემოკრატია – საუკეთესოა და ნაციონალიზმთან (ოღონდ არ ვიცი რა სახის) მისი თანაცხოვრებაც შესაძლებელია. ამ მოხსენებას მაშინ სტივენ შნეკი გამოეპასუხა და, ვფიქრობ, საფუძვლიანად დაუმტკიცა, რომ იმ უზარმაზარ სიქველეს, რომელსაც საკუთარ თავში ატარებს ნაციონალიზმი, დემოკრატია ვერავითარ შემთხვევაში ვერ გაუძლებს და ამიტომ ამ ორი რამის შერწყმა იოლი არ იქნება. ყველაზე საინტერესოა ის, რომ მთელს იმ დიდ მოხსენებაში, რომელიც საქართველოს უნდა ეხებოდეს, სიტყვა საქართველო ნახსენები არ არის. ავტორი წერს ზოგადად, უნივერსალურად, სტივენ შნეკი კი სწორედ საქართველოზე ეკამათება და იხსენებს, როგორ ყოფს არისტოტელე ქვეყნებს იმის მიხედვით, თუ ვისთვის რომელი მმართველობის ფორმა იქნებოდა უკეთესი. ვთქვათ, სპარსელებისთვის უპრიანად მიიჩნევს მონარქიას, ისეთი ფიცხი ხალხისთვის კი, როგორც არის ბალკანეთისა და კავკასიის ქვეყნების მოსახლეობა, საუკეთესოდ თვლის დემოკრატიას...

**მანანა გაბაშვილი: – ფორმულირება როგორი აქვთ ამ ცნებისა ამერიკელებს?**

– კლასიკური. ისეთი, როგორც მათ ქვეყანას წაადგება. ამერიკელებმა ძალზე კარგად იციან, რაც სურთ – თა-

ვიანთთვის მათ უნდათ ბრიტანული ტიპის დემოკრატია, რომელიც კონსტიტუციაზეა დამყარებული.

**გივი ალხაზიშვილი: – საინტერესოა მათი აზრი თავისუფლებისა და დემოკრატიის იგივეობაზე, უფრო სწორად, ამ იდეის მცდარობაზე.**

– იმ ამერიკელებისთვის, ვინც ჭეშმარიტად დაინტერესებულია, საკუთარმა ქვეყანამ გადაირჩინოს ის უნიკალური სახე, ამ ორას წელიწადში რომ ჩამოუყალიბდა, დემოკრატია თავისუფლებას სრულიადაც არ გულისხმობს, მათთვის თავისუფლება კონსტიტუციონალიზმს უტოლდება.

**გრიგოლ რობაქიძე: – რამდენად არის ამერიკა ერი, ეს სხვა საკითხია, ზადორნოვს აქვს: კოპენჰაგენში დანიელი ეკითხება ამერიკელს: Вы чужоестранец? – Сам вы чужоестранец, я Американец! – პასუხობს იგი. საინტერესოა, რამდენად არის ამერიკელი ხალხის ინტელექტუალური განვითარების ხარისხი ისეთი, დომინირებადი სახელმწიფოს მოქალაქეებს რომ ეკადრებათ?**

– ეგ ცნობილი გამოთქმა ბრიტანელებს ეკუთვნით, ჩანს, ახლა ამერიკელებზე გადაუტანიათ. იცით, საერთოდ, ანგლო-საქსური რასის ცენტრი იქით, ვაშინგტონშია, ამიტომ შეიქმნა ამერიკული იქსტრემალიზმი (გამორჩეულობა). თავის დროზე ამ იდეას ხოტბას ასხამდა კიპლინგი და გადატანილი იყო ბრიტანელ ერზე. დღესდღეობით ბრიტანელებს არ სიამოვნებთ ეს გადანაცვლება რომ მოხდა და გამუდმებით აკრიტიკებენ ამერიკელთა გამორჩეულობას, სამაგიეროდ, ამერიკელები ცდილობენ დაამტკიცონ, რომ ცუდი არაფერი უდევთ გულში...

შეიძლება ითქვას, ამერიკელი ხალხის მსოფლხედვაში ორი მიმართულება გამოირჩევა: ერთი – ნეოკონსერვატიული, ანუ ყოფილი მარქსისტებისა, რომლებსაც სურდათ მთელი მსოფლიოსათვის მოეხვიათ თავზე მარქსისტული იდეები, ახლა კი ლიბერალიზმის იმედად არიან და ფიქრობენ, რომ კაცობრიობა ლიბერალური დემოკრატიის მაღიარებელი უნდა გახდეს; მეორე მხარე ამერიკული იქსტრემალიზმის დაცვას ცდილობს და თვლის, რომ რაკი ამ ქვეყანას ჰყავს უიტმენი, მარკ ტვენი, აქვს თავისი კულტურა და მეცნიერება, ამერიკელი ერიც ჩამოყალიბებულია თავისი გამოკვეთილი არსით და ამიტომ, მთავარია, არა გლობალური ტენდენციები, არამედ ამ ჩამოყა-

ლიბებული სახის გადარჩენა. ერთი სიტყვით, პირველი უნივერსალურ იდეებზე საუბრობს, მეორე კი თავისი არსის გადარჩენას ცდილობს... და ეს ორი მიმართულება იმდენად გამოკვეთილია, რომ გვერდგვერდ მჯდომი ორი პროფესორისგან ერთი გეტყვით: ქართველებს ტრადიცია და კულტურა გადაგარჩენთო, მეორე კი გირჩევთ, ლიბერალურ ღირებულებებს ეზიარეთ და ასე დაიმკვიდრეთ ადგილი მსოფლიოშიო.

**მუხრუჭები საფრთხის წინააღმდეგ**

საუნივერსიტეტო ცენტრში არის პოლიტიკური ინსტიტუტები, სადაც ძალზე აქტიურად მიმდინარეობს მსჯელობა მთელს მსოფლიოში არსებული პოლიტიკური პროცესების შესახებ. შეგიძლია შეხვიდე, დავსწრო, მოისმინო, კამათშიც ჩაერთო. ასეთ დისკუსიებზე ხშირად რუსები ინვევენ ყველას. ისინი ცდილობენ ამერიკელები შეაშინონ: თქვენ კი გაქვთ ახალი უნივერსალური იდეა ლიბერალური დემოკრატიისა, მაგრამ ჩვენ უკვე შევქმენით „სობორი“, სადაც სულ უფრო ძლიერდება ევრაზიული იდეოლოგიაო (ამ იდეოლოგიით რუსები ევრაზიას სთავაზობენ: ჩვენ ვიქნებით წამყვანებიო).

ცენტრში, სადაც მსოფლიო პოლიტიკური აზრი ტრიალებს, არ ჩანს ჩინეთი და ინდოეთი. უფრო სწორად, ჩანან, მაგრამ კამათში არ ერევიან. მათ შეხვდებით ყველგან, ინდოელები სწავლობენ მაღალ ტექნოლოგიებს და წარმატებითაც იმკვიდრებენ ადგილს. ჩინელები თავდაუზოგავად მუშაობენ და მდუმარედ უყურებენ ამ პროცესებს. აი, მათ რა უნივერსალური იდეა აქვთ, ვერ გეტყვით, მაგრამ ძალზე სერიოზულად რომ ემზადებიან რალაციისთვის, ცხადია.

**გივი ალხაზიშვილი: – თავის დროზე ჰეგელი ამბობდა: მსოფლიოს ყვითელი რასა დაიპყრობსო...**

– რაც შეეხება ევროპას... ის ცდილობს სულ უფრო მეტი მუხრუჭი გამოიყენოს დროის მიერ მოტანილი იმ დიდი საფრთხის მიმართ, რასაც ასეთი დადებითი სიტყვა – პროგრესი ჰქვია, მაგრამ თუ დაუკვირდებით, თუ მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს ჩაუღრმავდებით, აღმოაჩენთ, რომ დემოკრატიის მსგავსად, პროგრესიც სრულებითაც არ არის ერთმნიშვნელოვნად დადებითი ცნება.

აღმოსავლურ კაფეში  
„ქარავანი“

კვირას, 15 აპრილს  
გაიმართება  
**აკაკი რამიშვილის**  
ხსოვნის საღამო  
დასაწყისი 14 საათზე  
ფურცელადის 10

აღმოსავლურ კაფეში  
„ქარავანი“

კვირას, 22 აპრილს  
გაიმართება  
**დათო მალრადის**  
პოეზიის საღამო  
დასაწყისი 14 საათზე  
ფურცელადის 10

მურმან ჯგუბურია

# მიპატიჟება „განთიადში“, გნებავთ, ქუთაისში

„მე იმერეთში წავალ, თქვენ საით?“  
„მეც იმერეთში, ჩემო ბატონო...“

გალაკტიონი

1. არცერთ კუთხეს არ მოუცია საქართველოსთვის იმ-  
დენი მწერალი (პოეტი, პროზაიკოსი), რამდენიც იმერეთს:

აკაკი.

გალაკტიონი.

ტიციანი.

პაოლო იაშვილი.

ვალერიან გაფრინდაშვილი.

კოლაუ ნადირაძე.

მუხრან მაჭავარიანი.

შოთა ნიშნიანიძე.

ოთარ მამფორია.

ზურაბ კუხიანიძე...

დავით კლდიაშვილი.

სერგო კლდიაშვილი.

ნიკო ლორთქიფანიძე.

კონსტანტინე ლორთქიფანიძე.

დემნა შენგელაია.

ოტია იოსელიანი.

რეზო ჭეიშვილი.

რევაზ მიშველაძე...

2. ქუთაისი და „განთიადი“ ჩემთვის (არა მარტო ჩემ-  
თვის, ცხადია), განუყოფელია. ერთიდაიგივეა. ერთია.

ქუთ-აისი მოიცავს განთიადს.

განთიადი – ქუთ-აისი.

აისი. ალიონი. ცისკარი. განთიადი. დილა... თედო სახო-

კია ამ ჩამონათვალში, ალბათ, კიდევ ორ ამდენს მიუმატებ-  
და. „მარტვი წვიმას აქვს სახელი ცხრა“ (მ. მაჭავარიანი).

ქუთაისი თუ არ გავიარე, ზუგდიდში ვერ ჩავალ.

ქუთაისი თუ არ გავიარე, ვერც დედა-ქალაქში ჩავალ.

მაგრამ, ქუთაისში რომ მოხვდები, ვერც ზუგდიდში

ჩახვალ და ვერც დედაქალაქში.

არ გიშვებს ქუთაისი.

აქ უნდა შეჩერდე, შეხანდე, შელამდე.

ასეთი წესი აქვს ამ ქალაქს.

ასეთები არიან ქუთათურები.

მასპინძელი იმის მასპინძელია, რომ მუდამ შინაა.

მაგრამ... ოტია – წყალტუბოშია, გვიშტობია. ჭეია –  
თბილისში.

ესე იგი, არც ქუთაისია შინ. სხვაგანაა. ვთქვათ, ნანი-  
ლობრივ.

კუხო აქ არის.

ესე იგი, ქუთაისიც აქაა.

ზურაბ კუხიანიძე იშვიათად ტოვებდა ქუთაისს. ვინ  
იცის, სტუმარი როდის გამოივლის.

უმასპინძლო ქალაქი ვის გაუგონია.

– ზურაბი არაა?

– აქვეა, ბატონო. ორ ნაბიჯზე.

ორ ნაბიჯზე რესტორანია, ან კაფე, ან სასადილო.

– ავთო ყურაშვილი ადგილზეა.

„განთიადი“ მუდამ ადგილზეა. და შენ, ავტორი ხარ თუ  
ვინა ხარ, რა ბედენაა, მთავარია, რომ შენ სტუმარი ხარ.

„განთიადი“ არ გიშვებს.

ვერც ზუგდიდში ჩახვალ, ესე იგი, და ვერც – თბილისში.

შეიძლება ქუთაისი გაიარო, ისე რომ „განთიადში“ ვერ  
შეიხედო, მაგრამ ამას ქვეყანა გაიგებს. ესე იგი, არ შეიძ-  
ლება.

სტუმარ-მასპინძლობა არც მეგრელებს ესწავლებათ,  
ცხადია.

სასწაული სტრიქონები მაგონდება:

**აგე, ნაბდინი მეგრი  
მოდის, ფერხთით მეგება,  
მობრძანდიო, მისი ეგრე  
მესმის შემოგებება;**

**მსურს შევალ სახლის კარი  
და უეცრად, დავექი:  
ოჰ, ეს კარი კი არ არის –  
ცისკრისაა დამდეგი!**

თუმცა, იმერული სუფრა ყველა სუფრის თამადაა.

რაც ასაკში შევდივარ (რალა შევდივარ, შევედი და ეგაა,  
საცაა სამოცდაათს მივუკაკუნებ), სულ უფრო და უფრო მი-  
ზიდავს კახური სუფრა. არა სუფრა, არამედ, პურ-მარილი.  
„ზავოტობა“. არა. პურ-მარილი. პურ-ღვინო. მეტი რა უნდა  
სუფრას. დაბრძანდი, დაისხი ღვინო, რამდენიც გნებავს, და  
დალიე. არავენ არაფერსაც არ დაგაძალებს. სამეგრელოში  
კი არა ხარ, ანაც – იმერეთში. აქ მეტი თავისუფლებაა, მეტი  
სიხალვათე. იმერული სუფრა მჭიდროა, არ ვეტყვი და  
აგერ, ახლა, შემოსწრებული მეინახე ცდილობს სკამის ჩად-  
გმას. მაგიდას ახალ-ახალი წვერი ემატება. დავეტყვი, ბა-  
ტონო, დავეტყვი...

– რა ჩამოგვიტანე? – იკითხავს „განთიადის“ რომელიმე  
თანამშრომელი.

– არაფერი.

– არც გინდა.

ეს ზაურ ბოლქვაძის ხმაა: „ნუ მოიტან, ლომი, უკვე  
იბეჭდება...“

გონერ ჭეიშვილი ჩუმად იღიმება.

მაინც რამდენი ჭეიშვილია ამ ქალაქში.

რეზო. გონერი. გოვენი...

მეტი არაა?

რეზო ნაწყყებია. ცხადია, არაა რეზო ჭეიშვილი.

– რეზო ნაწყყებია თუ იცის მეგრული?

– ქართული იცის, ჩემო მურმან, – მეუბნება ავთო ყუ-  
რაშვილი, – მისი რომანი თუ ნაიკითხე?

– ნავიკითხე.

მწერალს ორი პროფესია გააჩნია: კითხვა და წერა. კით-  
ხვა – ჩემი ხელობაა. მწერლობა ხელობაა, ცხადია.



არიან მწერლები, რომ არ კითხულობენ და მაინც მწერ-  
ლები არიან. ესენი არიან სწორედ ნამდვილი მწერლები. და-  
ბადებით – მწერლები. არიან მწერლები, რომ კითხულობენ  
და იმიტომ არიან მწერლები. ანუ: წიგნი რომ წაართვა, მწე-  
რალი ვერ იქნება. ზურაბ კუხიანიძე მაინც პოეტი იქნება.  
თორნიკე ერისთავი... ოტია იოსელიანი სანამ დაიბადებო-  
და, მანამდე იყო მწერალი. რეზო ჭეიშვილი დაიბადა და მე-  
რე გახდა მწერალი. მოვიდა, თვალი მოავლო ამ ქვეყანას და  
გაკვირდა. ელგუჯა თავბერიძე ცოცხალი კლასიკოსივით  
გვესაუბრება. რატომღაც მგონია, რეზო მიშველაძე – ნაუ-  
კითხავია...

ადრე უნდა მეთქვა:

ერთხელ, ცხონებული ოთარ მამფორია მოგვიყვა: ვერ  
წამოვედი, ფრანგო, მთელი კვირა ვიქეიფე, არ მომეშვენენ,  
ასეთია ჩემი ქუთაისი, და აი, აგერ, როგორც იქნა, ავედი მა-  
ტარებელში. ავედი თუ შევედი? („ქურთი სახლში ჩავიდა“,  
ო.მ.), ჰოდა, ამომყვა მატარებელზე (თუ მატარებელში?)  
ერთი ჩვენი მონონებული ძმაკაცი, ნუ ნახვალ, ოთარ, მეუბ-  
ნება, ერთი-ორი დღეც დარჩიო. არ შემიძლია, გადავიღალე-  
მეთქი, ვუუბნები. კარგო, მეუბნება, ესე იგი, მეტი გზა არ  
ყოფილაო, და, თუ იცი, ფრანგო, რას მეკითხება: მე რომ  
მოვკვდები ხომ ჩამოხვალო. რაებს მიჰქარავ-მეთქი, ჰოდა,  
ნუ ჩამოხვალ, მე რომ მოვკვდები, აგერ, ახლა ჩამოდი  
ოღონდაც მატარებლიდან, და რა უნდა მექნა, არ ჩავსული-  
ყავი?.. კიდევ გადავაბი მთელი კვირა.

რა მალაპარაკებს?

ჩემი ქუთაისი. და ჩემი „განთიადი“.

ხელთა მაქვს „განთიადის“ 1-2, 2005 წელი.

ნავიკითხვით ეს ჟურნალი, თვალი მივატანოთ, გადავ-  
ფურცლოთ.

3. „განთიადი“ 30 წლის იუბილეს აღნიშნავს. თუმცა მისი  
ასაკი საუკუნითაც კი არ გაიზომება, რაც საყოველთაოდ  
ცნობილია.

ქალბატონი ნინო ბურჯანაძე ულოცავს „განთიადის“  
რედაქციას იუბილეს.

ერთხელაც, ცხონებულ ოთარ მამფორიას, ქუთათურე-  
ბის საყვარელ პიროვნებას და ქუთათურების უებრო მოყვა-  
რეს, შინ ეწვივნენ. რამ შეგანუხათო, ფრანგებო, – ოთარმა.  
უნდა გამოგაქანდაკოთო, სტუმრებმა. ქანდაკება არ მინდა,  
ფრანგებო, ფეჩი მინდაო, – უთქვამს პოეტს, – გაახედა  
სტუმრები ფანჯრიდან, – ზამთარი ახლოვდებაო.

ნინო ბურჯანაძის მილოცვას, ცხადია, ამ ჩემი შიშველი  
წერილისა არ იყოს, სჯობდა, „განთიადისთვის“ ხელი მოგ-  
ვემართა, – რაზედაც გვესაუბრება ჟურნალის თავკაცი –  
ავთანდილ ყურაშვილი.

არაფერს ვამბობ ოტია იოსელიანის, რევაზ მიშველაძის,  
თეიმურაზ ლანჩავას ნაწარმოებებზე, ჟურნალის ეს ნომერი  
რომ გვთავაზობს, არ ვამბობ იმიტომ, რომ მკითხველი უკვე  
მიჩვეულია ამა შემოქმედთა ნახელავს, – მინდა რამდენიმე  
სიტყვა ვთქვა პირადად ჩემთვის მოულოდნელ პუბლიკაცი-  
ებზე:

1. თორნიკე ერისთავი – ლექსები.

2. ელგუჯა თავბერიძე – სამი ესეი.

**რამდენზეც გული მიკვდება,  
ცრემლი არა მაქვს იმდენი...**

ასეთია ჩვენი თანამედროვე ყოფიერება. ჩვენი დღეის  
დღე.

ჭირს ცხოვრება, გვეუბნება პოეტი, მე ვინ, თვითონ  
ალექსანდრესაც სულს უზუთავდა თავისი ციციქნა მაკედო-  
ნიის საზღვრები, მე რა ვიღონოო, ესე იგი, და რამ უნდა გა-  
მახაროსო, რაც არა მაქვს, ხომ არა მაქვსო, და, რაცა მაქვს  
და რაც ჩემია, იმასაც არ მანებებენო. – სამაჩაბლო და აფ-  
ხაზეთი იგულისხმება, ცხადია. ჩემზე ბედნიერი, აგერ, ეს  
წვიმის წვეთიც კი არისო:

**და ბედნიერი წვიმის წვეთი ფანჯრის მინაზე  
დამოგზაურობს გაურკვეველ ტრაექტორიით...**

დაბინდული საღამოა. ცივა. საცაა მოთოვს. ქარ-სუსხი  
ძვალ-რბილში ატანს. „ჭკვიანი ქურქშია“ (ვ. ხლებნიკოვი).  
უქონელ-უშოვარისათვის თოვლი და ყინვა შემანუხებელია,  
რომ არაფერი ვთქვათ იმის შესახებ, რაზედაც აქვე მივა-  
ნიშნეთ ანუ: აფხაზეთსა და სამაჩაბლოზე.

**თავი არ მინდა ჩემი, და „მეში“ კიდევ „მეა“.  
არადა, კუბო ჩემი ჯერ ტყეშია და ხეა...**

„განთიადის“ ამ ნომერში თორნიკე ერისთავის 19 ლექ-  
სია გამოქვეყნებული. 19 წვეთი ცრემლი. და 19-ივეს სხვა-  
დასხვა ზომა, რიტმი, კილო და ფერი გააჩნია. ძალზე თავი-  
სებურია ავტორის მიმართება საგან-მოვლენასთან, გარე-  
სამყაროსთან, წარსულთან, აწმყოსთან, მომავალთან, საყ-  
ვარელ ადამიანთან...

**გაცნობისას მოიხსენ და, მახსოვს, ხელზე გაკოცე,  
და პირველად მაშინ ვნახე შენი თეთრი ხელთათმანი,  
ხელთათმანი – შენი ხელის ხელზე მოსამსახურე.  
ერთხელ სილა გამანანი, რალაც არ მომიწონე  
და მეორედ მაშინ ვნახე შენი თეთრი ხელთათმანი,  
ხელთათმანი – შენი ხელის ხელზე მოსამსახურე.  
დანარჩენი? – აღარ მახსოვს, მესამე და მეოთხე,  
ბოლოს? – აგერ, ნუხელ იყო, დაგაბნია სიჩქარემ.  
შენი თეთრი ხელთათმანი ჩემს ოჯახში დატოვე,  
შენი თეთრი ხელთათმანი, ხელთათმანი შენი ხელის  
ხელზე მოსამსახურე...**

ხომ ერთი ციციქნაა ეს შედევი, მაგრამ, ჩაულრმავდი  
მკითხველო, რა მასშტაბის მომცველია აქ სიტყვა „ოჯახი“  
(და არა სახლი, ბინა, სასტუმრო და ა.შ.), – გამორიცხული  
არაა ამ „თეთრმა ხელთათმანმა“ უდიდესი ტრაგედია დაატ-  
რიალოს, როგორც არაა გამორიცხული ისიც, რომ ამ „თეთ-  
რმა ხელთათმანმა“ ქალი და კაცი ერთმანეთთან სამუდა-  
მოდ დააკავშიროს... (ლექსის სივრცეში, ცხადია).

თორნიკე ერისთავი მხატვარია. თუმცა ამჯერად, იშვია-  
თად რომ ლიტერატურა თავისი განუყრელი ეპითეტიტო მო-  
იხსენიონ.

**წყაროსთან ვზივარ, კარგა ხანია,  
გზით გადაღლილი მგზავრი გვიანი,  
სიმიინდი ქალს ჰგავს ალვისტანიანს,  
ტარო – ჩვილია ოქროსთიანი...**

ბატონ თორნიკეს არ ვიცნობ. არ შევხვედრივარ. ადრე,  
ჟურნალს ხოლმე, ბოლოში, ავტორის მოკლე ბიოგრაფიუ-  
ლი ცნობები ერთვოდა. არ ვიცი, ამ ლექსის ავტორი რა ასა-  
კისაა, აქვს თუ არა გამოცემული ლექსების კრებული, ესეც  
არ ვიცი. ამ პუბლიკაციის გამო კი, აი, რა მინდა ვთქვა:

თორნიკე ერისთავი თავის თავადი პოეტია. თავადიც ხომ ის არის, რასაც გვარი გვეუბნება. ამ ლექსების ავტორს უკვე გამოვლილი აქვს ლადო ასათიანის სკოლა – პატრიოტიზმი – ასე რომაა მოჭარბებული თანამედროვე პოეტების ნახელავში. ლადო ასათიანი ჩვენი ნომერ პირველი პატრიოტი პოეტია, ამ კუთხით მას ვერც გიორგი ლეონიძე შეცვლის და ვერც ტიციანი, არაფერი რომ არა ვთქვათ მურმან ლებანიძეზე, მუხრან მაჭავარიანზე, შოთა ნიშნიანიძეზე... ლადომ, თითქოს, ყველა ამათი სათქმელი ერთად შეკრიბა და ერთად გამოთქვა.

პოეზიას, პატრიოტიზმის გარდა, კიდევ ბევრი სხვა რამ მოეკითხება:

დაბადება, ცხოვრება, გარდაცვალება, სიყვარული, ლაღატი, ცა და მიწა, ეშმა და ანგელოზი, რწმენა-რელიგია-ღმერთი-ყველაფრის დასაბამი და დამაგვირგვინებელი.

**მქონდა პატარა სიკეთეები,  
ასე თუ ისე, კიდევ ვიომე,  
მაგრამ ბოლომდე, როგორც ყოველთვის,  
ვერ გამოვდექი და ვერ ვიომე,  
არადა, უკვე ახლოა ლეთა...**

თავმდაბლობა, გულწრფელობა, სინანული, ადამიანურობა, ქრისტიანობა.

**ვისხენებ, ვწუხვარ სამშობლოს, წარსულს  
და ღვინის ჭიქას ბალღამით ვივსებ,  
გამიუცხოვეს მოხუცი დედა,  
მამის საფლავსაც ველარ ვგრძნობ ისე...**

რალაც არაქართულია ამ სტრიქონებში, არატრადიციული, თითქოს, მაგრამ სინამდვილეში გამოხობებული სიმართლეა. პოეტი ვითომ მარტოდმარტო საკუთარ თავზე გვესაუბრება, მაგრამ ჩავიხედოთ გულში, – ჩვენც მანდა ვართ, საცა არის ის (პოეტი). კონკრეტული ხდება საზოგადო, საყოველთაო, და, პირიქით, საზოგადო – კონკრეტული. ჩვენა ვართ სწორედ ეგეთები, როგორც გვითხრა პოეტმა და ჩვენი ეგეთობა აიღო მან თავის თავზე, მიისაკუთრა და მიიჩიემა. „მამის საფლავსაც ველარ ვგრძნობ ისე...“

სხვანაირი ნაკითხვაც ახლავს ამ სტრიქონებს: ვინ იცის, პოეტმა იქნება „მოხუცებულ დედაში“ დედა-საქართველო იგულისხმა, მამის საფლავში კი – დავით აღმაშენებლის სამუდამო საბრძანისი.

პოეზიას (პოეტი) პატრიოტიზმის გარდა, კიდევ ბევრი სხვა რამეც მოეკითხება-მეთქი.

**დეკემბერია, საცაა მოთოვს,  
დაგუნდაობენ ბელურებით ჭადრის ტოტები,  
არ ვიცი, რატომ, სიკვდილზე ვფიქრობ,  
მაინტერესებს, როდის მოვკვდები...**

ეს ლექსი კი თავიდან ბოლომდე უნდა ამოვინერო, რათა ერთხელ კიდევ განვიცადოთ (მეც და ამ ესეის მკითხველებმაც), თუ რა არის ნამდვილი პოეზია:

**ნათლილებაა, გარეთ თოვლია...  
მამლით და ღვინით ნათლულებს ველი;  
ექვსი მყავს, ერთი როგორ არ მოვა, –  
ორი ახალი და ოთხი ძველი...  
დროა ისეთი, ხასიათში აქვს  
ქაოსი სრული, ფერები მუქი,**

**ღმერთო, მიშველე, რამ დააღამა,  
იქნება ალბათ საათის ხუთი...  
ვზივარ ოთახში სრულიად მარტო,  
მახურავს ქუდი, მაცვია ქურქი  
და მშიერ-მწყურვალს მამლის ბიბილო  
მგონია ახლა ლამფაში შუქი...**

ერთხელაც გავიმეოროთ: აი, ეს არის პოეზია, თუმცა, რატომაა ეს პოეზია, მოკვდავი ენით ამის გამოთქმა თითქმის შეუძლებელია.

„რომ გავიგოთ, რა არის პოეზია, ცუდი ლექსის დამწერის სიხარული უნდა გავიზიაროთ“ (ჰერმან ჰესე).

კარგი ლექსის დამწერზე რა უნდა ითქვას?  
4. ელგუჯა თავბერიძე: „სამი ესეი“.

პირველი ესეის სათაურია: „ზარბაზნის კვამლი“.

არ ვიცოდი: აკაკის უთქვამს: „გიორგი ჭალადიდელმა თავისი ნიჭი ზარბაზნის კვამლში გაახვიო...“

ამ გამონათქვამიდან გამოიჭრა ესეის სახელწოდებაც.

ამთავითვე ვიტყვი: ელგუჯა თავბერიძე თავისი დიდი წინაპრის კვალობაზე, ყველას თავისას მიაგებს, ვისაც რა ეკუთვნის და რა დაიმსახურა.

გიორგი ჭალადიდელი მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება რუსის სამსახურში იდგა. ნიჭი გააჩნდა, რამდენიმე არაჩვეულებრივი ლექსი დაგვიტოვა („მიყვარს ფაცხა“... „დედის დარიგება“...).

„ლექსზე უფრო სამხედრო სამსახურს ერთგულედა, ეტრფოდა, – გვეუბნება ესეისტი, სჯობდა კი პირიქით“...

ხომ სიმართლეა, რაც აქ ითქვა, მაგრამ, ელგუჯა თავბერიძე, როგორც წესი, სათანადო მაგალითებით, უმეტესად, დიდთა წინაპართა გამონათქვამებით ამაგრებს საკუთარ სათქმელს, რითაც უფრო სარწმუნო ხდება მისი სიტყვა.

აი, რას წერს დიდი წინაპრის შესახებ ავტორი:

„ნაიკითხავ და ყველაფერი ნათელია. ეპოქა, ადამიანები, მათი სულისკვეთება, მიზანსწრაფვა თითქოს ხელისგულზე გიდევს, წვდები, ხვდები მათ განწყობილებას...“

ასე გვითხრა ავტორმა სულმნათი პოეტის შესახებ.

იგივე შეიძლება ითქვას (არ ვაჭარბებ!) თავად ელგუჯა თავბერიძეზეც.

„ნაიკითხავ და ნათელია ყველაფერი...“ (ე.თ.).

„ქართულს ვინ გასწავლიდა?“ ხშირ-ხშირად გვეკითხებოდა მოზარდებს, ერთი ჩვენსოფლელი გლეხკაცი, მთელს რაიონში ჭკუით განთქმული.

ელგუჯა თავბერიძეს სიტყვა, კლასიკოსი წინაპრების ცოდნა-გაგებიდან გამომდინარეობს.

ერთხელ კიდევ უნდა გავიმეორო:

„ნაიკითხავ და ნათელია ყველაფერი“.

მეორე ესეი („ყველგან შინ“) დიდი ნიკო ნიკოლაძის ცხოვრებისეულ დეტალებს აგვიწერს.

„კონსტანტინე გამსახურდია წერდა: ნიკო ნიკოლაძე ყველგან შინ იყო...“ (ე.თ.)

დიდი მასშტაბის მომცველია ეს ორად-ორი სიტყვა: „ყველგან შინ“.

ამ ორად-ორი სიტყვის გაშლას ემსახურება ელგუჯა თავბერიძის ესეი.

ესეისტი იხსენებს თავის წინაპარს – ბაბუა გიორგის, მოკლედ და სამახსოვროდ გვიხასიათებს (გვიხატავს) მას, და, აგრეთვე, მის ახლო მეგობარს – ლევანას, რასაც ასეთი ამბავი მოსდევს:

„სავარძელში მოკალათებული გიორგი ძველ „რეკორდს“ უყურებს, აინტერესებს ახალი ამბები, პირველად მან უნდა გაიგოს, რა ხდება, როგორ ხდება... ლევანაც მიუჯდა გვერდით და ციმციმაქერანიან ტელევიზორს მიაშტერა დასიებული თვალები“... (ცოტათი შეზარხოშებულია ბაბუა გიორგის სტუმარი).

„– ნადი, ძმაო, სახლში, შენ ამ ტელევიზორს ახლა ორად ხედავ, – უთხრა გიორგიმ.

ლევანა ადგა, მივიდა „რეკორდთან“, გამორთო და ილ-ლიამი ამოიღო.

– რას შვები, კაცო, სად მიგაქვს?

– შენ მეორეში უყურე, გიორგი ბატონო“.

ახლა ვნახოთ, თუ რატომ დასჭირდა ესეისტს ამ ამბის გახსენება.

„ნიკო ნიკოლაძეს უამრავ ვინმესთან უპაექრია, უკამათია... ერთხელ, არწრუნს, სომხურ გაზეთ „შმაკის“ რედაქტორს აკრიტიკებდა: ქარვასლის პატრონს ჯარიმად 50 მანეთის გადახდა არ უნდა (არწრუნმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა) – ამას (ე.თ.). ნიკო ნიკოლაძეს როგორ გავცე პასუხი, ერთი ორად ერჩვენებაო. მაშინ ნიკო ნიკოლაძემ, ქარვასლა დაგვიტომა და იმ საცოდავ 50 მანეთს ჩვენ გადავიხდითო. არწრუნმა, ქარვასლას მართმეო? ერთს, უფალო რედაქტორო, მეორე თქვენ გრჩებათო“...

„ყველგან შინ“ იყო.

ანუ: არ იყო ისეთი სიტუაცია, საკითხი, ვითარება, რომ ნიკო ნიკოლაძეს გამოსავალი არ ეპოვნა, გვეუბნება ავტორი. საცა არ უნდა ყოფილიყო, მაინც შინ იყო.

მუდამ – შინ.

მუდამ თავისთავთან.

„თუ თავი შენი შენ გახლავს, ღარიბად არ იხსენები“.

სიღარიბე უჭკუობაა და არა უფულობა-უსახსრობა.

სიღარიბე – უთავობაა, შინ არ ყოფნაა. თავისთავთან არ ყოფნაა.

ნიკო ნიკოლაძე მუდამ ყველგან შინ არის. საქართველოშიც და უცხოეთშიც. და ასეთი შთაბეჭდილება რჩება ამ ესეის წამკითხველს, რომ ნიკო ნიკოლაძეს თან დაჰყვება საქართველო. სადაც ის არის, იქ არის მისი სამშობლო, მისი საქართველო. „სხვა საქართველო სად არის?“ – არის. ყველგან არის, სადაც ქართველი კაცია, სადაც ნიკო ნიკოლაძეა, იმიტომ, რომ იგი ყველგან და მუდამ შინ არის.

„ნიკო ნიკოლაძე კუნჭულის კუნჭულში იხედებოდა“ (ე.თ.).

ნ.კ.: „ვერ ამიხსნია, საიდან იბადება შეცდომა, თითქოს ერთის არსებობა მეორეს უშლიდეს: საქმე, ქვეყანა, მზე ყველას არ ყოფნის?“

ასე მსჯელობს თავად დიდი ნიკო. წმინდა ილიას მკვლელობაზე გველაპარაკება და ერთი კონკრეტული ტრაგედია საკაცობრიო ტრაგედიამდე აჰყავს.

**Я думал: жалкий человек,  
Чего он хочет, nebo ясно,  
Под небом место хватит всем  
... А он напрасно  
Всёже воюет... Но, зачем?..**

ახალგაზრდა რუს გენოსს ომი აფიქრებს და აცოფებს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, თავად არის ომში ჩართული. საჯარისო ნაწილი მორიგი შეტევის წინ ისვენებს, შაშხანა გვერდით უდევს და ხელში კალამი უჭირავს...

ჩვენი გენოსი (ნ.ნ.) მშვიდობიან დროზე მსჯელობს, რა მშვიდობაც ომიანობას აღემატება. ილიას შინ მიმავალს კლავენ.

ერთიც ვთქვათ:

ილიას კვლობაზე, ნიკო ნიკოლაძეც ეროვნულ-დემოკრატი იყო.

ეროვნული და დემოკრატიული.

დღეის საქართველოში ასობით პარტიაა, არადა, ილიას, ნიკოს, სპირიდონ კედიას, გნებავეთ, მათი ახალგაზრდა მიმდევარის – გიორგი ჭანტუიას აზრითა და შეხედულებით საქართველოს უმთავრესი პარტია სწორედ ეროვნულ-დემოკრატიული პარტია უნდა იყო. ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულება... მაგრამ არ სწყალობს ბედი ჩვენს ბედკრულ საქართველოს. ილია მოვკალით. ნიკო ნიკოლაძეს არ გავუგონეთ. სპირიდონ კედია უცხოეთში აღესრულა. გიორგი ჭანტუია გავანადგურეთ. და ეს ყველაფერი იმიტომ ხდება, რომ საქართველოში ეროვნულობამ არ იზეიმოს, არ გაიმარჯვოს. დემოკრატია, ინებეთ, ბატონო, რამდენიც გნებავეთ, წერეთ და იკითხეთ, ილაპარაკეთ, ოლონდაც ეროვნულობას, წეს-ადათს, ტრადიციას, ზნე-ჩვეულებას, ქართველობას შეეშვითო...

საქართველოს მანამ არ ეშველება, წერდა ნიკო ნიკოლაძე, სანამ ექსპორტი არ გადასწონის იმპორტს, სანამ ჩვენებურობას, ჩვენეულ მეურნეობასა და მრეწველობას არ ავალორძინებთო.

ასე ამბობდა „ყველგან შინ“ მყოფი მამულიშვილი და ერისკაცი.

მესამე ესეი: („ესეც ესე, ჩემო ბატონო“).

ამ ესეის სათაური, როგორც მკითხველი ხედავს, იმაზე მეტს მოიცავს, ვიდრე ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს. „ესეც ესე“, ანუ ის, რაც უნდა შეთქვაო, და კიდევ ვთქვიო. „ესეც ესე“, ანუ, აი, კიდევ ერთი ესეიო.

ამ ესეიში ელგუჯა თავბერიძე უდიდესი ქართველი მესიტყვის – დავით კლდიაშვილის კარ-მიდამოზე გვესაუბრება. აღწერს გარემოს, ამინდს იმდღევანდელს, კარ-მიდამოს, სინამდვილეში კი, მკითხველს გამუდმებით აგონდება ამ კარ-მიდამოს ძველი მეპატრონე.

ამ ეზო-კარს ახლა ერთი ფრიად მოხუცებული კაცი უვლის და პატრონობს, – საუკუნეს მიღწეული, სათნო ბერნიკაცი – კონია დოლონაძე.

„ოთხმოცდაათს გადაცილებული, თავის ნათქვამზე თბილად მომღიმარი... რასაც იხსენებს, უხარია, რასაც ვერა – წუხს. მაგი გავლით მახსოვს, ბატონოო, მე თვითონ არ შევსწრებოვარო, ესე იგი... ამ ესეისაც თვითონ დაარქვა სათაური, ყოველი ამბის დამთავრებას მოაყოლებდა, – ესეც ასე, ჩემო ბატონოო...“

აქვეა კონია დოლონაძის ვაჟიშვილიც – დათუნაც.

„ბათუმის ამბავი მოყევი, ბათუმში რომ გაზეთის რედაქტორი გამოინვია დუელში, ის გვითხარო“...

მაგრამ კონია სხვა ამბებს ჰყვება.

„ბათუმის ამბავი მოყევი, ბათუმის“, – არ ეშვება ვაჟიშვილი.

მაგრამ კონია სხვა ამბებს ჰყვება.

და, აი, ამ მუდამ სხვა ამბების მოყოლამ, რა მოაგონა ესეის ავტორს:

„... პლატონი და კირილე შაფათაძეებიდან ჩოხანამოფხრენილი, დაბეგვილი ბრუნდებიან, კირილე ხშირად იმეორებს – დავრჩენილიყავით შაფათაძეებთან, – პლატონი

ბრაზობს, ირევა; კირილე, ხამუშ-ხამუშ, იგივეს ამბობს – დავრჩენილიყავით შაფათაძეებთან.

დავრჩენილიყავით შაფათაძეებთან“...

„ბათუმის ამბავი მოყვევი, რედაქტორი რომ გამოიწვია დუელში“.

იქ – დავრჩენილიყავით შაფათაძეებთან.

აქ – ბათუმის ამბავი მოყვევი, ბათუმის.

მაგრამ კონია სხვა ამბებს ჰყვება.

აქ საუბარში ჩაერთვება ჩვენი კოლეგა, გონერ ჭეიშვილი (ელგუჯა თავბერიძესთან ერთად რომ ეწვია სიმონეთს) – და მწერალი რისი მწერალია, ფსიქოლოგია თუ არ გაიხსენა და გონერი შეუმჩნევლად ჩამოართმევს სიტყვას კონია დოლონაძეს, თავისიანებს გაიხსენებს, და ამბავს ამბავს წააბამს ფრიად საგულისხმოს, იქნება კონია დოლონაძესაც მოაგონდეს ამასობაში ბათუმის ამბავი... მაგრამ, გაგიგონია!..

„ბათუმის ამბავი მოყვევი, ბათუმის“, – ეუბნება ვაჟიშვილი.

„დავრჩენილიყავით შაფათაძეებთან, – იხვენებოდა კირილე.

„არც პირველი ასრულდა, არც – მეორე“. ამ სიტყვებით იწყება ამ ესეის ფინალი. – პლატონი და კირილე შაფათაძე-

ებთან არ მიბრუნებულან, კონია დოლონაძეს ბათუმის ამბები არ გაუხსენებია...

მაინც რა ამბავი იყო ასეთი?..“

ესეც ესე!

მორჩა ესე!

მორჩა და გათავდა!

არა!

ესე ახლა იწყება: ჩემში, შენში, ჩემო მკითხველო, თავად ამ ესეის ავტორშიც, და მხოლოდ და მხოლოდ ერთადერთმა კაცმა (საუკუნეს მიტანებულმა) კონია დოლონაძემ იცის იმ ამბის თავი და ბოლო. ავტორმა არ იცის. მკითხველებმა არ ვიცით. ვიცით, ის ამბები რომ კონია დოლონაძემ იცის. ცოტაა ამისი ცოდნა? მე არ ვიცი, კიდევ რამდენ ხანს იტრიალებს დავით კლდიაშვილის ეზო-კარში (ღმერთმა დიდხანს ატრიალოს) კონია დოლონაძე, რომელმაც იცის ის, რაც ჩვენ არ ვიცით, და სწორედ ამიტომაც, ესეისტი, ჩემი გაგებით, სიმონეთში გვეპატიჟება...

მაგრამ, ვიდრე სიმონეთში ჩავალთ, კიდევ ერთხელ გადავშალოთ ჟურნალის ეს ნომერი, ან: სულაც უკეთესი: დავარქვათ ამ ესეის „მიპატიჟება განთიადში“, თუმცა, სწავლისათვის ახლა იშვიათად რომ ვინმემ მოიცალოს!

დალილა ბედანიძე

ჯადოსნური სამყარო

რუსუდან ჩოლოყაშვილი ქართული ფოლკლორის მკვლევართათვის კარგად ნაცნობი სახელია. მის კალამს ეკუთვნის არაერთი ცალკეული საინტერესო გამოკვლევა და ნიგნი „უძველეს რწმენა-წარმოდგენათა კვალი ხალხურ ზღაპრულ ეპოსში“ („ნეკერი“, 2004). და აი, გამოჩნდა მისი ახალი ნიგნიც „ცხოველთა ეპოსი“ („ნეკერი“, 2005). აქ განხილულია ცხოველთა ეპოსის ცალკეული ქვეჯგუფების (საკუთრივ ცხოველთა ზღაპრების, ეტიმოლოგიური გადმოცემების, კუმულაციური ზღაპრების) საზღვრები და თავისებურებანი, ცხოველთა ზღაპრების ფუნქცია, მისი ორსახოვანი პერსონაჟის გენეზისის საკითხი – მიმართება მითოსურ სახეებთან, ეთნოგრაფიულ წარმოდგენებთან.

შესავალში ნათქვამია: „ცხოველთა ეპოსი უძველესია პროზაულ წარმოდგენათა შორის და ამდენად, დიდი ინტერესის აღმძვრელი. წინამდებარე ნაშრომი ამ ჟანრის მთელი რიგი საკვანძო საკითხების შესწავლას ისახავს მიზნად, როგორც არის: მისი ცალკეული ჯგუფების საზღვრები და თავისებურებანი, მისი ორსახოვანი პერსონაჟის გენეზისის საკითხი, ამ ჟანრის ქმნილებათა ძირითადი არსის გააზრება უძველეს რწმენათა საფუძველზე და სხვა. ამ მიზნით გათვალისწინებულია ცხოველთა ეპოსის შექმნის ხანისათვის დამახასიათებელი აზროვნების, მსოფლმხედველობის, რწმენა-წარმოდგენების თავისებურებები... მართალია, ცხოველთა ეპოსთან დაკავშირებით დღემდე არ დანერგა მო-

ნოგრაფიული გამოკვლევა, მაგრამ მას განიხილავდა ყველა, ვინც საერთოდ ზღაპრულ ეპოსს იკვლევდა“.


ნიგნი შედგება რვა თავისაგან, ერთვის დასკვნა და დამონმებული ლიტერატურის სრული სია. პირველი თავი შეეხება ზღაპრის ეპოსის ზოგად მიმოხილვას, მეორე – ცხოველთა ეპოსის პერსონაჟის გაგებას, მესამე – ცხოველთა ეპოსის პერსონაჟებს (მელია და გარეული ცხოველები, მელია და ფრინველები, მელია და ადამიანი, მგელი, დათვი, ტურა, ლომი, ვეფხვი, კურდღელი, ადამიანი, მინაური ცხოველები, ფრინველები), მეოთხე თავი – კუმულაციურ ზღაპრებს, მეხუთე – ეტიმოლოგიურ გადმოცემებს, მეექვსე – ცხოველთა ეპოსის პერსონაჟის გენეზისს (მითოლოგია და ცხოველთა ეპოსი; ცხოველთა ეპოსის პერსონაჟები და ხალხური რწმენა-წარმოდგენები; ცხოველები ეპოსსა და სინამდვილეში), მეშვიდე – ცხოველთა ეპოსს და იგავს, ხოლო მერვე – ცხოველთა ეპოსის მხატვრულ ანალიზს.

შესავალში მკვლევარი გვაცნობს საკითხის შესწავლის ისტორიას და ცხოველთა ზღაპრებთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან ნაშრომებს – ალექსანდრე ხახანაშვილის, მიხეილ ჩიქოვანის, ვასილ ბარნოვის, ელენე ვირსალაძის, აპოლონ ცანავას, ფიქრია ზანდუკელის, თეიმურაზ ქურდოვანიძისა და სხვათა გამოკვლევებს.

„... ცხოველთა ზღაპარს ქართულ ხალხურ სიტყვიერებაში, სხვა ხალხთა ფოლკლორის მსგავსად, მოკრძალებული, მაგრამ საპატიო ადგილი ეკუთვნის. ის სიუჟეტური მრავალფეროვნებით და ვარიანტულობით სხვა სახის ზღაპრებს ჩამოუვარდება. ამის მიზეზი კი ის არის, რომ ცხოველთა ზღაპარი უძველესია პროზის სხვა ჟანრთა შორის და მისი აქტუალობა თანდათან კლებულობს, რაც მის გავრცელებაზეც მეტყველებს.

საერთოდ, ცხოველთა ზღაპრის შეკრების საქმეში, XIX საუკუნიდან მოყოლებული, მონაწილეობა მიუღია მეტნაკლებად ყველას, ვისაც ქართული ხალხური სიტყვიერებისადმი ზრუნვის საქმეში მიუძღვის დამსახურება. ბო-

ლოს შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართული ცხოველთა ზღაპრების შეკრება-შესწავლა ფოლკლორის სხვა ჟანრთა პარალელურად ხდებოდა. მას იკვლევდნენ: როგორც ზღაპრის ერთ-ერთ სახესხვაობას ზღაპრის საერთო განხილვა-დახასიათებისას; როგორც ქართულ ხალხურ სიტყვიერებაში სატირისა და იუმორის გამოვლენის ერთ-ერთ სფეროს; როგორც საბავშვო ფოლკლორის შემადგენელ ნაწილს; ცხოველთა ზღაპარი განხილულია აგრეთვე, როგორც ძველი ქართული ლიტერატურის ნიმუშთა ცალკეული მოტივების ერთ-ერთი პირველწყარო და ბოლოს, ელენე ვირსალაძემ შეადგინა საკუთრივ ცხოველთა ზღაპრის სიუჟეტთა საძიებელი – წერს შესავლის ბოლოს რუსუდან ჩოლოყაშვილი.



ნაშრომის პირველ თავში ზოგადად მიმოხილულია საზღაპრო ეპოსი, ზღაპრის, როგორც ჟანრის დამახასიათებელი ნიმუშები, მათ შორის – ცხოველთა ზღაპრისაც. დამონმებულია ვ. პროპის, ე. პომერანცევის, ლ. ბარაგატის, კ. ჩისტოვის, ს. აზბელევის, ბ. სოკოლოვის, ა. ნიკიფოროვის, ე. ტუდოროვსკაიას, ე. მელეტინსკის, რ. ვოლკოვის, მ. ჩიქოვანის, ელ. ვირსალაძის და სხვათა ამ საკითხთან დაკავშირებული გამოკვლევები. ნათქვამია, რომ სპეციალისტთა უმრავლესობა ზღაპრის სამ სახეობას განასხვავებს. ესენია – ცხოველთა, ჯადოსნური და ნოველისტური ზღაპრები. ისინი კაცობრიობის განვითარების სრულიად სხვადასხვა ეტაპზე შეიქმნა – განსხვავებული სოციალური ურთიერთობის, აზროვნების დონისა და მსოფლმხედველობის პირობებში.

ცხოველთა ზღაპრებში ცხოველთა მეტოქეობისა და ქიშპობის მიზეზი საკვების მოპოვებაა – ეს კი არსებობისათვის ბრძოლას ნიშნავს, რომელშიც მხოლოდ გამორჩეულნი იმარჯვებენ. სწორედ არსებობისათვის ბრძოლაში გამარჯვების მიღწევის რწმენის განმტკიცებაა ცხოველთა ზღაპრის მთავარი მიზანი.

მეორე თავში მკვლევარი ზოგადად ახასიათებს ცხოველთა ეპოსის პერსონაჟებს. მართებულია მისი მოსაზრება (და არა მხოლოდ მისი), რომ ცხოველთა ეპოსის პერსონაჟი ძირითადად მითოლოგიური აზროვნების ნაყოფია. ის შეიქმნა პრეისტორიულ ეპოქაში, როცა ადამიანმა არ იცოდა მინათმოქმედება, ნადირობა და ველური მცენარეების ნაყოფთა შეგროვებას მისდევდა. მისი აზროვნება ტოტემისტურ რწმენაში გამოხატებოდა. პირველი ხალხური ნაწარმოები, სადაც უძველესი ადამიანი მითისგან განსხვავებით თავის ცხოვრებაზე მოგვითხრობს, ცხოველთა ეპოსია. აქ მოქმედებენ ადამიანები, რომლებიც ინოდებიან ცხოველებად ტრადიციული რწმენის შესაბამისად. თავის ამ მოსაზრებას რუსუდან ჩოლოყაშვილი განმტკიცებს ვ. ბარნოვის, მ. ჩიქოვანის, ე. ვირსალაძის. ა. ცანავას, ვ. პროპის, ე. მელეტინსკის და სხვათა შეხედულებებით. მოჰყავს მაგალითები აფრიკული, ავსტრალიური, ჩრდილო ამერიკული ფოლკლორიდან, ვინაიდან ფოლკლორი ინტერნაციონალური მოვლენაა. იგი აღნიშნავს, რომ ცხოველთა ზღაპრის პერსონაჟებს ადამიანური ბუნება და ურთიერთობები ახასიათებს: მათ აქვთ ოჯახი, ერთმანეთთან მეგობრობენ, ერთმანეთს ეჯიბრები-

ან და მტრობენ. ცხოველთა ზღაპრებში ჩანს მთელი რიტუალები, რომლებსაც ამა თუ იმ ეპოქაში ასრულებდნენ ადამიანები. მაგალითად, აფრიკულ ზღაპარში „კამეჩისა და გნუს მეგობრობა“ აფრიკელი ხალხის დამეგობრების მთელი რიტუალია მოთხრობილი. სამართლიანია მკვლევარის დასკვნა, რომ ცხოველთა ეპოსში მოქმედებენ ადამიანები, რომელთაც ამა თუ იმ ცხოველის სახელი ჰქვიათ.

მესამე თავში ავტორი სათითაოდ გვიხასიათებს ცხოველთა ეპოსის პერსონაჟებს და იწყებს მელიით. „მელია რამდენიმე ქვეყანის ზღაპრებში ასრულებს ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟის ფუნქციას. მიუხედავად ამისა, მისი მოქმედების სფერო ცხოველთა ეპოსია. აქ სრულად იშლება მისი შესაძლებლობანი და გამოკვეთილად

ჩანს მისი ავ-კარგი. ის ქართული ცხოველთა ზღაპრის ყველაზე პოპულარული პერსონაჟია მსგავსად ევროპული ცხოველთა ეპოსისა. ტრიქსტერი მელია მსმენელის სიმპათიებს იმსახურებს, როგორც საზრიანი, წინდახედული, მოხერხებული, ჭკვიანი და გულადი პერსონაჟი. მელიის ეს თვისებანი ზღაპრებში წინა პლანზეა წამოწეული, რადგანაც ხალხი ამ თვისებათა დიდი დამფასებელია და სწორედ მათ გამო არის მის მხარეს“, – წერს რუსუდან ჩოლოყაშვილი. მელიას მონანილეობით ცხოველთა ეპოსის სიუჟეტებს იგი ოთხ ტიპად ჰყოფს:

I. ზღაპრები, სადაც მელია ცბიერებით და მუხანათობით ღუპავს თავის „ძმობილს“ და საერთო ნადავლს, ან თვით „ძმობილსაც“ საკვებად ისაკუთრებს.

II. ზღაპრები, სადაც მელია ცდილობს ფრინველთა შეცდენას და შეჭმას. თითქოს მიზანსაც აღწევს, მაგრამ ბოლოს თავისი გაუმაძღრობის მსხვერპლი ხდება და ერთ-ერთი ფრინველის საზრიანობით და მოხერხებით იღუპება.

III. ზღაპრები, სადაც მელია ამოცანას თავს მარტო ვერ ართმევს და დამხმარეს უხმობს.

IV. ზღაპრები, სადაც მელია მოსამართლე და საქმის გამრიგა.

აქვე აღნიშნულია, რომ ქართულ ცხოველთა ზღაპრებში თითქმის არ ვხვდებით მელიის, და საერთოდ, ცხოველთა დახასიათებას, სხვა ხალხების ზღაპრებში კი ის მოქმედისეული კომენტარით გაცილებით ხშირად არის დახასიათებული. ქართულ ცხოველთა ეპოსში მელიაზე მისი მოქმედებანი მეტყველებენ – მას ღირსებათა პარალელურად უარყოფითი თვისებებიც მრავლად გააჩნია. თავისი ეს მოსაზრება რუსუდან ჩოლოყაშვილს განმტკიცებული აქვს მთელი რიგი ცხოველთა ზღაპრების განხილვით: „იერიუსალიმს მიმავალი მელია“, „მამლისა და მელიის ზღაპარი“, „მელია და კაკაბი“, „მელია და მწყერიჩიტა“, „მელიას თხოვნა“, „ჩიტი და მელია“ და სხვა. ავტორის ერუდიციაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ პარალელები დაუძებნია სხვა ხალხთა ფოლკლორში – მაგ. ინდური ზღაპარი „ჩიტუნია და სპილო“, სპარსული „ყვავი და მელია“, ტაჯიკური „ჩიკვი“ და სხვა. გარდა გარეულისა, მელიას კავშირი აქვს შინაურ ცხოველებთან. ამ ფაქტის ამსახველი ზღაპრები გენეტიკურად აგრარულ რწმენებს უკავშირდება და დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია მათი განხილვა ნახოს რუსუდან ჩოლოყაშვილის წიგნში „უძ-

ველესი რწმენა-წარმოდგენების კვალი ხალხურ ზღაპრულ ეპოსში“ (IV თავი, პარაგრაფი 1 – „აგრარულ მოტივთან დაკავშირებული ცხოველთა ზღაპრის მთავარი გმირი“).

გარდა მელიისა, რუსუდან ჩოლოყაშვილი განიხილავს ცხოველთა ზღაპრის სხვა პერსონაჟებსაც: მგელს, დათვს, ტურას, ლომს, ვეფხვს, კურდღელს, შინაურ ცხოველებს (ძაღვი, კატა, ვირი, აქლემი), ფრინველებს (ბატი, მწყერი, კაკაბი, ჩხიკვი, სკვინჩა, ოფოფი, ძერა, ბელურა). იგი ყურადღებას აჩერებს აგრეთვე ადამიანზეც – როგორც ცხოველთა ეპოსის ეპიზოდურ პერსონაჟზე. იგი ზღაპრებში ადამიანი უძლეველია, რაც ზღაპრებში კი ცხოველები კაცს აბრიაყვენ ბენ და ხახამშრალს ტოვებენ (იხ. ზღაპრები „მელია და მწყერჩიტა“, „დათვი და დედაბერი“ და სხვა). ცხოველთა ეპოსში იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდებიან ადამიანები: დედაკაცი, ბავშვი, პატარძალი, მეურმე, მეცხვარე, მწყემსი, მონადირე, გლეხი, ბერი, მღვდელი, ვაჭარი.

მეოთხე თავში ავტორი განიხილავს კუმულაციურ ზღაპრებს და გვამცნობს: „კუმულაციური თხრობა (ჯაჭვური ასხმა სიუჟეტებისა) ზღაპრის ყველა ქვეჯგუფისათვის არის დამახასიათებელი. ის გვხვდება, როგორც ცხოველთა ეპოსში, ასევე ჯადოსნურ და ნოველისტურ ზღაპრებში... ქართულ ცხოველთა ეპოსში სულ რამდენიმე სიუჟეტი გვაქვს, რომლებიც ე.წ. კუმულაციურ ზღაპრებს მიეკუთვნება. ესენია: „რწყილი და ჭიანჭველა“, „თხა და ვენახი“, „ღამურა და ბალახი“, „ემშაკი მელიას ზღაპარი“, „კაცი, ტურა, მელია, კატა, დათვი და მგელი“, „ერთი ხელადის ამბავი“, „ჩარეკა“, „ყურუსუნა“, „გვრიტი“. დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია ამ საკითხს დანვრილებით გაეცნოს რუსუდან ჩოლოყაშვილის წიგნში „უძველეს რწმენა-წარმოდგენათა კვალი ხალხურ ზღაპრულ ეპოსში“ (თავი I, პარაგრაფი 3 – „კუმულაციური ზღაპრები“).

წიგნის „ცხოველთა ზღაპრები“ მეხუთე თავი შეეხება ეტიმოლოგიურ გადმოცემებს. მკვლევარი ქართულ ეტიმოლოგიურ გადმოცემებში გამოჰყოფს რამდენიმე ჯგუფს: 1. ზღაპრები, რომლებშიც მოთხრობილია ამა თუ იმ არსების წარმოშობაზე; 2. რატომ არის ამ არსებათა გარეგნობა ასეთი; 3. რატომ აქვთ მათ გამორჩეული თვისებანი. პირველ ჯგუფში განხილულია ოფოფის, გუგულის, ბუს, მოლაღურის, ნკრომის, კუს, დათვი-მგელი-მელას წარმოშობის შესახებ არსებული გადმოცემები. მეორე ჯგუფში ნაამბობია როგორც ფრინველებზე, ასევე მწერებსა და ქვენარმავლებზე (მაგ. რატომ აქვს მერცხალს კუდი მაკრატელა, ხოჭოს რატომ არა აქვს ენა და გველი რატომ იკვებება ბაყაყებით); მესამე ჯგუფის ზღაპრები კი შეეხება ამა თუ იმ არსების თვისებას (მაგ. ჭინჭრაქა ღობე-ღობე იმიტომ იმალება, რომ ჭრი-ჭინოხელამ შეარცხვინა). რუსუდან ჩოლოყაშვილი თავის მიერ ჩამოთვლილ გადმოცემებს პარალელებს უძებნის სხვადასხვა ხალხის ფოლკლორში (აფხაზური, რუსული, უკრაინული, ფრანგული, ინდური, ბუშმენური და სხვა). უძველეს რწმენა-წარმოდგენებთან ამ ზღაპრების მიმართების შესახებ მოთხრობილია რუსუდან ჩოლოყაშვილის წიგნში „უძველეს რწმენა-წარმოდგენათა კვალი ხალხურ ზღაპრულ ეპოსში“ (თავი I, პარაგრაფი 1 – „ეტიმოლოგიური გადმოცემები“).

მეექვსე თავი შეეხება ცხოველთა ეპოსის პერსონაჟის გენეზისს. აქ ნათქვამია, რომ „ცხოველთა ეპოსის პერსონაჟები გამორჩეულ სახეს ქმნიან მთელ ხალხურ შემოქმედებაში. ისინი განსხვავდებიან, როგორც მითის, ასევე ზღაპრული ეპოსის სხვა ქვეჟანრების ცხოველებისგანაც, რო-

გორც მითის, ასევე ზღაპრული ეპოსის სხვა ქვეჟანრების ცხოველებისგანაც, რაც აღრმავებს ინტერესს ამ პერსონაჟების გენეზისისადმი“. საქართველოში ყველაზე უკეთ ჩვენთვის საინტერესო ცხოველთაგან მგლის კულტა შესწავლილი. იგი მსოფლიო მითოლოგიაში ომის ღმერთს განასახიერებს და ქართულ ყოფაშიც საბრძოლო რიტუალს უკავშირდება (მაგ. მეფე ვახტანგ გორგასალი). გარდა ამისა, სვანებს მაგალითად მიაჩნდათ, რომ მგლის კბილის ამულეტი მათ ავსულებს და ავ თვალს აარიდებდათ და სვანეთში მგლის მოკვლა ტაბუირებული იყო. რაც შეეხება ცხოველთა ეპოსის სხვა პერსონაჟებს, ისინი ძირითადად არ ჩანან ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში. მგლის მაგალითი გამონაკლისია. აქ რუსუდან ჩოლოყაშვილი მართებულად აღნიშნავს, რომ „ცხოველთა ეპოსის პერსონაჟებს აბსოლუტურად არ გააჩნიათ რეალური ცხოველისათვის დამახასიათებელი ნიშნები, არადა ადამიანურ თვისებებს უხვად ფლობენ. აქედან გამომდინარე, არც ის მოსაზრება უნდა იყოს გამართლებული, რომ ამ პერსონაჟთა სახით ნამდვილ ცხოველებზეა საუბარი“.

მეშვიდე თავში მოთხრობილია ცხოველთა ეპოსის იგავთან მიმართების შესახებ. ნათქვამია, რომ არც ერთი ხალხის ცხოველთა ზღაპარში არა გვაქვს საქმე ალეგორიასთან. ცხოველთა ეპოსი და იგავი სულ სხვადასხვა აზრს გადმოსცემს და შესაბამისად, სხვადასხვა მიზნებსაც ემსახურება.

მერვე თავი წარმოადგენს ცხოველთა ეპოსის მხატვრულ ანალიზს. აქ აღნიშნულია, რომ ცხოველთა ზღაპრის პერსონაჟი ორმაგი ბუნებისაა, მას სახე და სახელი ცხოველისა აქვს, თუმცა ბევრ რამეში ჩანს მისი ადამიანური ბუნება. გარდა მეტყველებისა და აზროვნებისა, ის ჩვეულებრივი კაცთა ცხოვრებით ცხოვრობს. ცხოველთა ეპოსის შესწავლისას ყურადღებას იქცევს ერთი თავისებურება – პერსონაჟთა სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირება და დაუნდობელი, ბარბაროსული დამოკიდებულება, რომელსაც გამარჯვებული იჩენს დამარცხებულის მიმართ. ცხოველთა ზღაპრების თავისებურებაა აგრეთვე ისიც, რომ თვითეული პერსონაჟი ხასიათდება არა სხვათა სიტყვით, არამედ – საკუთარი საქმიანობით, მოქმედებით. ცხოველთა ზღაპრებში დიდი ადგილი უჭირავს იუმორს (აქ რუსუდან ჩოლოყაშვილი იმონებს ნ. ვედერნიკოვას და ვ. ზახტინას, რომელთა აზრითაც, ფანტასტიკური ცხოველთა ზღაპრებში მჭიდროდ ერწყმის კომიკურს. ყოველი ფანტასტიკური სიტუაცია ხდება პერსონაჟის კომიკური დახასიათების საშუალება). რუსუდან ჩოლოყაშვილის თქმით, ქართული ცხოველთა ეპოსის მხატვრულ თავისებურებებს შეეხენ: მ. ჩიქოვანი, ელ. ვირსალაძე, ქს. სიხარულიძე, აპ. ცანავა, ფ. ზანდუკელი. არაერთხელ არის აღნიშნული ცხოველთა ეპოსის სტილის თავისებურებანი: ლაკონურობა, ლაპიდარობა, თხრობის სისადავე და სიმსუბუქე; რომ ცხოველთა ეპოსს ახასიათებს მარტივი სტრუქტურა, სხარტად მონოდიქტურია ნათელი სიუჟეტი, რომელიც ყოველთვის კონფლიქტურია. ასეთ ზღაპრებში გვხვდება პოეტური ჩანართები. ქართულ ცხოველთა ეპოსში ჩანს ქართული კოლორიტისათვის დამახასიათებელი დეტალები (მაგნ. დიალექტიზმებით პერსონაჟთა მეტყველება).

რუსუდან ჩოლოყაშვილის „ცხოველთა ეპოსი“ როგორც ფოლკლორის სპეციალისტათვის, ასევე მკითხველთა ფართო წრისათვის სამაგიდო წიგნია. მისი გამოჩენა კიდევ ერთი ნინ გადადგმული ნაბიჯია ქართულ ფოლკლორისტიკაში და მას შეეყავართ მშვენიერების ჯადოსნურ სამყაროში.



ალექსანდრე ჩაკვაში

**წერილი  
ერთ გარდაცვლილ  
მოხუც მებაჟეთე ქალს**

**მისამართი: საპნის მხარშველთა მთის სასაფლაო**

ჩემი წერილი არ იქნება ძალიან გრძელი,  
და თანაც დიდი ასოებით ვწერ.  
ვინ იცის,  
იქნებ იქ – სიმაღლეში სათვალეც არ გაქვს?  
აღამიანები  
მართლაც რომ უცნაურები არიან;  
დაკრძალვაზე ქვითინებენ და  
არც კი ხედავენ,  
რაა მკვდრისთვის აუცილებლად საჭირო.

ბოდიში,  
რომ აღარ ვიცი, თუ სად არის შენი საფლავი.  
გარდაცვალების დროს  
წასული ვიყავი სხვაგან,  
ხოლო როდესაც უკან დავბრუნდი –  
ილგეციემსში,  
კი გავიარე შენს სახლში,  
მაგრამ,  
უკვე არავინ,  
შენს შესახებ – აღარაფერი იცის.  
ხოლო შენი შვილიშვილი  
წასული იყო სამუშაოდ –  
სოფელში.  
მას შეეძინა ბავშვი,  
იცი –  
იმ არამზადა შავი იანკასგან (ბებია კითხვისას ამოიოხრებს).

ის მამაძალი არაფრად აგდებს;  
აბოლებს თუთუნს,  
როგორც წინათ,  
მზესუმზირას აკნატუნებს და  
სალამობით უკრავს თავის მანდლოლინაზე.  
ბავშვი კი, – ხაზმუზიანია,  
უკეთესიც კი იქნებოდა,  
რომ წაგეყვანა შენთან.

მე შენ არ დამვიწყებია;  
ყოველთვის,  
როცა  
გვერდით ჩავუვლი იმ კუთხეს,

სადაც  
შენ იჯექი – დაბალი და ტოტებგაშლილი,  
როგორც ბუჩქი –  
თვალწინ მიდგას შენი სახე,  
პანანკინტელა ნაოჭებით დასერილი და  
ყურში ჩამესმის –  
შენი მთრთოლვარე ხმა –  
წამლერებული ლაპარაკი და  
შენი ლოცვა „მადლი ღმერთსაო...“<sup>1</sup> –  
ღვთისმსახურების სიტყვებით სავსე,  
როგორც ბუდე –  
ჭიანჭველებით.  
ჰო, მე ხომ ვიცი, რაც გინდა მკითხო,  
მას შემდეგ, რაც გარდაიცვალე,  
სახლში, რომელშიც შენ ცხოვრობდი, ილგეციემსში,  
ყველაფერი ძველებურად დარჩა,  
მხოლოდ ესაა, რომ  
პატრონმა იგი კვლავ შეღება –  
გარედან,  
და მოხუცი ილსტერე  
გადავიდა საცხოვრებლად კანენიესებთან.<sup>2</sup>

იმ კუთხეში,  
სადაც ადრე შენ იჯექი,  
ახლახან დადგეს პატარა,  
მომიხაკისფრო კიოსკი,  
ისეთი, როგორც ბავშვი...  
შიგ ზის გოგონა –  
ახალგაზრდა,  
ქერა – კაშკაშა თმებით,  
მას ხეხრხება ღიმილი  
და როცა აწვდის გაზეთებს,  
აჩვენებს თავის თლილ, ღამაზ თითებს –  
წაზი, მზიანი კანით.  
კიოსკი ვაჭრობს კარგად.  
მაგრამ ყმანვილი კაცები,  
რომლებიც გოგონასთან მოდიან,  
ვითომცდა გაზეთებისთვის,  
მეტად დიდი ხნით აყოვნებენ –  
წასვლას,  
და როცა გაეცლებიან –  
სახეებზე აღმური ასდით –  
უცნაურად სუნთქავენ და  
თანაც ბრწყინავენ იღუმალი შუქით.

როცა მიიღეს ცნობა შენი გარდაცვალების შესახებ,  
თურმე ჩემი მეგობარი პოეტები  
საშინლად დათვრნენ სამიკიტნოში,  
დაამსხვრიეს ჭურჭელი და  
ამბობდნენ ათას სისულელეს,  
შენ კი –  
გაზეთთა დედას გეძახდნენ.  
მაგრამ გთხოვ, ეგ ნუ გეწყინება!  
აბა, რა ექნათ?  
წასულიყვნენ ეკლესიაში,  
მიეტანათ შენს სამუშაო ადგილას მჭლე გვირგვინი  
და ნალვლიანები დამდგარიყვნენ?  
ისინი ხომ, – სუსტი ნებისყოფის ხალხია.

შენი რეცეპტი – ნავთი – რევმატიზმის წინააღმდეგ  
არ გამომადგა.



მარჯვენა ფეხის მუხლს ჯერ კიდევ ტკაცანი გააქვს,  
თითქოს იქ, –  
შიგნით ვილაცა ზის  
და ფრჩხილებს იჭრის.  
მაგრამ ამაზე ვისაუბრებთ მოგვიანებით,  
როცა ვიქნები იქ –  
ზევით, –  
შენთან.

ეს დრო კი ალბათ მალე მოვა, –  
კარზე მოგვადგა ახალი მსოფლიო ომის საშიშროება.  
მე ფრონტზე წავალ,  
ხოლო იქიდან –  
შესაძლოა, რომ შენთან მოვხვდე.  
მაგრამ ეგ არაფერია,  
ისედაც ხშირად  
მიჩხუბია – არაფრის გამო,  
ვკოცნიდი ქალებს  
ვიყავი მხდალიც,  
უმაქნისიც  
საკმაოდ დიდხანს,  
და წინააღმდეგი არც ვიქნები  
ამოვიდე იქ –  
ზევით, –  
შენთან.

იქ, ჩვენ ბანქოთი ვითამაშებთ „დურაკობანას“,  
და თავს შევიქცევთ კანფეტებით,  
რომლებიც შენ ასე მოგწონდა...  
ხოლო, როცა ეგ მოგვებზრდება,  
მე შენ გიმღერებ სიმღერას –

**ბიოგრაფიულ ცნობებში**  
ვკითხულობთ, რომ „...ალექ-  
სანდრს ჩაკსი (ჩადარანისი)  
დაიბადა 1901 წლის 27 ოქტომბერს ქალაქ რიგაში. დაამთავრა  
გიმნაზია და მოსკოვში გაემგზავრა: სწავლობდა მოსკოვის  
უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე... გარდაიცვალა  
1950 წლის 8 თებერვალს“.  
მე-XX საუკუნის ლატიური პოეზიის პოლიფონია, თით-  
ქმის ყოველი ნოვატორული სიმის ჟღერადობა ალექსანდრს  
ჩაკსის სახელთან ასოცირდება: „ლატიური ურბანიზმის მა-  
მა“, „ახალი პოეზიის ფუძემდებელი“, „ლატიური ვერლიბ-  
რის დიდოსტატი“...  
ძნელია ძველი რიგის წარმოსახვა -მისი ვინრო, მიხვეულ-  
მოხვეული ქუჩებით, შავად მბზინავი და პრიალა ქვაფენილე-  
ბით, პირქუში და ბინდისფერი სახლებით, ძონისფერი კრამიტის  
დაფრდილ-დამრეცი სახურავებით, ვერლენისეული „ჩამავა-  
ლი მზის“ ფაშს საყდრებისა და ტაძრების შპილთა კენწეროებზე  
ოქრო-ცურვილში მოელვარე მამლებით, რომლებიც აი, საცაა  
იყივლებენ - თუ არ იცნობთ ალექსანდრს ჩაკსის პოეზიას.  
რიგის გარეუბნების ორიგინალურობა, პენი და სიმყუდრო-  
ვე პოეტის ლექსებიდან გრაფიკული ჩანახატების სიზუსტის  
ანარეკლია და დახვეწილი ნიუანსებით, ხაზების უზადლო ვიბ-  
რაციით გადმოდის. ყოველი შტრიხი მეტყველი და ტყვადია.  
1928 წელს გამოვიდა პოეტის ლექსების პირველი კრებული  
„მე და ეს ჟამი“, რომელსაც მოჰყვა „გული ტროტუარზე“, „აპა-  
ში ფრაკში“, „სამყაროს სამიკიტნოში“, „ჩემი სამოთხე“, „წარ-  
მოსახვის სარკეები“ და სხვა წიგნები, რომელთაც უაღრესად  
მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს მეოცე საუკუნის ლატიური

ასე შორეულ ტრანსვაალზე  
და ავაულარუნებ გიტარას.

სალამობით  
წყალსაც მოგიტან –  
შენი ბებერი მურტებისა და ფლოქსების მოსარწყავად,  
მომწერე,  
იქნებ იქ შენ გაგიტყდა  
რომელიმე საყვავილე ქოთანნი და  
გზაში,  
ბარემ წამოვიღებდი, –  
მოგიტანდი ახალ ქოთანს...  
წერილს ამჟამად აქ დავამთავრებ.

და თუ მაინც,  
ვერ შეძელი ჩემი წერილის წაკითხვა,  
იან ზიემელნიეკს<sup>3</sup> დაუძახე;  
ვიცი, ნაღდად დაგეხმარება.  
იგი კეთილი, ტანადი და სანდომიანი ახალგაზრდაა,  
თან შავ სათვალეს ატარებს – ნიადაგ  
და გამოგეხმარება დაძახილზე: – პოეტო!

**ლატიურიდან თარგმნა  
რენე კალანდიამ**

- 1. სიტყვების თამაშია; ლატიური „პალდიეს“ (მადლობა) და „დიევის“ (ღმერთი) შერწყმა-შეერთებით პოეტი ქმნის სიტყვას „პალდიევის“, რაც ქართულად დაახლოებით ასეთ სახეს მიიღებს: „მადლღმერთს“, მადლი ღმერთს (მადლობა ღმერთს) და ა.შ.
- 2. კანენიეკს – ლატიური გმირია.
- 3. იანის ზიემელნიეკსი (1897-1930) – ლატიელი პოეტი.

**მთარგმნელისაგან**

პოეზიის განახლება-განვითა-  
რებაში. გამოსცა საინტერესო  
ნოველების კრებულები.

მან ვერ მიატოვა სამშობლო და ვერ წავიდა ემიგრაციაში,  
რაც სულ მალე სიცოცხლის ფასად დაუჯდა და მთლად წი-  
თელმა „კრიტიკოსებმა“ მიზანმიმართული თავდასხმებით  
პრესაში გაუხეთქეს პოეტს სწორედ ის გული, რომლის შესა-  
ხებ იგი წერდა:

„სადღა იყავით იმჟამად, როცა გული უწყალოდ გამაგდე-  
ბინეს, – ამომიგდეს გულის ფიცრიდან, გამომიმტვრიეს, რო-  
გორც ჭიქა განვდილ ხელიდან, ამომიგდეს, როგორც თვალე-  
ბი ბუდეებიდან... გული, ჰო, გული, – სად იყავით ნეტავი მა-  
შინ?..“

მე და ჩემი თაობის ლატიველ პოეტებს (კნუტს სკუიენიეკ-  
სი, ულდის ბერზინში, იანის როკპელნისი, იანის ბალტივილ-  
სკი, ლენოს ბრიედისი, ანდრის ბერგმანისი, იურის ჰელდსი)  
ალბათ მიგვეტყვება ჩაკსის საყვადური, რადგანაც მისი და-  
ძიძგისა თუ გარდაცვალების ფაშს ბავშვები ვიყავით და ვერ  
დავიცავით, გამოსარჩლება ვერ შევძელით...

თუმცა მაინც ფრთხილად დავდივართ რიგის ტროტუარებ-  
ზე, რადგანაც ვგრძნობთ, რომ ერთ-ერთ მათგანზე ალექ-  
სანდრს ჩაკსის მშფოთვარე გული აგდია – უსამართლო და  
უზნეო საზოგადოების მიერ გათელილ-გადავლილი გული...  
გული, რომელსაც სიყვარული უფრო ეწადა, ვინემ აფეთქება  
და ხმაური, ხოლო დიდი პოეტის გულის ტკივილი ჩვენში -  
მკითხველებსა და ალექსანდრს ჩაკსის უმრწემეს ძმებში გად-  
მოსულა და მარად ჩაგვესმის: ნეტარ არიან სულით მგლოვია-  
რენი, რამეთუ მათია სასუფეველი ცათაი.

შირლი (ჰარდი) ჯექსონი ( 1916-1965) სან ფრანცისკოელი რომანისტი და მრავალი ნოველის ავტორია, რომელთაგან „ლატარეა“ (1984) ყველაზე გახმაურებულ ნაწარმოებადაა აღიარებული.

ჯექსონმა სირაკუსის უნივერსიტეტი 1940 წელს დაამთავრა და ცოლად გააპყვა ამერიკული ლიტერატურის კრიტიკოს სტენ-ლი ედგარ ჰაიმენს. მწერლის პირადი ცხოვრება ოთხ შვილთან ერთად მხატვრულ მოგონებათა სახითაა აღწერილი მისსავე რომანებში – „ცხოვრება ველურებში“ (1953) და „ამომავალი დემონები“ (1957). მათი ნათელი, კომიკური ტონები მკვეთრად განსხვავდება მწერალი ქალის სხვა ღრმად პესიმისტურ ქმნილებათაგან.

„ლატარეამ“, ამ უსულგულო ზღაპარმა, 1948 წელს ჟურნალ „ნიუ იორკერში“ გამოქვეყნებისთანავე მიიქცია ყურადღება და მკითხველი საზოგადოება შეურაცხყოფილი დარჩა. ნოველის ღირებულება ეჭვქვეშ დადგა და ხანგრძლივი კამათის საგნად გადაიქცა, თუმცა დანარჩენმა ექვსმა რომანმა, განსაკუთრებით „ჰილ ჰაუზის მოჩვენება“ (1953) და „ჩვენ მუდამ ციხე-კომპკში ვცხოვრობდით“ (1962), მწერალს უდიდესი აღიარება მოუტანა. ლიტერატურის კრიტიკოსები ჯექსონს გოტიკურ საშინელებათა და ფსიქოლოგიურ მოულოდნელობათა დიდოსტატად მიიჩნევენ.

შირლი ჯექსონი

# ლატარეა

თბილი ზაფხულის ოცდაშვიდი ივნისის დილა სინათ-ლითა და მზით აივსო, ყვავილებიც უხვად ყვავოდნენ და მწვანე ბალახსაც ხასხასი გაჰქონდა. ასე, ათი საათისათვის სოფლები ფოსტასა და ბანკს შორის მდებარე მოედნისაკენ გაეშურნენ. რამდენიმე დიდ ქალაქში ლატარეა ორ დღესაც გრძელდებოდა და ამიტომაც გათამაშე-ბა ივნისის ორში იწყებოდა, მაგრამ სამასკაციან სოფელ-ში ორი საათიც სრულიად საკმარისი იყო, ათზე დაინყებ-დნენ და შუადღისთვის მოათავებდნენ კიდეც. სადილად ყველა შინ იქნებოდა.

რა თქმა უნდა, პირველები ბავშვები მოვიდნენ. ზაფ-ხულის არდადეგები ის-ისაა დაწყებულიყო და მათ უმ-რავლესობას თავისუფლებით ტკბობის საშუალება მის-ცემოდა, ხმაურთან თამაშში ჩაბმამდე ცდილობდნენ წყნარად მოქცეულიყვნენ. საუბრის თემას კვლავ საკლასო ოთახი, მასწავლებელი, წიგნები და საყვედურები შე-ადგენდა.

ბობი მარტინს ჯიბეები ქვებით გამოეტენა. მალე სხვა ბიჭებიც აიყოლია, რომელთაც სიპი და მომრგვალე-ბული ქვები შეერჩიათ. ბობი და ჰარი ჯოუნსებმა და დი-კი დელაქროიქსმა – სოფელში „დელაკროის“ რომ ეძახ-დნენ – მოედნის ერთ კუთხეში ქვების დიდი გროვა აღ-მართეს და სხვათა თავდასხმებისაგან ფხიზლად იცავ-დნენ, გოგონები განზე გამდგარიყვნენ, ერთმანეთში სა-უბრობდნენ და თვალს მალულად ბიჭებისკენ აპარებ-დნენ, მტკერში ამოგანგლული პატარები კი უფროს და-ძმებს ჩაბლაუჭებოდნენ .

მალე მამაკაცებიც გამოჩნდნენ, ნარგავებზე, ტრაქ-ტორებსა და გადასახადებზე საუბრობდნენ და შვილებს ათვალერებდნენ. ქვებისაგან მოშორებით ჯგუფურად იდგნენ. ხუმრობაც უწყინარი ჰქონდათ და, ხარხარის ნაცვლად, დინჯად იღიმოდნენ. გამოსუნებულ კაბებსა და კოფთებში გამოწყობილი ქალები კაცებზე გვიან მოგ-როვდნენ. ერთმანეთს მიესალმნენ, ცოტა ნაიჭორავეს და ქმრებისკენ გასწიეს. უმაღ შვილებს მოუხმეს და ბავ-შვებმაც ოთხი-ხუთი დაძახების შემდეგ ნაბიჯი ძლივს გადაადგეს. ბობი მარტინი დედას ხელიდან დაუსხლტა და ქვებისაკენ სიცილით გავარდა, მაგრამ მამის მკაცრი

დაყვირებისთანავე სწრა-ფად მობრუნდა და მშო-ბელსა და უფროს ძმას შო-რის ისევ თავის ადგილას ჩადგა.

ლატარეასაც, ისევე, როგორც მოედანზე გამარ-თულ ნებისმიერ ცეკვას, თინეიჯერთა კლუბსა და ჰელოვინის პროგრამას, მისტერ სამერსი უძღვებო-და, კაცი, რომელიც მთელ დროსა და ენერჯიას საზო-გადოებრივ მოღვაწეობას ახმარებდა. ოთხკუთხა სახე ჰქონდა, მხიარულება უყ-ვარდა და ქვანახშირის ბიზ-ნესს აწარმოებდა. თანასოფლელებს უშვილობისა და ან-ჩხლი ცოლის გამო ძალიან ებრალებოდათ. როცა ხის შა-ვი ყუთით მოედანზე გამოჩნდა, ხალხში ჩურჩული ატ-ყდა. კაცმა მისალმების ნიშნად ხელი დააქნია და დაიძა-ხა: „დღეს, ხალხნო, ცოტა შემეგვიანდა“. ფოსტის უფრო-სი მისტერ გრეივისი ფეხდაფეხ მისდევდა და ხელში სამ-ფეხა ტაბურეტი ეჭირა. სკამი მოედნის შუაგულში დად-გა და მისტერ სამერსმა შავი ყუთიც ზედ მოათავსა. სოფლელებმა დისტანცია დაიკავეს. ტაბურეტსა და მათ შორის ცარიელი ადგილი დარჩა. მისტერ სამერსმა იკით-ხა, „ახალგაზრდები ხომ ვერ დამეხმარებიან?“ ორნი შე-ყოყმანდნენ. მისტერ მარტინი და მისი უფროსი ვაჟი წინ წადგნენ და, ვიდრე მისტერ სამერსი შიგ ქალაღლებს ურევდა, ყუთი მყარად ეჭირათ.

ლატარეის ძველი წესებით გათამაშების ტრადიცია დიდი ხანია წარსულს ჩაბარებოდა. მხოლოდ სკამზე შე-მომდგარი ეს შავი ყუთილა შემორჩენილიყო, ჯერ კიდევ მხცოვანი ვორნერის დროიდან ამ საქმისთვის რომ იყე-ნებდნენ. მისტერ სამერსი თანასოფლელებს ახალ ყუთ-ზე ხშირად ესაუბრებოდა, მაგრამ ერთადერთი უძველე-სი ჩვეულების მოშლა აღარავის სურდა. ხმები დადიოდა, თითქოს ამჟამინდელი ყუთი იმ ძველთაძველი წინამორ-ბედის ნაწილებისგან იყო შეკრული, რომელიც სოფლის დაარსების დღიდან არსებობდა და ყოველწლიურად, ლატარეის დასრულების შემდეგ, მისტერ სამერსი ახალი ყუთის შესახებ ისევ და ისევ ამაოდ წამოიწყებდა ხოლმე საუბარს, მაგრამ ყურსაც არავინ იბერტყავდა. შავი ყუ-თი თანდათან ცვდებოდა. ახლა უკვე ფერიც გახუნებო-



და და ცალი მხარეც გაბზარვოდა, საიდანაც ხის ფერი უშნოდ მოჩანდა და ალაგ-ალაგ ლაქებიც დაჩნეოდა.

მისტერ მარტინს უფროს ვაჟ ბექსტერთან ერთად ყუთი იმდენ ხანს ეჭირა, ვიდრე მისტერ სამერსი ყველა ქალად საგულდაგულოდ აურ-დაურევდა. კაცს უხაროდა, რომ ოდესღაც არსებული ხის ჩხირები ქალადის ნაგლეჯებმა შეცვალა, თუმცა ნაფოტები ამ საქმისთვის ზედმინევენით შესაფერისად მიაჩნდათ, როცა სოფელი შედარებით პატარა იყო. ახლა აქ სამას ოჯახზე მეტი ცხოვრობდა, თანაც მოსახლეობა დღითი დღე იზრდებოდა და ისეთი რამ იყო საჭირო, რაც ყუთში გაცილებით იოლად ჩაიყრებოდა. ლატარეის წინა ლამეს მისტერ სამერსმა და მისტერ გრეივსმა ქალადები ზოლებად დაჭრეს, ყუთში ჩაყარეს, მერე მისტერ სამერსის ქვანახშირის კომპანიაში ერთად მიიტანეს და იქ მანამდე ჩაკეტეს, ვიდრე მისტერ სამერსი მეორე დილას მოედანზე წაიღებდა. მთელი წლის მანძილზე ყუთი უქმად იდო, ხან სად ინახავდნენ და ხან სად. ერთი წელი მისტერ გრეივის ბელელშიც ეგდო, მერე ფოსტის სარდაფშიც ჩაიტანეს და მარტინის საბაყლოს თაროზე შემოდებულსაც ხშირად ნახავდით.

ლატარეის გახსნილად გამოცხადებამდე ბევრი რამ იყო მოსანესრიგებელი, თითოეული ოჯახის თავკაცთა და მათ წევრთა სიები ცალ-ცალკე უნდა შედგენილიყო.

წესისამებრ, ფოსტის უფროსი მისტერ სამერსს ფიცს ადებინებდა და ლატარეის ოფიციალურ წარმმართველად აკურთხებდა, იმასაც იხსენებდნენ, რომ ძველ დროში წამყვანები განსაკუთრებულ სანახაობასაც მართავდნენ, სადაც ყურისწამლებ, არამელოდიურ სიმღერებს ყოველ წელს გაჰკვიოდნენ და თვითონ ადგილიდან არ იძვროდნენ. სხვები პირიქით ამტკიცებდნენ, ასეთ დროს ისინი უქმად სულაც არ ჩერდებოდნენ და ხალხში მიმოდიოდნენო, მაგრამ დროსთან ერთად ეს რიტუალიც თანდათან მივიწყეს, მისალმების წესიც აუცილებლად უნდა შესრულებულიყო, როცა თითოეულს ხის ჩხირის ყუთიდან ამოსალეზად მიიწვევდნენ, ახლა ასე აღარავინ იქცეოდა და გამოლაპარაკების მეტი საჭიროც აღარაფერი იყო.

მისტერ სამერსი ყოველივეს წარმატებით უძღვებოდა, ქათქათა თეთრ პერანგსა და ცისფერ ჯინსში გამოწყობილს ცალი ხელი შავ ყუთზე უდარდელად ჩამოედო, თავი ღირსეულად ეჭირა და მისტერ გრეივისსა და მარტინებს გაუთავებლად ესაუბრებოდა.

როგორც იქნა მისტერ სამერსმა საუბარი დაასრულა, შეკრებილი ხალხისკენ მიტრიალდა და ბილიკზე სწრაფი ნაბიჯით მომავალი მისის ჰაჩინსონიც გამოჩნდა. სიჩქარეში მხრებიდან კოფთა გადავარდნოდა, ბრბოს უკნიდან მოუარა და ხალხში ჩადგა.

„სახლის საქმეში გართულს დღევანდელი დღე სულ გადამავიწყდა“, გადაულაპარაკა გვერდით მდგომ მისის დელაქროიქსს და ორივემ ნაზად გაიღიმა. „მეგონა, ჩემი ბერიკაცი ეზოში შეშას ჭრიდა“, განაგრძო მისის ჰაჩინსონმა, „ფანჯარაში გავიხედე და ბავშვებიც აღარსად ჩანდნენ, მერე გამახსენდა, რომ დღეს ოცდაშვიდია და აქეთ გამოვიქეცი“. წინსაფარზე ხელები შეიმშრალა.

„ზუსტადაც რომ დროულად მოხვედი, ჯერ ისევ საუბრობენ“, დაამხედა მისის დელაქროიქსმა.

მისის ჰაჩინსონმა კისერი წაიგრძელა და ბრბოში ქმარიც შეამჩნია და მამის წინ ჩამომდგარი შვილებიც. მისის დელაქროიქსს დამშვიდობების ნიშნად მკლავზე ხელი მოუთათუნა და წინ წავიდა. მეზობლები გზას გულთბილად უთმობდნენ. ორმა თუ სამმა ხალხის გასაგონად ხმამალა დაიძახა: „აგერ, თქვენი მეუღლეც მობრძანდება, ჰაჩინსონ“, და „ბილ, როგორც იქნა, საქმეს მორჩა“. მისის ჰაჩინსონი ქმარს მიუახლოვდა, და მისტერ სამერსაც, მის მისვლას რომ ელოდა, მხირულად მიმართა: „რამის უთქვენოდ დავიწყეთ, ტესი“. მისის ჰაჩინსონმა ჩაიცინა და ქმარს უთხრა: „გასარეცხ ჭურჭელს მეტად ხომ აღარ დამიტოვებ, ჯო?“ და ბრბოსაც მსუბუქმა ლიმილმა გადაურბინა.

„მაშ კარგით“, წყნარად თქვა მისტერ სამერსმა, „მე მგონი, ჯობია მოვრჩეთ და საქმეს შევუდგეთ. ვინმე ხომ არ გვაკლია?“

„დანბარი“, წამოიძახა რამდენიმემ. „დანბარი, დანბარი.“

მისტერ სამერსმა სიას ჩახედა. „ქლაიდ დანბარი“, თქვა მან. „მართალია. ფეხი მოიტეხა, არა? მის მაგივრად ვინ გაათამაშებს?“

„მე“, თქვა ქალმა და მისტერ სამერსი მის დასანახად შემობრუნდა.

„ქმრის მაგივრად ცოლი ითამაშებს“, თქვა მისტერ სამერსმა. „უფროსი ბიჭი ხომ გყავთ, ჯენი?“ თუმცა ყველამ და მისტერ სამერსმაც პასუხი კარგად იცოდა, მაგრამ შეკითხვების დასმა ლატარეის ფორმალურ მხარედ ითვლებოდა. მისტერ სამერსი პასუხს ზრდილობიანი ინტერესით დაელოდა.

„ჰორაციუსი ჯერ თქვესმეტისაც არ არის“, თქვა დღონებულმა მისის დანბარმა. „წელს ჩემი ქმრის ნაცვლად ყველაფრის გაკეთება მე მიწევს“

„გასაგებია, კეთილი“, თქვა მისტერ სამერსმა და სიასი რალაც მოინიშნა. შემდეგ კვლავ იკითხა, „წელს ვოსონის ბიჭი თუ თამაშობს?“

გუნდიდან ხელი მალაღმა ყმანვილმა ასწია: „აქა ვარ“, თქვა მან.

„ჩემთვის და დედაჩემის მაგივრად მე გავათამაშებ“. თვალები ნერვიულად დაახამხამა და ხალხის შეძახილზე, „ყოჩაღ, შვილო“ და „ბედნიერია დედაშენი, ამისთანა რომ ყავხარ“, თავი ჩაქინდრა.

„გეყოფათ“, თქვა მისტერ სამერსმა, „ყველანი აქა ყოფილხართ. მოხუც ვორნერს რალაც ვერ ვხედავ“.

„მეც აქა ვარ“, გაისმა ხმა და მისტერ სამერსმა თავი დაუკრა. ბრბო გაყურდა. მისტერ სამერსმა დაახველა და სიას ჩააცქერდა. „მზად ხართ? ახლა, ჯერ ოჯახის უფროსების სახელებს ამოვიკითხავ, შემდეგ კაცები გამოვლენ და ყუთიდან ქალადს ამოიღებენ. მუჭა არ გაშალოთ და არც ზედ დახედოთ, ვიდრე რიგი ყველას მოუწვევდეს“, ახალი არაფერი უთქვამს. მრავალჯერ გაგონილს აღარც კი უსმენდნენ. უმეტესობა ჩუმად იდგა, თვალები გაეშტერებინათ და ტუჩებს აწკლპუნებდნენ. შემდეგ მისტერ სამერსმა ცალი ხელი ასწია და დაიძახა, „ადამსი“. კაცი ბრბოს გამოეყო და წინ წადგა, „გაუმარჯოს, სტივს“, მიესალმა მისტერ სამერსი და მისტერ ადამსმაც იგივე გაუმეორა. ერთმანეთს გულთბილად,

თუმცა ნერვიულად გაუღიმეს, შემდეგ მისტერ ადამსი შავ ყუთთან მივიდა და დაკეცილი ნაგლეჯი ამოიღო. მუჭში ჩაიდო და სწრაფი ნაბიჯით ისევ თავისი ადგილისკენ გაეშურა, ოჯახის წევრთაგან ოდნავ მოშორებით დადგა. მუშტს ზედაც არ უყურებდა.

„ალენი“, გამოიძახა მისტერ სამერსმა, „ანდერსონი, ბენტემი“.

„თითქოს შარშანდელი ლატარეის მერე დრო არც კი გასულა“, გადაულაპარაკა უკანა რიგში მისის დელაქროიქსმა მისის გრეივსს.

„მეც ასე მგონია, რომ მხოლოდ წინა კვირას გავათამაშეთ“.

„დრო ისე სწრაფად მიჰქრის, რომ...“ – თქვა მისის გრეივსმა.

„კლარკი... დელაქროიქსი“.

„ჩემი ბერიკაციც მოდის“, თქვა მისის დელაქროიქსმა და, ვიდრე ქმარი წინ მიიწედა, სუნთქვა შეეკრა.

„შემდეგ ჩვენი ჯერია“, თქვა მისის გრეივსმა და თან ქმარს თვალს არ აშორებდა. კაცი ყუთთან მივიდა, მისტერ სამერსს დინჯი სალამი მისცა და ფურცლის ერთი ნაგლეჯი ამოარჩია. ახლა ბრბოს ყველა მამაკაცს მოზრდილ ხელებში დაკეცილი ქალაქები ჩაებლუჯა.

მისის დანბარი ორ ვაჟთან ერთად ნერვიულად ცმუკავდა, ქალაქის ზოლი მასაც მუჭში მოექცია.

„ჰარბერტი... ჰაჩინსონი“.

„გაინძერი, ბილ“, შეუძახა მისის ჰაჩინსონმა და შორიახლოს მდგომ ადამიანებს გაეცინათ.

„ჯოუნსი“.

„ამბობენ“, გადაულაპარაკა გვერდით ბებერ ვორნერს მისტერ ადამსმა, „ჩრდილოეთის სოფლებში ლატარეის გაუქმებას აპირებენო“. მოხუცმა ვორნერმა ამოიხვნეშა. „გადარეულები“, თქვა მან, „ახალგაზრდებს რომ მოუსმინო, ჭკუიდან გადაგიყვანენ. მათი მოსაწონი ქვეყნად არაფერია. შეიძლება გამოქვაბულებში ცხოვრებაც მოისურვონ, შრომა არავის უნდა, უქმად გდება ურჩევნიათ. იცი, რას გეტყვი? არ გაგიგონია, ლატარეა ივნისში და პურის ბარაქა ივლისში?, მათ რომ ჰკითხო, უბრალო მხალისა და რკოების მეტს არაფერს არ უნდა ვჭამდეთ. ლატარეა ყოველთვის იყო და კვლავაც გაიმართება“, დაუმატა გულმოსულმა.

„აი, ყმანვილო, ჯო სამერსის ყველასთან ლაზღანდარობა კი სრულებითაც არ მეხატება გულზე“.

„ზოგან ლატარეას აღარც აწყობენ“, თქვა მისის ადამსმა.

„ცუდი რით არი“, მტკიცედ თქვა ბებერმა ვორნერმა, „ეს სულელი ახალგაზრდები“.

„მარტინი“, და ბობი მარტინმა წინ მიმავალ მამას თვალი გააყოლა.

„მოითმინე... პერსი“.

„ნეტა დაუჩქარონ“, უფროს ვაჟს უთხრა მისის დანბარმა, „დროზე დაამთავრონ, რა იქნება“.

„მთავრდება და ეგაა“, მიუგო ბიჭმა.

„გასაქცევად მზად იყავი, მამას რომ უამბო“, უთხრა დედამ.

მისტერ სამერსმა საკუთარი გვარი ამოიკითხა, შემდეგ წინ ერთი ნაბიჯი წადა და ყუთიდან ქალაქის ზოლი ამოარჩია. მერე ისევ დაიძახა:

„ვორნერი“.

„სამოცდაჩვიდმეტი წელია ვთამაშობ“, თქვა ბერიკაცმა და ბრბოში გზა გაიკვლია. „სამოცდაჩვიდმეტეჯერ“.

„ვოთსონი“. მაღალი ბიჭი ხალხის ჯგუფს უხერხულად გამოეყო. „ნუ დეღავ, ჯეკ“, „ნუღარ დააყოვნებ, შვილო“, უთხრა მისტერ სამერსმა.

„ზანინი“.

ამის შემდეგ ხანგრძლივი, სულგატვრენილი სიჩუმე ჩამოვარდა, ვიდრე მისტერ სამერსმა თავისი ქალაქი ჰაერში ააფრიალებდა და წარმოთქვამდა „ძალიანაც კარგი, ძმებო“. ერთ წუთს არავინ განძრეულა, შემდეგ კი ქალაქის თითოეული ნაგლეჯი ერთდროულად გაიშალა. უმაღ ყველა ქალმა ხმა ამოიღო და ერთმანეთს ლაპარაკს არ აცდიდნენ, „ვის ამოუვიდა?“, „ვის შეხვდა?“, „დანბარებს ხომ არა?“, „თუ ვოთსონებს?“ – კითხულობდნენ და მერე ხმებიც გაისმა, „ჰაჩინსონი, ბილი“, „ბილი ჰაჩინსონს ერგო“.

„მამაშენთან გაიქეცი და უთხარი“, უფროს შვილს გადაულაპარაკა მისის დანბარმა.

სოფლებმა ჰაჩინსონების დასანახად ირგვლივ მიმოიხედეს. ბილ ჰაჩინსონი ჩუმად იდგა და ხელში ჩაბლუჯულ ქალაქს ჩაშტერებოდა. უცებ ტესი ჰაჩინსონმა მისტერ სამერსს დაუყვირა: „არ დააცადეთ ის ფურცელი ამოდო, რომელიც თვითონ სურდა, ჩემი თვალთ დავინახე, ეს ხომ უსამართლობაა!“

„ძალიანაც სწორად გათამაშდა, ტესი“, დაუყვირა მისის დელაქროიქსმა და მისის გრეივსმაც დასძინა, „ყველას თანაბარი შანსი გვქონდა“.



მხატვარი იანა ზაალიშვილი

„მოკეტე, ტესი“, უთხრა ბილ ჰაჩინსონმა.

„მართალია, ხალხო“, წარმოთქვა მისტერ სამერსმა, „ყველაფერი ნამდვილად სწრაფად მოხდა და ახლაც კიდევ უფრო მეტი სიჩქარე გემართებს, რათა დროულად მოვრჩეთ“. შემდეგ მეორე სიას ჩახედა, სადაც ოჯახის წევრები იყვნენ ჩამოთვლილები. „ბილი“, უთხრა მან, „ჰაჩინსონებიდან წილს თქვენ იყრით. ოჯახში სხვა წევრებიც ხომ გყავთ?“

„დონი და ევა“, წამოიყვრა მისის ჰაჩინსონმა. „მათაც სცადონ ბედი“.

„ქალიშვილები ქმრების ოჯახებთან ერთად თამაშობენ, ტესი“, მშვიდად მიუგო მისტერ სამერსმა. „აქ ყველა, და მათ შორის შენც, ძალიან კარგად იცი, რომ ასეა“.

„უსამართლოდ იქცევით“, თქვა ტესიმ.

„მე თუ მეკითხავ, არა, ჯო“, ნაღვლიანად თქვა მისტერ ჰაჩინსონმა, „ჩემი ქალიშვილი რომ მეუღლესთან ერთად კენჭს იყრის, რა თქმა უნდა, ეს ასეც უნდა იყოს, მაგრამ საკუთარი შვილების გარდა, სხვა ოჯახიც რომ არ გამაჩინია?“

„ამიტომაც ოჯახის თავკაცისა და ცალკე მისი სახლულობის კენჭის ყრის შემთხვევაშიც პასუხისმგებელი პირი ისევ და ისევ თქვენა ხართ“, აუხსნა მისტერ სამერსმა. „მართალს ვამბობ, თუ არა?“

„რა თქმა უნდა“, მიუგო ბილ ჰაჩინსონმა.

„შვილი რამდენი გყავთ, ბილ?“ ფორმალურად იკითხა მისტერ სამერსმა „სამი“, უპასუხა ბილმა. „ბილი უმცროსი, შუათანა ნენსი და ნაბოლარა დეივი. ტესი და მე“

„მაშ კარგი“, თქვა მისტერ სამერსმა, „ჰარი, ბილეთები უკან თუ გამოართვი?“

მისტერ გრეისმა თავი დაუქნია და ქალაქის ზოლები ჰაერში ააფრიალა. „მაშინ ყუთში ჩაყარეთ“, უბრძანა მისტერ სამერსმა. „ბილის ნაგლეჯიც მიაყოლე“.

„მგონი, ისევ თავიდან უნდა დავინწყოთ“, მოჩვენებითი სიმშვიდით თქვა მისის ჰაჩინსონმა.

„უსამართლობაა-მეთქი, არჩევის დრო არ გააჩნდა. ეს ყველამ კარგად დაინახა“.

მისტერ გრეისმა ხუთი ცალი ზოლი ამოარჩია და ყუთში ჩაუშვა, დანარჩენები მიწაზე მიმოფანტა, საიდანაც სიომ ჰაერში ააფარფატა.

„ისმინოს ყველამ“, გარშემო შემოკრებილ სოფლელებს მიმართა მისის ჰაჩინსონმა.

„მზადა ხართ, ბილი?“ ჰკითხა მისტერ სამერსმა, ბილ ჰაჩინსონმაც ცოლ-შვილს თვალი წამოხედა და თავი დაუქნია.

„გახსოვდეთ“, წარმოთქვა მისტერ სამერსმა. „ქალაქის ზოლებს ამოიღებთ და მანამ არ გაშლით, ვიდრე სათითაოდ ყველა არ ამოიღებს. ჰარი, პატარა დეივს მიეხმარე“. მისტერ გრეისმა ბიჭუნას ხელი წაავლო, რომელიც მასთან ერთად ყუთს ხალისით მიუახლოვდა. „ფურცელი ამოიღე, დეივ“, უთხრა მისტერ სამერსმა. ბავშვმა ხელი ჩაყო და გაიცინა, „მხოლოდ ერთი ცალი უნდა ამოაძვინო“, უთხრა ისევ მისტერ სამერსმა. „ჰარი, შენ გეკავოს მის მაგივრად“. მისტერ გრეისმა ბიჭს მუშტში მოქცეული დაკეცილი ქალაქი გამოართვა და ხელში მომუჭა. პატარა გაცილებული შეჰყურებდა.

„ახლა ნენსის ჯერია“, თქვა მისტერ სამერსმა. თორმეტი წლის გოგონა ყუთს ქვედატანის სწორებით მიუახლოვდა და ქალაქის ნაჭერი ფრთხილად ამოაძვინა. შორიახლოს მდგომმა თანაკლასელმა ბიჭებმა მძიმედ ამოიხრეს.

„ბილ“, დაიძახა მისტერ სამერსმა და ისიც მივიდა, ყუთში ხელი მოაფათურა და როგორც იქნა ფურცელი ამოიღო.

ბრბო გაყუჩდა, გოგონამ ნაიბუტბუტა, „ნეტავი ნენსი არ იქნებოდა“, და ჩურჩულმა ხალხსაც გადაუარა.

„ყველაფერი ისე აღარ ხდება, როგორც ძველად“, მკაფიოდ წარმოთქვა ბებერმა ვორნერმა, „დროსთან ერთად ადამიანებიც გამოიცვალენ“.

„ძალიან კარგი“, თქვა მისტერ სამერსმა. „გაშალეთ ფურცლები, პატარა დეივისისა შენ გახსენი, ჰარი“.

მისტერ გრეისმა ქალაქი გაშალა, მაღლა ასწია და ხალხმაც ცარიელი ფურცლის დანახვაზე შევებით ამოისუნთქა, ნენსიმ და ბილი უმცროსმაც დაკეცილი ნაგლეჯები ერთდროულად გაშალეს. ჯერ გაელიმთ, შემდეგ ახარხარდნენ, შეკრებილებისაკენ მოტრიალდნენ და ფურცლები ყველას დასანახად თავს ზემოთ დაიჭირეს.

„ტესი“, თქვა მისტერ სამერსმა, ცოტა ხანს დააყოვნა და შემდეგ ბილ ჰაჩინსონს შეხედა, ბილმაც თავის ქალაქი გაშალა და დაანახა ისიც სუფთა იყო.

„ტესია“, თქვა მისტერ სამერსმა და ხმა დაუდაბლდა. „მისი ბილეთი გვაჩვენე, ბილ“.

ბილ ჰაჩინსონი ცოლთან მივიდა და ქალაქის ზოლი ხელიდან ძალით გამოგლიჯა. შავი ლაქა დაჩნეოდა, წინა ღამით მისტერ სამერსის მიერ ქვანახშირის კომპანის ოფისში საკუთარი ხელით დასმული.

ბილ ჰაჩინსონმა ხელი მაღლა ააშვირა და ბრბოშიც ჩოჩქოლი ატყდა. „საკმარისია, ხალხო“, თქვა მისტერ სამერსმა. „მოდით, სწრაფად მოვამთავროთ“.

ძველი რიტუალებისა და პირვანდელი შავი ყუთისაგან განსხვავებით ქვების გამოყენება ჯერ კიდევ ყველას კარგად ახსოვდა. ბიჭების მოზიდული ქვების გროვა მზად იყო, აქ-იქ მიწაზეც ეყარა ყუთიდან გადმოცვენილ ფურცლებთან ერთად. მისის დელაქროიქსი უზარმაზარ ლოდს ორივე ხელით ძლივს იკავებდა და მისის დანბარს მიუტრიალდა: „ნამო“, უთხრა მან. „ვიჩქაროთ“. მისის დანბარს კი ხელები შედარებით მომცრო ზომის ქვებით ჰქონდა სავსე და სუნთქვა უჭირდა. „სირბილი სულ არ შემეძლია. წინ წადით და მეც უკან გამოგყვებით“.

ბავშვებს ქვები უკვე მოედებინათ. ვილაცამ კენჭები პატარა დეივ ჰაჩინსონსაც უწილდა.

ტესი ჰაჩინსონი მოტიტვლებული ადგილის შუაგულში ჩამდგარიყო და ხელები უმწეოდ გაეშვირა. „უსამართლობაა“, თქვა ქალმა, როცა თანასოფლელები მიუახლოვდნენ. თავში ქვა მოხვდა. „მოდით, მოდით, ყველანი მოდით“. გაიძახოდა ბებერი ვორნერი. სოფლელებს სტივ ადამსი სათავეში ჩასდგომოდა და მისის გრეისიც გვერდს უმშვენივდა. „უსამართლობაა, უსამართლობაა“, იკივლა მისის ჰაჩინსონმა. ბრბომაც ერთიანად იხუვლა და ზემოდან მოექცა.

ინგლისურიდან თარგმნა  
ნაია ზოლავილია

გარდახდა ამავე სოფელსა

თუკი ვენდობით არჩილ მეფის პოემას „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“, ჩანს, თეიმურაზ პირველი-სათვის უკვალოდ არ ჩაუვლია ზურაბ არაგვის ერისთავის მკვლელობას, 1630 წლის შემოდგომაზე რომ მოაწყო საფურცელში.

მოსახდენი მოხდა და ქრისტიანული სულისკვეთებით გამსჭვალული მეფე ამგვარად მოთქვამს: რად მოვკალ შეილსა და ძმაზე უმჯობესი სიძე, ჩემთვის ნამსახური კაცი, მოდგმით სიკეთე რომ დაჰყვებოდაო; ვიდრე ცოცხალ ვარ, ვინანი, მუდმივად ცრემლი მდისაო...

მაგრამ ორ ისტორიკოსს, ქართველსა და იტალიელს, ერთსულოვანი განაჩენი გამოუტანიათ... ზურაბ ერისთავისათვის.

ბერი ეგნატაშვილი: „და აღსრულდა ბრძანება უფლისა მის ზედა, ვითარმედ: რომელმან აღიღოს მახვილი, მახვილითაცა წარწყმდეს“.

ბართლომეო ფერო: „ასე დაიღუპა ის, ვინც აუჯანყდა თავის პატრონს და უღალატა მეგობარს. ღვთისმკრეხელი არ იყო ღირსი სიცოცხლისა და, თუმცა უფალი ზოგჯერ აგვიანებს სასჯელს, გაუქმება არა სჩვევია“.

თეიმურაზი უფრო მკაცრად განსჯის საკუთარ თავს, ვიდრე ისტორიკოსნი, მაგრამ, ამასთან ერთად, თავის მართლებასაც ლამობს ანუ მკვლელობის გამომწვევ მიზეზებს გვამცნობს. ესაა უგვირგვინო მეფობის პრეტენდენტის უზომო აზვავება და ავი ენების გესლიც, ეჭვი და უნდობლობა რომ გაუათქვეცეს. ოღონდ კრინტს არა სძრავს იმის თაობაზე, რაც ჩვენ მშვენივრად ვიცით – სეფიანთა სამეფო კარისათვის უნდა დაემტკიცებინა, სვიმონ-ხანის მკვლელობაში ბრალს ნუ დამდებთ, უდანაშაულო ვარ, აგერ, მისი მკვლეელი სიკვდილითვე დავსაჯო.

გული გეტკინება, თვალში საცემ ხინჯს რომ წააწყდები სახელოვანი მეფის ბიოგრაფიაში. მაგრამ რას იზამ, უმნიკვლო გმირები, თუკი არსებობენ ამქვეყნად, ალბათ, მონასტერში იქნებიან გამოკეტნი, ხოლო მონასტრიდან როგორ უნდა უშველო ბედკრულ სამშობლოს, რომელსაც ხან გარეული მტერი მოაწყდება ასაოხრებლად, ხანაც შინაურთა შუღლი ნუნავს და აჩანავებს. ლოცვებითა და ქადაგებით რას გააწყობ?! სათნოება უძლეობის ძალადობის წინაშე, კეთილმოხილება იშვიათად უძლეობის ღირსეულ გამოძახილს.

გულჩვილობით დაჯილდოებული გმირები მტერთაგან გარშემორტყმული და ქიშპით ათუხთუხებული ქვეყნის თავკაცებად ვერ გამოდგებიან. ლოცვა თუ კალამი ვერ აღკვეთს ბოროტებას, რომელთან შერკინება და გამარჯვება მხოლოდ იმ სიმართლეს ძალუძს, ბოროტებისგან რომ ისეხებს მრუდე ბილიკს თავისი საღვთო მიზნის მისაღწევად.

თეიმურაზამდე ერთი საუკუნით ადრე ნიკოლო მაკიაველის, თითქოსდა ქართველი მეფის გასამართლებლად, დაუნერია: „როდესაც საქმე ეხება სამშობლოს ხსნას, ყურადღე-

ბა არ უნდა მიაქციო არავითარ სიძნელეს და არც იმას, შენი ქმედება სამართლიანია თუ უსამართლო, ჰუმანური თუ სასტიკი, საქებარი თუ საძრახისი. განზე უნდა გადასდო ყველა საწყაო და დაადგე მარტოოდენ იმ გზას, რომელსაც ძალა შესწევს, რომ შენს სამშობლოს გადაურჩინოს სიცოცხლე და შეუნარჩუნოს თავისუფლება“.

მაგრამ ვერც ბერი ეგნატაშვილი, ვერც ბართლომეო ფერო და ვერც ათასი ნიკოლო მაკიაველი, რომც ნაეკითხა თეიმურაზს, ვერ გაუქარწყლებდნენ მწვევე გულისტიკვილსა და ვარამს, რაც გაუჩენია შემზარავი დანაშაულის ჩადენას. იმ ობიექტური მოტივების ჩამოთვლის შემდეგ, რომ-

ლებმაც უზიძგეს დანაშაულზე, თეიმურაზ მეფეს უღმობელი განაჩენი გამოაქვს საკუთარი თავისათვის: „ღვთისა მეშინის, კაცთაგან მრცხვენის ამისსა მყოფელსა, გული გამამადეს და ხელნი შემხმეს მის ლახრის მყოფელსა! სახელმწიფონი ოხრად მიჩნს, რას ვაქნევ მე საყოფელსა? იმ სოფელს ნუმც მეკითხება, გარდამხდეს ამავე სოფელსა!“

აკი გარდახდა კიდევც...

გაივლის თითქმის ოცი წელიწადი და უდროოდ ელუპება ერთადერთი ცოცხლად დარჩენილი ვაჟი – სამეფო ტახტის მემკვიდრე, ოცდათორმეტი წლის დათუნა ბატონიშვილი, უშიშარი რაინდი და მოსიყვარულე შვილი, ხანდაზმულ მამას ბრძოლის ველზე გასვლას რომ დაუშლის და თეიმურაზ მეფის უკანასკნელ ომს თვითონ შეეწირება. „დაინდო სიბერე თავისი მამისა“, როგორც წერს სომეხი მემბტიანი, და თავისი სიცოცხლე კი განგებისგან დანესებულ შუადღემდეც აღარ მიუყვანია. ნადრევად დაუღამდა.

დასტიროდნენ დაღუპულ დათუნა ბატონიშვილს და დასტიროდნენ ცოცხალ თეიმურაზსაც: ერთი ვაჟილა გყავდა და ისიც მოგიკლეს, აღარც შექმნის იმედია და აღარც შობისაო.

კიდევ ოცი წელიწადი გაივლის და თეიმურაზის ერთადერთ ასულს – დარეჯანს, იმერეთის დედოფალს, სასახლეში შეუვარდებიან და შუბით კლავენ.

ყველაზე სულისშემძვრელი კი ისაა, რომ „მამაცსა და უბედურ მეფეს“ (ასე უწოდებდნენ თეიმურაზს ევროპელი ავტორები) მოუწევს დატირება ორი შვილიშვილისა – ხუთი წლის გიორგი და თექვსმეტი წლის ლუარსაბი მსცოვან პაპაზე ადრე გამოესალმებიან ნუთისოფელს.

ამბობდა, გარდამხდეს ამავე სოფელსაო და განგებამ უჭოჭმანოდ აუსრულა თვითგვემისას თქმული წყევლა.

ჯერ ორი შვილისა და მერე ორი შვილიშვილის დატირება – ამაზე სასტიკი სასჯელი რაღა უნდა მოიგონო?! აქ რა მოსატანია მეფობადაკარგული მეფის დაუსრულებელი ყარობობა-ხიზნობანი...



თეიმურაზ პირველი მეუღლითურთ მხატვარი დონ კრისტოფორო დე კასტელი

ღირიჟორიც კი შირისხეს

სოვთ ვალაკტიონი: „და ღირიჟორი ნიკიში მძლავრი“).

1934 წელს ფურტვენგლერმა პროტესტი გამოუცხა-

და გებელსის განკარგულებას, რომელიც ვეტოს ადებდა მენდელსონისა და ჰინდემიტის ნანარმოებთა შესრულებას. როდესაც ებრაელ მუსიკოსებს აუკრძალეს გერმანიაში გამოსვლები, ფურტვენგლერმა მიაღწია იმას, რომ მისი პირველი კონცერტმანისტერი, მევიოლინე შიმონ გოლდბერგი და ვიოლონჩელისტი ემანუელ ფეიერმანი ერთხანს მონაწილეობდნენ მის კონცერტებში. ნაცისტები მმართველები, ცხადია, შემოსწყრნენ ფურტვენგლერს და მთელი წლის განმავლობაში ჩამოაშორეს საკონცერტო მოღვაწეობას.

არაერთმა გერმანელმა მუსიკოსმა ემიგრაციაში წასვლა არჩია ნაცისტურ გერმანიაში ცხოვრებას. ფურტვენგლერს გაუჭირდა ასეთი გადაწყვეტილი ნაბიჯის გადადგმა. გავიდა ერთი წელიწადი და ისევ დადგა ღირიჟორის პულტთან – დამცირებული და სულიერად გატყეხილი.

მას ეგონა, რომ კლასიკური მუსიკა, მისი ინტერპრეტაციით, ეწინააღმდეგებოდა იმ მტრობას, ნაცისტები რომ უწევდნენ კულტურას. ასეა თუ ისე, ფურტვენგლერი ნაცისტური გერმანიის აბრად ვერ გამოიყენეს ოკუპირებულ ქვეყნებში.

მეორე მსოფლიო ომი რომ დამთავრდა, ფურტვენგლერი მიიჩნიეს საშიშ და მავნე ნაცისტად, თუმცა მას, როგორც ამბობენ, არასოდეს არაფერი აინტერესებდა გარდა თხილამურებისა, ქალებისა და, რასაკვირველია, მუსიკისა.

ფურტვენგლერს საჯარო გამოსვლების ნება დართეს მხოლოდ 1951 წელს. მთელს მსოფლიოში სახელმწიფოებრივი დირიჟორი უმუშევრად იყო მთელი ექვსი წელიწადი და რეაბილიტირებულმა სამი წელიწადი იცოცხლა.

ახლა ჩვენი მკვდარიც ვიტყვით.

ძნელი სათქმელია, რა მოელოდა გრიგოლ რობაქიძეს, ჰიტლერის დამხობის შემდეგ გერმანიაში რომ დარჩენილიყო. თუკი გავითვალისწინებთ, რომ ფურტვენგლერი მხოლოდ და მხოლოდ დირიჟობდა, ხოლო რობაქიძე ხოტბას ასხამდა ჰიტლერს, ალბათ, თავზე ხელს არ გადაუსვამდნენ.

ასე რომ, მისი გაქცევა გერმანიიდან შვეიცარიაში ჰაერის გამოსაცვლელად როდი მოხდა, არამედ იმის შიშით, ვაითო ნაცისტების პროპაგანდა დამამონდა ციხეში ჩამაყუდონო.

მუხთალმა ბედმა მეორე ემიგრაცია არგუნა წილად.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ წლებში გერმანიაში საზოგადოებრივი რისხვა თავს დაატყდათ იმ ადამიანებსაც, რომლებიც ნაცისტთა ბატონობის ჟამს სულაც არ გაგებინან ფეხქვეშ ხელისუფლებას, მაგრამ განაგრძობდნენ თავიანთ მოღვაწეობას კაცთმოძულე რეჟიმის პირობებში.

რისხვას ვერ გადაურჩა ვერც ვილჰელმ ფურტვენგლერი (1886-1954).

ულმობელი კრიტიკოსები და მეშურნენიც კი აღიარებდნენ, რომ იმ წუთიდან, როდესაც ფურტვენგლერი აღმართავდა დირიჟორის ჯოხს, მსმენელზე ბატონობდა მარტოოდენ სული მუსიკისა.

ფურტვენგლერი ამბობდა, რომ არსებობს კარგი შესრულების ორი სახეობა. ჩემი სახელგანთქმული კოლეგების შესრულება თავისთავად თვალმისაცემია, მაგრამ ისეც ხდება, რომ შესრულების შესახებ კრინტს არა სძრავენ, შთაბეჭდილებას მხოლოდ მუსიკა ახდენსო. სწორედ ასეთი შესრულება მიაჩნდა საუკეთესოდ, სწორედ ასეთი შესრულება უნდა იყოს ჩვენი მიზანიო.

აი, როგორ აფასებდნენ გერმანელ დირიჟორს მისი თანამედროვენი:

ბრუნო ვალტერი (დირიჟორი): დიდი კლასიკური შედეგების სამყარო – აი, ფურტვენგლერის სულიერი სამშობლო.

პაბლო კაზალის (ვიოლონჩელი): ფურტვენგლერი იყო ერთ-ერთი იმ საოცარ ხელოვანთაგან, ვისაც კი ვიცნობდი. მის სულში ენთო „ღვთაებრივი ცეცხლი“.

იეგუდი მენუხინი (ვიოლინო): ფურტვენგლერს ყველაზე უკეთესად შეეძლო გაცოცხლება ბეთჰოვენისა თუ ბრამსის სიმფონიებისა. ისინი მხრებს შლიდნენ, სუნთქვადნენ და თითქოს გელაპარაკებოდნენ კიდევ.

ალბერტ შვეიცერი დიდებულ მუსიკოსში დიდებულ მოქალაქესაც ხედავდა. მისი სიტყვით, ფურტვენგლერი, როგორც ადამიანი, ბევრს ნიშნავდა თავისი დროისათვის; მუდამ ერთგული რჩებოდა საკუთარი თავისა და არავის ეპუებოდა.

როგორც აღნიშნავენ, ფურტვენგლერმა თავისი შემოქმედებით ფასდაუდებელი სამსახური გაუწია გერმანული მუსიკის მსოფლიო მნიშვნელობის დამტკიცებას და მისი კეთილშობილი ჰუმანიზმის პროპაგანდას.

1922 წელს სათავეში ჩაუდგა ბერლინის ფილარმონიის ორკესტრს და, ამგვარად, გახდა არტურ ნიკიშის მემკვიდრე (გახ-

ქრონიკა

1 აპრილს კაფე „ქარავანში“ შეხვედრა გაიმართა მწერალ ლევან ბრეგვაძესთან, ამჯერად, როგორც ლექსიკოგრაფთან.

იმდღევანდელ მნიშვნელოვან გარემოებათა გამო ღონისძიებაზე შეკრებილნი, ჩვეულებისამებრ, სიტყვებით არ გამოირჩეოდნენ. სამაგიეროდ, ნებისმიერი გამომსვლელი თავის სათქმელს ზუსტად მისადაგებდა ძირითად თემას და შესაბამისად უსაგნო, პათეტიკურ საუბრად არ გადაზრდილა, რაც არცთუ იშვიათია ხოლმე.

ლევან ბრეგვაძემ თვითონ წარმართა ლიტერატურული შეხვედრა. საუბრის თემა გახლდათ მის მიერ შედგენილი „ქართული ჟარგონის ლექსიკონი“. აღნიშნა, რომ პირველი ნიგნი ჯერ „ალტერნატივაში“ ქვეყნდებოდა და შემდეგ, 1999 წელს, ცალკეც დაიბეჭდა, იტყვდა 600 სიტყვას. მეორე – 1000 ლექსიკური ერთეულით შემოფარგლული 2005 წელს გამოცემა კვლავ ბაკურ სულაკაურის მიერ.

ჟარგონის და საერთოდ, პროფესიული ჟარგონის თავისებურებებზე საინტერესოდ ისაუბრა ლევან ბრეგვაძემ. რამდენიმე სიტყვა საინფორმაციო ძირითად, განმარტა თითოეული მათგანის

ეტიმოლოგია, სიცოცხლისუნარიანობა. ისიც დასძინა, დღესაც გულმოდგინედ ვცდილობ ქართულ ორიგინალურ თუ თარგმნილ ლიტერატურაში სათანადო სიტყვების მოძიებასო. არც ის დაუმალავს, მესამე, უფრო სრულყოფილ გამოცემას სულ მალე რომ შესთავაზებს მკითხველს.

სიტყვებით გამოვიდნენ: ლია სტურუა, დავით წერეთლიანი, ლელა შუბითიძე, თენგიზ ჩხაიძე, კახა ჯამბურია.

ითქვა, რომ ჟარგონს, ენის მიერ შეთვისებულს, მართალია მოფრთხილება სჭირდება, მაგრამ არც ისე ივარგებს, უზომო დახვავებითა და მოდური მოძალებით საფრთხე შეექმნას ქართულ მწერლობასო.

ლევან ლვინჯილიამ, როგორც ენათმეცნიერმა და ლინგვისტმა, გამოცემის ზოგიერთ ტექნიკურ ლაფსუსზე ილაპარაკა; თუმცა ლექსიკონის შემდგენელს ოპონენტის შენიშვნათაგან არცერთი გაუზიარებია. საბოლოოდ, კეთილგანწყობით აღიარა ლევან ლვინჯილიამ, ასეთ ნაშრომს, როგორც ავტორი, ხელს სიამოვნებით მოვანერდიო.